

中国科学院图书馆  
354室  
2008年1月

FS

3929

1

3929/s

გამოცემა ეპისტოლის აღექსანდრეს


941(47.992)

## କାଳତଣ୍ଡ-ପାନେତିଲ

მონასტრების და ეკლესიების  
ისტორიული საგუთავი

შეპრეზიდენტი თ. ალექსანდრე მიხელი.

E 489  
3



ও ২ ০ ১ ১  
কো. ৩. প্রকাশন  
১৯০৩ খ.



XIX, 272 g. (20 x 12), [g. v.].



Дозволено печатать Александромъ Епископомъ Гурйско-  
Мингрельскимъ 25 июня 1902 г.



## მინასი გიორგი მარტივაშვილი

### მინასი გიორგი მარტივაშვილი

ჩვენის მწერლობისა და ეროვნობის ცნობილ-  
 მა მოტრფიალემ, სახელოვანმა მამულიშეიღმა  
 მხურებისანმა მღვდელთმთავარმა ალექსანდრემ მიბ-  
 რძანა მე გამომეცა ჩემგან შეკრებილი საეკლესიო  
 სიგელ-გუჯრები მისის საფასით. თუმცა მაშინვე  
 შეეუდეგ ამ წიგნის გამოცემას, მავრამ მისი და-  
 ბეჭდვა ჩემის მოუკლელობისაგამო რამდენსამე წე-  
 ლიწადს გაგრძელდა. ამითი მე სამართლიანი გუ-  
 ლისწყრომა დაეიმსახურე წმიდანის მამათ-მთავრისა.  
 ხოლო მოშიშარმა, რათა არა უმეტეს განვარისხო  
 იგი, მე შევსწყიოტი ბეჭდვა საეკლესიო საბუთე-  
 ბისა იმედეულმა, რომ დანარჩენ საეკლესიო სა-  
 ბუთებს მეორე წიგნად გამოვცემ მაშინ, როდესაც  
 უფრო მოცლილი ვიქნები.

ჩვენს საზოგადოებას, ეტყობა, საესებით არ  
 ესმის ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიგელ-გუჯ-  
 რებს ჩვენის ძველის ისტორიის მკვლევართათვის,  
 თორემ უმეტეს ყურადღებას მიაქცევდა მას ს  
 შეკრებას და გამოქვეყნებას. უსიგელ-გუჯროდ  
 შეუძლებელია ისტორიკოსმა წარმოგვიდგინოს  
 სრული სახე ჩვენის წარსულის ცხოვრებისა  
 იმ გეგმაზედ, რომელსაც თხოულობს თანამე-  
 დროვე ისტორიული მეცნიერება, ესე იგი არა  
 მარტო გალილის ჩვენის პოლიტიკურის ცხოვ-

ჩებისა, არამედ შინაურულის ოჯახურის, საზო-  
 გადოებრივის და სახელმწიფო წეს-წყობილებისა,  
 იურიდიულისა, ეკონომიკურის და სულიერის ცხო-  
 ვრებისა; წოდებათა ურთიერთობისა და მოწევეთა  
 უფლებისა და სხ. რათქმა უნდა, რომ უსიგელ-  
 გუჯრებოდ შეეძლებელია ჩვენის საეკლესიო ისტო-  
 რის საფუძველიანი აღწერაც, რადგან უმთავრესი  
 მასალა ჩვენის სარწმუნოებრივის ცნუ რელიგიურის  
 ყოფა-ცხოვრებისა სიგელ-გუჯრებში იპოვება და  
 არა მხოლოდ საეკლესიო მწერლობაში. ბევრმა  
 ჩვენში არც-კი ჩიცის, რომ საქართველოს ეკლე-  
 სის შინაურს ცხოვრებას განსაკუთრებული სახე  
 და აგებულება ჰქონდა, და ამ აგებულების საქმა-  
 ოდ გამოცნობა შეიძლება მხოლოდ სიგელ-გუჯ-  
 რების საფუძვლიანად შესწავლათ. ხოლო თავისე-  
 ბურობა საქართველოს ეკლესიის შინაურ წყობი-  
 ლებათა წარმოსდგა იმისგამო, რომ ქართველთა  
 ეკლესიას დასაბამი მოაქვს თვით მოციქულების  
 დროიდამ, როდესაც აქ (განსაკუთრებით დასავ-  
 ლეთს საქართველოში) მაგრაც ფესვი მოიკიდა  
 ქრისტეს, ლვთაებრივმა სწავლამ\*), და რასაკვირ-

\*). ჩვენი ტერიტორიები დიდად შემცირდნი არიან, როდესაც  
 წმიდა ნინოს მიაწერენ ქრისტიანობის გავრცელების საქართველოში.  
 წმიდა ნინომ მეცის და მისის მხლებლების მოქცევით მხოლოდ უბი-  
 როტეს სარწმუნოებად გახდა ქრისტიანობა, რომელსაც მის დრომ-  
 დი ლრმიდ ფქვეი გადგმული ჰქონდა ხალხის ცხოვრებაში. რათქმა  
 უნდა, რომ ქრისტიანული ქართული მწერლობაც რამდენი-  
 მე სკუურით ადრე გამარილა ნინომდი და განსაკუთრებით დედო-  
 ფილ ხადუჭრამდის, 437 წ., რომელსაც ყველა ჩვენი შეკლევანი

### III

ველია, საქართველოს ეკლესიაში ამისგაშო შეინა-  
 ხა თვისს შინაურს წყობილებაში, ჩვეულებაში და  
 თვით ენაში შრავალი ნაშთი პირვანდელთა ქრის-  
 ტიანულ ჩვეულებათა და წეს-წყობილებათა, რა-  
 იცა განსაკუთრებულს ფასს აძლევს მას. მეორე და  
 მესამე საკუნოებში საქართველოს ეკლესიას ახლო  
 კავშირი ჰქონდა სპარსეთის ეკლესიასთან (მე IV სა-  
 უკუნემდი), რომლის გაელენის ნაშთი აგრეთვე შე-  
 ნახულან ჩვენს აწ მიერწყებულს შინაურს ეკლესი-  
 ურს ცხოვრებაში. რაღათქმა უნდა, რომ მეოთხე  
 საუკუნიდამ მერვემდი და რამდენამდე შემდეგაც  
 ჩვენს ეკლესიაზე უპირატესი გავლენა ჰქონდა  
 აღმოსავლეთის ეკლესიებს, ე. ი. ასურეთისას, იე-  
 რუსალიმისას და ანტიოქიისას, რომლის საპატრი-  
 არქოს ემორჩილებოდა სამშობლო ეკლესია მერვე  
 საუკუნემდი. და აი ეს არის იმის მიხედვი, რომ  
 ჩვენს ეკლესიურს ცხოვრებაში, განსაკუთრებით  
 ეკლესიურს ჩვეულებაში და მწერლობაშიაც ხშირ-  
 რად ვპოულობთ იმისთვის მოვლენათა, რომელნიც  
 არ არსებობდნ საბერძნეთის ეკლესიაში.

რასაკვირველია ამ თავისებურობას ჩვენის სა-  
 რწმუნოებრივის ცხოვრებისას დიდი ფასი აქვს მეც-  
 ნიერებისთვის; გარნა საფუძველიანად მისი შესწავ-

---

სრულიად უსიტუმჯოლოდ მიაწერენ პირველს სახარების თარგმანს  
 ქართულს ენაზე (ი. ჩემი „ქრისიკები“ წიგ. II, გვ. 40—41, ვე-  
 ნიშნები). ამ დედოფლს, როგორც სპარსელს ქალს, ქარისულის ენის  
 არა-მოდნეს, ქართულ ენიდან სპარსულენიზე გადაუთარებმნეს სახა-  
 რება, როგორც მოგვითხრობს მატიანე (ქ-ცხ. გ. 10.).

ლა შეუძლებელია თუ არ სიგელ-გუჯრების გაც-  
 ხრილვით. ეს მიუცილებელ საჭიროებად გახდა  
 განსაკუთრებით დღეს, როდესაც ეს პირვანდელ-  
 ი საქონისტიანო ჩეულებანი განდევნილ იქმნებ  
 ახალ-მოდურ მღვდლების წყალობით, რომელთაც  
 ჩვენის ცხოვრებისა და უმეტესად ჩვენის ეკლესიის  
 თავისებურობის „ინჩიც“ არა გაეგებათ რა, რადგან  
 მათ, სიყრმითგანვე პანსიონებში აღზრდილთა და  
 მოწყვეტილთა ეროვნულ ცხოვრებიდამ, არა გაუ-  
 გონიათ რა გარეშე იმისა, რაც არ უწერიათ სასკ-  
 ოლო სახელმძღვანელოებში (ყველნიკი). ამიტომ  
 გასაკვირალიც არა არის რომ ეს ახალ მოვლე-  
 ნილნი მოძღვარნი უარს ჰყოფენ ყოველსავე, რაც  
 ამ სახელმძღვანელოებში არ აღმოიკითხება, თუმ-  
 ცა ესრეთი უარისყოფა ეწინააღმდეგება თვით დე-  
 და-ბოძს რუსეთის ეკკლესიის ყოვლად ბრძნულის  
 დადგენილობისას, რომელიც ბრძანებს „уважать  
 обицаян мѣстной церкви“. ამ ნაირად მეცხრამეტე  
 საუკუნეში ახალ სწავლულ მღვდელია წყალობით  
 თითქმის მოისპო ქართლ-კახეთში კვალი ძელის  
 ქისტიანულის წესწყობილებისა, ზნე-ჩვეულებათა,  
 და მხოლოდ იმ მიურუებულ კუთხეებში დარჩა  
 თფილისის და ქუთაისის გუბერნიებისაში, სადაც  
 ჯერ ვერ მიმწვდარა გავლენა „კურსონიკის“  
 მღვდლისა. ამ ნაირად დღეს მე ვერ ვიპოვვე ზოგი  
 მსოფლიო ქლესის ძელს ჩვეულებათაგანი, რომელ-  
 იც დაცულიყვნენ სამეგრელოს ეკლესიაში და

თეით მე დავსწრებიფარ ამ 35—40 წლის შინეთ,  
 მაგალითად საერთო (სათემო) ყოველ წლიური  
 აღაპი, სათემო სადილი შენდობის კვირიაკეს, რო-  
 დესაც ყველა უმზრახთა უსათუოდ შეარიგებდენ,  
 ძელის რეკა აღდგომიდან ამაღლებამდი, ბუყთა ცე-  
 მა აღდგომას ლიტანიის დროს, ძევლი სახე ზია-  
 რებისა აღაპის და საკურთხის დროს, ნათლობის  
 ჩეეულებანი, ტირილი მკვდართა და სხვა მრავალი.  
 ეს და ამ გვარნი ჩეტად შესანიშნავნი ნაშანი  
 უძველესის მსოფლიო ჩეეულებათანი განაგდეს უმე-  
 ცარ მეცნიერებმა, რომელთაც ყოველივე შეისწავ-  
 ლეს, გარდა უმთავრესისა—თეისის ერისა და სა-  
 ქართველოს ეკლესისა, რომელსაც რომელნიმე მსა-  
 ხურებენცა გარეწრობით. რაღა თქმა უნდა, რომ  
 ამათგან სრულიად განიდევნა ის ეკლესიურნი  
 ჩეეულებანიც, რომელნი საქართველოს ეკლესიას  
 მოაქვს წარმართობიდან, და რომელნიც არიან  
 „გაქრისტიანებულნი ჩეეულებანი“, რაღაც წარმა-  
 რთული არ დარჩენილა რა იმათში; ესენიც თავი-  
 სებურებას აძლევდენ ჩეენს ეკლესიას. რუსეთში  
 თითქმის ყველა გუბერნიიბის ეკლესიებს აქვს რა-  
 ცე განსაკუთრებითნი ჩეეულებანი, რომელიც შე-  
 მოსულა წარმართობიდან, გარნა განწედილნი და  
 „გაქრისტიანებულნი“. ამიტომ რუსეთის გნათლე-  
 ბული სამღვდელოება არა თუ არ დევნის მათ,  
 არამედ სასტიკად იცავს ადგილობრივ ეკლესიათა  
 თავისებურებას ღრმად გამჭერები ფრიადის მნიშ-

ნველობისა ამ გვარ ჩვეულებათა.

ალსადგენად ანუ გამოსაკვლევად ამ გვარ უძველესთა მსოფლიო საეკლესიო ჩვეულებათა და აღვილობრივ წარმართობიდან შემოსულ თავისებურებათა უმთავრესი წყარო დი საშვალება არის იგივე სიგელ-გუჯრების შეკრება და საფუძვლიანი შესწვალა.

თუ რამდენად საჭიროა სიგელ-გუჯრების გამოცემა ჩვენის ისტორიისათვის და რაედენად მავნებულია უყურადღებოდ დატოვება ამ ხელშეუხებელის საუკეთესო სამეცნიერო წყაროსი—ეს ადვილად დასანახია შემდეგის გარემოებათაგანაც.

მოელმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც საქართველო ოუსეთს შემოუერთდა და მაშასადამე ჩვენ გავხდით მოულილნი, თავისუფალნი სამშობლო მეცნიერებისათვის. ამ დიდს მანძილის სიგრძეში არა ერთმა პირმა სცადა თავი სამშობლო საისტორიო მეცნიერებისათვის, მაგრამ უმეტესობამ ჩვენს ისტორიაში სასურველი კვალი ვერ დააჩინა, რადგან მეცნიერი მსჯელობა უნდა დამკვიდრებულ იქმნას შეურყეველ საბუთებზე, ხოლო ჩვენს მკვლევრებს ხელში არ ჰქონდათ ესრეთი საბუთები, რომელიც ლპებიან არქიეპიში და კერძო ოჯახებში. აჭიდან ის მოხდა, რომ მკვლევართა არათუ წინ ვერ წასწიეს სამშობლო ისტორიული მეცნიერება, არამედ უფრო არიგ-დარიეს, რადგან საბუთების უქონლობისაგამო დაენდვნენ თვისს საკუ-

თარ მოზაზრებათა და ზოგმა თავი მისცა ფან-  
 ტაზიას... რასაკვირეელია, ჰეშმარიტი მეცნიერი  
 სრულიადაც ხელს არ მოჰყიდებდა კვლევას, რაკი  
 საბუთები არ ექნება, მაგრამ ამ გვარს შემთხვევაში,  
 მოგეხსენებათ, საღერლელი მწერლობისა თავმოყვა-  
 რეობის ნიადაგზე აემლებათ ხოლმე მცირე-ნიჭის  
 პატრონებს, რომელნიც წარსულ საუკუნეში მე-  
 ცნიერების სახელით აყრუებდენ ჩევნს საზო-  
 გადოებას ვითომ-და მეცნიერულ გემოკვლევით  
 ჩევნის ისტორიისა და ქება-დიდებასა იმკიდენ უმე-  
 ცარ საზოგადოებაში. ამ ცრუ-მეცნიერებმა აამ-  
 ტუტეს ჩევნი მატიანები: გატაცებულნი უარისყო-  
 ფობის „მოდით“ ეს ძალად-მეცნიერნი უკანას-  
 ქნელ ღრომდი უარს პყოფდენ ჩევნს უმაღლესის  
 ლირსების მატიანებს, რომელნიც არათუ არ გაუჩ-  
 ხრეკიათ — არც კი გადაუყითხავთ გულდასმით,  
 ჩევნს კულტურას, ყოველს ლირსებას ჩევნის წარსუ-  
 ლის ცხოვრებისას, ჩირქს სცხებდენ ჩევნს საეკ-  
 ლესით და საერთო მწერლობას, რუსთველსაც-კი  
 ასპარსელებდენ ანუ ასომთხებდენ. ზოგმა თვით გა-  
 რეგნობით მეცნიერულ გამოკვლევაშიც გამოსთ-  
 ქვეს ყოვლად ცრუ აზრი, ვითომ ჩევნი გლეხები  
 მონები ყოფილიყვნენ (გლეხის ყმისაგან ვერ გან-  
 მრჩევნი) თითქმის მთლად იმავე ყაიდისა, რო-  
 გორც რუსეთში იყო „კრეპიტურის“ სხევები  
 იმავე მეცნიერულ კილოთი შეეხნენ ჩევნს კანო-  
 ნებს, თავი და ბოლო ვერ გაუგეს, არათუ ვერ

## VIII

გაარჩიეს წილებათა დამოკიდებულებანი, და ისეთის რიხით გამოაქუხეს თვისნი ვითომდა დასაბუთებულნი დასკვნანი, რომ ჭკვიანსაც მართალი ეგონება, და ჩვენი ძველი ყოფა-ცხოვრება, ჩვენებური ფრიად შესანიშნავი, უდიდესის ლირსებით შემკული სოციალურული წყობილება ბარბაროსებად წარმოუდგება მოღორებულ მკითხველს, ზიზლი ებადება წარსულისა და პატივისცემა მკვლევარის „მეცნიერისადმი“. გამოჩნდენ მათნი მოწინააღმდეგენიცა, რომელთაც ცამლი აჰყავდათ ჩვენი წინაპრები და ჩვენი ენა „სამოთხის ენად“ აღიარეს, მაგრამ უსაბუთოდ, ცარიელის ფანტაზიით, რადგან საბუთები გამოცემული არ არის და ხელმისაწვდენი. — მე ვიცი იმისთანა შემთხვევაც, რომ ამ უკანასკნელ ჯურის მეცნიერმა, პატრიოტულის ფანატიკოსობით დაბნელებულმა, განზრახ უღალატა მეცნიერებას, ამ წმიდათა-წმიდას, და შეთხზა ყალბი საბუთები, მოაღორა უმეცარნი მამულის-შვილნი, გარნა „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“ და სიცრუვე დიდს მანძილს ეერ გაივლის....

ამისთანა სამწუხარო მოვლენათა ჩვენს მწერლობაში აღვილი არ ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ რომ ჩვენ შეკრებილი და გამოცემული გვქონდა საისტორიო მასალები, სიგელ-გუჯრები, რომელნიც ათიათასობით ინახება კერძო ოჯახებში და სახელმწიფო არქივებში. მაშინ მეტიჩარები-კი არ მოჰკიდებდენ ხელსა ჩვენს ისტორიას, არამედ

# IX

ნამდვილის ნიჭის მექონენი და მომზადებულნი ვინა, რომელნიც დღეს საქმაო საისტორიო მასალების უქონლობისა გამო თავისუფალ დროს სწირავენ ქალალდის თამაშობას, ლოთობას, ბილიარდს და ათასნაირს „განათლებულ“ ბიწიერებათა, რომელ-ნიც ჩვენ საზღვარგარეთიდგან გვესტურმრნენ და დაგვავიწყეს ქართული საუცხოო დროს-გა-ტარება; — მაშინ ჩვენ თვალს აგვიხელდენ ჰეშმარტნი მკვლევარნი და ნამდვილს სახეს წარ. მოგვიღენდენ წარსულის ჩვენის ვმირულის ცხოვ-რებისას, რომელიც ადაფრთოენებდა ყოველს შეგ-ნებულს მამულიშვილს, რაღან დღეს ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ძევლს ჩვენს ცხოვრებაში, კა-ნონმდებელობაში, მწერლობაში, ზნე-ჩვეულებაში ფრიად მრავალი მოიძებნებიან უმწვერევილესის ლირ-სების მოვლენანი, რომლის მსგავსიც თვით გამ-პარტაენებულ ეკროპიელ თემებში არ მოიპოვებო-და და რომლითაც ჩვენ ქართველებს დიალაც თა-ვი უნდა მოკვექონდეს. მაგალითად ჩვენში არ ყო-ფილა მეცხრამეტე საუკუნემდი ის უსწორმასწარო-ბა წოდებათა შორის, რომლისაგამო ეკროპიელი გლეხი-კაცი ყოველს უფლებას მოკლებული იყო და თითქმის ნივთად იყო აღიარებული ეკროპიულ კანონ-მდებლობით. ჩვენშა-კი ესრედ წოდებუ-ლი ბატონ-ყმობა იყო ზნეობრივი თავისუფალი კავშირი, ორისავე მხრით (ბატონის და ყმის) ხი-ცვარულით და ნივთიერ ანგარიშებით შეკრული

# X

და არა ძალდატანებული. ამისგამო ჩვენს ბატონს და ყმას შეუა ისრეთი სიყვარული და ერთობა იყო დამყარებული, რთმლის მსგავსი არცერთს ერს დედამიწაზე არ ჰქონებია. ჩვენი გლეხი თავის ბატონისთვის თავგანწირული იყო, იგი ბატონს თავს ანაცვალებდა ყოველს შემთხვევაში, თუ გა-  
ჭირდებაში პნახავდა თეისს ბატონს, რომელიც იყო მისი კეშმარიტი სასურველი პატრონი და არა საძულველი მტარეალი. აი მიმეზი იმისი, რომ იმ დროს როდესაც ეეროპიელნი გლეხნი ჯგუფ-  
ად და ხშირად დიდალ გუნდებად ასე ხშირად ხმალს ჰყიდებდენ ხელსა თეისის ბატონების სის-  
ხლის დასაქცეველად, ჩვენში არ გაგონილა გლეხი ბატონის სისხლის მღვრელი; ხოლო თუ სამდუ-  
რავი შემოუვიდოდათ—გლეხი ვისაც უნდოდა იმას მიუვიდოდა ყმად და თუ უნდოდა წინანდელ ბატო-  
ნისაგან მოცემულს მამულსაც შეიჩინდა არსებულ პირობების ძალით, ან სხვა გლეხს მოჰყიდიდა იმა-  
ვე პირობებით, რადგან ბატონ-ყმური დამოკიდე-  
ბულობა დაფუძნებული იყო ბატონის მხრით „პატრონობაზე, და გლეხის მხრით სამსახურზე (ძლევნი, მუშაობა, ლხინის და ჭირის დროს და-  
ხმარება და სხ.) და არა არა მაწა-წყალზე.

მიწა-წყლისგან დემოკიდებულება სულ სხვა იყო და გამოიხატებოდა ღალის ძლევით მიწის პატრონისადმი: მიწის პატრონნი თავადსა და აზნაუ-  
რს გარდა გლეხნიცა იყვნენ. ხოლო თვით ღალა

## XI

არსებულის ადათით არასგზით არ აღემატებოდა  
 მეათედს შემოსავლისას (ესე იგი ყოველს ათს  
 კოდში მიწის პატრონს ეკუთნოდა ერთი კოდი)  
 და ამისი შეცვლა არ შეიძლებოდა. ხოლო ძალიან  
 ხშირად გლეხი ნარდად ურიგდებოდა მამულის  
 პატრონს და მეათედის მაგიერ გადაჭრილს გადა-  
 სახადს დარდებდა იმ მამულების სარგებლობისათ-  
 ვის, რომელიც მას ეჭირა მკვიდრად. ამ დიდს  
 უფლებასთან გლეხ-კაცს ის უპირატესობაც ჰქონდა,  
 რომ ბატონი ვერც გადასახლებდა მას თავის მი-  
 წიდან და ვერ გაყიდვა შეეძლო ამ მიწისა გლეხ-  
 კაცის აყრით: ეს შეიძლებოდა მხოლოდ უკანას-  
 კნელის ნება-ყოფლობით, ესე იგი ბატონი უნდა  
 ამ შემთხვევაში გლეხს მოპრიგებოდა და დაემა-  
 ყოფილებინა იგი ზარალისთვის. შეიძლებოდა მი-  
 წის გასყიდვა მხოლოდ გლეხითურთ, ესე იგი  
 გლეხის აუყრელად: ეის ხელში მიწა გადაეიდოდა  
 გლეხი იმას აძლევდა მიწის სარგებლობისთვის იმ  
 ვადასახადს, რომელიც მიჰქონდა წინანდელს მიწის  
 პატრონს: გადიდება გადასახადისა არ იქნებოდა.  
 შესანიშნავია რომ ამ გვარს შემთხვევაში სიგელი  
 იწერებოდა შემდეგის ფორმით: მე ამან და ამან  
 (სახელი და გვარი მაწის პატრონისა) მოგყიდე  
 შენ (სახელი და გვარი მყიდველისა) ეს და ეს ჩე-  
 მი გლეხები (სახელი და გვარი, რომელთაც ეჭი-  
 რათ ის მიწა) „დღეს რისიც მქონებელნი არიან  
 საძრავითა და უძრავითა, ტყითა, ველითა, სახმა-

რითა და უხმარითი, საძებრითა და უძებრითა“ და სხ. ჩვენს მკვლევართ ვერ გაუგიათ ნამდვილი აზ-რი ამ გვარის სყიდვა-გასყიდვისა და გვარწმუნებენ ვითომ ამ გვარის სიგვლებით იყიდებოდეს პირადად გლეხი, როგორც ნივთი! ჩვენი სიგვლე-გუჯრები რომ გამოცემული იყენენ, ამ გვარი შეცდომა შეუძლებელი გახდებოდა: არა თუ არ შეიძლებოდა პირადად გლეხის გაყიდვა, არამედ მიწის პატ-რონს არ შეეძლო საკუთარი თვისი მიწა გაეყიდნა, თუ კი ეს მიწა გლეხს ეჭირა. შესანიშნავია ისიც, რომ მიწის პატრონს არ შეეძლო დაეშალა გლე-ხისთვის რამდენიც უნდოდა იდენი მოეხნა მიწის პატრონის მამული თავისთვის „ლალაზე“, ესე იგი მეათედზე: ამ შემთხვევაში არავითარი პირობა არ იყო საჭირო, კანონი სრულს უფლებას აძლევდა გლეხს მოეხნა ბატონის მიწა, თუ კი უკანასკნელი თავისუფალი იყო\*)

ამ ნაირად გლეხი არათუ არ იყო ნივთი, არ-ამედ მისი უფლება ბატონის (მიწის პატრონის)

\*) ქართულ კანონ-მდებლობით ყოველს უფლებას მოვლე-ბულნი იყენენ მთლიან მცირე ნიშილი მცხოვრებთა—ესრედ წოდე-ბულნი ყმანი ანუ მონები, ესე იგი სისტლით ნაშოვნი პირნი, ტყვედ წაყვინილნი, ფულით ნიყიდნი, ბუშნ ანუ უკანონი შეიღონი (ესენი იყენენ ეკლესიის ყმანი) და იშისთანა პირნიც ყოველწოდებისა, რო-მელთაც თავისი თავი გაიყიდს გაპირვებისგან გამოსახსნელიდ (შიმ. შილობაში სარჩისთვის, ტყვეობისიგან გამოსახსნელიდ, ან ვალის გა-დუქთულობისთვის შევალეს არგუნა კანონშია და სხ). ამ გვარის პირნი შეტაც დიტაც ფისტოდენ და ამიტომ შემლებულს კაცს შეეძლო ჰყოლოდ განუჩრევლიდ წოდებისა.—თუმცა იურიილი.

### XIII

მიწაზე არაფრით არ იყო შეზღუდვილი. და თუ მეც-  
 ხრამცტე საუკუნეში ბატონ-ყმობა შეიცვალა სრ-  
 ულ მონებად ან რუსულ ეპისტოლის ამი-  
 სი მიზეზი იყვნენ ჩვენივე თავად-აზნაურთაგან-  
 ნი მოხელენი, რომელთაც თავისის სარგებლობის-  
 თვის მოღორეს რუსის მთავრობა, ეითომ ჩვენი  
 „ბატონ-ყმობა“ ისეთივე მონობა ყოფილ ყოს,  
 როგორც რუსეთში არსებული „კრეპოსტნიკობა“. მოღორდა რუსის მთავრობა და საქართველოში  
 შემოვიდა საზიზლარი სახე მონობისა, რომელიც  
 უკუნისამდე არ უნახავს საქართველოს: მთელი  
 გლეხობა ანუ უკეთ რომ ვთქვათ მთელი საქართვე-  
 ლო საკუთრებად იძირის თავად აზნაურთა და ამ-  
 ასთან ერთად მთელი მათი უძრავ-მოძრავი ქონება  
 გადავიდა მომღორებელთა ხელში!.... ამისთანა  
 გარბაროსობა საქართველოს არ უნახავს მთელის  
 ორი ათასის წლების გრძელს მანძილში, რაც  
 1803—1820 წლებში ევროპიულმა კულტურამ  
 შემოიტანა ჩვენში! ძირებულად დაირღვა მთელი  
 შენობა ქართულ ცხოვრებისა იურიდიულ:დ: გლე-  
 ხები ვერ მიუხვდენ, თუ რა მოხდა, და როდესაც  
 ზოგიერთ ბატონებმა ხელი წაუჭირეს გლეხთ,  
 უკანასკნელნი საქართველოს სხვა კუთხეებში ესა-

---

ულად ყმაცა და ყმის ქონებაც უკელა მისის ბატონის საკუთრებად  
 ითვლებოდა, მაგრამ ნამდვილად-კი ქართველობაში ყმებს ანუ მო-  
 ნებს (მოჯალაბეს, „მკვიდრ ყმას“, „შინა-ყმას“, „დელმასეორეს“  
 „მოასლეს“), სიყვარულით ექცეოდენ და არ იყლებოდენ კიციბრივს  
 უფლებათ. კინომზა აღკრძალა მათი გაყიდვების ურჯულობზე.

## XIV

ხლებოდენ, ახალ ბატონებს მიუვიღოდენ ხოლმე. მაშინ ძეველი ბატონი რუსის კანონს მიმართავდა ხოლმე—და გაქცეულს გლეხებს აუყრიდენ და ისევ წინანდელ ბატონებს ჩააბარებდენ. გაოცებული გლეხები რუსის მთავრობას მიართმევდენ ხოლმე ესრეთს განცხადებას: რათ გავვირისხდით, რა დავაშვევთ, რისთვის აგვიარეთო? ჩვენ ბატონი არ გვივარგოდა, თავი დავანებეთ, სხვაგან წავედით, მისი არა წამოგვილია რაო, არც არა გვმართებს რა მისი—რას ვემართლებითო? ეინც გვინდა ის არის ჩვენი ბატონიო, ნუ აგვყრით ნუ დაგვაწიოკებთო და სხ. მაგრამ რუსის ჩინოვნიკი როგორ გაივებდა გლეხის სიმართლეს, როდესაც რუსის კანონმა სხვა სახე არ იკოდა გლეხთა ცხოვრებისა, გარდა „კრეპოსტნიკობისა“, ხოლო ქართველი „ჩინოვნიკები“, რომელთაც ეს საქმე გაეგებოდათ, განგებ ჰმალავდენ კეშმარიტებას მაღალ მთავრობისაგან, რადგან გლეხების „გაკრეპოსტნიკობა“ მათთვის დიდად სასარგებლო იყო: მთელი მამულ-დედული, მიწა-წყალი და თვით პირადად გლეხ-კაცის სულნი მითი საკუთრებად ჰქდებოდენ ახალ კანონით. ამ გვარის გლეხების ოხოვნებით საესეა პოლიციის და სხვა დაწესებულებათა არხივები. ამ ნაირად გლეხებმა ვერ გაიგეს ისე, ისინი გახდენ მონებად, და პიროვნებასთან ერთად ყოველი ქონება და მიწა-წყალი და-კარგეს, რომელიც მათ ეჭირათ ნახყიღობით, მეფეთა და ბატონთაგან მოცემულის სიგელებით.

ვაუქმდა ყველა საბუთები, ახალმა კანონმა არ შეიწყნარა... რა შედეგი მოჰყვა ამას? — დაირღვა სიყვარული წოდებათა შორის, ბატონმა და ყმამ ერთმანერთი შეიძულებს; სიძუღილი იქამდი მიეიდა, რომ ყმამ ბატონის სისხლი დაპლარა. ხოლო უკანასკნელ, როდესაც ზოგ ბატონებმა ნამდვილ რუსულ „კრეპოსტნიკობის“ წესის შემოღება მოინდომეს, მაშინ დიდი უწესოება მოხდა: ბევრგან აჯანყდენ გლეხები, ბატონებს ხოცავდენ, შეიქნა აქა-იქ „ბუნტობა“; მაგრამ რუსის მთავრობამ ვერ გაიგო ნამდვილი მიზეზი „ბუნტობისა“ და სასტიკად დასაჯა ყველა, ვინც ბატონებს წინააღმდეგობა გაუწია. 1820—1840 წლები საქართველოს ისტორიისა სავსეა ამ გვარ „ბუნტებით“, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ რამდენიმე სოფლები, ანუ რამდენიმე პირნი. რა ნახა გლეხობამ, რომ ვერა გააწყო რა და ბატონი ყოველგან გამარჯვეეული დარჩა, თვისს ბედს დაუმორჩილდა, მაგრამ სიძულვილი ბატონისადმი გულში ღრმად ჩაირჩინა და ეს სიძულილი იხატებოდა იმაში, რომ გლეხები მხარს აძლევდენ იმ თითოოროლა პირთ, რომელთაც ვერ აიტანეს „კრეპოსტნიკობის“ მძიმე უღელი და შეურაცხყოფა მიაყენეს ბატონებს ან გამოასალმეს იგინი წუთისოფელს და „სათათრეთში გადაერდნენ“. ეს „ურჯულოებში გადაერდნა“ ხშირი შეიქნა 1840—1860 წლებში. ზოგნი სათათრეთში არ შიდიოდენ და ყაჩალად გავარდებოდენ ხოლმე,

„ბატონებს“ ჩარ ლს აყენებდენ, ეშუქრებოდენ, ხშირად ჰეთი ცხოვავდენ. ხოლო გლეხობა ჩუმად მხარს უჭერდა ამ გვარს ავაზაკებს. უკანასკნელი ამ გვარი ავაზაკი იყო ხალხური გმირი „არსენა“. ეს იყო სრულიად უბრიალო კაცი, არაფრით გამოჩენილი, მაგრამ დაბალმა ხალხმა (გლეხობამ) გმირად შეჰქმნა იგი მხოლოდ იმიტომ, რომ არსენა იყო მტკირ-თველი გლეხობის საერთო უკმაყობილებისა ბატონების წინააღმდეგ და მათი მდევნელი.

ზემოთ მოკლედ აღნიშნული ფრიად შესანიშნავი ზნეობრივი ურთიერთობა ქართველ წოდებათა შორის, მეცხრამეტე საუკუნეში დარღვეული „კრეპოსტნიკობის“ შემოღებით, სრულიად ვერ შეუგნიათ ჩვენთა მეცნიერთ, რომელთაც გამოაქუხეს ვითომ საქართველოს ბატონიუმბა „კრეპოსტნიკობა“ ყოფილიყოს. ეს მოუკიდათ მათ საკმაო სიგელ-გუჯრების უქონლობისაგამო, ურომლისოდ შეუძლებელია საფუძვლიანად შესწავლა ჩვენის კანონებისა, ჩვენის უდიადესის ყურადღების ღირსის სოციალურის წლობილებისა\*) და სხ.

\*) სამურზაყანში და აფხაზეთში რუსის კანონი შემოიღეს ამ ოციოდ წლის წინეთ და იმიტომ იქ „კრეპოსტნიკობა“ სრულიად არ ყოფილი. მე კარგად მახსოვეს, რომ 1865—1870 წლებში იქ იყვნენ გლენი („ფიოში“) და მონინი (დელმახორე). პირველი იყვნენ თავსეუფალნი წოდებანი და შეადგენდენ თითქმის მთელს ერს, ხოლო მონები შეტაც ცოტანი იყვნენ და მარტო დიდ ოჯახებს კვანძიათ თითო-ორილი. სამეგრელო-იმერეთში კრეპოსტნიკობამ ფეხი მოიდგა, მაგრამ სრულად ვერ დამყარდა გლეხთა გა-

ამ ნაირად უსიგელ-გუჯრებოდ შეუძლებელია  
 აღდგენა ნამდეილის სახისა ჩვენის წარსულის ცხო-  
 ვრებისა, რომლის წყობილება და აგებულება (თუ  
 კი სრულად იქმნება გამოკვლეული და დამყარე-  
 ბული შეურცეველ საბუთებზე) არა თუ არ იყო  
 ბარბაროსული, არამედ მისაბაძავი გახდება აწინდელ  
 ეკროპიულ განათლების მტვირთველ ერთათვისაც,  
 რომელნიც თუმცა მეცნიერებით და ხელოვნებით აღ-  
 ჭურეილნი არიან, მაგრამ მაინც ბარბაროსული  
 სოციალური წყობილება აქვთ: იმათში ცველაზე  
 დაჩაგრული და თითქმის მიწასთან გასწორებულია  
 თვით ხალხი, ხოლო მცირე ნაწილი მცხოვრებ-  
 თა (ბურუუა, არისტოკრატია, მოხელენი) პარპა-  
 შობს და სუქდება სხვისის შრომით. ნათქვამს და-  
 უმატებ იმასაც, რომ საქართველომ არ იცოდა ის  
 აუარებელი ხარჯი ჯარისა და დაწებულებათა შესანა-  
 ნახავად, რომელიც დღეს არჩობს მთელს ეკრო-  
 პას: ჩენ გვქონია სრულიად უბრალო მაგრამ დია-  
 ლაც გონიერი წყობილება ლაშქრობისა, რომელიც  
 არ იცის ეკროპაშ. მოლაშქრედ გამორჩეული იყო  
 მთელი წოდება (თავადნი და აზნაურნი), რომელ-  
 ნიც მუდამ მზად იყენებს საომრად. საომარი ვარჯი-  
 შობა მათი იყო ყოველ დიდ დღესასწაულებს,  
 ყოველ კვირა-დღეებს აღდვომიდამ დაწყებული  
 აგვისტომდი, როდესაც მთელი სოფელი გამოდიო-

თავისულებამდი. — იმერქოთში და სამეცნიეროში მომზადოთ „ბუნტები“  
 იყო შედეგი ბარონებისაგან კრეპისტიკობის შემოტებისა.



## XVIII

და „ჯარში“ ე. ი. იკრიბებოდა „მეიდანზე“ დროს  
 გასატარებლიად: ახალგაზღია ქალ-ვაჟნი ფერხულს  
 დააბამდენ, მოხუცებულნი კერძოდ ბაასობდენ,  
 ხოლო ცხენოსანნი ვარჯიშობდენ ჯირითისა სტო-  
 ლაში, ბურთაობაში, თოფის და ტამბაჩის ნიშანში  
 სროლაში, ცხენოსნობდენ, ყაბახობდენ და ს'.  
 იყო აგრეთვე „ნადირობა“, რომელსაც აზრიდ  
 ჰქონდა აღზრდა ხალხისა სალაშეროდ. აგრეთვე  
 ყვენობაში და აღვილობრივ დღეობებში გამართავ-  
 დენ ხოლმე სამაგალითო ოში, ხის იარაღით ხელში,  
 რომელსაც ესწრებოდა აუარებელი ხალხი. აქ  
 მთელის ხალხის წინ იწვრთნებოდა მომავალი შხე-  
 დარი თავადთა და აზნაურა შხედველობის ქვეშე.  
 თავადნი იყვნენ უფროსნი (ეხლანდელს ანგარიშით  
 გენერლები, ხოლო აზნაურნი—აფიციენტის მაცი-  
 ერნი). უბრალო ოშში გამოდიოდენ მარტო თავად-  
 აზნაურნი, და მხოლოდ გაჭირვების დროს გამო-  
 ჟავდათ გლეხობაც. მთელი საქართველო გაყო-  
 ლი იყო რამდენიმე სადროშოდ. დროშის პატ-  
 რონნი იყვნენ უმთავრესნი თავადნი (გენერალისი-  
 მუსი): მუხრანბატონები, დადიანები, ერისთვები,  
 ამილახვრები და სხ., რომელთაც ემორჩილებოდ-  
 ნენ მთელი სადროშო თავადობა თვისის აზნაურე-  
 ბითურთ. ომის დროს ესენი გამოდიოდენ თვისის  
 სურსაით და ამიტომ ხალხს თითქმის არა ხარჯი არ  
 აწევებოდა. სამაგიეროდ თავადებს და აზნაურებს  
 მეფისგან „საჭმელად“ მიცემული ჰქონდათ სახისო

# XIX

მიწები გლეხებითურთ. სანამ იყინი სამსახურში იყენენ, თუ დალატიარ შეაჩნდებოდათ, ეს მიწა-წყალი მათ აჩენდა, რადგან მიჩენილ მიწაზე დასახლებულნი გლეხნი გაჩენილ დალას, რომელსაც უწინ მეფეს აძლევდენ, ახლა, რაკი სათავადო ანუ სა-აზნაურო გლეხად გახდენ, ამათ აძლევდენ გარეშე საბატონო სამსახურისა. ამ ნაირად ჯარის შენახვა გლეხს გადასახადს არ უმატებდა, იაფად უჯდებოდა სამეფოს, და თეით ომიანობაც დიდს ხარჯს არ მოითხოვდა, რადგან თუ არ დიდს ომიანობაში ხალხისა არა იხარჯებოდა რა: მეომარნი დაგლითა რჩებოდენ და ხშირად მდიდრდებოდენ კიდეც. თუ ახლანდელ „მილიტარიზმს“ შეუფარდებთ ჩეენს ძველს სალაშერო წყობილებას დიალაც თავი უნდა მოვიწონოთ, რომ ჩეენ გვქონია იაფი, უბრალო და თან დროის შესაფერი წარჩინებული სამხედრო წყობილება, რომლის მთლად შესწავლა და სრულად გამოკვლევა, უტყუარ საბუთებზე დამყარებული, სანატრელი უნდა იყოს ყველა ქუშმარიტ მამულიშვილისთვის. ეხლანდელ ეეროპიელს გლეხობას რომ ხარჯი ადვით ომიანობისთვის იმისი მეასედიც არ მოუვიდოდა ჩეენს გლეხობას.

ისევ გაეიროჩებ, რომ ქართველთა სოციალური, სახოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება უმწვერვალესის უურადღების ლირსია და მისი საფუძვლაანი შესწავლა ცხადად დაანახებს ქვეყანას, რომ ამ მხრით საქართველო არათუ არ

## XX

ჩამოუფარდებოდა იმ დროინდელ განათლებულ ეროვნებათა, არამედ შორს მათზე მაღლა იდგა; და სრულიადაც გადაჭარბებული არ იქნება რომ ვსოდეთ: ზნეობრივის და საზოგადოებრივის ინტერესების დაცვის მხრით სოციალური აგებულება ძველის საქართველოისა თუცილებლად მაღლა დგას თანამედროვე განათლებულ ეკროპიელ სახელიწიფოების კანონიდებულებათა, რომლის ბურჯუაზურმან მილიტარულმა წყობილებამ დაპირი პირველად მონობა (XV XVII საუკ.), ხოლო წარსულ საუკუნეში ამ მონობას სულ სხვა სახე მიყვა, და ერის კეთილდღეობა კაპიტალისტურ და ბურჯუაზულ ანგარიშებს დაუმონავა, რათა ამით უფრო გააძლიეროს არსებული ეკროპიული მილიტარიზმი და განამტკიციუროს დედაბოძები ეკროპიულ პოლიტიკურ შენობისა, რომელმან ინაცვალა და შთანთქა საზოგადოებრივი ინტერესები და გამოიწვია ის საშინელი (ჩვენ ქართველთათვის ჯერ უცნაური) უკიდურესი სიღატაკე ღიღის ნაწილის ეკროპიელ საზოგადოებისა, რომელსაც ებრძების ესრედ წოდებული ეკროპიელი სოციალისტობა, ჩვენში უაზრო და უგუნური, ხოლო ეკროპაში ღლიური ვარამი და საკირბოროტო... მოდით და შეადარეთ ამ „განათლებულ“ ბარბაროსობას კაც-მოყვარული ქრისტიანური სოციალური წყობილობა საქართველოსი, რომელიც არ იფერებდა სიღატაკეს და არც

## XXI

წრეს გადასულს სიმღიდრეს რამდენისამე კაცისას, ფრთას უსხამდა სოფლურს ცხოვრებას (და არა ქალაქურს ბურჯუაზულ ინტერესებს), მიწის მოქმედებას, ბუნებრივს კულტურას, ხელოვნებას, ხოლო დუქნურ ანგარიშებს ბურჯუა-წურბელაებისას აღვიჩს უდებდა.

ყოველი ჩემო ნათქვამი შეგვიძლია მტკიცე საბუთებზე დავამყაროთ და დავამტკიცოთ, რაღან ამ გვარი საბუთები ჯერ კიდე მრავალი იპოვება ძველს ქართულ-მწერლობაში და სიგელ-გუჯრებში, განჩინების წიგნებში და სხ. მაგრამ ვად ჩეენს დაუდევნელობას, ჩეენს გულით და გონებით გალატაკებას, რომ ჩეენს საზოგადოებას ჯერ თითქმის არ უზრუნველი იმაზე, რომ გამოსცეს ის საბუთები, რომლითაც აღფრთოვნდება ჩეენი ეროვნული გრძნობა, სხივი მოეფინება ჩეენს სახელს, ხოლო ჩეენი (ჩეენის ცრუ „ინტელინგენციისა“) აწინდელი ზიზლის მომგვრელი განხრწილება უფრო ნათლად დაინახება...

დასასრულ საჭიროდ ვრაცხ გავამულაენო ერთი მეტად მავნებელი გარემოება, რომელიც მოელს გარსულ საუკუნის მანძილში აფერებდა ჩეენის ისტორიის აღორძინებას და ძირს უთხრიდა საზოგადოდ ყოველს საქვეყნო საქმეს. ეს გარემოება გახლავთ „მოდად“ შემოსული მიღრეკილება გადაგვარებისადმი იმ „განათლებულ“ წრისამიერ, რომლისაგან სამშობლო მოელოდა ხსნასა

## XXII

და აღყვავებასა.

გონიერი კაცი რომ დააკვირდეს ჩვენის დაწინავებულ საზოგადოების ცხოვრებას მე XIX საუკუნეში და განსაკუთრებით პირველს ნახევარს ამ საუკუნისას ჭეშმარიტად განცვიფრებამ უნდა შეიძყროს. როდესაც ჩვენს სისხლის ღვრის ბოლო მოეღო და რუსის მთავრობის დამყარებით დრო და სახსარი მოგვეცა ჩვენი ძალლონე შეგვეწირა ხალხის კეთილ-დღეობისა და სამშობლო მწერლობისთვის—სწორედ ამ დროიდან მიიძინა წინანდელმა მისწრაფებამ მეცნიერებისადმი და თავი იჩინა საშინელმა სენმა, რომელიც აქამომდე ღრღნის და პნთქამს ჩვენს ეროვნებას, სამშობლო მეცნიერიბას, ჩვენსკაცურ-კაცობას და ქართველობას. იმ თავიდანვე საზოგადოების სათავეში გაჩნდა საარაკო „მეტიჩარობა“ მოწინავე საზოგადოებისგუნდში, მწერლობაში და თვით ცხოვრებაში. „მეცნიერულ-მა-მეტიჩარობამ“, რომელთა გუნდში ითვლებოდენ ამ საუკუნის დამწყებში უმეტესობა მაშინდელ მოხელეთა, ვოლტერიანობა გამოაცხადა იდეალად, და მაშასადამე საფუძვლად ახალის ცხოვრებისა ილიარა უარისყოფა იმ ზნეობრივის და სოციალურ წესწყობილებისა, რომელზედაც დამყარებული იყო ჩვენი უწინდელი ზნეობრივი და რაინდული ცხოვრება. უარი ჰყვეს პირველად თვით ღმერთი, ღვთის-მსახურება და მერმე ქრისტიანული ზნეობა, უკანკსკნელ უარვ-

## XXIII

ყვეს და სასაცილოდ აიღეს ყოველივე, რასაც  
 ქართველობის სახე ედვა: ჩვენებური მორცევიანო-  
 ბა, ჩვენი ჩატა-დახურვა, ჩვენი ენა, სიმღერები,  
 ზე-ჩვეულებანი, თვით ჩვენებური ქართული გვა-  
 რებიც, რომლის ქართულ დაბოლოებათა ამახინჯე-  
 ბდენ უცხო-ენათა დაბოლოების მიბმით, მაგალითად:  
 იმნაღევ (იმნაძე), დადიანოვ, წერეთელევ, ბარათოვ,  
 ლაპეროვ (ლაპერიაშვილი) და სხ. სასაცილოდ იკლე-  
 ბდენ განსაკუთრებით ქართველ ქალების განთქმულ  
 მორცეობას, ნამუსიანობას. ხშირად საქამდი  
 მიდიოდა, რომ ქმარი თვისს მეულლეს ძალ-მომრე-  
 ობით შეუგდებდა ხოლმე ოთახში ვოლტერიან  
 ჩინოვნიკს. დიდის ხნის მოქმედებამ ამ გარემოე-  
 ბისამ იმდენად ვასჭრა, რომ მაღალ საზოგადოე-  
 ბაში მართლა თვალ-საჩინოდ დაეცა ნამუსიანობა  
 ქართველ ქალისა, და ვორონცოვის დროს მოხდა  
 შემდეგი შემთხვევა: კნეინა მ—იამ ნამესტნიკის  
 სასახლეში ლოტარია ითამაშა დიდს საზოგადოებაში;  
 ჩაგდებული იყო სათამაშოდ საუცხოო თხმალური  
 დიდი დამბახა. მოიგო დამბახა „კნიაზ გიორგიმ-“  
 მოგებული ნივთი რომ კნიაზმა მოსოხვა მ—იას  
 უკანასკნელმა გაიწევა თავადი და უხერა:  
 „Вотъ вамъ турецкій пистолетъ“, და ისეთი ხმა  
 გააგონა, რომ მთელი საზოგადოება სიცილით გადა-  
 ბრუნდა — გაისმა განუწყვეტელი ხარხარი. კნიაზ გიო-  
 რგიმ, ფრიად ნასიამოენებმა, კნეინას მოახსენა: „ეგ  
 ფიშტო მე მიბოძეთ, უკეთ გაგიტენაო“. „ვოლტერია-

ნობა“, „განათლება“ და უსირცხვილობა: თითქმის სინონიმად ანუ ერთი და იგივე სახელად გადაიქცა. რასაკვირველია, კოლტერისა არა გაეგებოდათ რა მისს მიმდევართ, მაგრამ ვრცლად შეითვისეს მცნება უარისყოფობისა, განსაკუთრებით ქართველ ეროვნულის თვისებათა.

პირველად „კოლტერიანობა“ შემოიღო ჩვენში რუსეთიდან დაბრუნებულმა ბატონიშვილმა დავით გიორგის ქემ. ეს სახელოვანი გმირი ცოტა-ხნის გავლენამ პეტერეურგის კოლტერიანულ საზოგადოებისამან იმდენად შესცვალა, რომ მამა მისმა, მეფე გიორგიმ, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო ამ ლეთის მგმობართან, ხატების და რჯულის შეურაცხმყოფელთან. გმირობისაგან ლაპრად ქცეულს დაიითხ არაფრად მიაჩნდა ქართველობა და საქართველო და მხოლოდ პეტერბურგის ცხოვრებაზე, იქაურ საზოგადოებაზე და „გავოლტერიანებულ“ ქალთა საზოგადოებაზე. ჰბოდავდა. მაშინ მან შეიძულა მაღალ-ზნეობიანი თვისი ერთგული მეუღლე, რადგან გავოლტერიანებულ ქალებში და საზოგადოებაში ვერ გამოაჩენდა, შეიყვარა ფული, ქვიფობა, აღვირ აშებული ცხოვრება უარისყოფელმა და უკუმცდებელმა საუკუნოებით დამყარებულის საზოგადოებრივის და ოჯახურის წესებისამ, რომელსაც მისდევდა ძველი რაინდულად აღზრდილი ქართველობა. ეს იყო მისი სამტირალო დაბრმავება, რომელსაც შეუდგნენ ზოგი მისნი მხლე-

ბელნი. მალე გამოფხიზლდა დიდებული გმირი ყარ-  
 სისა, ცრემლით მოიბანა თვისნი ცოორმანი, მაგ-  
 რამ გვიანლა იყო... — მისის პეტერბურგში გადასახლე-  
 ბის შემდეგ „ერლტერიანობა“, ქართველობის  
 ეროვნულ თეისებათა უარისყოფა და სასაცილოდ  
 აგდება გამეფდა მთელს ქართლ-კახეთის დაწინავე-  
 ბულ საზოგადოებაში და. ჩასაკეირველია, მაშინ-  
 დელს ინტელიგენციაშიც. გადაიკითხეთ მაშინდე-  
 ლი გაზეთი („თვილისის უწყებანი“) და უურნალი  
 და დარწმუნდებით, რომ მისს რედაკტორს და  
 თანამშრომელთ თავი მოაქვთ ჩეენის ეროვნობის  
 უარის-ყოფობით; რედაკტორმა უურნალისამ თვისი  
 ქართველობა დაჭმალა თვით მისის გვარის გადაკე-  
 თებით სხვა ყიდაზე: „редакторъ Соломонъ Мага-  
 реский Додаевъ“ (დოდაშვილი მაღაროელი). გაზეთ  
 უურნალობა ან სასაცილოდ იქლებდა ჩეენებურო-  
 ბას, ანუ ხმას არ იღებდა დასაცველად ქართულ  
 ზნე-ჩეეულებათა, ადგილობრივ საეკლესიო თავის  
 სებურებათა, და მთელი უურადლება მიქცეული  
 ჰქონდა ჩვენთვის უმნიშვნელო მწვრილმანებზე.  
 ვოლტერიანობამ უკელას თვალი დაუბნელა,  
 იმათაც კი, რომელთაც ვოლტერისა არა  
 გაეგონათ რა, არც რუსული სცოდნიათ,  
 არც ახალ განათლებაში ფეხი შეედგათ.  
 ვოლტერიანობა და უარისყოფა ქარ-  
 თველობისა გახდა „მოდად“, და ვად იმას, ვინც  
 ამ ახალ ცხოვრების სიმბოლო სარწმუნოებისას არ

## XXVI

აღიარებდა — იმას მაშინდელ „განათლებულ“ საზოგადოებაში არ შეუშევებდენ, მას სიტოლით გაბასრავდენ, მას იმედი არ უნდა ჰქონოდა მოხელეობა ანუ თეალ-საჩინო სამსახურის აღვილი ეშვენა, მისს ოჯახში მაშინდელი თაემომწონე „განათლებული“ გვამი ფეხს არ შესდგამდა.

რათქმა უნდა ამგვარმა გაეცენამ სრულიად მიაშინა ქართველობა, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება, მწერლობა, მწიგნობრობა. სამაგიეროდ საზოგადოება ხარბად დაეწაფა განცხრომას, განხრწნილს დროსგარარებას, თავ-აშვებულს ცხოვრებას ყოველსავე ამას ფული უნდებოდა, და მაშინდელმა მაღალმა წოდებამ ხელი მიჰყო აღვილ-მამულების გაყიდვას, დაგირავებას, ბედოელათობას გლეხებს ხელი მოუჭირეს, ახლად „გაკრეპოსტნიკებულ“ ყმობას სული ამოართვეს, ააწიოკეს. ხოლო მაშინდელს მწერლობას კრინტიც არ შეუძრავს არც „გაკრეპოსტნიკების“ წინააღმდეგ და არც გლეხების ყოფა-ცხოვრებაზე, ერთი სტრიქონიც არ დაწერილა ამ საშინელ არევ-დარევაზე, გლეხკაცთა „ბუნტებზე“ და საზოგადოდ იმ საოთარ დრომაზე, რომელმან ძირიანად ამოაგდო კეთილ-დღეობა ქართლ-კახეთის გლეხკაცობისა. გენიოსურმა გონებამ ვორონცოვისამ ღრმად განსკერიტა, რომ ქართველთა დაქვეითება მაენებელია რუსეთის ინტერესისთვის, რადგან დედა-ძარღვი რუსთა გავლენისა კავკასიაში ერთ-მერწმუნენი

## XXVII

ქართველნიღა იყვნენ, არიან და იქნებიან. ამიტომ  
 ცორონცომა მფარველობა გაუწია ქართველობას  
 და განსაკუთრებით ქართულ მწერლობას. განათ-  
 ლებულმა გამგებელმა გარეშემოისხა ქართველი  
 მწერლები, ჩინებით და ფულით გული დაადებინა  
 მწერლობაზე და შექმნა ქართული თეატრი; დაარ-  
 სა ქართული ეურნალი, ოომელსაც სუბსიდია დაუ-  
 ნიშნა და სხ. მაგრამ როგორ მოიხმარეს ჩეენმა  
 მწერლებმა ბეჭდევითი სიტყვა? მთელი გუნდი მა-  
 შინდელ მწერლებისა და თვით ახალ დაარსებული  
 თეატრიც შეიქნა მგმობელად ქართველობისა, მა-  
 თის ზე-ჩევეულებათა და რწმენათა და მქადაგებუ-  
 ლად თავაშვებულის ცხოვრებისა. უმეტესი ნაწილი  
 მა შინდელის პიესებისა (თუ არ ყველა) იდეალად  
 განათლებისა გვიხატავს გაეოლტერიანებულ აფი-  
 ცერს ანუ მოხელეს და მათის გავლენის ქვეშ გზა-  
 დაკარგულსა ქალებს. ყოველი ქართველური (გარ-  
 თულ ქამა-სმისა) დაცინულია და გაკიცხული  
 მწერლობაში და შიგ ტეატრშიაც მთელის ქართ-  
 ველობის წინ. იხლანდელს ქართულ წარმოდგენებს  
 სათაური იქიდანვე მოაქვს და მთლად არ არის  
 განთავისუფლებული იმავე ანტი-ნაციონალურ მი-  
 მართულებისა და უკულმართობისაგან... ვერც  
 თანამედროვემან ჩეენმა მწერლობამ გადაადლო  
 იგივე უკულმართი ულელი, უარის მყოფელი  
 ეროვნობისა და ყოვლის იმისა, რამაც შექ-  
 მნა ძევლებური ჩეენი სანაქებო სოციალური და

## XXVIII

ოჯახური წეს-წყობილება, ჩვენი არაკული გმირობა, სულის და სხეულის ძლიერება. ქართული მწერლობა ჩვენს გადაგვარებულ გარყენილ „ინტელიგენციის“ ხელში ოდნავ ბუუტავდა ვორონცოვისაგან ბოძებულ ფულის წყალობით (სუბსილია) და თავი მოჰქონდა იმავე უარისძყოფელობით... ამ ოცდაათის წლის წინად დაიბადა ახალი უურნალ-გაზეთები („კრებული“, „დროება“ და სხ.), მაგრამ, სამწუხაროდ, საკმაოდ უერ იცავდენ ეროვნობას და ქართველობას, უფრო ხშირად აფურთხებდენ ქართულ ზნე ჩვეულებათა, თავისებურებათა; ყოველივე ქართული, გარდა ქართულის ენისა, გმობილი იყო პირდაპირ ან განკიცხული სტრიქონ-და-სტრიქონ შუა. მარტო ევროპიული და უცხო-ჭვეუნური იქნა საგნად ახალ „ინტილიგენტთა“ ოცნებობისა, ხოლო ჩვენებური აღიარებულ იქმნა ველურობად, ბარბაროსობად. ამ გვარმა მიმართულებამ მწერლობისამ დაპბადა მთელი გუნდი მამულის მგმობართა, რომელნიც სრულიად მოსწყდენ მამულიშვილობას, და ამ უკანასკნელ ეძმება ეს გუნდი გასკდა ორ ბანაკად; ერთმა გამოაცხადა: მე არც ერთი ერი და ეროვნება არ მჩქამსო, არც ქართველობა და არც სხვაო, მე მჩქამსო მხოლოდ კაცობრობა და მას ვემსახურებიო, ხოლო ქართველობა და ყოველივე ქართული „საფეხურად დამიდვიაო“ ასახელელად ამ კაცობრიობის სიმაღლეზე. მეორე გუნდმა, უარპყო რა აგრეთვე

## XXIX

ქართველური და თითქმის ყოველივე ქრონიკი და  
 თვით კაცობრიობაცა, თვის იდეალად გამოაცხადა  
 „მუშათა ინტერესები“, და მათმა ორგანომ „კვალ-  
 ბა“ ამ მუშებს ანაცვალა ყოველივე, რასაც ჩენ  
 ვეტრფით.

კიდევ გავიმეორებ, რომ ეს ეთის ჩვენის გზა-  
 დაკარგულობის უპირველესი მიზეზი არის უვიცობა  
 ჩვენის წარსულის ცხოვრებისა და ერისა, და სანამ-  
 დი საფუძვლიანად არ შეეისწავლით ჩვენს ერს  
 უტყუარის საბუთებით, მანამდი შეუძლებელია  
 ჰეშმარიტს გზას დაადგეს ჩვენი ესრედ წოდებული  
 „ინტილიგენცია“.



**1632.** ---კარსა [ვეა]ჯენით ვისმით (?) აჯა თქუე-  
 ნი--- ოყლაყსიშვილინ შიო--- გამზიასეული მამული  
 საენავითა, უკნავითა, ველითა, ვენაკითა, წყლითა წის-  
 ქულითა, სასახლითა გარეშემოთა ყოვლისფერითა  
 მოუკლებლად შენთვის გვიბოძებია. გქონდეს და  
 გიბედნიეროს ღ-ნ ჩვენსა და წმიდის დავითის უდაბ-  
 ნოს ერთგულად სამსახურსა ქუშე. არა მოგეშალოს  
 არა ჩვენკან, არა სხვათა კათოლიკოზთაგან დაწერა  
 სიგეში ესე ქორონიკონსა: ტკ: † † †

**1648** წ. № 3. ქ. ჩვენ ქჩისტეს ლვითისა მიერ  
 კურთხეულმან ყოვლისა საქართველოისა დიდმან  
 მამად-მთავარმან ქართლისა კათალიკოზმან პატრი-  
 არქმან პატრონმან ქრისტეფორე ესე უკუნისამდე  
 ფამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი  
 შევიწყალე და გიბოძე შენ რატოაძეს რამზოსა და  
 შენსა ძმასა პაპოსა და შავერდასა და შენთა შეილ-  
 თა დავითასა ალდგომელსა, ამზროსეს და მომავალთა  
 სახლისა თქვენისათა ასე რომე მოგვიდეგით კარსა  
 დაჩბაზისა ჩვენისასა და მამულისა საქმესა გვეა-  
 ჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი  
 და გიბოძეთ მამული ძმათშეილისეული მისისა  
 სახლ-კარითა, ქვევრ-მარნითა, მიწა-წყლითა,  
 მთითა, ბარითა, შესაელითა და გამოსავლითა  
 და მასის სამართლიანის სამძღვრითა (აქ თრი  
 სტრიქნი განგება ამოშლიდა) რომ არა კაცი

არ გეცილებოდეს და კიდევ წმინდის დავითის მამული  
 იყო ძმათაშვილის მამულთანა და იმს სანაცვლოდ  
 წმიდას დავით კვირიკას შვილის მამული დაუდევით;  
 რამზომა ჰქონდა და ის კვირიკაშვილის მამული  
 წმიდის დავითისათი დაგვიც და წმიდის დავით ს მამული  
 რამზისათვი მიგდიცემა. ჩვენ ასე გაგრძაპართლებია.  
 არ მოგეშალოს არა სხვათა კათალიკოზთაგან, ჩვენსა,  
 და სვეტის ცხოველის ერთგულად სამსახურისა ქვეშ.  
 არიან ამის მოწამენი შუა-დამხვდომნი შავერდი  
 ნაცვალი, სვეტისცხოველის კანდელაკი ნაცვალი  
 ბერუა დათუნა ბურტულას შვილი და სულ საგარე-  
 ჯონი. დაიწერა ქორონიკონსა: ტლე: (ზედ-ჩართუ-  
 ღად: „პათაღი ქაზი ქრისტიფირე“ და საგარედი ქაზი  
 ბეჭედი.

### 1648 წ. № 5. ასეთ დროისა.

ქ. ჯაჭანგირას შვილი ალი მარარდან კეთი-  
 ლად სახსენებლათ, ბატონო ნინოწმინდელი, მრავალი  
 მოკითხვა მოგვიხსენებია. თუ ჩვენს ანბაეს იყითხო  
 ჩვენ ხორახას მივაღთ (და) ჩვენი რაც მოგაბარეთ  
 ოთხი მაფრაში აღრუდი (?) დ (და) ერთი ტომარა  
 სპილენძეული, ერთი საპალნე მარილი, ესები  
 ჰალბათ რომ ამირყოვლას და ხალი ფაყულას  
 (ხალიფა ყულას) ორი კაცი ქესამარი ერთ ქიჩიგ  
 მაჰმადა და ერთი ხან მაჰმადა ჰალბათ რომ  
 ჩემი საქონელი მაგათშაა ბარე. ჰალბათ რომ მუზა-

ლარაქნა (მუზ ალარა ქნა?) მისცე ბრონ მუსალამ  
 მოგახსენა, ბატონონინოწმიდელოპუბეთ ამ ერთი ჩემი  
 რახტა და ერთა ჩუხა და ხუთა ფლურა და ესები  
 გრიგოლს ბერს მშიბ. რია. ესე ი ამ კაცებს მიაბარე.  
 ჩემი ყაპულიც ვარ ჰალპათ რომ მიცეთ; თუ რომ  
 არ მისცემთ, თქვენ იცით, თორებ მემრე ერთი ოთხ  
 გამოვართმევ. (მისდევს სხარსევდა თუდა ბეჭედა)  
 ამ გუჯრადამ ცხადია, რომ სხარსეთა ჭარის უფროსების  
 თვითი ნამდვიდა ნივთება მაუბარებათ დავით-გარესჭის  
 ბერებისთვას და უკან სიხთვებ.

#### 1648 წ. № 5. ახლო დროის.

ქ. შაგეიწირავს ჩვენ უციცხვილის ქალს და  
 არაგვის ერთოების ცოლს ბატონს იამარს წმიდის და-  
 ვითისათვის ჩვენდა სადღეგრძელოდ წელიწადში  
 თუთხმეტ- წყვილი მკერდი დოში, ხუთი ზურგიელი,  
 ათი კოდი პური, ერთი საპალე ლვინო, ერთი ხელი  
 ტანისაოსი ერთის ბერისათვის (ამას ამონაჟრა ქნებრი,  
 ფრად შესანიშნავი ხელთვებია, და სხვა ნაგერებიც დღეს  
 დაცულია საქართველოს საეპიდემია მუზეჭმია). ბოლოს  
 ხელუად. „თამარი“

1654 წ. ქ. ნებითა და შეწევნითა ღუთისათა  
 ჩუბნ ღვთივ-გუირა კინოსანმან და ორისაეე საბა-  
 ტონოს მაყროელ-მქონე ელმან, მეცეთ მეფემან  
 ხელმწიფემან პატრიტმან როსტო და თანა-მეცხედ-  
 რემან ჩუბნმან დედოფლით დედოფლმან პატრიტ-  
 მან მარიამ ესე უკუნისამდე ეამთა და ხ. ნაა გა-  
 სათავებელი, მტკიცე და უცვალებელი შემოწირუ-

ლობისა წიგნი და სიგელი გკალეთ და მოგახსენეთ  
 თქუცნ ყოვლად საშინელსა • და სადიდებელსა,  
 პატიოსანსა წმიდას ნინოს, მას უამსა ოდეს ბატონს  
 თეომურაზს თქუცნის მამულისა და გასადევრისა • ან  
 წინათ ქვეყანასა და ან უკან სამამულშა ცხუარი  
 ან თათრისა და ან ლეკისა აიღებოუის, თვითო  
 ცხუარი ფარისთავს თქუცნთვს შემოუწირავს. ახლა  
 ჩუცნდა სადლეგრძელოდ და გასამარჯვებელად  
 ჩუცნც იმავე წესით თქუცნთვს შემოგვიწირავს • და  
 ფარის თავს თვითოს ცხუარს ბატონის ბოლბლის  
 მოსაქმეთ ნუ დააკლებენ და მოაბარებდენ, აგრეს-  
 ვე ფაქისთავს თვითოს შაურსა ნუ დააკლებენ. აწე  
 უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბძანებთ,  
 ვინცა ვინ კარისა ჩუცნისა ვექალ-ვეზარნი და მო-  
 საქმენი იქნებოდეთ თქუცნცა ასჩე გაუთავეთ და  
 ნურას მოუშლით და შეეცილებით, თვინიერ შე-  
 წევნისა და თანა-დგომისაგან კიდე. დაიწერა ბრძა-  
 ნება და ნიშანი ესე ქორონიკონსა: ტმბ: ხელითა  
 კარისა ჩუცნისა მდიგან-მწიგნობრის ბირთველისათა.  
 სედ-მოწერილია „რთხსტრატ“ „მარამი“

**1662** წ. ქ. ჩუცნ მეფეთ მეფემან, პატრონ-  
 მან შაპნაეაზ, თანა-მეცხედრემან ჩუცნმან დედო-  
 ფალთ-დედოფალშა, პატრონმან მარიამ, პირმშომა  
 და სასურველშა ძემა ჩუცნმა პატრონმან არჩილ,  
 პატრონმან გიორგიმ, და პატრონმან ლევან  
 სუცტის-ცხოველის ბატონის კათალიკოზის საქმე  
 ამ რიგად გაურიგეთ: ძუცლითგან ხელმწიფეთაგან

ამ რიგად შესწიროდა: რაც ქალაქიდამე, გრნა  
 სომხით საბარაოიანოდამე ანუ თრიალეთიდამე და ან  
 კახეთიდამე, ქართლით გაღმა-კამოღმა მგზავრმან  
 შეიიროს და ანუ მზოვრეთსა და მას ქუცშეთ  
 თრიალეთიდამე ჩამოიაროს, რაც გორის მებაჟემ  
 ბაჟი აიღოს, მესამედს ბატონის კათალიკოზის მე-  
 ბაჟეს ნუ დააკლებს; მებაჟენი გორისა და ბატონის  
 კათალიკოზისა ერთად უნდა იარონ. ვინც ან  
 სამცხიდამე და იქერეთიდამე მგზავრი ჩამოვიდეს და  
 გორს მოვიდეს და გორს ივაჭროს, იქიდამე დაბ-  
 რუნდეს, იმასთან კათალიკოზის ჩებაჟეს კელი არა  
 აქუს და რომელმანც გორიდამე ჩაიაროს, იმისიც  
 აიღონ; რომელმანც მგზავრმა თრიალეთიდამე  
 მზოვრეთსა ზედა და ან ქუცშეთ ჩამოიაროს, იმისიც  
 ბაჟის მესამედი კათალიკოზისა არის. ესე ამ გუა-  
 რიად სუთტის-ცხოვლისათვეს შეგვიწირავს ჩუცნად  
 სადღეგრძელოდ და შეფობისა ჩუცნისა წარსამარ-  
 თებლად. გიბრძანებო გორის მუშჩიბო და მებაჟე-  
 ნო, რა რიგადაც ამ წიგნით შეგუცშიროს, ოქუცნც  
 მესამედს ნუ დააკლებთ. ქორონიკონს::: ტნ: მაი-  
 სის: კდ: დაიწერა ესე ჭტკილე და უცვალებელი (?)  
 ინდიკდონსა მეფობისა ჩუცნისა მეოთხესა კელითა  
 კარისა ჩუცნისა მდივან-მწიგნობრისა გორელის  
 ფირალისითა.

**1664** წ. ქ. ჩუცნ მეფემან პატრიონშან შავნაზარ  
 მოგახსენეთ წიგნი და საგვლი ესე თქუცნ ყოვ-  
 ლად დიდებულსა... (გძელი წინასიცემათა)

მეცამეტეს მოციქულსა წმიდასა ნინოს და მოწამე-  
 თა შორის წარჩინებულსა და ღვაწლ-მრავალსა  
 წმიდასა გიორგის, (ალავერდსა) ასრე და ამა პირსა  
 ზედა: ოდეს ბელიურმა ყევნმა კახეთი გვიმოძა,  
 მოკითხული ვქერით და სულ-კურთხეულის მეფის  
 თეამურაზისაგან და მეფის როსტომისაგან წიგნა  
 იდვა და ჩუბნცა სიგლითა ამითასრე შემოგწირეთ,  
 რომე არა საჩუბნო სათხოები და გამოსალები  
 თქუცნის მამულით არა ითხოვებოდესრა: არა  
 სახევისთაო, არა ბელბაშა, არა საური, არა ბაკა-  
 ბაშა, არა პირის ცხვარი და თუ საბოდბომ კაცმა  
 დააშაოს რამე და ჯურუმი წავართოთ, არა ჯური-  
 მის ნახევარი, რაც ფერი იყოს, ასრე შემოგვიწი-  
 რავს სახსოვრაზ სულისა ჩუბნისად, დღეთა ჩუბნ-  
 თა სადღეკრძელოდ და მეფობისა ჩუბნისა წარსა-  
 მართებლად. აწე შეიწირე შენ წმადაო ნინო მო-  
 ციქულო და წმიდაო გიორგი მოწამეთა მთავარო  
 და ნაცვალ გვაგე მადლი და ფარვა შენ-მიერი.  
 აწე ვინცა და რამაც ადამის მონათესავემან კაცმან  
 ანუ მეუმან ანუ დედოფალმან ანუ დადმან, გინა  
 მცირემან ესე ჩუბნი წიგნი და ფიცი თქუცნ მოკი-  
 შალოს, რ-სხავსმცა დაუფარავი დაუსრულებელი  
 ღმერთი ამინ. დაიწერა ქორონიკონსა: ტნბ: ფე-  
 ბერვლის: კე: ხელითა კარისა ჩუბნისა, მდივან-  
 შიგნობრისა ყორილანა-შველის მაველისათა.

**1664** წ. ქ. ნებითა ღუთისათა ჩუბნ ღუთივ  
 გვირკვინოსანან ხელშიფურან მეფემან პატრიარქან

ელენე ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და კადრეთ  
 და მოგახსენეთ მცირე ესე წიგნი და ფიცი თქუცნ  
 ყოვლად პატოსანსა და ღუთივ დიდებულსა.  
 საქართველოს გამანათლებელსა პატიოსანსა წმი-  
 დასა ნინო მოციქულსა და მოწამეთა მთა-  
 ვარსა, დიდსა მოწამესა წმიდას გორგის, ასრე  
 და ამა პირსა ზედან: მას უამსა, ოდეს პაპა ჩემშე-  
 ფეს ბატონს თეიმურაზს თქუთნთვს ფარის თავს  
 თვითო ცხვარი და ფავის თავს თვითო შაური შე-  
 მოეწირათ აწე ჩეტნ ჩეტნად სადლეგრძელოდ და  
 მეფობისა ჩეტნისა წარსმართებელად და ცოდვათა  
 ჩეტნთა შესანდოვლად, ფავის თავს სამი შაური  
 და კიდავე ფარის თავს თითო ცხვარი და საცა სა-  
 ხიზიყოს მიწასა და ალავში მენდროვ თათარი  
 დადგეს, ბარზედ ორი შაური თეთრი, ესენი ხელ-  
 ახლად ჩეტნ შემოგვიწინებს ყოვლისა ადამის ნა-  
 თესავისა კაცისა მოუშლელად... დაიშერა წიგნი ესე  
 ქორინიკონს: ტნბ: სეკტემბერსა. ხელმოწერადაა  
 „მრავალე-ელენე.“

**1664.** წ. ქ. ნებითა და შეწევნითა ღუთისათა  
 ჩეტნ იესიან, დაითიბნ, სოლომონიან-ბაგრატო-  
 ნიანმან, მეფეთ მეფემან ხელმწიფემან პატრონმან  
 შაჰნავაზ, პირმშომან და სასურველმან ძეპან ჩეტ-  
 ნიმან პატრონმან გიორგიმ, პატრონმან ლევან,  
 პატრონმან ლევარსაბ და პატრონმან სულეიმან....  
 კადრეთ და მოგახსენეთ თქუტნ წმიდასა ევსტათის,  
 დიდსა ზღუდესა და შეწესა მეფობისა ჩეტნისასა

და წინა-აღმდეგომთა და მეტრძოლთა ჩუპნთა დამამ-  
 ხობელსა, თქუცე ჩუპნს მსწრაფლ შეწყესა და  
 პატიოსანსა ტაძარსა თქუცესა, ასრე და ამა პირსა  
 ზედა, რომე პირველადც ჩუპნთა ჩამომავალთა  
 მეფეთაგან შეწირულობის საგელი გქონებოდათ,  
 ეამთა ვრთ. რებისაგან აგარიანთა მიერ წარტყუცნი-  
 ლი იყო. მოკითხული ვენით და ჩუპნცა რმავე  
 სიგელი ესე დაგიმტკაცეთ და შემოგწირეთ ესე... და  
 ფაქნისა კოდის პური, საპალახე და სამეკობრის-  
 მეტნელო, ნახირის თავი და რაც საჩუპნო გამო-  
 სალები ხდებოდეს, ერთის სათათროს საურის მეტი,  
 ყუბლა თქუცნივს შემოგვიწროეს ასრე... არა ჩუპნ...  
 და ნურავინ ხელ-ჰყოფს შლად. დაიწერა ბძანება...  
 ქორონიკონს: ტნდ: დამამტკიცებელი ამისი ღმერთ-  
 მან აკურთხოს, რა გვაჩათაც ამას წინად მეფეთა-  
 გან შეწირული ყოფილან, ჩუპნც იმ რაგათ გაბვი-  
 თარხნებია.

**1683 წ. № 6.** ქ. ესე წყალობისა წიგნი გიბო-  
 ძეთ ჩვენ ბატონაშვილმან პატრიონმან ლევან თქვენ  
 ჩვენს ერთგულს ყვას მაჭუტ ძეს ოთარსა, ასრე რომე  
 სამწერისის მესოფლეობას დაგვეაჯე ჯა ამასად სამწე-  
 ვრისის მესოფლეობა შენთვის გვიბოძებია ქორო-  
 ნიკონსა: ტოა: სვეულად „ლევან“.

**1689 წ. № 7.** ქ. ნებითა და შეწევნითა ლვთი-  
 სათა ჩვენ მდივანბეგმა ბ-რძიშ (ერისთავი?) მცირე ესე  
 შესაწარიავი მოგართვი წლითი წლად სულისა ჩვენი-  
 სა საოხად და ლერთა ჩვენთა კუთილად წარსაგებე-

ლად ოქცენტ წმინდის დაფილის საფლავს, მონასტერსა  
 და ვინტა მანაზონნი იქ შეკრებულიყვნენ, ოცდა  
 ხუთი კოლი პური, სამი საპალნე ღვიძლ, ხუთ ლიტრა  
 ზეთი და ორი ლიტრა სანთოლი ყოველს წელიწადს  
 მოვარდობეოდეს იანვარს : ა ქართველი ინსა: ტოზ:  
 ს შის ბეჭედა

ბარძიმ

**1690 წ. № 8.** ქ. ჩეცნ ღვთისამიერ კურთხეულ-  
 მან ქართლის კახეთისა მაკურთხეველზან კათოლი-  
 კოზმან დიასამიძე იოვანემ, ამბა ალავერდემან ნიკო-  
 ლოზ, ნინო-წმინდის ეპისკოპოზენ არსენ და სრულ-  
 ერთობით მიტროპოლიტ-ეპისკოპოზთა გავარიგეთ  
 უდაბნო დავით გარეჯისა, ასე რომ ეამთა ვითარე-  
 ბისაგან მოოხრებულიყო და შენობა აღარ იყო  
 გრძენებით ღვთისათა ქართველთა მეფისა შანაოზის  
 პირმშომან სასურველმან ბერიან, ქ. ხთი მეფედ დადგინე-  
 ბულმან არჩილ, კვალად შენობა ჩაგდო, ზღვდელ-  
 მონაზონები და წინამდლეარი დაუდგინა წლია-  
 წლად გამოსაზრდელი საზრდო განუზინა; პირველებრ  
 გარიგებას უპირობდა; აღარ დასუალდა; კიდევ შენო-  
 ბა არ მოიშალა ის წმიდანი მღვდელ-მონაზონი კორ-  
 ცთაგან განვიდეს. აწ ჩეცნის შეწევნით უფლისათა და  
 წმინდის მამის ჩეცნის დავით გარეჯისათა და ბრძანებით  
 ქართველთ მეუგო მეფის ერაკლესითა ვიგულს მოღვა-  
 ნეთ, განვაწესეთ და განვარიგეთდა დავადგინეთ მამად  
 და ვანც იქ მღვდელი მის უფროსად და წინამდლერად

მაკუტაძე ონოფრე, ასრე რომ ვინც იქ მდევგი იყოს  
 და ვინც დადგეს მისის სიტყვის მორჩილნი და კელ-  
 ქვეითნი იყვნენ, მონასტერის ერთგულად მოუდგნენ  
 და მსახურონ და მამის სატყვის გამგონე იყვნენ,  
 მონასტერის კარგად და მდაბლად მსახურონ; ვისაც  
 იქ დვომა და მოღვაწეობა უნდოდეს, მაშის მორჩი-  
 ლობით და ნების მყაფელობით იყოს, რაღაც ან  
 ახლა, ან შემდეგ ამისა იქნებოდეს, როგორადაც  
 სხვას მონასტერშია კელქვეითნი იყვნენ დარა მანც  
 იქ მდგომან მონაზონმა ან წირცით ან სხვის მოღვა-  
 წეობით რამ იშოონ უკლებლივ წინამდღვარს მო-  
 ბარონ; იმან როგორათაც მართებულია მონასტერ-  
 საც ისრე მოახმაროს და იქ მდექსაცა და რომელიც  
 ამ ჩვენს ბრძანებასა და განაჩენს გარდვიდეს მონას-  
 ტერს მართლად არა მსახუროს ეს ჩვენი განაჩენი  
 მოშალოს, მონასტრიდამ განიდევნოს და შეჩვენე-  
 ბული იყოს შვიდის კრებისაგან და ჩეგნგან და  
 ჩვენის კრებისავან, და ოუ იქ დგომა არ უნდოდეს  
 შენდობით და მონასტრის უზიანოს საქმითა და  
 უკანონოდ გამოვადეს; და ოუ იქ დგომა ვისმე უნ-  
 დოდეს ესეები ქნას და ამ ნებაზე დადგეს — მარტია  
 იბ: ქორინიკონსა: ტოც: ხვეულად: „მთავარ ეპისკო-  
 პოსა ითანე“ „ალ ავერდელინიკოლოზ“  
 „არსენ ნინო წმიდელი“ „მონა ღვთისა“  
 „ათორშეტია უჯანოთა მაკუტოხეველი

არხიზანდრიშვი ნინო წმინდელი არსენ ვამტკიცება”; მოხავი დვოი-  
სა ამბა ალა-  
ვერდელი ნი-  
კოლონა „რუსთველი ნიკოლოზი“ „მონალვოთისა  
თფალელ მთავარ ეპისკოპოზი ვამტკი-  
ცება“ სკეულად „დომენტი“ ბერძენი ბე-  
ჭედი წარწერებით და შაგ ამთქვრალია მამანები დვოის  
მშობლის „მთავარ ეპისკოპოზი ქრისტეფორე  
ვამტკიცება“ გვერდზეა და სხვა დაწესებულ ქადაღდებე  
სკეულად „მთავარ ეპისკოპოზი და დადი ბეჭედი  
სუცურ ასრულავრულ წარწერებით: „ქ. რომელი გახს-  
ნათ ქვეყანასა ზედა სსილ იყოს კათა შინა

**1690 წ. № 9.** ახდეთ დროისა. ქ. ნებითა და  
შეწევნითა ღეთასათა ესე ამიერ უკუნისამდე ქამთა  
და ხანთა გასათავებელი მტკიცე და შეუცვალებე-  
ლი მიზეზ-შეუცვალებელი (?) დრო-გამოუსვლელი  
ყოვლის კაცი უცილესელი ნახყილობის წიგნი  
დაგრწერება და მოგცით ჩექნ ელიაშვილმა პატარმ,  
შვილმა ჩერმა სეჩენიაშ შენ სეხნიას მეგრელიშვილსა,  
ისე რამე თდეს დამეჭირა სულს იქით ღონე არა  
მქონდა; მოგყიდე ჩემი ილალი ნახყიდი ყოვლის  
კაცის უცილებელი ნაფუზარი: აქეთ ჩემის განაყო-  
ფას სამხლევრამდი, ერთის ურმის გზის გარდა... თუ  
ამ მიწის სყიდვა შევიძლო, სხვა კაცი არ შემომაცი-  
ლო; დმერთს წინაშე როგორც ეს მოგყიდე იმის  
ფასათ ისე ეს მომყიდო თუ გაჰყიდო... მოწამე მოუ-  
რაცი დათუნა, ნაღირაზოზაშვილი, მჭედეულაძე  
თევდორე. მე პაპუნას დეკანოზს დამიწერია † †

**1690** წ. № 10. ახდეთ დროის. ქ. ჩეენ მაგიგ-  
 რათ სამეცნიერო მოახსენეთ: ძეაც დავაბარეთ; ვანიას  
 თუთახშირს შვილი და ქოქაური ჭონიაური ზეარი  
 სამეცნიერო დევდრაული ესები აკურთან თხიაყო-  
 ლის შვილებისათვის (დაზაანებულა) გამოვეირომე-  
 ვია დავით გარეჯისა ყოფილიყო. ისევ დავით-გა-  
 რეჯისათვის შეგვიშირავს სახლთუხუც ერ (?) დასა  
 მეცნიერი ნურც არას იმისას ისამართლებენ. დავით  
 გარეჯისა არ ყოფილიყო; თხიაყორჩიანი არ გაი-  
 ყოფდენ

მეფე იმპ-  
 ყულიან

(მეფე იმპ-ყულიან) ზედ  
 აწერა: „ვანათს ნაზერევის  
 ოქმია“.

**1690** წ. № 11. ახდეთ დროის. ქ. ჩეენ მაგიგ-  
 რად საგარეჯოს მოურავს ისე მოახსენეთ და მოკე-  
 ლებს უამბეთ, რომე წმიდის დავითის ყმები ახლაც  
 ყალათათ წამოვისხამთ. ხანმაც წიგნი უბოძა; ლაშ-  
 ქრობა ამოუკვეთა; წმიდის დავითის საფლავს ხან ლე-  
 კი ანჯლლევს და ხან თათარი; იქ მოუნდება ქე-  
 შივათ. დაეხსენით. თუ აქ ლაშქარი გუყვანდეს (?)  
 გაუშვით; თუ არ გუავნდესთ აქ და ნულარ წამოა-  
 ხამთ; ჩეენ გვიპატივებრა; საყდარს მოუდგნენ

მეფე ნაზა-  
 რალიან.

(მეფე ნაზარალიან)

**1690** წ. № 12 ქ. ჩეენი ბრძანება არის მო-

ხელებო! ამ წინამდღრის ონოფრეს ულუფა და საყდრის ულუფა ოჩივე გაგვიცრთებია და ოცდა-  
ათი კოდი ქრისტიანული მოგვიმატებია; ას კოდს  
მისცემდეთ ხოლმე და კიდევ არჩოცდათი ლიტ-  
რა ბრინჯი მოგვიმატებია; ას ლიტრას ბრინჯს მის-  
ცემდეთ და ათს ლიტრას ერბოს; ამაებს ყოველს  
წელიწადი, გაურჯელად მისცემდეთ; ხოლმე საყდრის  
ლიტრაზე ერთი ჩარექი ერბო მიეცით; ათს საპალ-  
ნეს ლვინოს მისცემდეთ ამაებს; ნუ მოუშლით, ყვე-  
ლას მისცემდეთ უკლებლივ

შეუე ნაზა-  
რალიხან.

შეუე ნაზა-  
რალიხან.

1702 წ. № 13 ქ. სახელითა.. კათალიკოზმან ევლე-  
მოზ, აქბა ალავერდელმან პატრონმან ნიკოლოზ, მთა-  
ვარ ეფისკოპოზმან ქრისტეფორემ, ნინოწმინდელმან  
იოსებ; სულქართველთა და კახა ეფისკოპოზთ ესე  
წიგნი, პირი და ფიცი დავდევით და შეკრვა-გან-  
ხსნის ბრძანება, ვითარუა ბრძანებს პირი ღეთისა; რო-  
მელი განხსნათ ხსნილიყოს და რომელი შეკრაპ კრუ-  
ყოს ჩვენ ამა კრებისა ბძანებითა ესეწიგნი, პირი და  
ბძანება დავსდევით, ასე რომ რომელიც ბერთ დაით  
გარესჯას, თუ ნითლის ცეცხლს, თუ დოდოს, თუ  
ბერთუბანს მივიდეს მეტანიად და დასაჯგომად და  
აღთქმა ყოს მუნ მონასტერსა შინა სამცოფად და  
მერმე კვალად უკუნიქცეს და დაუტევოს თვისი  
მეტანია მონასტერი და სხვად მონასტრად მივიდეს

ჩვენად უშენდობოდ და ერის გამოურჩეულად,  
 დაუპატიგებლად თავის ნებით. და წალილით და  
 გულისწყრობით, ამპარტავნობით და უთმინობით  
 გამოვარდეს, ან სიტყვით ვისითმე მოღორუეს და  
 წავიდეს—წყეულ იყოს და შეჩერებულ... რომელიც  
 შევიდეს, მეტანია ქნას; დასადგომად მამასა და კრე-  
 ბულს პირი და აღთქმა დაუდვას და აღარ აღასრუ-  
 ლოს ეს თავისი აღნათქვაში, წყეულ იყოს. კეალად  
 რომელმანც ერჩან ერთმანეთის შეურობით და ქიშ-  
 პობით ერთის მონასტრიდამ მეორეში სადგომად  
 ბერი მიიყვანოს ან თვითან მიეიდეს მამასა და  
 კრებულისაგან უშენდობოდ, ისიცცა წყეული და  
 შეჩერებული იყოს, თუ მეფეთაგან, კათალიკოზთაგან,  
 ეპისკოპოზთა და დარპაზის ერთაგან გამორჩევით  
 გამოვიდეს ეფისკოპოზად ანუ წინამძღვრად ანუ  
 რომელსამე წესსა ზედა მონდომლიდ ამას შენდობა  
 და შადლი ქონდეს. რომელმაც თავადმა, გინა ეფის-  
 კოპოზმან ანუ დიდმან ანუ მცირემან იქიდამ მამისა  
 კრების შეუნდობარი და გამოვარუნილი ამ წყევას  
 ქვეშ დანარჩუნებელი ბერი შეუშვას და შეიწყნა-  
 როს ისიც იმის მორაწილე და თანაზიარი იყოს... ამინ,  
 ამინ... ამინ... ამისი მოწამე და დამამტკიცებელნი  
 ბოდებელი ზაქარია, თფილელი დომენტი, მანგლე-  
 ლი იოსებ, სამებელი ნიკოლოზ, მროველი, კერე-  
 მელი, წილკნელი, ხარჭაშელი პართენი, დმანელი  
 ელისე, ბოვნელი იოანე, წალკელი ნიკოლოზ,  
 მაღალაძე არქიმანდრიტი ნიკოლოზ, სულა ქართ-

კულტი და კახნი ეფუძნობოზნი. ეინტა ამა გარიგე-  
 ბისა და ბძანების დამამტკიცებელი იყოს მაღლი  
 და კურთხევა ქონდეს; ეინტა ურჩექნას  
 წყევასაშუა ქვეშე არს... მინ, ქორანიკონსა: ტჟ:  
 [1702]. ხევულად ამტბაცებუნ:

ქართლისა კათალიკოზი ევდემის	ამა ილავერდელი ნიკოლოზ, ხევულად, ნინო-წმინდელი იოსებ „ვამტკიცებ ბოლბელი მი- ტრაპოლიტი ზაქარია“	ბოლბელი ზაქარია
-----------------------------------	---	--------------------

1703 წ. № 15 ქ. ჩვენ ბატონიშვილმან პატრო-  
 ნმა ვახტანგ შეესწირეთ ჩვენის სულის საოხად  
 ყოველს წელიწადს სურამის საჯაროდამ ხუთ ლიტრა  
 სანთელი წმინდის დავითის საფლავისთვინ... ქორანი-  
 კონსა: ტჟა: იანვარს: ა: ხევულად ვახტანგ“  
 „შეფე ბაქარ“ „ბატონიშვილი სეიმონ შეფე ბაქარ“  
 ვამტკიცებთ

...გამზე ბა  
 ტონიშვილი  
 სკომის

1703 წ. № 16 ახლოდროის ქ. ესე უკუნისამდე  
 ბოუშლელი კნინი და უნდო თქვენდა მოსარამევე-  
 ლად უკადრი ჩემის ალალის ოფლით ნასყიდი  
 ენახი და სასახლის ალაგი შე მეარა ყე შამუკ შა  
 შემოგწირ საფლავსა და მონასტერს წმიდის დავი-  
 თისასა, ასე რომე ერთი უშვილო ხმელი კაცი

ვიყავ...ჩემის ოფლით მონაგარი თეთრი შქანდა...და  
ეს (მამული) შემოგწირე... ამინ †

**1703** წ. № 16 ახდოდროის ქ. ძმილ და შვილო,  
 წინამძღვარო იოანე და მისნო ერთობილნო კრე-  
 ბულნო! მე რმე პოიხსენეთ ლვთის შოწყალება და  
 მე ცოდეილი და უბადრუკი ნინო-წმინდელი თქვენის  
 მამა შვილობისა და ძმობის სასოფტით და სიყვარუ-  
 ლით მინდობილი ასე შემიწყალეთ, ბატონო წინა-  
 მძღვარო, ნეკრესელ იოვანე! ესეც მოიგონე და  
 მოიხსენე, როდესაც მე და თქვენ ლვთის შვამდგო-  
 მლობით და წმინდის დაეითის თავდებობით ერთ-  
 მანეთს კელი კელს მივეცით და წინამძღრობაც  
 მოგართეთ ალალის გულით და ჩემი ცოდეილი სუ-  
 ლიც და სიცოცხლეც ყველა თქვენ შეგვადრე, თქვენც  
 დიდი ალთქმა და პირობა ალმითქვით. ახლა ლვთის  
 სიყვარულისათვის ყოველი ჩემი შეცოდება მომი-  
 ტევეთ, შემინდევით და მანამდის ამსოფელში  
 სცხოვრებდეთ ჩემის ცოდვილის სულის მოხსენებას  
 ნურც თქვენ დავიწყებთ და ნურც თქვენი კრე-  
 ბულნი...ღმერთი ხომ ამას ბრძანებს თავისს უტ-  
 ყუარის პირით: კეთილის მყოფელთა თქვენთა რომ  
 კეთილი უყოთო...ტკბილის მამა-შვალობისა გაყრი-  
 ლი და საუკუნოთ განშორებული ..სოულით წარ-  
 სული და აღარასადა მოქცევადი შემიწყალეო,  
 შემიწყალეთ შვილნო და მამანო ჩემნო... ამინ.  
 სუჟღად: „იოსებ“.

**1703** წ. ქ. ავილე მე ფავნელი შვილმა იოთამ

და შეიღმა დაეთ თქვენ ბატონი მაქსიმესაგან ცაში  
ტი მინალთუნი; რასაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს  
თვეში ამ ცაშეტი მინალთუნისთვის ერთი აბაზი  
სარგებელი მოგცე. — არის ამისი მოწამე მაღალაშვი-  
ლი ნიკოლოზ, სოლაშვილი ერეკლე, შაუაშვილი  
ფარსალან, მგალობელი იაკობ მგალობელი და  
მარჯოზა. მე თუმანიშვილს მამუ- იაკობ კას  
დამიწერია და მოწამე ვარ. დაიწერა იანვარს დამ-  
დეგს, ქორონიკონსა: ტეა: ფანელიშვი-  
ლი იოთაძ.

**1703** წ. № 1 ახდენ დროისა. ქ. ნებითა და  
შეწევნითა ღვთისათა მოკეც მე მამუკამა დარემა-  
შვილმა ესე საფიცარის წიგნი შენ ხოსრასშვილს  
მამიჯანამასა, შენს შეილს ბერს ასრე და ასრე და  
ამა პირსა ზედა, რომე მოველ, მოგენდე და სა-  
დამდი ცოცხალი ვიყო, ან თუ ძალი და უსამართ-  
ლო არაეინ მიყოს ან კელჩიფითა, ან ბატონით მე  
შენ არ გაგეყარო, არც შენის მეტა ბატონი მე არ  
ვინდომო. თუ რასაც ხანს ამაში გაგიმტყუნდე: ვ-? (?)  
ამ კაბისა მღვთისმშობლის (ვაჟო ამ კაბენისა  
დფოის შშობლის?) შემცოდე, ქრისტეს საფლავის  
შემცოდე, ქართლის კერწივის მკვლელი, დირბის  
(დიდის?) ბატონის თბილელის და ბატონის ელიზ-  
ბარისა(?) და შალლის მღვთის შემცოდე — თუ ამაში  
გაგიმტყუნდე. — არის — ამის მოწამე მისი ცოლმა  
ლიმაურია ბერუა, ანანია ბჯიქასშვილი † †

**1703.** წ. № 19. ახდენ დროისა. ქ. ესე წიგნი

მოგეც მე მერმა კანის შეილმა, მისმა შეილებმა ბეულია-  
 მა და თანიამ, ახლა ეს ნასყიდობის წიგნი მოგეც: სანამ-  
 დი ჩემი ძე იყოს არც გაგეყარო და არც წაგვი-  
 დე. თუ ჩემი მომდევარი ვინმე მოვიდეს, კელი არა-  
 ვის ქონდეს და პასუხის გამცემიც მე ვიყო. მამი-  
 ცემია ეს წიგნი მეტრეველს ბერისათვინ და იმისის  
 შეილის მხთისიასათვინ და გიორგის. არის ამისი  
 მოწამე მთიულის შეილი ზურაბ და სამაღავლეს-  
 შეილი ლუარსაბ და ისაულიც მე ვიყავ  
 და დამწერიც მე ვარ სისოური ფეიქარი და მო-  
 წამეც ვარ და გამსყიდველიც და მჰედს შეილი იო-  
 სება და მე დამწერია ზალს ყორჩიბაშის შეილს  
 და მოწამეც ვარ † † † რაღასაც ვეღვევებოდი  
 კანის შეილს ძმობის მეტი და სალამის მეტი ყლი  
 არა მქონდეს. †

**1703.** № 91 ახლო დროისა. მარტენი დედი  
 თევდორაშვილი დათუნა ახლევს ნათლის მცემედს  
 „და მის ეპისკოპოზს, ასე რომე მაყაშეილის სამებ-  
 ლის დროს წვრილებრ მოვედით წმიდის სამების  
 მამულში, დავიზარდენით, არა-კაცი ჩენი მომდე-  
 ვარი არ იყო და წმიდას სამებას მიერწერენით; კი-  
 დეც დაგვაფიცეს, რომ სადაბლი ჩვენ ცოცხალ  
 ვიყოთ ჩენი შეილი წმიდას სამებას არ გამოეწი-  
 როს. ვინ იცის მეზობლის გაჯავრებით ან ბატო-  
 ნის შემოწყრომით წაეიდეთ საღმე და რამაც კაც-  
 მა ჩვენ გეიყმოს და თავისთვის მოგენდომოს და  
 მის ტაძარს გამოგვწიროს და იქვე წმიდას სამებას

არ მიგვცეს რისხავსმცა... (წყევა) ... მოწამენია +

**1703** წ. № 96. ახლო დროისა. კოზმანიშვილი სწერენ, რომ რადგან საბჭო მამულის საქმის მოწმები და მასსაფრები არ გამოჩხდენთ, ტრაქზზე დავდევითო, ღმერთს შეევედრეთო, ქალალდი და ერთა უცოდინარი დიაკონი შევგზავნეთო და გამოიტანა ის ქალალდი, რომ მამული წმიდის სამების არისო.

**1704** წ. № 24. ქ. ნებითა და შეწევნითა ღეთისათა ესე წიგნი მოგართვით ჩვენ დავით-გარეჯის წინამძღვარმან ონოფრემ, დოდოს წინამძღვარმან ზაქარიაშვილის წინამძღვარმან ხარიტონ თქვენკახეთის კელმწიფის შვილს და თეით კელმწიფეს მეფეთ მეფეს პატრიონს ერეკლეს და დედოფალთ დედოფალს პატრიონს ანნას და ძეთა და ასულთა თქვენთა ყოველთავე ასე და ამა პირსა ზედან, რომე პირველითგანვე მამა პაპათა თქვენთაგან საგარეჯოს გამოსავალი ამ სამს უდანოს შემოწირული ყოფილიყო. ახლა თქვენად სამღლოულოდ და ძეთა და ასულთა თქვენთა წარსამართებლად ისევ საგარეჯოს გამოსავალი იმავ უდაბნოებს შესწირეთ. ჩვენც ეს წიგნი მოგვირომევია: რადგან ეს თქვენი წყალობა დაგვემართა, თუ ეს არ მოგემალოს, სანამდის ეს უდაბნოები იყოს ჩვენცა ჩვენის კრებულით ყოველს ყველიერის ხუთშაბათს თქვენთვის და დედოფლისთვის ვწირავდეთ და კორციელის კვირას თქვენის შვილებისათვის

ვწირავდეთ; ვინცა ეინ ჩვენი კრებული ამ დღეებს აქ დაგვესწროს, აქ სწირონ და ვინც გარეთ დახვდეს—იქ უნდა მოხსენება და. —წირვა ამის გარდაისად მარად დღე მოხსენება თქვენი არ დავაკლოთ. ამისად გასათავებელად მიგვაცემია ღმერთა და ყოველნი იმისნი წმინდანი: ქორონიკონსა: ტუბ:

მონა დვოთისა დავით გარე. ჯის შავუ. ტაძე ანოფერი
--

ხელულად (ზაქარია)

ხარიტონ

**1704** წ. მეფე დავით ამაშუელისან, მათი მმა გთხისტანტინი და თეამურაზე აძლევენ შარტელიველს ზინდიაშვილის ნასეიდის მათის მეზობლის უმევიდოდ დაზენბილის სინჯიაშვილის მამის იმედის მამულს, „ერთგულად სამსახურის სამუქფოთ და ისპანსაც თან გვახლდით და გვემსახურე“ დაიწერა მარტის: ც: ქორონიკონსა: ტუბ: კელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის თუმნისშვილის შიომისათა. სამების (ქაწარეთის) გქედი გუჭარი, დად ხელოვნეურად დაწერიდი.

**1705** წ. № 7. ტევზე ჩინებულ მხედრულად:

„ქ...ჩვენ....პირველ გროტი წილივლისა და აწ პატრონისა მეორეს შაპიავაზხავის მაგიერად მყოფ-მან მმის წულმან შისმან და ქემან სრულიად ერანისა მღივანბეგისამან საქართველოს ჯანიშ.ნმან ბატონიშვილმან პატრონმან ეახტანგ (და მმათა: სეიმონ, თეამურაზე) შემოგწირეთ (ნათლის მცემელი)... მას ეამსა ოდეს თქვენის უდაბნოს წინამდლვარი ხარიტონ და მათი კრებული ერთობით ბოვ-დნენ და

ოფილისს ქალაქში უდაბნოდამ მომსლეველის ბერე-  
 ბის სადვომს გვიაჯნენ... ბიძის ჩვენის პატრონის მეფის  
 გიორგის ყანზარს ბრძოლის გასამარჯვებლად და  
 მშეიღობით მოსახლეველად და ჩვენის ძმის ბატონი-  
 შვილის ქაიხოსროსა და იასესს გამოსახსნელად  
 მოგარევით... თუიღას ქალაქს ჩვენის საუფლის წუ-  
 ლოს სასახლის მონაჭერა შიგნით სასახლის აღვილი,  
 წყარო რამ გამოდის. სამძღვარა მისი: აღმოსავლე-  
 თისკენ მტკუარი და წყარო რომ გამოდის, წყაროს  
 სათავიდამ ჩრდილოს მხარე; ეს ჩვენს სასახლემდინ  
 ხუთი ადლი მიშა. კიდემ ჩვენ დაგანებეთ დასავ-  
 ლის მხარეს შაქარაანთ სახლსა და ტფილელის  
 დეკანზის სახლამდინ; — სამხრის მხარეს ტფილელის  
 სამზღვრამდინ და დეკანზის კარის ჩამოსწრო  
 მტკუარამდინ... ქა: ტფ: ლვინობისთვის: ბ: კელითა  
 თუმანიშვილის გივისთა რტოდ. და-  
ვით-ვაზტრონგ

ზემო გამოგვიჩა და აქ შეგვიტანია:

**1692 წ. № 84.** ესე უკუნისამდე შეწირულობის წი-  
 გნი მოგაროვით ჩვენ მახარობლის შვილთა ორთავ  
 ძმათ ნიკოლავოზ და გიორგიმ. ასე რომ ჩვენ ორნი  
 ძმანი გასყიდულსავით ცალკე-ცალკე დაგირავებული  
 ვით. ახლა თავი დავიხსენით. პატრონი და ბატონი  
 არსად არავინა გუყანდა (sic), შემოგწირეთ ჩვენი  
 თავი... ნათლისმცემელს და დავიდევით ჩვენ სამსახუ-  
 რი ბატონის წმიდის ხარიტონის, ბესარიონისა, საბასა  
 და ეროვნობილად... ყოველს წლისათვის მოგაროვედეთ

ერთ ლიტრა სანთელსა, ჩარექსა საკმელსა, სამს ლიტ-  
რას ზეთსა. სანამდი ცა და ქვეყანა იყო!.. დაიწერა...  
მარტს. ა: ქორონიკონსა: ტპ: (№ 83 იგივე. გუგარია)

**1707 წ. № 60.** ასლოდ დროისა:

ქ. ესე: წიგნი: მოგართვით: ჩვენ: სამებელმან პატ-  
რონმა იოსებ თქვენ ბატონს წინამძღვარს ხარი-  
ტონს: ჩვენი ბიჭი უვანდა თქვენს ყმას გოდერძის  
და ის ბიჭი თქვენ თქვენის დიდებულის წმიდის ნათ-  
ლის-მცემლისათვის მოგვირთმევია, არას კაცს  
ამასთან კელი არა ჰქონდეს. გოდერძის დისწული  
არის ის ბიჭი“. — ხელფაქ: „იოსებ სამებელი“.

**1707 წ. № 19.** „ქ. საღუნის: შვილი: აბრამ:  
ლვდელი: ქართლიდამ გამოსულიყო და წ-ს სამე-  
ბას შესწირევია და გოსტაბაში შვილი სამებელს  
წამოსდ(ა)ვებოდა აბრამ ხუცეს ალავერდს ჩვენს  
პაპა ბებიათა და ჩვენის სახლის ხელმწიფეთ საფ-  
ლავს შეხვეწოდა — მიცემა აღარ იქნების კელმწიფეთ  
საფლავს პატივსაცს და ეს წიგნი ამისად ნიშნად  
უბოძეთ ჩვენ... შეფერა... იმამყულიხან სამებელ მთა-  
ვარ ეპისკოპოზს პატრონს ნიკოლოზს: რადგან ის  
მღვდელი სამებას შესწირეოდა, ჩვენც ისევე მის  
ტაძარს შეესწირეთ და სამებელს მივეცით ყოვლის  
კაცის მოუღვევრად. თუ კახეთში მყრელობა მოკ-  
დეს, ამას ნურავინ აყრის... მყრელებისათვის კელი  
აგეილებინებია... დაიწერა თვესა ფეხერელის: ე:  
ქეს: ტშე:

იმამყული-  
ზინ.

**1708 წ. № 11.** ქ. ჩვენ ბატონიშვილმან ბა-  
 ტონმა კოსტანტინემ და ძმამან ჩემმან ოტიაზ (მუხ-  
 რან ბატონიშვილები) შემოგწირე... (ნათლის მცე-  
 მედი), ასე რომ მაზნაშვილი ივანე და თამაზა ბა-  
 ტონის მამის ჩვენის მოაღაპენი იყენენ და უამთა  
 ეითარებითა აიყარნენ და კახეთს წაეიდნენ. ხანი  
 გამოვიდა; კელმწიფი აგან წყალობა იშვენა; ქართვე-  
 ლის ჯანიშინმა ბატონიშვილმა ბატონმა ვახტანგ  
 ყევნის ყულით ქართველი კაცი აყარა კახეთს.  
 ჩვენცა ეს ჩვენი კაცი ავყარეთ. მობრძანდენ ნათ-  
 ლისმცემლის წინამძღვანი ხარიტონ თვისის კრე-  
 ბულითა. ეს კაცი თავისის ძმებითა(და)კოლშვილით  
 მივართვ(ით) ნათლასმცემლისათვის იანვარს: იზ:  
 ქქს: ტ: ვ:

**1708 წ. № 6...** ჩვენ ძმისწულმა (მეფის შოქნა-  
 ვაზას) და ძემან ერანის მღიერანბეგის ლევან-ყო-  
 ფილის პატრიონის შაჰიშულიხანისამან საქართველოს  
 ჯანიშინმა ბატონიშვილმან პატრიონმა ვახტანგ..გიბო-  
 ძეთ (ნათლისცემლის) უდაბნოს მყოფს ორბელი-  
 შვილს მონაზონს საბას მას უამსა, ოდეს ქალაქს  
 გლეხების ბოძებას დაგვიაჯენით; ვისმინეთ აჯა და  
 მოსხენება თქვენი და გიბოძეთ ქალაქს ჯომარდანთ  
 მკერვალი დემეტრე და მისი ძმა ზურაბა და პაპა;  
 ალაყულაშვილის ნასყიდი ყოფილიყო და თავი  
 დაეხსნა, თავის ბატონის აზატულობის წიგნი აელო  
 და იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ყმობა  
 მოენდომებინა. იმას ჩვენის ყმის ჩიგიანაშვილის

სახლ-კარი ჰქონდა, მეორე . კომლი აფუზაშეილი თვანა და შევსწირეთ (ნათლისმცემელი) ბიქს ჩე-მის გიორგი მეფის სულისა და ცოცხლივ გამო-ხსნისათვის და ჩემის ძმას ქაიხოსროსა და იასეს გამოყვანისათვის და ჩემის სულის სახსრად ქვე: ტევ: აქ მოხსენებული საბა არის ცნობილი ჩენი მელექესონი

### 1708 წ. შა სულთან უსინისათა.

ქ. ბძანებითა და შეწევნიოა მღთისათა დაუმ-ტკიცეთ შეწირულობა და გუჯარი ესე ჩვერ მღთივ ზეცით აღმატებულმან და მღთივ ზეცით დამყარე-ბულმან და მღთივ ზეცით გვირგვინოსანმანი ესინ-დავითიან-სოლომონიან-პანკრატოიანმან დიდისა და მღთისაგან მის მაგიერათ ქვეყანაზედ მოსამარ-თლედ დადგინებულის ეტლისაგან შეყვარებულისა-ვე, სეიანობით სახელ განფენილისა მზის შარეან-დებთაებრ სრულიად ცას ქვეშეთ მაშენებელისა, ერთგულთა ზელან წყალობა უხვად ნილოსის ზღვისაებრ დაუწყვეტელად მიმდენარეს, ორგულთა წამის ყოფით გამაოხრებელია, ძლიერისა და ოვით უძლეველისა დიდისა ირანის ტახტისა და სახელმწი-ფოს მპყრობელ მქონებელისა და მურთუზალის ხალიჩაზედ მჯდომისა ხემწიფის ბედნიერის (უსენის?) შვილურად აღზრდილმან და მისგანვე გახელმწიფე-ბულმან მეფეთ მეფემან და ოვით კემწიფემან პატრონ-მან იმამყულიხან და დედამან ჩვენმან დედა ფალთ დედოფალმან პატრონმან ანამ და დიდის კემწი-ფის გაზღილმან სასურველმან ძმამან ჩვენმან პატ-

რონმან მამადყულიშ და პატრონმან თეიმურაზ  
 გვადრეთ და დაგიმტკიცეთ ტაძარსა უდაბნოსა და  
 საფლავსა წმილისა დავითისასა, ასე რომ როგორა-  
 თაც ძეველათგან ჩვენთა მამა-პაპათაგან ბატონის  
 ლევანისა და ბატონის ალექსანდრესავან შეწირუ-  
 ლი ყოფილიყოს სოფელი აკურა ძეველის გუჯრით  
 და ის ძეველი გუჯრებ თქვენმა წინამდლვარმა ონოფ-  
 რემ მოგეაროვა და გაგვ(ა)სინჯა და დიალ ძველათ  
 შეწირული და სამკვიდრო და სალაროდ და სახიზ-  
 რად ჰქონდათ მონასტერისა და საფლავსა წმინდისა  
 დავითისასა და ჭვეყნის შლილობით და ქამთა  
 ვითარებისაგან უბატონობაში ოხიაყორჩინთ კელი  
 მოეკიდათ და თავისთვის დაეჭირათ და ბატონი  
 პაპა ჩვენი, მეცე თეიმურაზ, რომ იმერეთს ბძნებუ-  
 ლიყო, იქ მოეხსენებინა და ერთი წიგნი ყალატათ  
 გამოერთმევინა და ერთი ამ სოფლის წიგნი ჩვენც  
 ყალატათ თარხანმა გამოგვართვა და როიცაც წინამ-  
 ძღვარი წმინდის დავითის საფლავისა მოვიდა ჩვენ-  
 თან და გუჯრები გვინჯეთ მეფის ლევ(ა)ნისა და  
 მეფის ალექსანდრესი და მეფის პატრონის მამის  
 ჩვენის ნაზარალისანის ანდერძის წიგნიც მოგვიტა-  
 ნა და გვიჩენა და იმაშიგაც ასე ეწერა რომე რო-  
 მელიცი ჩვენი შეიილი და შეიილიშვილი კახეთს ბა-  
 ტონათ დაჯდეთო, წმინდას დავითს თავისი სამკვიდრო  
 მამული აკურა ისევ მიეცით და დაანებეთო და ჩვენ-  
 გან ბატონის ლევანისა და ბატონის ალექსანდრ(ე)ს  
 გუჯარი და შეწირულობა და ბატონის პაპის ჩვენის

თეომურაზის და შამის ჩვენის მეფის ნაზარალიხანის ანდრეძი არა გატყდებოდა და არც ჩვენს რჯულში ვახმი არა გამოიწიროდ(ა) და ჩვენც ისევ უბოძეთ დავანებეთ და დაუმტკიცეთ სოფელი აკურა თავისი სალარო, სახიზარი და მამული, როგორათაც ძევლ-თავან ქონდა თავისი მთითა და ბარითა და ბოლო-თი და წყლითა და წისქეილითა ველითა და ვენახი-თა, თავისის მართლის სამართლიანის სამძღვრით ასე რომე მეფის პაპის ჩვენის ლევანისა და ალექ-სანდრეს გუჯრები დასძეველებოდა და ისიც გაუახ-ლეთ ხელახლა და დაუმტკიცეთ და იმათი სიგლები გუჯრითა ამი(sic)გავაცუდეთ: მტკიცე ესე. — არს სხვა რა რიგათაც ამას წინათ ყოფილიყოს ნინო-წმინდის სამწყსო და მეტოქი იყოს და სახიზარი დიდის უდაბნოსა და სხვა რაც პირველთ მეფეთ აღაპენი იყვნენ ისრევე მოუშლელნი და შეუცვალებელი იყოს. — აწე ეინტა და ჩამანც ადამის ნათესაეთავანმც კელ ყოს ჩვენმიერ დამტკიცებულის ამის გუჯრის მეფის ლევანისა და შეფის ალექსანდრეს სიგლის არა დამტკიცებათ ჩვეთამც(sic)ცოდვათათვის იგი განი-კითხვის დღესა მას მეორთ(sic)მოხვდელისა მისისასა. — უკეთუ მეფემან შესცვალოს, მეუფეო მეუფეთაო შენ იგი შესცვალე მეფობისაგან მისისა; უკეთუ დედო-ფალმან — დედოფალო დედოფალთაო, ქალწულო, შენ იგი შესცვალე დედოფლობისა მისისაგან; — უკეთუ მთავარმან — მთავრობისაგან; — გინა თუ დიდებულმან ანუთუ აზნაურმან — შემცა იცვალების რჯულისა და

რიგისა მისისაგან, შემცა ედების ძრწოლა კაენისა,  
 კეტრი გეზის, მექ—დატეხილობა დიოსკორეს და  
 შიშთევილი იუდასი, ცოცხლივ შთანთქმა ღთან და  
 აბირონისა! ნურა რა(დ)თამც სიჩანულითა ნუ იქმნე-  
 ბის კსნა სულისა მისისა; მაზედამცა იქნების წყევა იგი  
 მეს-და-ჩეისა ფსალტუნისა, რომელს იტყვის: „იყავნ  
 შეილნი მისნი ობოლ და ცოლი მისი ქვრივ, შერ-  
 ყევით იცეალენ“! და შემდგომი ამისი; — მასმც(ა) ესმის  
 კმა იგი ღვთისა ჩისხევით დღესა მას ზარ—სახდელსა  
 წარმგზავნელისა ცეცხლად საუკენოდ, ვითარმედ  
 „წარვედით, დაწყეულნო, სასჯელსა მას საუკუნოსა,  
 რომელი განშადებულ არს ეშმაკისათვის და ანგე-  
 ლოზთა მისთათვის“! ნურაოდემცა მოაკლდების სახ-  
 ლით მისით ღალადება იგი რობისი მამავალთა მისთა  
 ამინ.— დაიწერა მტკიცე და შეუცალებელი სიგელი  
 ესე თებერვლის: იზ: გასულს; ქკონს: ტუვ: კელითა  
 კარისა ჩევნისა მდივან მწიგნობრის თუმბისშვი-  
 ლის(sic)შიომისითა არს. (ბოლო წარჩინებული სვეული:  
 „მეფე დავით იმამყულიხან ვამტკაცებ ნებითა  
 ღოთისათა.“)

თათრული

 დედოფლი.  
 ანდა.

 ბატონიშვილი  
 თეიმურაზი.

**1709** წ. № 20. „...სიგელი ესე ნინო წმინდელის  
 მთავარეპისკოპოზის გაჩნაძის მიერ მორთმეული...  
 ზეცისა მიერ არს ყაველი მოცემა კეთილი და ნი-  
 კი... დედოფალსა ჩვენსა ღვთისმშობელსა აღმოუხ-  
 და (წილის ურის დროს) ქვეყანა ესე საქართველო-  
 სა..., ძნელად მოსაქცეველი ყოველთა კაცთაგან“...

(ამან ხინდ გამოგზავნათ... და მამანი შეამდინარისანი და ამათში დოდოცათ ამ ხმელ და უნაუთვე ადგიდშით.... გაამრავდესთ აქ მონასტრები; უკის ეპედესია ღვთას შემოდისა დადა... ბოლოს შეიქმნა 12 მონასტრით და ეკვედანი ხინდ წმინდელის მორჩილი იყვნენთ და საგარეჭოს მონასტრერისაფათ (წმინდა ხინოს), მაგრამ ეშმაქმა აღმრათ ბარიართზენი აგარიანნა).... „ასწყვიტეს ქვეყანა, დააქციეს მონასტრები... და უდაბნოცა ესე გარეჯისანი მას შინა აღოხტდეს და მრავალ ჟამ და მრავალ წელ დაშთა უმკვიდროდ კაცთაგან და აღარავინ იყო ბერთაგან ვიდრე ყოფად ჩეცნდამდე და ოდეს ვიჩილეთ ადგილი ესე წმინდა და თაყვანის საცემელი და პატაოსანი უპატიო ქმნილი ვითარცა მარგალიტი მრავალსასყიდლისა გარევანთხეული ტირილად ვაწყეთ... თქვენ საღვთოონი და სულაერნი კაცნი... წინამდლვარი მარკოს, ზაქარია და სხვანი ძმანი... გამოხველით სოფლით და შენებად იწყეთ მონასტრისა მაგის ყოვლად წმიდისა... და შენდობასა ითხოვდით ჩეცნ მიერ საქმისა ამის აღსრულებად, ვინაიდგან თეინიერ ჩეცნსა ვერ კელგემწიფათ საქმე ესე და გამთა მრავალთა იმყოფებოდით ჩეცნთანა და ძნიად შესაბედაეი იყო ადგილი ეგე მტერთაგან... აღვილად წარემართენით ადგილსა მაგის და იწყეთ მცირედ-მცირედ მუშაკობად და ჩეცნ თანაშემწე გექმენ თქვენ შენობასა მაგას მონასტრისასა. სურვილ ვიყავ, რომ ცხოვრებასავე ჩეცნსა გვეხილეა საწანდელი გულისა ჩეცნსა

აღშენება მონასტრისა შაგის თქვენისა... და ვიხ-  
 ლე შეწობა მცირედ უამ კეთილად წარმათებული  
 და სხვანიცა ქმარი მომატებულნი, რამეთუ კეთილსა  
 ცხოვრებასა აღასრულებდით ღამის თევითა დაუც-  
 ხროშელად ფსალმუნებითა, გალობითა და შესხმი-  
 თა სულიერითა და შემდგომად ამისა არა რა იყო  
 ნუვეშინის საცემელი თქვენი კორციელისა საზრდე-  
 ლისათვის მოსარეშელად, რომელი ძველნი და  
 პირველნი არარა ჩენდა მონასტრისა თქვენისა  
 არცა გუჯარი, არცა მახსოვარნი, თუ სადა იყო  
 მამული, ანუ თუ სხვა ნუვეშინის საცემელი კორ-  
 ციელისა საზრდელისა... ოკრებასა და უამთა ვითარე-  
 ბასა უჩინო ექმნა, და ეინაიდვან არა ეგებოდა  
 თვინიერ ამისა მონასტრისა შეწობა ჩენ შემოგე-  
 წივენით და რაც რომ ძალგვედგა არა დავიშურვე-  
 რა და მოვართვით თქვენსა მონასტრერსა და შესწი-  
 რეთ ცოდვათა ჩენთა შესანდობელად და ბრალთა  
 ჩენთა აღსახოცელად იორჩედ წმიდის ნინ... ს  
 საზურევი მინდორი, იქივ საწისქეილო ზევადამ  
 რომ ეკვი ჩამოვარდების და შარაც ჩაივლის და  
 წისქვილის რუს მიადგების და კიდევ ზემოთ რომ  
 ქედური ჩასდევს საწნეხელი რომ დკას, ბოლოს  
 კიაურელის მიწის საზღვრამდინ, ისე სწორად ჩივ-  
 ლის და წისქვილის რუს მიადგების და ამოჰვება  
 ის რუს წისქვილამდი და იმ რუს შიგნით ყველა  
 ნაზურევი იყო წმიდის ნინოსი; და თქვენ რომ არ  
 გქონდათ რა სოფელში მამული, ამისთვის თქვენს

მონასტერს შევსწირეთ. — აწე ვინ იცის რომ ეს  
 წუთი სოფელი ერთს პიჩჩედ ან დაადგეს და მაგ  
 მონასტერში შენობა აღარ იყოს... წინამძღვარი  
 აღარ იჯდეს, ეს ნაზვერევი ისევ წმინდა ნინოს დარ-  
 ჩეს... და ისევ თუ შენობა შეიქნას ისევ დაუბ-  
 რუნდეს დოდოს... აწე იტყვიან ვიეთნიმე ნინო  
 წმინდელნი შემდგომად ჩერენსა: „რად მისცა სხვის მონა-  
 სტრისა სხვასაო?“ მაგრამ ეს მონასტერი არა-სხვა  
 არს, არამედ კელთა შინა ჩუპნთა არს და სამწყსო და  
 მომესქნებდელნი არიან ჩვენ ყოველთა ნინოწმინდელ-  
 თანი... მეცა დამიც ჩემსა მონასტერსა ზედა სამსა-  
 ხური, რომელიც მველითგანნი გუჯარნი და ბეერ-  
 ნი მამულნი დაკარგულიყო და... შრომითა ჩვენ  
 მიერითა კვალად შევმატე და პირველისაებრ საქ-  
 მისა ისევ გავარიგე... ნუ მოუშლით... დაიწერა  
 გუჯარი ესე... 1709-საწ., ქორონიკონსა: ტეტ: მეფო-  
 ბასა ძისა ერეკლე მეფისა დავითისასა“. — სულად:  
 „სახელითა უფლისათა ვამტკიცებ ნინოწმინდელი  
 იოსებ“. „ბოდბელი ზაქარია“, „სამებელი ნიკოლოზ“  
 „პართენი ხარჭაშნელი“ „ნეკრესელი ნიკოლოზ“. —  
 „ჭერემელი ნიკოლოზ“.

**1709** წ., ასედაც დროისა. „ქ.. ჩვენ ღვთის მიერ  
 კურთხევით ამაღლებულმა დედოფალმან პატრონ-  
 მან ანნამ და ძემან პირმშომან ჩვენმან თეიმუ'აზ  
 დავამტკიცეთ სიგელი ესე სიტყვით და ბეჭდით  
 ამით
 

დედოფალი
ანნა

 ბატონიშვი-  
 ლი თეიმუ'აზ

**1709** წ. № 21. ახდეთ დროისა. ქ. ჩვენ დედოფალმან ანა წმიდის დოდოს საფლავზედ მდეგთ წინამძღვარს ზაქარიას და მათს კრებულს უწინვევა ჯამაგირად პური და ლვინო და თეთრი ჰქონოდათ. პური და ლვინო საცდემაც ეწერათ იქიდამ მოუჭერით და რადგან საგარეჯო უდაბნოებს შევსწირეთ, პური და ლვინო იქიდამ უნდა მიეცემოდესთ უდაბნოებს, სწორიოდ გაუყოფოდეს(?) თეთრი ხუთი თუშანი მოურავზედ ეწერა. საბალახეზედ ეს თეთრი არ მოუშალეთ; თეთრს საბალახიდამ მოურავი გაურჯელად მისცემდეს... შეიწირე შენ ყოვლად ...დოდო.

დედოფალი

**1709** წ. № 22. ახდეთ დროისა. ქ. გაგვიჩენია ჩვენ ბატონს ბოდბელ მიტროპოლიტს ზაქარიას თქვენ წმიდის დოდოს მონასტრისათვინ და მათის წინამძღვარის ზაქარიასა, ეპიფანეს და გრიგოლისათვინ და სრულ ერთობილ კრებულთათვინ თხუთმეტი ჩემი კოდი პური, ორი მარილის ქვა, ერთი ყველის გუდა და ულელი კარი და ორი მინანთული ზეთის ფასად, ყოველთვის მოგეცემოდეს ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და სულისა ჩვენის მოსახსენებლად. არა მოგეშალოს ჩვენგან და არც სხვათ ბოდბელთაგან. ყოველს გიორგობისთვეს მოგებარებოდესთ სალთხუცისა და მევოდრის კელით, გაურჯელად მოგაბარებდენ თქვენ ყოველს წელიწადს: „ბოდბელი ზაქარია“

**1709** წ. № 23. ახლო დროისა. „ქ ჩვენ ალავერ-  
 დელმა ნიკოლოზ ნებითა ღვთისათა გაგიჩინეთ  
 ოქეენ დოდოს წინამძღვარს ზაქარიას და ერთო-  
 ბილთ კრებულთ კაკაბეთიდამ კოდი პური ათი და  
 კონდლიდამ უწინ ხუთი საპალნე ღვინო გიგიჩინეთ  
 და ახლა იქიდამ შვიდი საპალნე უნდა მოგცეთ;  
 ის ჩეენ მიერ გაჩენილი ულუფა არ მოგშალოს.  
 შეიწირე შენ წმინდა დოდო და მეოს მექმენ  
 წინაშე ღვთისა. პურს ლიდის კოდით მოგცემდენ“..  
 ხელულად: „ალავერდელი ნიკოლოზ“

შეორე ბეჭარი გრძელი იმავე მონასტრისა: შეტად  
 ხედოვნერად დაწერადი, მსხვიდ და რგვად ასოებით,  
 შეტად თხედის, მაგრამ ფრიად წმიდა და მაგრას კრა-  
 ნედს ქადაღდებე. შერე სხვა სქედია ქადაღდი შემოუწე-  
 ბებათ სამაგრისთვის.

**1710** წ. „ქ... წყალობითა ღვთისათა ამა-  
 ლლებელმან... ბედნიერის ყიენის მიერ წყა-  
 ლობა მონიქებით გამეუებულმან... რანთა და  
 კახთა მპყრობელ. მმართებელ, განმგებელ-მქო-  
 ნებელმან მეფეთ მეფემან დავით, და დედამან ჩეენ-  
 მან... ანნამ, .. ძმამან ჩეენმან ერანის ბეგლარბეგმან  
 კოსტანტინე მაჰმადყულიხან და პატრიკმან თეიმუ-  
 რაზ და ძემან ჩეენმან მოსამად მირზამ... ვიგულს-  
 მოდგინეთ სამართლიანად შესაწირავად კაწარეთს  
 წმიდის სამების ტაძრის მისარომევლად და მას  
 შინა მოსაყდრის სამებელ მთავარეპისკოპოზის  
 მდივანმწიგნობართ უხუცესის ძის სანატრელის

ნიკოლოზის მისაბარებლად ჩისაც მამულის შქონე-  
 ბელი წმინდის სამების ტაძარი ყოფილიყო მას  
 ეამსა, ოდეს გუჯრითა ამით დამტკიცებას გვეჯა  
 სამებელი, უამთა შლილობისა და კახეთის წარტყუ-  
 ენისა და ოკურებისაგან ჩაოდენიცა შეწირულობა  
 ჰქონებოდა ჩვენის სახლის კელმწაფეთაგან მიცემუ-  
 ლი შეწირულობით გარიგებული მამულის გუჯარი  
 და ჰქონებოდა და რომელიც მამული ჰქონებოდა,  
 რომელიმე წართმოდა და ზოგი არა ჩნდა; ზოგი  
 რომელიმე თავადთა და აზნაურთ იურობისა და  
 გუჯრის უქონლობის და უპატრონობის მიზეზით  
 მძლავრობით მიეტაცათ, ზოგჯერ საერთო გამედა-  
 რიყო, საეპისკოპოსობისაგან მოშლილ იყო, რო-  
 მელიც მას უკან ეულის ბიტონისაგან ეფისკო-  
 ზად(sic)დამჯდარიყო, დრო არ ქონოდა, თავის  
 საყდრის მამული, რომელიცა ჩნდა ისეუ(sic) ეშო-  
 ვა; ეს ყოველთაგან საცნაურ არს – მამული და აგა-  
 რაყნი, მთა თუ ბარი ყუელა საყოფი ქონებოდა.  
 ჩვენ რომ ბედნიერმან ყაენმან ჩვენი სამკუდრო კა-  
 ხეთი მოგვიბოძა, ეფისკოპოზათ ეს სამებელი დაგვ-  
 ხედა. შევიტყვით და გავსინჯეთ, საყდარზე დიდი  
 გულსმონება, შრომა და ღვაწლი თავსედევა,  
 საყდარი გაეკეთა(sic)და გაეახლებინა; ხატითა, ჯვა-  
 რითა და წიგნით შეემკო, მწიგნობრით, მგალობ-  
 ლითა და ყოველის სამღვდელო საეკლესიოს წე-  
 სით შეემკო და გაეპატიოსნებინა; გალავნით, სასახ-  
 ლით მოერთო და რომლისაც შემძლებელ იყო

ჯეროვნად გაეცეთა და თან-და-თან მატებდა. ვითარ ვიხილეთ შრომა და გულმოდგინება ამისი, ჩვენც შემწე ვეყუენით, მოკითხული ვქენით და გამოვიძით: რომელიც ჩნდა და იცოდენ და დაჭკარვოდა, ისეუ(sic)შეუმატეთ; სამებას სოფელს ზიარი არ ვინ უუანდა და სხვას კელი არ ვის ედეა, მთა და ბარი დაჭკარვოდა, საცილობელად შექნოდა. ვინც მთას ეცილების მისი სამართალი გვიბრძანებია, როგორც გარიგდეს ისიც სამართლის წიგნით გადაწყდების; რომელიც სოფელს ახლო მთა ქონდა პატარძეულთ გაუფიცავს და დაუჭერია საკუთარი მამულები და მიწები უპატრონობით გარეჯელ(sic)წაერთვათ სამებელთათვინ, ფიცი დაედვათ, აღარც დაეფიცებინათ და აღარც დაენებებინათ. ბატონიშვილი კათალიკოზი რომ ჩვენ სანახავათ მობრძანდა, მამულებზე ლაპარაკი შეიქნა. სვეტი-ცხოვლის გუჯრები ვნახეთ, ძველსა და ახალში, ორშივ ასე ეწერა: საგარეჯოსაკენ რომ სამების მამულია, კოტმანის დაბლა ღელე გაჰყოფს თავით ბოლომდი; დაბლა ღელი-დამ რომ გზა ამოვა ყელმაღლისშვილი რომ დასახლებულა, შარა-შარა რომ გზა გადმოიელის, მწარეს წყალს გადმოადგება, მაღლა ბექი აქუს, დაბლა ცოტა გორა შუაში ჩაიკლის, მწარე წყლის ღელეს ჩაჰყვების, ივრამდის ჩავა. ის ღელე იერამდი გამოლმა სამების საყდრისაა და გაღმა პატარძეულთა. კათოლიკოზის გუჯარშიაც ასთე ეწერა და მახსოვართაგან ასე თქმულიყო. გამოლმა დღესაც კელთ

ეჭირა სამებელსა და ჩვენც ვნახეთ და გავსინჯეთ,  
 თავსა და ბოლოს უსამართლოდ ეცილებოდენ.  
 ....როგორც პირეელ შეწირული ყოფილიყო ჩვენც  
 ისე შეეწირეთ...ხაშმი კელთ შეუვალად წმინდის  
 სამების ყოფილიყო, ზოვი რომელიმე წართმეული  
 ქონდა, ზოგი დაედვათ. ბეგიაშეილი ჩოლაყაშეილს  
 მამუკას ქონდა, მის ძმისწულს სახლთ უხუცესს  
 ედიშერს თავისავ ნებადართვით დაედვათ, საყდრის-  
 თვის მიერთვათ. გორგისშეილი ბიძინას საყდრისთვის  
 შეწირა(sic)და მამული საყდრისა იყო, კელი  
 ავალებინეთ. უამიერაშეილი ერთი კვამლი ქართლი-  
 დამ საგარეჯოს ჩამოსულიყო ჩვენს სახასოში, ბი-  
 ძინა სუფრაჩს მოეყვანა და ხაშმზე საყდრის მა-  
 მულზე დაესახლებინა და თავისთვის დაეჭირა.  
 აღარც ეს სუფრაჩი გიორგი ანებებდა, კელი არა  
 ქონდა, ისევ საყდრის მივართეთ. ეს უამიერაშეი-  
 ლები ეხლა ორად არიან...ხაშმის ბოლოს ჩოლა-  
 ყაშეილს სახლთ-უხუცესს რეეაზს კაცები დაესახ-  
 ლებინა საყდრის მამულში და სოფლის აშენება  
 მოეწოდებინა. ჩოლაყაშეილს ამბა ალავერდელს  
 ნოკოლოზს რომ სამებლობა ქონდა კაცები გაე-  
 ყარა და სახლები დაექცივა, თავისი მამული ისევ  
 საყდრისთვის დაედვა და ჩვენც დაგვიმტკიცებია...  
 სიგლითა ამით განუახლეთ...; ორევს ბათაანი და  
 ჯორაანი, მის გარეშემო ალავები რომელიც ქონ-  
 დეს იორს გალმა-გამოლმა....რისაც მქონებელი  
 ყოფილიყოს ახმეტას მეფის ლევანისგან შეწირული  
 ზვარი ერისთვის დროს მძლავრობით მიეტაცათ,

სისვაურებს ეჭირა, ისიც და რაც ახმეტას და უტოს  
 ორვილს გაღმა-გამოლმა სამების ყოფილიყოს...  
 ისეც შეგვიწირავს...ენისელში მცედიური მის სამ-  
 ძღვრამდი ალიაბთას რისაც მქონებელი ყოფილი-  
 ყოს, თასმალურში, საკანს, ენისელში ან სხვაგან...  
 არ მოგვშალოს...საჩერნო არა ეთხოებოდეს რა...  
 ქურდის მძებნელმან კელი ვერ დაიდვას...რომელიც  
 ჩენის სახლის კელმწიფეთაგან მამული და მიწა-  
 წყალი გლეხს კაცს მოეშალოს და გაეყიდოს ისეუ  
 საყდრისთვის მიგვირთმევია. კელმწიფეთაგან შეწი-  
 რული საყდრის მამული არც ეფისკოპოზისა და  
 არც სხვის კაცისაგან არ მოიშლების და არ გაის-  
 ყიდვის, საყდრის გამოწირებით სხვას არ მიეცემის.  
 ნათლისმცემლის უდაბნოს მაკურთხეველი ყოფილა  
 სამებელი და სამწყსო არის და ზემდგომი, ჩვენც  
 აგრეთვე დაუმტკიცეთ...დაიწერა კელითა კარისა  
 ჩენისა მდივან მწიგნობრის ვორჯასპისათა აგვის-  
 ტოს ორსა ქორონუკონსა: ტეტ: ...სეულად შშე-  
 ნიერი ხელი: „სახელითა ლეთისათა კელმწიფე მეფეს  
 დავითს იმამყულიხანს დამიმტკიცებია კელითა  
 ჩვენითა“. — აზის ბეჭედები მეფის, დედოფლის ანნას...  
 ბატონიშვილი თეიმურაზის და ერთიც თათრული.  
 არშაზე: „ქ: ჩენ: შევე: სრულიად საქარ-  
 თველათსი ირაპლი მეორე(sic)გამტკაცებთ მაისის: ბე:  
 ქონთნიკანს: უმთ:“. აზის ბეჭედი (1781.)  
 იმამყულიხანს დავათს მეორედაც დაუმტკაცება ბეჭას  
 მთწერით და ბეჭედით არშაზე.

1710. წ. № 2 ქ. შეწევნითა: და ბრძანებითა:  
 ლეთისათა: ჩვენ... მეფეთ მეფემან დავით(...  
 ქემან ჩვენმა ჯეგან შარზამ)... უამთა ვითარებისაგან...  
 აღარაფერი შენობა აღარ ყოფილიყო რა საყდრის  
 მეტი(ითანე ნათლისმცემელს უდაბნოში)და ისიც მოშლი-  
 ლი და დაქცეული. წმინდანი მლელელმონაზონნი დამ-  
 დგარიყვნენ, დიუ შრომა და გულსმოდგინება  
 დაედვათ, რაც ძალედვათ გაეახლათ მონასტერი  
 და შენობა ჩაეკდოთ. ბატონს მამა ჩვენს, მეფეს  
 ერეკლეს, ქართლი და კახეთი რომ ეპყრა თანაშემ-  
 წე ჰქენოდათ (გუჯრუბი და სოფლები დაკარგუდ-  
 იყოთ და მამულებიც დაკარგოდათ, ბერების კაშისაზრდელი  
 ადრა იყო რათ). მოვადა წინამძღვანი მამა ხარიტონ,  
 მლელელმონაზონნი სეიმონ და ბესარიონ და ყოვე-  
 ლი კრებული; მათ სახრდოსა და მამულს წყალო-  
 ბასა გუიაჯნეს. მუკითხული ვქენოთ. ახეთი ნაშენი  
 სოფელი არა იყო რა, გაცემულიყო, და ნაოვარი  
 უშენი ჩვენი საღალო იორის გაღმა ბალბიანი შე-  
 მოგწირეთ (ნათლისმცემელთ) .. (სამზღვრები) მწარე  
 წყლის ლელე რომ ჩამოვარდების და იორს შეერ-  
 თვის, მის პირდაპირ წითელი კლდე რომ არის მის  
 გადმოსწერივ დაბლა იორს ლელეს შუა რომ გორა  
 არის, ავლით რომ გორებია და მის ძირს რუი  
 გადმოივლის, რუს ატანებით გორა რომ დასწყდე-  
 ბა და საქალაქე შარა ჩამოივლის, მის გასწერივ  
 იერამდი თავის სარწყავის რუის წყლის მოუშლე-  
 ლათ”...(წკევა)...თუ ვინმე მაცილებელი აღგიდგე-

შოდესთ... თქვენს მაკურთხეველს სამებელ ეპისკო-  
 პოზე აცნობდეთ(sic)და ჩვენ მოგვახსენებდეს...  
 და საკანავი მიწა ვერვისგან დაგეპიროს იორს გაღ-  
 მა და არცა ვინ ღალა გამოგაროოს რაც კაცი  
 ღავისახლდეს და რაც შენ გინდოდეს საკანავი, საკუ-  
 კნათ არც ჩვენგან და არც სხვისგან ღალა არ  
 გეთხოვებოდეს. დაიწერა.... კელითა სამებელ მთა-  
 ვარეპისკოპოზის ნიკოლაოზისათა ქორონიკონსა:  
 ტეტ: „ სეუდად „ მეფე იმამყულიხან“  
 შენიშვნა არშავზე სხვა სედათ:

ქ. ამაში რომ სამებელი არის გამოცხადებული,  
 ახლა მეფითა,, კათალიკოზით და კრებითა ნათლის,  
 მცემლის მონასტერი ნინოწმინდელს დარჩა და  
 იმის ეკლესიას, ამად რომე დევლადაც ნინოწმინდ-  
 ლის ეკლესიის ყოფილიყო

სეიმონი

კათადიკოზი	ანტონი	ამტბარებს	1769 წ. დეკ. 3.
და ერებულე და მთე-	სევტი ცხო-	ერებულეს ძენი:	
დი შისი თვასხმაც	ველი;	გიორგი, ლეონ,	
და ძის-ძენი: დავითი	წმიდა სიდო-	იულინ, გაბრიელი,	
და იოანე	ნია.	და ძის თეიმურაზ	
		და შირაინე.	

### 1711. წ. № 82. ახდო დროისა.

ქ. ჩვენ სამებელს იოსებს ბესტალაშვილმან  
 ალფეს და ბერმა და იმისმა ყმამ მარქარაშვილმა  
 გიორგიმ და დემეტრემ სამის დღის მიწა მოგვარ-  
 თვეს საწირავში და საკანონოში ჩახრიალას დაბლა

გზას წაკვრით, თელებს ზემოთ ორი ძეგვი არის,  
 იმის ბოლოს სამებური ძველი რუი რომ არის, ამის  
 წაკვრით ის მიწა ნათლისმცემელის მონასტერს  
 შევსწირე და წმინდა ხარიტონს მივართვი“

**1711 წ. № 5.** „....ესე....ნასყიდობის წიგნი  
 მოგართვით ჩვენ ჩოლაყაშვილმან საგარეჯოს მოუ-  
 რავმან სუფრაჩმა გიორგიმ, შვილმა ჩემმა ბაადურ,  
 ფარემუზ და ჯამასპიმ...თქვენ დოდოს წინამძღვარს  
 ზაქარიას და კრებულთა მონასტრისა თქვენისათა,  
 ასე რომე ჩვენ სომხის ვალი გვემართა და ის სომ-  
 ხის ვალი ოცი თუმანი თქვენ გარდაგვიწყვეიტეთ და  
 იმ ოცის თუმნის ფასად ჩვენ თვალზე ნასყიდი  
 ვენაკი გვქონდა და ის თქვენ მოგეცით ბატონის  
 დედოფლის და ჯანიშინის ბატონიშვილის თეიმუ-  
 რაზის დასტურითა...იმისი (ვენაკის) ნასყიდობის  
 წიგნი თქვენთვის მოგვაცია და რაც იმაში სამძღვა-  
 რი ეწეროს, იმ რიგათ ჩვენ მოგვიყიდია. ამ ფასად  
 კი არ ლირდა ეს ვენაკი, მაგრამ თქვენის კარგკაცო-  
 ბით ამთენი თეთრი გარდაგვიწყვიტეთ...დაიწერა  
 აპრილსა ცამეტსა ქორონიკონსა: ტუთ:... (რვა ბეჭედი)

ოლავერდელი ნიკოლოზ.	დედოფლი ინა.
------------------------	-----------------

**1711 წ.**

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე წიგ-  
 ნი მოგართვით თქვენ საქართველოს ბატონიშვილს

პატრიონს ხვიმონს ჩვენ უდაბნოსა გარეჯისასა საფ-  
 ლაესაზედა წმინდისა დოდოსასა მდგომარეთა და  
 კელალპყრობით მლოცველთა თქვენთა წინამძღვარ-  
 მან ზაქარიამ, მღვდელმონაზონმან გრიგოლ და ეპი-  
 ფანემ და სულერთობილმან კრებულმან ჩვენმან, ასე  
 და ამა პირსა ზედა რომე თქვენად სადღეგრძელოდ  
 და კურთხეულის თქვენის ძმის ბატონის თეიმურა-  
 ზის სასულიეროდ და მოსახსენებელად თხუთმეტი  
 თუმანი თეთრი შემოსწირეთ წმინდას დოდოსა და  
 ჩვენ გვიბოძეთ და ჩვენ იმ თეთრით ვენავი ვიყი-  
 დეთ და მონასტრისათვის დაედევით და მისად სა-  
 მუქფოდ ჩვენ ეს წიგნი და პირი მოგართვით, რო-  
 მე სანამდის ჩვენი მონასტერი იყოს და ჩვენ ვიყ-  
 ვნეთ და ჩვენსა შემდგომად ვინცა ეინ იმ მონასტრის  
 მცველნი შეიძენენ, ყოველს შობას დღეს თქვენთვის  
 სადღეგრძელოდ ჩვენის კრებულით ქამსა ვწირევდეთ  
 და პარაკლისს გარდეიხდიდეთ და ყოველს ნიკოლო-  
 ზობას დღეს კურთხეულის თქვენის ძმის, პატონიშ-  
 ვილის ბატონის თეიმურაზისთვის ჩვენის კრებუ-  
 ლით ქამს ვწირევდეთ და პანაშეიღს გარდავიხი-  
 დეთ....(წევა)....დაიწერა წიგნი ესე ივნისსა ერთსა  
 კელითა სამთაენელ-ეპისკოპოზის კვპრიანესითა, ქო-  
 რონიკონსა: ქრისტეს: აქეთ ათას შვიდას და თერთმეტ-  
 სა და ქორონიკონსა: ტუთ: ხვეულად. „ზაქარია“

მღვდელმო- ნაზონი ეპიფანე.
---------------------------------

არა სჩინს
-----------

შეთრე გვერდზე საკუთარი ხედით ნაწერი ანასია: „...ახლა  
 დასრულებული საბოლოოდ შეილიერებით ბო-  
 ლო მოღებული თავისის სიყვარულის ახალმოზარ-  
 დის ვაჟისკაცის შეილებით საუჯუნო განსვენებას  
 უწევდეთ(?)და სანამდე ცოცხალი ვიყო თქვენს  
 უდაბნოს მამსახუროთ უბედური და სასოჭარკვე-  
 თილებისა ცხედარსა ზედა მდებარი ბატონის რძა-  
 ლი ანა მოგახსენებთ“.

### 1711. წ.

ქ. ჯანდიერიშვილები, ვაჩნაძენი და ახურელნი  
 საკანაკი მიწებზე შეცილდენ. მოვედით ბატონის  
 ბძანებით სასამართლოდ ჩვენ ჩოლაყაშვილი ანბა  
 ალავერდელი ბატონი ნიკოლოზ, მოურავი რევაზ,  
 მოურავი მერაბ, სახლოხუცესი ედიშერ, ხარჭაშნე-  
 ლი ბატონი პართენ, მეითარი ფარსადან, მაყა  
 ბოქაულო უხუცესი. ალავები ვნახეთ და გაესინ-  
 ჯეთ. გუჯარი იყო ძელი წმინდის დაეითისა ბო-  
 ლოს სამზღვარი სწორედ გამოჩნდა. აკურის კევი  
 რომ მღვრივეს კევს შეეყრების ჩავლით ალაზნამ-  
 დის აკურელთ დარჩა. ზემოთ აკურას კევს გაღმა  
 სოფლის პირდაპირ თრი ახო გაეტეხაო ახურელთ  
 ზემო—უზუნაური და ქვემო — ნარბილი, ამაზე შეცილ-  
 დნენ და ბატონის ბძანებაც ასე გვქონდა. ფიცი  
 აჩც ერთისა მომედარიყო; უზუნაური ახო ახუ-  
 რელთ დავანებეთ და დარჩო და ნარბილის ახო ჯან-  
 დიერიანთ და ვაჩნაძეთ დარჩა. ამ თრის ახოს სა-

კუნდრის ღელე გაყოფს. ამ ღელეს ზემოთ ჯანდი-  
 ერიანთ და ვაჩნაძეთ კელი არა აქვთ, და ღელეს  
 ქვემოთ ახურელთ არა აქვთ კელი. ამ გარიგებაში  
 ბატონის ბრძანებით დამწყვდეული მდივანი (?) გორ-  
 ჯასპი და დამწერი ქორონიკონსა: ტუთ: (1711 წ.)

1711 წ. № 29.

ქ. ნებითა...ბატონიშვილმან პატრონშან სვი-  
 მონ შემოგწირეთ და მოგართვით თქვენ უდაბნო-  
 სა გარესჯისასა საფლავს წმინდის დავითისა თხუთ-  
 მეტი თუმანი თეთრი, ასე რომ ჩვენის ყმის მაქან-  
 დარაშვილის გიორგის ვალი სუფრასს გიორგის  
 ემართა, და იმ თეთრისაგან თხუთმეტი თუმანი  
 საფლავსა ზედა თქვენსა მდგომარესა წინამძღვარს  
 ზაქარიას და კრებულთა მისთა მივაბარეთ და იმათ  
 იმ თეთრით ვენაკი იყიდეს და თქვენთვის სამამუ-  
 ლედ დადგეს ... ძმისა ჩემისა.... თეიმურაზის მოსახ-  
 სენებლად... შობის დღეს ჩემთვის სწირევდეთ და  
 ერთს ნიკოლოზობის დღეს ჩემის ძმის თეიმურა-  
 ზისთვის სწირევდეთ თავისის კრებულითა... დაიწე-  
 რა წიგნი ესე თიბათვეს ერთსა. კელითა სამთავრელ  
 ეფისკოპოზის კვიპრიანესითა ქორონიკონს: ქა:  
 აქეთ 1711, ქორონიკონს: ტუთ:

მონა ღვთისა ბატონიშვილი სვიმონ.
---------------------------------------

## 1711 წ. № 32.

ქ. ჩვენ ბატონიშვილმა პატრიონშა სციმონ მოგართვით თქვენ წმინდის დოლოს წინამძღვარს ზაქარიას....ჩვენის სომხის მქონდა რომელის გიორგის თეთრი, ემართა გიორგი სუფრაჩს. იმ სომეხის თეთრიდამ თხუთმეტი თუმანი თქვენ მოგართვით. იმ ჩვენ ყმას ამ თხუთმეტს თუმანს ჩვენ მიეცემთ; რახან სუფრაჩს ეს თეთრი მოგცეს, ეს ყაბზი სუფრაჩს მიეცით. ჩვენი ყმა ანგარიშში ჩაუგდებს. ქორონიკონს: ტეთ: იანვრის: კდ:

ახლო დროისა. ქ. ჯანდიერშელაძისა (ჭანდიერშვილების), ვაჩაძეთ და ოკურელთ მთის საქმე ასე დარჩა: შემოდგომაზედ მდივანი გორჯასპი და ბოჭაულთ უხუცესი უნდა მოვიდნენ, სამართლიანის საქმით მთაც უნდა გაურიგონ, შეარიგონ

მონა დევთისა
მოურავი
რშვასთ
(თათრულიც)

მონა დევთისა
მოურავი
შერებ.

მონა დევთისა
სახლთხუცესი
ედიშერ (შერებ
თათრულიც)

ალავერდელი
ნიკოლოზ.

## 1711 წ. № 33. ახლო დროისა.

ქ. აბარია მონასტრის საქონელი ფრანგს მამაჯანას საარაყე ქვაბი ზარფუშით და მილით, საკულუხე თუნგი.—ქ. არის ქიქაშვილის სახლში ფრანგული ქვაბი მისის ზარფუშითა, ორი სურა, ერთი ფისოლი დიდი ტასტი.—ქ. ერთს ზანდუქში საკელმწიფო აბანოს პერანგი....ქ. ორი ბარტყული...ქ. ნაწილები წმინდათა პანტელემონისა, ისიდორესი,

ქ. შეორის ზანდუკისა დიდი ლანგარი. ქ. ბერძუ-  
 ლი ყოველი წიგნი — არა აკლია რა, თითო წიგნი  
 ყველა არის ქ. რახტიანი ლაგ(ა)მი....

ალავერდელი  
 ნიკოლოზ.

### 1711 წ. № 35.

ქ. ჩეენი ბრძანება არის ბოქაულთხუცესო ბა-  
 ადურ მრამ(?) (გაურკვეველად). ბატონი ნინოწმინდელი  
 და ოქვენ შეიყარენით და ნაცვლები და მოკელები  
 თან იახელით. რაც ჩეენს შეილს მეფეს იმამყული-  
 ხანს ამ დოდოს წინამძღვრისად მისის კრებულისა-  
 თვის პაპიას ბეითალმანის მამულისადა საკანავის წყა-  
 ლობა ექნას, ჩეენც იმ გზით გვიძოძებია და წყა-  
 ლობა გვიქნია. დასხელით და ამ პაპიას კერძი მამუ-  
 ლი გამოარჩივეთ და ამ წინამძღვრას მოაბარეთ.  
 რომ ამ პაპიას კერძს მამულთან მგალობელს კელი  
 არა ქონდეს და რაც მგალობლისათვის წყალობა  
 გვექნას, ამათ კელი ნუ აქვთ. დაიწერა თვესა  
 ივლისსა იზ. ქორონიკონსა: ტუთ:

შოთა დეკონია  
 ბატონი შეი-  
 ლი თეიმუ-  
 რაზ.

### 1711 წ. № 36. ახლო დროისა.

ქ. მდივანბეგი პატა და დავით-გარეჯის წინამ-  
 ძღვარი ონოფრე აკურას კაცებზე ცილობენ და  
 რაც ამ სიაში უტეროს იმაზედაცა და რაც ამაის  
 გარდაის სალაპარაკო რამ იყოს იმაზედაც შეიყარ-

ნენ ეფისკოპოზთაგან ბატონი ალავერდელი, სამე-  
 ბელი და ნინოშმინდელი, დარბაისელი კისიეს  
 მოურავი და ენისელთ მოურავი სახლთხუცესი.  
 სამართალი ქნან და ისე გაასამართლონ. ბოლო  
 მოუღონ, რომე ერთმანეთთან სალაპარაკო ალარა  
 დარჩესთ რა. რაც იმ დღეს არ მოგეახსენეს ამას  
 გარდაის ნურას ალაპარაკებენ. გაასამართლონ,  
 განაჩენი დადგან და ჩვენ მოგვართვან. რომელიც  
 ჩვენ გვებძანებინოს სიაში, ისე გაარიგონ

იმიმყულინან

## 1711 წ. № 37. ახდო დროისა.

ქ. უნდა მიესცეთ ჩვენად სადღეკრძელოდ  
 ჩვენ მამუკა ჩერქეზშია და ალალად: გაგვიჩენია ჯა-  
 მაგირი წელშიგ დაუკლებელად ოცი კოდი პური და  
 ორი საპანე ტკბილი წმინდის დაცით გარეჯის წინამ-  
 ძლეარის პავლესათეინ და უდაბნოს მყოფთაგან.

 შამუქა  
 ჩერქეზი.

## 1711 წ. № 38. ახდო დროისა.

„მრავალ გვარად შეწუხებული დედოფალი  
 ანნა ვკადრებ ჯვარის მტეირთველო, ჩვენ მაგიერად  
 ჩვენსა დიდსა იმედსა ბატონს ნინოშმინდელს და  
 წინამძღვარს ონოფრეს მრავალი მოკითხეა და  
 ნათლით შემოსილს კელს მთხვევნა მოახსენეთ.

მერმე ჩაც პაპიას წილი მამული იყოს, დოდოელთ  
 დაანებეთ და ათუნა (დათუნა?) ესთიბრაშვილის  
 ნაქონი მამული მგალობელს დაანებეთ განდ ყვენის(?)  
 კაცი ხმ (ხომ) მანდ არის, თქვენ ხომ უსამართლოს  
 არ უზამთ. რატომ არ დაჯერდა. ეხლა დაჯერდეს.

 დედოფლი  
 ანნა.

## 1711 წ. № 39. ახლო დროისა.

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ დავით-გარესჯის  
 წინამძღვარმა შამა ონოფრემ თქვენ წმინდის დოდოს  
 წინამძღვარს შამა ზაქარიას და თქვენს კრებულთ,  
 ასე რომე ერთი ძევლითგანი გუჯარი თქვენი და  
 ჩვენის მონასტრის საერთო ვიპოვნეთ მეფის ალექ-  
 სანდრესაგან გაახლებული ჩვენის უატისა და თქვე-  
 ნის ტაძრებისა და კიდემ სხეისა. ის გუჯარი ჩვენს  
 მონასტერში აირს და როდესაც სალაპარაკოდ ით-  
 ხოვთ მოგარმევთ... ჩვენის საყდრის გუჯრებში  
 არის

მონა ღვთისა
დავით გარეს-
ჯის წინამძღ-
ვარი შაკუტა
ძე ონოფრე

## 1711 წ. № 40. ახლო დროისა.

ქ. ესე წიგნი მოგეცით მე ლოუაშვილმა(?) გი-  
 ორგიშ თქვენ ბატონს წინამძღვარს ონოფრეს:  
 ოთიას მეტრეველს ჩემი ორი მილათული (2 მ.)  
 ემართა. ოთია ბაღში მომკვდარიყო; ობოლი დარ-

ჩომოდა; ოქვენ დაიხსენით; სამი მინალთული მიძღ-  
 დეთ. მაგასთან მე ხელი არა მაქვს, არც იასაულს.  
 მე უნდა გაეისტუმრო.. მოწამენი. .ალია იასაულიც  
 მოწამე არის ამისი †.

**1711 წ. № 41. ახლო დროის.**

ქ. ჩეენ მაგიერად კარის ჩეენის მოედნებს  
 სახლთხუცეს-მდივნებს საგარეჯოს მოურავს ნაც-  
 ვალს ასე უაშეთ, რომე წინამდლვარმა ონოფრებ  
 წმიდის დაეთის გუჯარი მოგვართვა, გავშინჯეთ  
 და მისი ყმა ჩეენის კელით დიალ ყოვლისტრით  
 გათავისუფლებული და აზადნიც (აზატნიც) ყოფი-  
 ლან და ახლა რაგინდრასფერში სარჯელი დაგიწ-  
 ყიათ და დღეის იქთ ნურასფერში ამათზე კელი  
 ნუ გაქვსთ, ნურც ამ გუჯარს უტეხთ.. თუარა...დიალ  
 ვიწყენთ. ხელუდად. „მეფე კონსტანტინე“

**1712 წ. გქედი გრაგნიდი გადასილ სქედს თეთრს  
 ქადაღდზე. სიგრძით შეიძი არშინი და ორი ვერშოვი  
 სიგანით  $6\frac{1}{2}$  ვერშოვი; ერთშეორუზე გადაწებებულია 13  
 თაბახი; დანაწებებზე დასხმულია ბეჭედი თხოვთე მაჭუტა-  
 ძისა; ერთა შხარე დაწერალია, შეორუ პა დაუწერავი**

ქ:ეჭა. დიდება, პატივი და თაყვანის ცემა დასა-  
 ბამთა საფუძველისა დამდებელსა, დამქსველსა ცათა  
 და ქვეყანისასა ღმერთსა საუკუნოსა, მიუწდომელსა,  
 უხილავსა, დაუსაბამოსა, აუგებელსა, უკორცოსა,  
 დაუსრულებელსა, მარტივსა, უცვალებელსა, უფსკრუ-

ლსა უსაზღვროსა, უნიკოტოსა, ურაბაშოსა, გარე-შე-  
 მოუწერელსა, უვნებელსა წყაროსა სახიერებისა და  
 სიმარტლისასა, ნათელსა მიუაჩრდილებელსა, ძლიე-  
 რება თეალთ შეუდგამსა, უზემთაესსა ყოვლისა სა-  
 ზომისა და მისთომისა, კეშარიტსა, ყოველად ძლიერ-  
 სა, ყოველთა შემოქმედსა, ყოველთა მხედველსა  
 ყოვლისა მცყრობელსა, ყოველთა გამგებელსა მეუ-  
 ფესა და კელმწიფე ერთსა ღმერთსა, სამ-გუამოვნე-  
 ბით ცნობილსა, მამასა და ძესა, და სულსა წმიდასა  
 ყოვლად განუყოფელსა თეინიერ გუამოვნებისა და  
 თვითებისა, მამასა უშობელსა, ძესა შობილსა და  
 სულსა წმიდასა გამოსულსა, მამასა მიზეზსა ძასა შო-  
 ბისა და სულისა გამოვლინებისა, ცნობილსა მამასა  
 ღმერთად და მამად და ცნობილსა ძესა ძედ და  
 ღმერთად და ცნობილსა სულსა წმიდასა მამისაგან  
 გამომავალსა სულად და ღმერთად. და აღეიარებთ  
 წმიდასა სამებასა ერთ არსებად ერთ ბუნებად, ერთ  
 ძალად, ერთ ნებად, ერთ მთავრობად, ერთკელმწი-  
 ფობად, ერთ უფლებად და ერთ მეუფებად სამითა  
 გუამითა საღვთოთა ჩამეთუ შეუჩევნელად შეიგრ-  
 თების წმიდა იგი სამ, გუამოვნება და განუყოფლად-  
 განიყოფებს საკვირველად მამა უშობელი და დაუ-  
 საბამო, ყოველთა მიზეზი, ჩამეთუ იგი მხოლო არს  
 უმიზეზო და უშობელი, ყოველთა შემოქმედი რა-  
 მეთუ ოდეს იყო მამა იყოდეცა და სული წმიდაცა,  
 ვითარმედ თეინიერ ძასა არა იყო მამა, არამედ იყო  
 ძე მამისა თანა თანა ; არსი და თანა— მოხაყდრე

უწინარეს ყოველთა საუკუნეება; რამეთუ „ყოველივე მის მიერ შეიქვნა“ ბუნება დაბადებულთა, „და ოვინიერ მისია არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა“. ეგრეცა სული წმიდა თანა-გამგებელი, უფალი მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა ცხოველს და ძისა-თანა თაყვანის იცემების და იდილების, ვითარცა თანა-არსი და თანა-დაუსაბამო სული წმიდა, სული ღვთისა, სული წრფელი, სული მთავარი, წყარო ცხოვრებისა და სიწმიდისა, ღმერთი თანა-მამით და ძითურთ დადებული, დაუბადებელი, ყოველთა დამპადებელი, ყოვლისა მჰყრობელი, ვითარცა მამა და ძე, რამეთუ არა შეიცვალების მამა ძედ და სულად წმიდად და არცა ძე მამად გინა სულად წმიდად, და არცა სული წმიდა იჩემებს მამობასა, გინა ძეობასა, არამედ ერთ არიან სამნივე ღვთაებითა და ბუნებითა ოვინიერ უშობელობისა, შობისა და გამოსვლისა, და რა არს უშობელობა გინა შობა და გამოსვლა წმიდისა სამებისა — მან მხოლომან უწყის და ჩუენდა გამოუძიებელ არს, რამეთუ ესრეთ იყავნ ცნობა და გულის-ხმის-ყოფა მამისათვეს და ძისათვეს და სულისა წმიდისათვეს: არა განიყოფებიან ძალითა და კელმწიფობითა, რომლისაგან შეიქმნებს ყოველნივე ხილულნი და უხილავნი, რაოდენნი იხილების და რაოდენ უხილავ არს ცასა და ქვეყანასა შინა, წყალთა, მთათა და ბორცვთა შინა. — და კვალად აღიარების ერთი წმიდა სამებისაგანი, მეორე გუამი —

ძე ღვთისა და ძე კაცისა, პირეელ საუკუნესა მა-  
 მისაგან შობილი უქამოდ და შემდგომად აღსა-  
 (ს)რულთაეამთასა ქალწულისაგან განკურციელებულ  
 ქმნილი ქრისტე სრულად ღმერთად და სრულად  
 კაცად, ორითა ბუნებითა და ერთითა გუამითა  
 საღვთო(ც)თა, ვითარცა ბძანებს წმიდა სახარება: „მე  
 და მამა ერთ ვართო“, და კვალად იგივე ბძანება: „  
 „მამა ჩემი ჩემისა უფროს არსო“, რამეთუ მამისა  
 სწორობით კსენება ღვთაების ბუნების მომასწავე-  
 ბელ არს და მამისა უფროსად კსენება კაცობრივსა  
 ბუნებასა მოასწავებს. ხოლო სიბრძნით გამგებე-  
 ლისა წმიდისა სამებისა, რომლისა მარჯვენით მდგო-  
 მარე არს წმიდა მარიამ, საუკუნო(ც)ს მამის ასული  
 და დედა ძისა და დედოფალი სულის წმიდისა, და  
 კვალად არიან მაღიდებელად წმიდისა, სამებისა:  
 საყდარნი, სერაბინნი, ქერაბინნი, უფლებანი,  
 მთაერობანი, ძლიერებანი, კელმწიფებანი, მთავარ-  
 ანგელოზნი და ანგელოზნი და კვალად მოციქულ-  
 ნი, წინასწარმეტყველნი, მღვდელთ-მოძღვარნი,  
 მოწამენი მამანი, მამათ-მთავარნი, ქალწულნი,  
 მარტვილნი და ყოველნი წმიდანი მისნი და დაუ-  
 დუმებელითა კმითა სამგზის წმიდასა გალობასა  
 იტყვან: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფა-  
 ლი საბაოთ“: საესე არიან და ყოველთავე ცათა  
 ალავსებენ საშინელისა ღალადებისა მათისაგან და  
 სხვანი სხვასა საშინელსა გალობასა იტყვან და  
 სხვანი სხვასა; და სხვანი იტყვიან: „წმიდაო ღმერ-

თო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო — შეგვიწყალენ ჩვენ“, უგალობენ და აღიდებენ წმიდასა სამებასა ერთ-არსებასა, რომელმან შექმნა ადამ პირველი კაცი, ვითარცა თქუა: „ვქმნათ კაცი ხატად და მეზაესად ჩუენდა“, რომელსა უბძანა ალორძინება და განმრავლება, და ალორძნდენ და განმრავლდენ ესრეთ ვითარცა უწყით.

ხოლო ჩუენ მსასოებელმა შენმან, ცოდვილმან და ყოველთა მონაზონთა უნარჩევესმან, მტკიცესა ამას სარწმუნოებასა ზედა მყოფმან მაჭუტა-ძე ონიფრე ყოფილმან ონისითორემ, წინამძღვარმა ამა შენისა უდაბნოსამან, ჭოთ წმიდაო დაეით-გარესჯელო, ვიღვაწე და ვიმუშაკე კნინნი ესენი და შევსძინე წმიდასა სამარხოსა შენსა, რათა მეობ მექქნა წინაშე ღვთისა დღესა მას ღიდსა განკითხვისასა. რამეთუ ქორონიკონი იყო ქრისტეს აქეთ ათას შეიდას ათორმეტი, ქართველთ შეფეთ-მეფისა ყოვლად უძლეველისა, მენისა და ახოვანისა, დი-დისა და ღიდად სახელ-განთქმულის თეიმურაზ კახთ შეფეთ-მეფის ძის-ძისა, პირველის ერეკლესა და დედოფალთ-დედოფუალისა ანნასი და ძისა მა-თისა იმამყული კახთ მეფისა და ძმისა მათისა თეი-მურაზისა მრავალიმც არიან წელნი ცხოვრებისა მა-თისანი,—ხოლო მათის შეწევნითა და კელის მომართვითა აღვაშენე უდაბნოსა შინა საყდარი იოვანე მახარებელისა და კვალად პალატები და სხეანი კვე-თილნი კლდის სახლები, გალავანი და კოშკები

და საყდრის კანკელი, ბევრის ხარჯ-გაწევით მურა-  
 სად დახატული და შევამკევ პატიოსნის ხატითა,  
 ჯეარითა, სიწმიდის იარაღითა, შესამოსლითა და  
 წიგნებითა — რამეთუ ასვენია წმიდას დაჭაოს საფ-  
 ლაგზე ხატი მოჭედილი მაცხოვრისა ერთი, არსების  
 ხატი მოჭედილი ერთი, ხატი ყოვლად წმიდისა  
 მოჭედილი ორი, ხატი ყოვლად წმიდისა კარიანი  
 ერთი, ხატი ყოვლად წმიდისა გარდამოკენისა ერთი,  
 ხატი მოჭედილი სამებისა ერთი, ხატი წმიდის ნიკო-  
 ლოზისა ერთი. — წმიდას ნიგოდოზის საყდარში ასვე-  
 ნია: ხატი მოჭედილი წმიდის ნიკოლოზისა ერთი,  
 ხატი მოჭედილი ყოვლად წმიდისა ერთი, ხატი  
 მაცხოვრისა ერთი. — ითვანე მახარობლის საყდარს  
 ასვენია: ხატი ივანე მახარობელისა კარებიანი რუ-  
 სულად მოჭედილი თვალებითა და რუსულის მარ-  
 გალიტებითა ერთი, ჯვარი ოქროსი მინაქრით მუ-  
 რასა თვალითა და მარგალიტისა ერთი, ხატი ალ-  
 დგომისა ერთი, ხატი თორმეტ საუფლო კარიანი  
 ერთი, ხატი წმიდის ნიკოლოზისა ერთი, ხატი  
 წმიდის ელიასი ერთი, ხატი იოვანე ნათლიმცემლი-  
 სა ერთი, ხატი ყოვლად წმიდისა და პეტრე-პავ-  
 ლესი ერთი, ხატი ფერის-ცეკალებისა ერთი. — ამათ  
 გარდა სასენაგო მდგიმას წანამდგარს უსვენია:  
 წმიდის ნიკოლოზის ხატი ერთი და ყოვლად წმი-  
 დისა ერთი, ბარნაბეს ხატი ყოვლად წმიდისა ერთი,  
 ბზობისა ერთი, შიოს ხატი მოჭედილი მაცხოვრისა  
 ერთი და ყოვლად წმიდისა ერთი; — იმერელს გრი-

გადს ხატი სამებისა ერთი, მეორე გრიგოლს ხა-  
 ტი ყოვლად წმიდისა ერთი; .გურიულ ნიჭოდოზის  
 ხატი სამებისა ერთი, დემეტრეს ხატი მაცხოვრისა  
 ერთი; პავლეს და სილოვანეს ხატი მაცხოვრისა  
 შოქედილი ერთი, გერმანეს ხატი წმიდის ნიკოლო-  
 ზისა ერთი; ბართლომეს ხატი კოზმან-ლამიანესი  
 ერთი.-ბოგნელის საფლაგზე ასვენია ხატი მოქედი-  
 ლი ყოვლად წმიდისა ერთი და სამებისა ერთი.—  
 არა შესაძლების იარადი: იეზდის ისფერის ფარ-  
 ჩის. თავის შეფერებულის აშიითა ბისონი ერთი,  
 ფილონი თეთრის ხარისა, სირმით ნაკერის სამერი-  
 თა ერთი, ფილონი თეთრის დიბისა მძიმედ სირმით  
 ნაკერის სამერითა ერთი, ფილონი ჩაქსული ყეით-  
 ლის დიდის დიბ-სა, კაის მძიმეს აშიითა ერთი,  
 ფილონი შავის იეზდის ფარჩისა, წითლის იეზდის  
 ფარჩის სამერითა და კაის მძიმეს აშიითა ერთი,  
 ფილონი თეთრის იეზდის მძიმე ზარბაბისა თავის  
 შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი ჩაქსული  
 იეზდის შალ ზარბაბისა თავის შეფერებულის აშიი-  
 თა ერთი; ფილონი თეთრი იეზდის მძიმე ზარბაბისა  
 თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი წითე-  
 ლი მძიმე ზარბაბისა თავის შეფერებულის აშიითა  
 ერთი; ფილონი ყვითლის საის ხარისა თავის შეფე-  
 რებულის აშიითა ერთი; ფილონი წითელი ატლას  
 ბაბთისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილო-  
 ნი ისფერი იეზდის ფარჩისა წითლის ყაბავარის  
 აშიითა ერთი; ფილონი ყვითელი ატლას-ბაბთისა

ცის ფერის იშიითა ერთი; ფილონი წითელი ატლას-ბაბთისა თეთრის იეზდის ხევნარიანის აშიითა ერთი, ფილონი ნახმარი თეთრის დიბისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი წითელი ატლას-ბაბთისა იეზდის ფარჩის აშიითა ერთი, ფილონი ყირმიზის ხარისა თავის შეფერებულის სამერითა და აშიითა ერთი; ფილონი ხათაისა ზარიანის ლობდნის სამერითა და თავის შეფერებულის აშიითა ერთი, ფილონი თეთრის ქაშისა, წითლის ობიერის სამერითა და თავის შეფერებულის აშიითა ერთი, ფილონი მავის ლობდნისა თავის კაის მძიმეს სამერითა და თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი ყვითელი დარაი-ბაბთისა თავის შეფერებულის სამერითა და აშიითა ერთი; —

არის სტიხარი იეზდის ატლას-ბაბთისა თავის დიბის აშიითა ერთი; სტიხარი ყირმიზი ზარბაბის ხარისა ჩაქსული თავის შეფერებულის აშიითა ერთი, სტიხარი თეთრის ხითაისა მწვანის აშიითა ერთი, სტიხარი ისფერი ხათაისა მწვანის ხარის აშიითა ერთი, სტიხარი წითელი ხათაისა თავისი ჩაქსული მძიმის ფარჩის აშიითა ერთი; სტიხარი წითელი იეზდის დარაი-ბაბთისა თავის იეზდის სამერითა და კაის ფარჩის აშიითა ერთი, სტიხარი ფერად-ფერადის ფარჩისა თავიანთ აშიითა შვიდი. — ამ სხვა სტიხართ გარდა სტიხარი ყვითელი საის ხარისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი, სტიხარი წითელი ხათაისა თავის საფერის აშიითა ერთი; კიდევ სტი-

ხარი ერთი, სტიხარი ჩაქსული ხათაისა თავის  
 შეფერებულის აშითა ერთი, სტიხარი მწვანე  
 ატლასისა თავის შეფერებულის აშითა ერთი.—

არის ოდარი მძიმედ ოქრომკედით ნაკერი  
 ოთხეს მურასას ოქროს ღილითა (ეს ოდარი დღეს  
 დაცუდა სააკლესით შეზეუში, თბილის); და სამი  
 საია ოქროს ღილითა და ერთი გილანურის მინაქ-  
 რის ღილითა ერთი; ოლარი წითელი ფრანგული  
 ხარისა, ექვსის დაფერულის ღილითა ერთი; ოლარი  
 ისფერი ხარისა აშიიანი, ჯვარებით ნაკერი, ოთხის  
 დაფერულის ღილითა ერთი; ოლარი დიბისა ერთი,  
 კიდევ ყვითლის დიბის ოლარი ერთი, ოლარი  
 თეთრის იეზდის ზარბაბის და აი-ბაბთისა ერთი; ოლარი  
 თეთრი იეზდის ზარბაბი ატლას-ბაბთისა ერთი,  
 ოლარი კაის მძიმეს ფარჩის ჩაქსული იეზდის ზარ-  
 ბაბისა ერთი, ოლარი წითლას ლობდნისა ოქრო-  
 მკედის აშითა ერთი, კიდევ ამათ გარდა ოლარი  
 ფერად-ფერადის ფარჩისა ხუთი; ერთს ექვსი  
 ვეცხლის ღილი აკერია—

არის სარტყეგდა: მძიმედ ნაკერი ოქრო-  
 მკედითა, მუშაბალათ მოჭრილის ვეცხლის თავითა  
 ერთი; სარტყელი ოქრომკედით ნაკერი, ოქროთ  
 დაფერულის თავითა, ზედ მთავარ-ანგელოზნი გამო-  
 უანილნია ერთი; სარტყელი აბრეშუმით მოქსოვილი  
 ოქროთ დაფერულის ვეცხლის თავიანი ერთი; კიდევ  
 სარტყელი ვეცხლის თავიანი ერთი.—არის ენქერი  
 მძიმედ ნაკერი შეხვილისა და წერილის მარგალიტითა

და ოკლებით შემცული ერთი (საქართველოს შეზეულშია  
 დაცული); ენქერი ნაკერი სირმითა და ოქროს ღილითა  
 ერთი, ენქერი ნაკერი სირმითა და ოქრო-მკედლითა  
 ოთხი, — ენქერი მუყაიაშის ფარჩისა ერთი ერთის  
 ვეცხლის ღილიანი, — კიდევ ენქერი ერთი. — არის  
 საბუკრი სირმით ნაკერი თორმეტის წყვილის  
 ვეცხლის ჯაჭვითა და თავის სახლათებითა წყვილი  
 ერთი, — საბუკარი ნაკერი სირმითა თორმეტი ვეცხლის  
 ჯაჭვითა და ორის სახლათითა წყვილი ერთი, — საბუკარი  
 კარი ნაკერი, ხარებაა გამოყვანილი, წყვილი ერთი, —  
 საბუკარი თეთრის ღიბისა წყვილი ორი, — საბუკარი  
 კაის ფარჩის წვრილის ვეცხლის ღილებითა წყვილი  
 ერთი, — საბუკარი ზარბაბისა და ხათაისა ფერადები  
 წყვილი ოთხი, — კიდევ საბუკარი წყვილი ერთი. —  
 არის სიწმიდის დარაღი: ბარძიმი დაღი ვეცხლისა  
 ოქროთ დაფერული ერთი; ფერული დიდი ვეცხლისა  
 ოქროთ დაფერული სამი, — კამარა ვეცხლისა ოქ-  
 როთ დაფერული ერთი, — კოვზი ვეცხლისა ოქროთ  
 დაფერული ერთი, — მინაქრის ტარიანი ლახვარი  
 ერთი; კიდევ ბარძიმი ვეცხლისა ერთი, — ფერული  
 ვეცხლისა ორი, — კამარა ვეცხლისა ერთი, — კოვზი  
 ვეცხლისა ერთი, — თევზის კბილის ტარიანი ლახვარი  
 ერთი, — სპილენძის სასეფისკვრე თევზი ერთი, —  
 კიდევ ვეცხლის კოვზი ერთი, — კიდევ ლახვარი  
 ორი, — პურის საკურთხის კალის დიდი ნალბაქი  
 ერთი. — არის დაფარნა: დიდი მძიმედ სირმით ნაკერი  
 გარდამვსნისა ერთი, დაფარნა მძიმედ ნაკერი ოქრო-

მკედითა ერთი, — კიდევ დაფარნა ნაკერი ერთი,  
 კიდევ დაფარნა ნაკერი ოქრომკედითა გარდამო-  
 კსნისა ერთი, — კიდევ ოქრო-მკედით ნაკერი  
 დაფარნა ერთი, — დაფარნა მძიმის ფარჩისა  
 ერთი. — არის პერექედი მძიმედ ნაკერი ერთი;  
 კიდევ მძიმედ ნაკერი წითელს ხავედზე  
 პერექელი ერთი, — პერექელი ნაკერი ორი - ერთი  
 მაცხოვრისა და ყოვლად წმიდისა, — პერექელი  
 ფარჩისა ფერად-ფერადი ექვსი. — არას კონდავი კელით  
 დაწერილი შეიღი, სტამბისა ხუთი, კიდევ რუსულზე  
 გარდმოწერილი კონდავი კაის მარგალიტის სანიშ-  
 ნითა და კაის ფარჩის ბოხჩითა ერთი; ისფერი ატ-  
 ლას-ბაბთის იეზდის ფარჩისა, წითლის იეზდის  
 ფარჩის აშითა და თორმეტის ვეცხლის ალყითა  
 ჭარის ფარდა ერთი, — და იმისთანავე ფარჩისა  
 აშითა ცრაპეზისა გარდასაფარებელი ერთი. —  
 ერთი საცეცხლური ვეცხლისა ერთი და ბრინჯაოსი  
 ერთი; — სახაზე სპილენძის ჯამი თავის თაშმიდურის  
 კაის მოჭრილის საის ჯვარითა ერთი.

არის წიგნები: წმიდა სახარება პატიოსანი,  
 ვეცხლით მოჭედილი და ოქროთ დაფერული ერთი, —  
 სახარება მგრგლოვანი (ქსე-იგა ასთმთავრულად ტეაზე  
 ნაწერი) ორი; — სახარება კელით დაწერილი ორი  
 და სტამბისა ერთი, სამოციქულო კელით დაწერილი  
 ერთი და სტამბისა ერთი, — გულანი სრული და  
 პატიოსანი (ახლა დაცული საქალესით შუზეუშები) ერთი; —  
 მათეს თავის თარგმანი ერთი, — მეტაფრას წლისა

ბედნიერის დლეებისა ერთი; სეკდენბერ-ოკდონბერისა  
 ორისაე თვის მეტაფრასი ერთი, — კლემექსი ერთი, —  
 ეფრემი ერთი, — მამათ-ცხოვრება ერთი, — სვიმეონ  
 საკვირველთ-მოქმედის საკითხავი ერთი, — ბარა-  
 კლიტონი კარგი ორი, და ეტრატის (ესეაგა ტჟავზე  
 ნოწერი) ძველი ერთი, — კურთხევანი კარგი ერთი, —  
 ჯიღი სჯულის კანონი ერთი, — დავითი კელით-  
 დაწერილი ერთი, მღვდლისა და ერას კაცის დიმა-  
 რების წესები თან უწერია, — კიდევ დავითი კელით  
 დაწერილი ერთი, — ტვიბიკონი კარგი და პატიოსა-  
 ნი ერთი, — ეაში ერთი, — ლოცვის წიგნი ერთი, —  
 სტოუიერი ერთი, — ბალაგრაძის ერთი, — სვეტის  
 ცხოვდის, ცხოვრება წმიდის ნინოსი, ითვანე  
 ზედა-ზედენებისა, წმიდის დავითისა და წმიდის  
 შიოსი ეუმღა თავითნო საგადაბეჭ-სახარება-  
 სამოციქულოთი (დაცული საეკლესიო მუზეუმში); — წი-  
 გნი სწავლისა: თავს წმიდის დავითის ცხოვრება და  
 საგალობელი უწერია, — ძველი სვინაქსარი ერთი, —  
 სწავლის ძველი ეტრატის წიგნი ერთი, — კიდევ ძვე-  
 ლის ეტრატის სწავლის წიგნი ერთი, — ზადიკი და  
 სადღესასწაულო ერთად შეკრებული ერთი, — მარ-  
 ხვანი ერთი, — ლოცვის წიგნი მიცვალებულის  
 წესითა ერთი.

ეს არის სპადენძის იარაღი: ქვაბი დიღი ორყუ-  
 ლ რიანი ერთი, უყურო ქვაბი იმის მომტანო ერთი, —  
 ჯე ქვაბი იმისგან უმცროსი უყურო ერთი, — ქვაბი  
 ჯე იმისაგან უმცროსი უყურო ერთი, — ქვაბი ორყური-

უ ანი პატარა ერთი, ქვაბი უყურო პატარა ერთი,—  
 უ კიდევ ქვაბი დიდი ორყურიანი ერთი, — უყურო  
 მომცრო ქვაბი ერთი, — კიდევ იმის ტოლი უყურო  
 უ ქვაბი ერთი, — ეკლიანი პატარა ქვაბი ორი, — ქვაბ-  
 ში ქოთანა ერთი, — იქნა ამისი ჯუმალი დიდი და ცოტა  
 ჭრა ათორმეტი. — სინა დიდი ორი, ზარფუში ერთი; ყაბი  
 ჭრა ერთი; ოუშფადანგი ერთი, ლანგარი ერთი, კიდევ  
 ჭრა ლანგარი ერთი; საძროხე ლანგარი ექვსი; საფლავე  
 ჭრა თეფში ორი, ნალბაქი ცხრა, ჯამი ორი, მალთაფა  
 ჭრა ორი, ტაფა დიდი და ცოტა ხუთი, ტაშტი ოთხი,  
 ჭრა ალთაფა ორი, სარეცხი დიდი ტაშტი ერთი, საქონე  
 ჭრა ალთაფა ერთი, ლანგარი, ნალბაქი, თეფში, ჯამი,  
 ჭრა მალთაფა — ყველას ჯუმალი ოცდა ექვსი. ჩამჩა  
 ჭრა ერთი, ქაფქირი სამი, დიდი სანაფურე ერთი, სურა,  
 ჭრა სალვინე ერთი; სათბობი თუნგი ორი, ნაძაგდანი  
 ჭრა ერთი, ჭის თუნგი ერთი, კალის საარაყე ოყა ერთი,  
 ჭრა რუსულა კალის სამარილე — ცალგნით სანელებელი  
 ჭრა ჩაიყრების და ცალგნით მარილი; არაყეს შარანი  
 ჭრა თავის მინებითა, ბროლის სიჩირთა.

არის გერხელის თასი ორი; ვეცხლის ფიალა  
 ჭრა ერთი, ორხეუა ახალი დიდი ორთუმან-ნახევრად  
 ჭრა ნასყიდი ერთი; პატარა ორხეუა ერთი, კიდევ ზომი-  
 ჭრა ერთი ორხეუა ერთი, მოძველო ორხეუა ერთი, ჯეჯიმი  
 ჭრა დიდი ერთი, — არის სუფრა დიდი ორი და კიდევ  
 ჭრა სხვა სუფრები და სუფრის იარაღები. — ქალაქს და  
 ჭრა თვალზე თუ თან-სადევნებელად წინამძღვარს აქვს  
 ჭრა კელით დაწერილი უამნი სტამბის უამნზე გარდაწე-

რილი და სხეაც ბევრირამ ჩამატებული თავის მა-  
 რგალიტის სანიშნითა; სტამპის დავითი ერთი, რეა-  
 ხმა, ბარაკლიტონი და ერთი მგზეფსი ერთად შეკ-  
 რული, სტამპის სახარება ერთი, სამოციქულო  
 ერთი, ხატი ვეცხლისა ყელსაკიდი სამებისა—საზია-  
 რებელი ნაწილი ჩაიდების;—კიდევ ქალაქს სადგომს  
 ხატი მაცხოვრისა და ყოვლად წმიდისა ვეცხლით  
 მოჭედილი და ოქროთ დაფერული ერთ კუბოთ  
 გაკეთებულია;—თვალზე ხატი ხარებისა ერთი  
 კეცხელის იარაღი: თასი მომცრო სამი, ფიალა  
 ვეცხლისა მოდიდო ერთი;—ძვეშაფენი: ორხუა ქირ-  
 მანისა ერთი, მოძველო ორხუა დადი ერთი, ქეჩა  
 ორი;—სძიღენძის იარაღი: კელიანი ქვაბი ერთი,  
 უყურო ქვაბი ერთი, წვრილი ქვაბი ორი, ტაფა  
 ერთი, თევზი, ჯამი, მალთაფა ათხუთმეტი, ტაშტი  
 ერთი, ალთაფა ერთი, საბობი თუნგი ერთი,  
 სალენინ სურა ერთი, სანაქურე ორი, კალის საყი-  
 ნულე ბადია ერთი, ავანგ-დასტა ერთი, კიდევ  
 ავანგ-დასტა ერთი;—თვალზე საარაყე დადი ქვაბი  
 თავის ზარფუშითა და გაწყობილობითა ერთი; კიდევ  
 ქვაბი საარაყე თავის ზარფუშითა და გაწყობილო-  
 ბითა ერთი; ჩაფი საწყაო სპილენძისა ერთი.

აღვაშენე თვალზე საუდარი შეტრე-პაგლესი  
 და შევამკე პატიოსნის ხატითა, ჯვარითა, სიწმიდის  
 იარაღითა, შესამოსლებითა და წიგნებითა.—ასევენაა...  
 აქ ეჭვის სტრიქნის ალაგი დატოვებულია ცარიელია:

ჩაწერა ნდომებიათ, მაგრამ პეტრე-ზავლეს ეპლესიას  
 ხატ-ჭვარ-სიწმიდენი ჩაუწერედი დარჩენათ)

არას ფლიდონი წითლითა და ყვითლით ჩაქსული  
 და ზარბაბი თეთრის იეზდის დარაი-ბაბთის სამერითა და  
 მწვანის ხარის აშითა ერთი, — ფილონი წითელი  
 ზარბაბის დარაი-ბაბთი ჩიგინი წითელ-ყვითლით  
 ჩაქსული ზარბაბის სამერითა და მწვანეს ხარის  
 აშითა ერთი, — ფილონი მწვანე ჩიგინი დარაი-ბაბ-  
 თისა თეთრი იეზდის ზარბაბი დარაი-ბაბთის სამერითა  
 და წითელი ჩიგინი ზარბაბის აშითა ერთი, — ფი-  
 ლონი წითელი დაბალი ატლას-ბაბთისა ერთი. — არას  
 სტიხარი წითელი ზარბაბის ყაბავარის აშითა ერთი, —  
 სტიხარი თეთრის ხათაისა წითლის ხათაის აშითა  
 ერთი, — სტიხარი ისფერი შალყუთნისა ერთი, —  
 არას თლარი თეთრი ზარბაბისა ერთი, — კიდევ იმავ  
 თეთრის ზარბაბის ოლარი ერთი, — ოლარი ჩაქსული  
 და წითლითა და ცისფერითა ერთი, — კიდევ იმავ ჩაქსუ-  
 ლის ფარჩისა ოლარი ერთი, — ოლარი შავის იეზდის  
 ზარბაბისა ერთი, — ქმარი ვეცხლისა ერთი, თა-  
 ვითა. — ქ. კიდევ ქამარი ვეცხლის თავებითა ორი, —  
 გინგიდა წითლის ზარბაბი-დარაი-ბაბთისა ერთი,  
 წითლის ატლას-ბაბთის გინგილა ერთი: წითლის  
 ხათაის გინგილა ერთი; საბუჯარი ყვითლისა და  
 3 თეთრის სიჩმით ნაკერი, ხარებაა გამოყუანილი  
 წყვილი ერთი, — თეთრი იეზდის ზარბაბი-დარაი-ბაბ-  
 თის საბუჯარი წყვილი ორი; თეთრი ხათაის საბუჯარი  
 თავის აშითა წყვილი ორი, — წითელი იეზდის

ჭ ზარბაბის საბუარი თავის აშიითა ერთი, მწვანის  
 დ ატლასის საბუარი წყვილი ერთი; — არ ს სიწმადის  
 ც იარაღა: ბარძიმი ვეცხლისა ორთუმან ნახევრისა  
 ჭ ერთი, ფეშეუმა ვეცხლისადიდი ორი, და სასეფი-  
 ს სკვრე ბრინჯაოსი ორი, და ვეცხლის კამარა  
 ჭ კოვზი და ორი ლახვარი, — პერექელი წითელი  
 ჭ იეზდის ზარბაბისა ისფერი იეზდის ზარბაბის  
 დ აშიითა ერთი, — ყვითელი დიბის პერექელი თავის  
 ჭ ფერადის აშიითა ერთი, — თეთრის იეზდის საია  
 ჭ ფარჩის პერექელი თავის აშიითა ერთი, აბრე-  
 ჭ შუმის პერექელი ერთი, — დაფარნა ყვითლის დიბისა  
 ჭ ზარბაბის აშიითა ერთი, — დაფარნა ყვითელი იეზდის  
 ჭ ჩიგინი დარაიბაბთისა ზარბაბის აშიითა ერთი, —  
 ჭ სირმით ნაკერი ენქერი ერთი, ფარჩის ენქერი ორი,  
 დ ფრანგული კალის საზედაშე ერთი, — წირვის კელ-  
 ჭ საკოცები ორი — ერთი ოქრომყედით ნაკერი და  
 ჭ ერთი საია ნაკერი ტილოსი წითელი ზარბაბის  
 ც თეთრ-ლურჯ-ნარევის ყუთნის აშიითა, ხატის  
 ჭ ქვეშვასაშალი ერთი, — ოქრომყედით ნაკერი ტრაპე-  
 ჭ ზე გარდასაფარებელი ერთი, შესამოსლების დიდი  
 ც ბოხჩა ჩითისა ერთი, სპილენძის საიაზმე ჯამი ერთი,  
 ც რუსულა სასხურებელი ორი; საზიარებელი ვეცხლის  
 ც კოვზი თავის ბოხჩით ერთი

არის წიგნები: კონდაკი კელით დაწერილი  
 ც ორი, სტამბისა ოთხი და კვერექსი სტამბისა სამი,  
 ც სახარება კელით დაწერილი ბოლოს სამივ ათორმე-  
 ც ტი უწერია, სახარება სტამბისა თავის ბოხჩით

ერთი, სამოციქულო სკოლისა თავის ბოხითა ერთი,  
 სტამბის დაგითნი ორი და პედაგოგი დაწერილი საათაბა-  
 ბოური კარგი ერთი; კელით დაწერილი ეამნი კის  
 ლოცვებით გარივებული ორი, მარხვანი ორი, ღილი  
 კურობევანი ერთი და ზეთის კუროჩეული კურობევანი  
 ერთი; საათაბაგოური კარგი სეინაქსარი ერთი,  
 ბარაკლიტონი ორი, ტვიბიკონი ერთი, ზატიკი  
 ორი, გამოკრებული ძველისა და ახლის სჯულის  
 აშბაგი და ბოლოს საბასი და სვიმეონის ცხოვრება  
 უწერია,—ეამნი ღილი ლოცვებით გარივებული და  
 ბოლოს გამოჩენილი სადღესასწავლოები უწერია  
 ერთი,—რეა-ხმა, ბარაკლიტონი, სადღესასწაულო  
 უწერია და ერთი მგზეფსი ერთად შეკრებული  
 სამივა,—ეს ამდონი წიგნები ამისთვის დავაწყევ აქა,  
 რომ ან წინამდებარი და ან მისის კრებულისაგან  
 ვინმე რომ სოფლად წავიდენ საღმე მონასტრის  
 და სამსახურზე, თვითო კელი წიგნები თან-იდევნონ:  
 მონასტერში ხომ წიგნები არა აკლიარა.

რაც ზატარმეულსა და თვალზე წმიდის დაგითის ემა  
 და მამული მომებარა იმას გარდა ჩემგან ნასეყიდი (აქ  
 მაჭუტაძის სედით ჩამატებულია: „ბუზარაშვილი კვამლი  
 ერთი“ და შემატებული მამულები: ზატარმეულს: კავ-  
 თელა კვამლი ერთი, თვალზე ნასხიდა და იჩემა კვამლი  
 ერთი, ხებრიელაშვილი კვამლი ერთი, მეძმაშვილი  
 თვედორე კვამლი ერთი, მეძმაშვილი ებალა კვამლი  
 ერთი, მახარაშვილები კვამლი ერთი, ლასურაული თვე-  
 დუ დორე კვამლი ერთი; ლასურაშვილი იხს კვამლი ერ-

ქ თი, მიქელაშვილი მანუჩარა კვამლი ერთი, ბერიკაშვილი კვამლი ერთი; ფეიქარი ზურაბა კვამლი ერთი, ალექსანდრე ლიშვილი ლაზარე კვამლი ერთი, აკოფაშვილი ელიზ- ბეგარა კვამლი ერთი, აკოფაშვილი გორგი კვამლი ერ- თი, ფეტერი კვამლი ერთი, გუგულია კვამლი ერთი, ნა- ცა ლებაშვილი კვამლი ერთი, კვირიკაული კვამლი ერთი; მარი მამული მიმიცია ხახვიაშვილისაგან ნასყიდი თა- ვისთვის სამკეიდრო დ მიმიცია და ამბროსაშვილის მამუ- ლი კვირიკაული— ეს ორივ იმისთვის მიმიცია და აღაპი- ტ დაგვიდებია ამ რიგად რომ, თუ შიმშილობა არ შეიქნებოდეს, როსაც მოსავალს პირი უჩნდეს, უ- და დაგვიდებია ამ რიგად რომ, თუ შიმშილობა არ შეიქნებოდეს, როსაც მოსავალს პირი უჩნდეს, უ- და დაგვიდებია ამ დღეს დახარჯევდეს და ამისთვის ასე გაგვითარებია თავითა შვილითა და შვილის- შვილითა და ჩუენის ნასყიდის მამულებითა, რომ რაც იმის წევნში არ ეწეროს, იმისმეტი არა ეთხო- ებოდესრა.-კიდევ რომელიც ამაში დაგვიწერია იმას გარდა და რაც ზერები და მარნები გამიკეთებია იმას გარდა უკდაგი თუმანი ჩემდა სამარხად შენდობის წიგნებსა და ჩემს სუდარებონ მეონდა შენახული, ამისთვის რომ ჩემს დამარხვაზე ჩემის მონასტრის კრებული არ დალონებულ იყვნენ; მაგრამ ხუთის კვამლის ნინოწმიდლის ყმების დარი- სპანაშვილების ხუთი საკუამლო მამული ჩუენს ზეარჩე ეკრა და შიგ ვესახლენით და ჩუენსა და ბატონს ნინოწმიდელსა და იმ კაცებს შუა ბევრი

სამდურავი იყო და ის ჩემი საშანები თეორი აეიღე  
 და იმ მამულებში მივე და ჩემს ზეარზე დავადევ  
 ამისთვის რომ ჩუენსა და ბატონს ნინოწმიდელსა  
 და იმის ყმებს შეა, მშეიდ აბის ჩამოგდებისათვის;  
 ახლა იმ ნასყიდის მამულისაგან ჩვას საპალნეს  
 ზედაშედ ჩაასხემდენ წმიდის პეტრე-პავლეს საყდრის  
 დღეობის სახელზე; წინამძღვარი და კრებულნი  
 იმ დღეობას უამსა სწირევლენ და ან ვინც გარეშე  
 შემწენი მიბძანდენ იმ დღეს და ჩვენს ჭირნახულს  
 მოიგონებდენ და ჩვენს სულს მოიხსენებდენ. — და ამ  
 ზედაშისაგან ერთი საპალნე ხარჯად და სათხლედ  
 გამოეიდნენ, და შვიდის საპალნისაგან სამი საპალნე  
 და ერთი საპალნე კვირიკაულის აღაპისა — ეს ოთხი  
 საპალნე — იმ დღეს აღაპში დაიღიოს და ერთი საპა-  
 ლნე უდაბნოში გაიგზავნოს; — და ვინც კრებულნი  
 დარჩებოდეს იმ დღეს, ნურც ისინი იყალრებენ რომ  
 ზედაშე ჩაუვიდესთ და უამი არ გვიწირონ და ჩვენი  
 მოქსენება არა ჰყონ, იმათაც ჩუენი შენდობა ჰყონ  
 და ჩუენგანც ღმერთმან იმათაც შენდობა მისცეს. —  
 და სამი საპალნე გაიყიდოს და იმისი თეორით  
 ქალაქიდან საბერო საჭმელი იყიდონ და იმ  
 დღეს მოიხმარონ; და რაც იმ ღვინის ფასი საჭმელს  
 მორჩეს იმ დღეს ვინც გარეშე მწირველნი იყუნენ  
 იმათ ცოცოტას (sic) საწირავს მისცემდეთ იმ ღვინის  
 ფასისაგან, ეს ზედაშე და კვირიკაულის აღაპი ორივ  
 იმ დღეს დაიხარჯებოდეს; — თვითან ამავ კვირიკაულს  
 და უენებდენ იმ ზედაშეზე და იმასვე დაახარჯვინე-

ბდენ თავის აღაპსა და იმ ზედაშესა რომ თუ არ  
 იმ დღეს, უმისოდ ვერავინ ცუდმადად დახარჯოს  
 და ვერც უმისოდ და ვერც იმ დღეს თუ არ ამრი-  
 გად.—და კვირიკაულის აღაპის პურს გარდა რაც იმ  
 დღეს პური მოუნდებოდეს, წინამძღვარმა და კრე-  
 ბულმა მონასტრის პური დახარჯონ, და რომელმან უ  
 წმიდის დავით გარესჯის წინამძღვარმან და მისის  
 უდაბნოსა და მონასტრის კრებულთაგანმა ესე ჩუენი  
 ჭირნახული და ანდერმა ჩაგვიროვინოს და მოგვი-  
 შალოს ისიც შეიქნების ორსავე სოფელ მოშლილი  
 და დაუმტკიცებელი. დამამტკიცებელი ამისი ღმე-  
 რობან აკურთხოს. — და კვირიკაულისაავის მიმიბარე  
 გ ბია ის საზედაშე ქვევრი; ნურავინ აუხდიდეს; როგორც  
 თავის წიგნში დაგვეწეროს იმ რიგს აღაპს გარდი-  
 ჭი ხდიდეს.— ამას გარდა ახშანს დუდაურები წმიდის  
 ჭ დავითისი ყოფილიყუნენ, მაგრამ ძველაზებ დაკა-  
 ზ რგული შექნილიყუნენ, კასეთს განჯის ხანი აბაზ-  
 ი უგდისხნ ბატონობდა; რადგან თათრობა იყო,  
 ჭ სყიდვისაგან უფრო ნამეტნავი ხარჯი დამემართა,  
 ჭ ღმერთის ძალით ამოვილე დიდის გარჯით; ოთხ-  
 ჭ კვამლად არიან; ამათ რვა საპალნე ღვინო აძეს  
 ჭ და ათ ღვატრიანით ორი ჭრდა ნებაზდა და ორი  
 ჭ ლიტრა სანთელი; — ყოველს წელიწადს ამას უნდა  
 ჭ საყდარს მიართმიდენ.

აგურა ძველიდგან სამკვიდრო წმიდის დავითისა  
 ჭ ყოფილიყო; ქუენის ოხრობასა და უბატონობაში  
 ჭ ახია ყორჩიანთ დაეჭირათ და ეშოვნათ. მეფის

და ერეკლეს შეილი, მეფე იმანყულიხან, კახეთს ბატონი ნად მობძანდა; მოვახსენე და ძევლი გუჯრტბი ვა- წენე და წყალობა გვიყო, აკურაცა და ვანთას შე საკვამლოები და ნაზერევი და სამეზვრეო მაშული უ და კიდევ ერთი ლიდი ზეარი მე ჩავყარე აკურას; და გვიბობა კახმა ბატონბა, მაგრამ ოხია ყორჩიანი ღიალ ძალიანი კაცნი იყუნენ და მრავლის სახლის კაცი- ანი და ძალიანის მოყურების პატრიონი, და დიდი სარჯელი და ხარჯი გამაწევინეს: ორმეტი აქლემი, მრავალი ცხენი და ჯორი, ფლური და თეთრი— ორას თუმნამდის ხარჯი გამაწევინეს. და ესოდენ სარჯელით ესე ჩუენგან ნაღვაწ-ნამუშაკევი დამი- ტე გდია— და შეზდგომად ჩუენსა ვინცა წმიდასა ამას შე მონასტერსა შინა პატიოსანნი და ლეთისა შემოსი- ლნი წინამძღვარნი და კრებულნი ბძანდებოდეთ, ამას მოგახსენებთ: მოსვენებული, გარიგებული და რიგიანი საქმე მოგებარებათ, სხვაც რომ რა გაი- სარჯნეთ და ამას მოუარია, ესეც გეყოფათ. მე ამ ნუსხასა და წიგნსარ დავაგდებდი, არც ამ ამბებს შე მოგახსენებდით, მაგრამ ზაფხულის სიცხემა და შე ზამთრის სიცივემა, დღეთა და ღამეთა სიგძე-სიმო- ი კლემა და ფამებმა, სოფლისა ამის საცოტებმა მრა- ცო ეალი სარჯელი გაგვაწევინა და ჩემდა უნებურად წარმომათქმევინა ესე ამბები. ახლა მოაჯე ვარ მე თქვენთანა და მოქენე, რადგან ივალზე ორი ზეარი და ორი მარანი დადის გარჯით ნაშოვნი და აშე- ნებული დამიგდია და ქართველი-ბატონისა და კახი-

ჩატონის ჯამაგირის წიგნები და ნადარბაზეგზე სა-  
 ედარა აღმიშენებია წმიდის პეტრესი და პავლეს  
 სახელზე, ხატითა, ჯვარითა, წიგნებითა და შესამო-  
 სლებით გამირიგებია და ამაებს გარეთ ჩეენოვის  
 საზედაშე გამირიგებია რომ ზედაშე ჩაისხმოდეს;—და  
 იმ დღეობას თუ არ დიდის გაჭირების საქმისათვის  
 იმის დღეობას წინამძღვარი და კრებული ნუ დაა-  
 კლდებით. ამდონს ჩუენს ჭირნახულსა და გარჯას  
 მოიგონებდეთ და ნუ ჩააროინებთ ცუდათ. და ეინც  
 უდაბნოს კრებულისაგან და ან სოფლიდამ სამღვდე-  
 ლო დასი თაეიანთ ნება-წადილით მობძანდენ,  
 იმათაც თქვენთან თანა-ზიარად შეიქმოდეთ და  
 შემწედ მოიხმარებდეთ, და იმ დღეს ჩუენთვის და  
 ჩვენის მძის ბოგნელის მაქსიმესათვის და ეინცაენ  
 სულიერნი ძმანი მწირველნი და მწირნი ამა სარჯე-  
 ლსა შინა ჩუენთან თანა-შემწედ ყოფილიყუნენ,  
 ყველას შენდობით გვახსენებდეთ, რათა უფალმან  
 ღმერთმან ჩუენმან და მამამან წმიდამან დავით  
 თქუენცა თქუენის ჭირნახულისაგან უიმედოთ არ  
 დაგანარჩუნოსთ, ჩუენის ხსენების სანუქო პასუხი  
 დღესა მას სასჯელისასა კეთილად მოგაგოსთ ამინ.—  
 ჩუენგან ნალვაწი და შემომატებული ესენი არიან,  
 რომელიც ამა გუჯარში აღვიწერია დღეს აქამომდე  
 და დღეის წალმართ თუ კიდე ღმერთი დაგვაცლის  
 ეგების კიდევ რამ შეეიძლოთ ღ-თისა და მონას-  
 ტრის სამსახური.

ამას წინანდელი უდაბნონი და მონასტერი კამთა

ვითარებისა და ქუეყნის შლილობისაგან აოერებულ  
 იყო. რომ კახეთს შშეიდობა და შენობა  
 ჩავარდნილიყო მეფის არჩევის დროს ორნი  
 კარგნი მღვდელ-მოლოზონნი დამდგარიყუნენ—  
 პავლე და ნიკოლოზ, კარგნი და პატიოსანნი,  
 აღარცარა არჩილ მეფეს დასცალებოდა და ის მღ-  
 ვდელ მონოზონნიც მიცვალებულ იყვნენ, მაგდენი  
 მონასტრის შემატების საქმე არა დასცალებოდათ-რა.  
 იმათ მიცვალებას უკან ჩუენც ზედ მოვესწრენით  
 მონასტერსა; იმათი ნაღვაწიცა და ამ გუჯრის უწი-  
 ნდელი ჩუენი ნაღვაწიცა უსჯულონი ლეკნი  
 დაგვესხნენ თავსა და მონასტრის ქრებულნიც და-  
 ხოცეს და მონასტრის საქმარნი ჭურჭელნი და  
 და საეკლესიო იარაღი ყუელა წარსტყუენეს, იავა-  
 რყუეს და მოაოხრეს. ამა ზემოთი წერილი რომე-  
 ლისაც მოვითხრობს და მოვახსენებსთ მასუკანდელი  
 ნამუშავევი და ნაღვაწი არის. ამას გარეთ უწინდელი  
 კედმჭიდვეთაგან შემთწირული და ან წინამშდვრები-  
 საგან დასახლებული თვალზე და პატარძეულის: არის  
 პატარძეულის: ლაფერიშვილი კვამლი :ა: ესტატა-  
 შეილი კვამლი :ა: უსუფაშეილი კვამლი :ა:, ტური-  
 კაშვილი კვამლი :ა: უატელი კვამლი :ა:, კაწარალიას  
 სახლის კაცი კვამლი :ა: ტაბარუქს გარდა მამულიანნი.  
 არის თვალზე: მოძმანაშვილი კვამლი :ა: მისი განა-  
 ყოფი კვამლი :ა:, კურდლელაშვილი კვამლი :ა: კიდევ  
 თვალზე ჭატელი კვამლი :ა: მეცდლიშვილი რამაზა  
 კვამლი :ა: მცედლიშვილი გორგი კვამლი ა:

მჰედლიშვილი შიო კვამლი :ა: მჰედლიშვილი  
 ბასილი კვამლი :ა:, მჰედლიშვილი ქიტიაშვილები  
 კვამლი :ა:, მჰედლიშვილი მახარობელი კვამლი :ა:,  
 ყაზარაშვილი ბაისოლულა კვამლი :ა:, ყაზარაშვილი  
 ნურალა კვამლი :ა:, მთიულიშვილი ზურაბა მოხე-  
 ლე კვამლი :ა:, იმისი განაყოფი ბასილა და ჯაფარიძე  
 კვამლი :ა:, მელვრეკელი კვამლი :ა:, ომ-  
 რდანაშვილები კვამლი :ა:, ვედრიაშვილი კვამლი  
 :ა:, ფერინოზიშვილი კვამლი :ა:

მონა ღვთისა
დავით გარე-
ჯის წინაშ-
ძლვარი ჩაჭუ-
ტემე ონოფრე

და მერე ხვეულად: „წინამძღვარი ონისიფორე” †  
 „ბოვნელი მაქსიმე” †

**1713** წ. № 59 ნონიაშვილი გოგია აძლევს  
 „გარესჯის ნათლისმცემლის მამას ხარიტონს სვი-  
 მონს, ბესარიონს, საბას...ასე რომე თელავიდამ  
 იეიყარე და მოველ ქალაქს და ჩემის ნება-წალი-  
 ლით...უდაბნოს თავი შემოესწირე... (ბეგარა) უნდა  
 მოვართვა წელიწადში ზეთი ლიტრა სამი, სანოელი  
 ლიტრა ერთი, საკმელი ჩარექი ერთი”...ქ-ქს უა

**1713** წ. № 253 ხარიტონ და კრებულნი: (სამიზ),  
 ბესარიონ, მანაზონი საბა აძლევენ ხუტალაშვილის:  
 „რადგან მოხვედი და მონასტერს თავი შემოსწირე  
 „გიმოძეთ ქალაქს ჩვენი ნასყალი შაქარაშვილის

სახლი დარბაზი მისის დერეფნით და დერეფანზე  
 ოთახითა, შიგნით სარდაფითა, ქვეყრითა და მარნითა  
 და ოთახითა...არ შოგეშალოს...და თქვენც რაგვა-  
 რადაც სხვანი მოქალაქე ჩვენი ყმანი ჩვენს მონა-  
 სტერს ემსახურებოდეს ისე ემსახურენით. ქ-კნს უა„  
 შეორე შეარეზე ხვეულად: „ბესარიონ  
 ხარიტონ“ და „სულხან საბა“ (ცნობილია შევრალი).

**1714** წ....ჩვენ....პანკრატიონთ ტომმან და რტო-  
 მან ყოველთა დიდთა კელმწიფეთა...ღეთისა გან-  
 გებით ქუყანასა-ზედა მოსამართლედ დადგინდებულისა  
 ....დიდისა ერანის ტახტ-სახელმწიფოს მპყრობელ  
 განვისუფლებით მქონებელისა ბედნიერის კელ-  
 მწიურს (აქ ერთის სიტუაცია ადგილი დატვებულია)  
 მიერ შვილურად აღზრდილმან და მათ მიერ  
 წყალობა-პონიჭებით გამეფებულმან....რანთა და  
 კახთა მპყროველ-გამგებელ-მქონებელმან კელმწი-  
 ფემ მეფეთ-მეფემ დავით-იმყულიხან და დედამან  
 ჩვენმან დელტალთ დედოფალმან პატრიონმან ანნამ,  
 დიდის წყალობით ერთად აღზრდილმან სასურველ-  
 მან ძმამან ჩვენმან ერევნის ბეგლარ-ბეგმან პატრი-  
 ნმან მამად ყულიხან კოსტანტინე და კახეთის გამ-  
 გემ ძმამან ჩვენმან ბატონიშვილმა პატრი-  
 ნმა თეიმურაზ და ძმათა ჩვენთა რიზა-ყული-მი-  
 რზამ და მუსტაფა-მირზამ, პირველმან და სასურვე-  
 ლმან ძემან ჩვენმან პატრიონმან მაჰმად-მირზამ და  
 ალი-მირზამ ეიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და  
 ეს წიგნი და სიკელი მოგაროვით უდაბნოსა დავით-

გარესჯის ნათლისმცემლის მონასტერს აშა პირსა  
 ზედა, რამეთუ თქვენი უდაბნო მოოკრებული იყო  
 ეამთა ვითარებისაგან და სხვით სხვად ცვალებადის  
 ღროსაგან, არღარაფერი შენობა არღარა ყოფილიყო  
 რა საყდრის მეტი და ისიც მოშლილი და დაქცე-  
 ული. წმინდანი მღდელმონაზონნი დამდგარ იყვნენ,  
 დიდი შრომა და გულსმოდგინება დაედვათ, რაც  
 ძალედვათ გაეახლათ მონასტერი და შენობა ჩაეგ-  
 დოთ და მეფეს ბატონს მამა ჩვენს ერეკლეს ქართლი  
 და კახეთი რომ ეპყრა, თანაშემწე ჰქმოდათ; და  
 საცნაურ იყო პირველდგანვე ჩვენის სახლის კელ-  
 მწიფეთაგან სოფლები და აგარაკები შეწირული  
 ყოფილიყო, და პირველ მონასტრის მოშლით გუ-  
 ჯარი დაკარგულიყო და აღარა ჩნდა რა: თუ ზე-  
 პირ ეისგანმე მოვეეხსენა, რომელიც მამულები იყო  
 შევკრიბეთ, მაგრამ უგუჯროთ ვერავის რა შეტყო  
 (sic), ბერების გამოსაზრდელი აღარა იყო რა.-მოვიდა  
 წინაშე ჩვენსა წინამძღვარი მამა ხარიტონ, მღვდე-  
 ლმონაზონი სეიმონ და ბესარიონ და მონაზონი საბა  
 და ყოველი კრებული მათი—საზრდოსა და მამულისა  
 წყლობასა გვიაჯნეს. მოკითხული ვქენით, და ისეთი  
 ნაშენი სოფელი არა იყო-რა—გაცემულ იყო, და  
 ნაოკარი უშენი ჩვენი საღალო იორს გაღმა ბალბიანი  
 შემოგწირეთ...წმიდასა იოანე ნათლისმცემელსა,  
 გყაღრეთ, მოგართვით და შეუწირეთ უდაბნოსა  
 ტაძარსა თქვენსა (sic) მრავალმთასა ყოვლის კაცის  
 უცილებელად...ესეც გაგვისამზღვრავს: პატარე-

ულიდამ რომ სამინდრე შარა გამოვა და წყაროს  
 ქვეით ჩადიანს თავში გამოივლის და მინდორში  
 გავა იმას ქვეით ბერებს დავაკელით და პატარძეულო  
 დავანებეთ... (მერე სხვა საზღვრებიც)... თუ აშენოთ,  
 როგორადაც სხვა ნათლისმცემლის ყმა—ყოვლის  
 საჩვენოს საქმისაგან გათავისუფლებულია (sic)...

ნაქურდალი თავი და ერთი საზღაური პატრონისა,  
 სხვა—თქვენის მონასტრისა არის და იყოს ვიდრე  
 უკუნისამდე... დაიწერა... მთიბათვის: იზ: გასულს.  
 ქ-კს :უბ: კელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგ-  
 ნობრის თუმანიშვილის შიოშისითა. მერე ხვეულად:  
 „მეფე დავით იმამყულიხანი“ და მასავე შეფის  
 ბეჭედი.— მეფე თეიმურაზსაც დაუმტკიცებია 1779 წ.  
 დეკემბრისს :ა: დაუმტკიცებიათ ერეკლე მეფეს  
 დარეჯანს, ბატონიშვილთ გ-ის, ლეონს, იულონს,  
 ვახტნეს, თეიმურაზს, მირიანს და „ძისძეთა ჩვენთა“  
 დავითს და იოანეს კათალიკოზს ანტონისაც დაუმ-  
 ტკიცებია ვ დეკ. 1869 წ. დაუზრუნველის: „ჩენი  
 წილიც ნათლისმცემლის მონასტრისათვის მიგეირთ-  
 მევია“ კ-ზის ბეჭედი და ხვეულად: „ანტონ კ-ზი“

**1717** წ. № 88: შეწარულობა ხაშმ-ში მამულების  
 უფარმოს სამებას ქაშურაშვალები შემთხვევა „ჩენ  
 წილიც ნათლისმცემლის საგარეჯოს მოურავმან ბაადურ,  
 ბიძინამ, ჯამასპიმ, ომან“... ქ-კნს :უე:..უამთა ... და-  
 ვით იმამყულიხანისათა. [redacted] [redacted]

**1719** № 42 წ. „ქ. ნებითა...ესე ნახყიდობის

წიგნი დაგიშერე და მოგეც მე მცედლის შვილმა  
 ესიამა და მამა ჩემთა რამაზამა თქვენ... წინამძღვარს  
 ოთოფრეს და სულ ერთობით კრებულთა ასე რომე  
 საჭმე გამიჭირდა და სხვა ილაჯი და ლონე ვერა  
 ვქენ... და წისქვილი მოგყადე იორჩე ჩემი ნასყიდი  
 და აშენებული და ჭირნახული ორთვალი დოლაბი  
 ... და შიგავ იმ ჩემგან გასყიდულს რუში ერთი  
 წისქვილის წყალი რომ წამოვიყვანო თქვენგან  
 საყვედური არ იყოს... ვინც მოცილე და მოლა-  
 პარიკე გაგიჩნდეს პასუხის მგებელი მე ვიყო... მო-  
 წამენი... წმინდის ნინოს სახლნუცესი ბერი ელიო-  
 ზის შვილი, ოთარი ამბრუაშვილი, ბერი ახარიაშვილი,  
 ქიტესა მოძმანაშვილი... ჩემი განაყოფები გიორგი,  
 ამისი შვილი... და მე მგალობელს იაკობს დამიწერია  
 ... მკათათვეს დამდეგს ქორანიკონს : უზ: † † †

**1722 წ. № 43 ქ. ესე წიგნი მოგეცი მე კახიას**  
 შვილმა გიორგიმ შენ ხატოას შეიღს პაპასა ასე  
 მომე მე იორჩედა ლევებმა დამიჭირეს და ყორელში  
 მომიყვანეს და მოველ და შემოგეხვეწე და სიკეთე  
 მიყავ და დამისახენ შავდაობით (?) ქალაქს ჩავიდეთ  
 გაურჯელად ოთხი თუმანი მოგაბარო. არ გაგაჯავრო  
 და თუ გაგაჯავრო სამდივანბეგო და საიასაულო  
 გამომდები ეიყო და ექვსის თუმნის მამცემი ვიყო.  
 არის ამისი მოწამე... კაცთავან ბეგინას შვილი მერაბა  
 და მიქელ, ევზა და მათიკას შვილი პატა და აღას-  
 ტეფენეს შვილი გიორგი და საჩქისა და ახალქალა-

ქელი გიორგი და მე ოქლაოგასპარსშეილს პაპუნას  
 დამიწერია...მაისის გასულს ქორანიკონს :უი: †

**1722** წ. ახლოდრ. № 44 ქ. ჩვენი ბძანება არის: მერჩე  
 კერჩხაძის ჩვენის მოლარის ზურაბას სახლყარი მის-  
 ის ქვრივისა და ობლებისათვინ დაგვინებებია რაღ-  
 ან ღარიბნი და საბრალონი არიან, როგორათაც  
 თითონ უნდოდესთ ასრე მოიკმარონ მეტარიც ისრე  
 დამარხონ და ცოცხალიც დარჩენ: თავისი ჭირნახული  
 და აშენებული იყო ამისთვის დავანებეთ მეფე ბაჟარ

**1722** წ. № 45 ქ. ესე თავდებობის წიგნი მოკეცი  
 მე ავლაბრელი კურდლელანთ მახარებლიშვილმან  
 კაკამა თქენ ონოფრეს წინამდლეარსა, ასე რომე ეს  
 მახარას-შვილები დემეტრე და მისი ძმა თევდორე თუ  
 წაგივიდნენ სადმე და აქ არ დადგნენ მე მოვასხა  
 და ხელში მოგცე; თუ ეერ მოვასხა პასუხის გამცემი  
 მე კაკა ვიყო. არის ამისი მოწამე ყაის. მაზას შვილი  
 ნასყიდა...დაიწერა გიორგობისთვის დამდეგსა ქო-  
 რანიკონს: უი: †

**1722** წ. ახლოდრ. № 46 ქ. რაც ჩემი ქეშიშებს  
 ებარა სულ უკლებელად მე ნოურის ბეგის შვილს  
 ამადას ხელ უკლებლად მომებარა. ოქვენთან ხელი  
 არვის აქეს. არის ამისი მოწამე თვითან უსბაში  
 ველიაღა და იმისი სიძე ხალითა. ქ. მე ორუზას შვი-  
 ლს აბას რაც ჩემი ქეშიშებს ებარა სულ მე ხელ

უკლებლად მომბარებია... მოწამე... უზბაში ველი  
აღა — ქ. მე ჯირალაშვილს სულეიმანს წამილია რაც  
ჩემი ქეშიშებს ებარა.... ქ... მე უზბაშის ვექილს ნაბას  
ხელუკლებლად მომბარებია... ქ... აღამამალს შვილს  
აღას ხელუკლებლად მომებარა... მე უზბაშის სიძეს  
საღლაშვილს სულეიმან წამილია... \*)


1722 წ. ასლოდრ № 47ქ. ჩვენი... ბანება არის ბო-  
კაულთ ხუცესო მაყავ! მერმე შენოვინ გვიბძანებია და  
მიდი და გარეჯის წინამძღვარი ონოფრე რომ ვან-  
თის საკომლოზე ლაპარაკობს სახლხუცეს შედიშე-  
რისა და სამებლის განაჩენში რომ სწერია ის ალაგები  
გაარჩიე: რაც გოვანაცვალმა ფიცით გაიტანოს, რომ  
იმ საკომლოსი ყოფილიყოს, ის დაანებე დაიფიცი-  
გარეჯას და თუ გოგიამ ნაცვალმა ვერ დაიფიცი,  
გარეჯის ყმანი უმფროს-უნცროსი კაცნი იქაურნი  
წალგნენ და იმათ ფიცით გაიტანონ, რომ სახლხუ-  
ცისა და სამებელის განაჩენში რომ სწერია ეს მამუ-

\*) შენაშენა: აქ მოხსენებულია ბარნი უქვეგელად არიან  
სამცხე-სათაბაგო გამაჭვილადანებულია კაცნი, რომელიც  
თურქებს გადმოუვნენ მაშინ, როდესაც ათაბაგოელმა ისაუ-  
ფაშამ თურქთა დაშქრით 1724—1725 წელს დაიწირა  
ქართლი თეთიდისითურთ; ისმაღლთა დაშქრის უფროსების  
გარეჯის უდაბნოს ბერებისთვის შესანახვად მიუბარებიათ,  
როგორც ამ საბუთიდამ სჩანს, ნადავდ-ნაშონი ნაცარცვი-  
და მელნიც ამ წერიდით გამოუბარებიათ ქეშიგებისაგან,  
ნივთება, ესეაგი ბერებისაგან შედარე № 48

ლები იმ საკუმლოსი არისო. .დაანებე იმიზ უფლისის

1722 წ. ახლოდრ. № 48 ქ. :ბ:..(ქ. ი. თრი) ბალიში  
 ..ბ:საბანი :გ:ხალიჩა :გ:ჯეჯიში...:ა...ყორანი (Ко-  
 ранъ) ამის მეტი მუსა:ღას შეილის ისმაილას აღარ  
 დარჩომილა რა ჩენთან. სხვა რაც ჩემი თქვენ მონას-  
 ტერში იყოს ყოველი მე ისმაილას წამილია; კელი  
 აღარ გვაქვს. მოწმე ამასი მოლა აბდულა ოჯახ-  
 ვერდი მიქელალა-მუსა-აღას შეილისა ისმეილასი დარჩა  
 აქ ერთი გოლოჩი... (შეადარე ზემოთ № 46; გვერდი 76)

1722 წ. ახლოდრ. № 49 ქ. იბრემ აღას დარჩა: :ი:  
 (ცხრა) ნაკერი სპილენძი...:ა: შუბი, :ა: ქილმი... :ა: ქო-  
 შის ტომჩა...:ა: ყორანი... ქ. ქორამ მამადას შეილსა  
 :ით: ნაკერი სპილენძი...:ბ: მაფრაშა: :ა: ორთუქი  
 :ა: ქოშის ჭურჭელი... ქ. ორ მამადას შეილს ამის  
 მეტი არ დამრჩომილა... სულა მე მუსაღას შეილს  
 ისმაილს წამილია... ქ. იბრემ აღასი :ა: ქათიბი, :ა:  
 ლანდრის საწვიმარი :ა: მდორის პირი :ბ: დარქაშის  
 კაპა...:ა: ჩითის საბნის პირი :ა: ნაკერი მარამაში  
 ეს გუჯარაც თურქთ საქონდასა, გარესჯის მონასტერში  
 რომ შესანახად მიუბარებათ ბერებისთვის 1724 წ.  
 როგორც ქვემო საბუთიცა № 51 მოწმობს.



1722 წ. ახლოდროის № 51 ქ. რაც ჩენის მონასტერში  
 თათრის ბარგი იყო სლლონის მოლაშა აწერა. ქ. ოთ-

ხი ჯეჯიმი...ერთი დოშქი..ოცი სპილენძი. ორი  
 ქილომ...უამეტი სპილენძი...ერთი ფისოსი...ექვსი  
 სპილენძი..ორი ლეჩაქი..ორი ბალე...ერთა სევა...  
 ორი სამარილე...ერთი ხმალი.

1722 წ. ახლოდროის № 53 ქ. ჩეენი ბძანება არის  
 თარხანო ასლან და ბოქაულთ ხუცესო გოგნიავ  
 მაყავ! მერმე ვანთას მიდი და რაც სახლხუცის  
 ედიშერის და სამებლას განაჩენში ეწეროს ის მამუ-  
 ლები გაარჩიე, ყველა დაეით გარესჯის წინამძღვარს  
 დაანებეთ. რაც განაჩენში ეწეროს ასწერეთ და კი-  
 დეც მოგვახსენეთ. მონა ღვთისა  
 დავით შეფე (მეფე იმამყულისან)

1722 წ. ახლოდრ. № 54 ქ. ჩეენ მაგიერად დაეითგა-  
 რეჯის წინამძღვარს ონოფრეს ასე უამბეთ. მერმე ამ  
 ჭერემელის დომენტისთვის ყორჩიბაშის შეილის ყმას  
 ყულიაშვილებს მამული რომ მიუყიდნია ეგ მამული  
 შენთვინ მოგეიბარებია: სანამდი იმის ფასს მისცემდეს  
 სანამდი იმისი თეთრი არ მოუტანოს, მაშინ მიეცი;  
 რადგან ესეც მანდ შენს უდაბნოშია, ეს მამულიც  
 შენ გებარებოდეს; თეალ-ყური მიუგდე.

მონა ღვთისა  
 დავით შეფე  
 იმამყულისან

1722 წ. ახლოდრ. № 55 (1724-1726წ.?) ქ. ბედნიე-  
 რის ვეზირის ეპ უსუფა ბეგ გიბძანებ მერმე წლე-  
 ულობით ხატის სოულის მოსავალი პური, ქერი

და ლვინო მდივანბეჭს ერასტის უყიდნია; კელი ნურ-  
 ვის აქვს და სამერმისოთ როკორც სჯობს მასუკან  
 ჩენ ისე ვიქტ. თუ იქ შესცოდა ვინმე რამეან პური  
 ან ქერი, ან ლვინო წამოიღო ვინმე მასვე ავად

მოვეპყრობით.

თარტული  
ბეჭედი

**1722** წ. ახლოდრ. № 56 ქ ესე ნახყიდობის წიგნი  
 მოვეცით შენ კედარაშვილებსა ფოცხვერას, რამა-  
 ზას და კედრიასა ჩენ გილაშვილმა დავითმა და  
 შვილთა ჩენთა იასემ, ბერმა და ესტატემა: მოგყი-  
 დეთ წისქილს ზემოთ ღობეს გარეთ რომ დიდი  
 წილი დგა იმას ზემოთ შენს მიჯნამდი...

ავიღვეთ ფასი სრული... წისქილის რუ კი არ მო-  
 მიყიდნია. არის ამის მოწამენი პანკელიშვილი შაო,  
 ....მე ბასილს მღვდელს დამიწერია..იანვრისა 16-სა  
 ზედ ნადებსა რვასა † † † † და ზედა ნირზე წარწერა:

„ქ. ეს ნახყიდობის წიგნი ფეტკია რომ სახლობს  
 იმისა კედრიაშვილმა იყიდა, ჩენ აღარ გავასყიდე-  
 ნეთ, ფასი ჩენ მივეცით და წიგნი გამოვართვით.“

**1722** წ. ახლოდრ. № 57 ქ. ნებითა: ღვთისათა...  
 ესე მცირე ძღვენი მოგახსენეთ ჩენ ბატონიშვი-  
 ლმა ელენემ (დედა ანტონ ჭატოლავზისა) ოქენ  
 მონასტერსა წმინდისა მამისა ჩენისასა დოდოსათა  
 და მასშინა მყოფთა კრებულთა, რათა ჩენის შემო-  
 სავლის თეორის ათის თავს ნიადაგ წელსა

თქვენ მოგარითმევდენ ხოლმე. შეიწირე... (და სს.

მონა ლვისისა
ბატონის შეი-
ლი ელენე

1722 წ. ახლოდრ. № 58 ქ. ნებითა და შეწევნითა  
 მხთისათა ესენისყიდობის წიგნი მოგეც ჭანისშეი-  
 ლმა ბერმა და შეილმა ჩემმა ბეციაშა და თანიამა და  
 შიომ შენ კვირიკასშვილს ბერსა და შეილსა შენსა  
 მხთისიასა და გიორგისა, ასე რომე ვალი დამატებდა  
 სისურის ფეიქრისა და ყორჩის ბაშის ზალისა; ღო-  
 ნე და ილავი არსით მქონდა; მოველ და შემოგე-  
 ხეეწე და შენ დამიხსენ და ჩემი თავი მოგყიდე და  
 ჩემი შეილები: გაიღე ჩემში ორმოცი მარჩილი და  
 ორი აბაზი.— თუ შენი გული შევაჯერე და გემსახუ-  
 რე და გაამე რამე, ის არას; თუ არა-და შენი  
 თეთრი საჩვენელით მოგცე; ორმოც მარჩილზე  
 ათი მარჩილი საჩვენელი მოგცე წელიწადში... არც  
 ჩემი საჩვენელი იმ თეთრის ანგარიშში ჩაიგდო. არის  
 ამისი მოწამე გულბათის-შვილი გრიგოლ, ზურაბა;  
 მთულისშვილი ზურაბა, ხუცია-როსტიასშვილი, და-  
 რიპანას-შვილი ბერი... მე ნინო-წმინდელის სახლთ-  
 ხუცესს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი † † †

1722 წ. ახლოდრ. № 59 ქ. ჩემ მდაბალნი... და  
 უმარნი... მონანი ქრისტესნი მამა ონოფრე; და და-  
 ვითგარესჯისა და (sic) მამა ონოფრე(?) დავითგარესჯი-

რული და სიტქბოება. ეინათგან მცირე რამე გულისკლე-  
 ბა მოვიდა შორის ჩვენსა და ლოდორქელთა ძმათა ვიე-  
 თვანმე. ამიერითგან ამათის თავს მდებობითა ერთ-  
 მანერთის მონასტრის ბერი აღარ შევიწყნაროთ; და  
 თუ ვინმე გულისკლებით მოვიდეს ისევ იმავ თავს  
 კრებულს შევარიგოთ, და თუ სასინანულოთ მოვიდეს  
 ცოტას ხანს სინანულიც იქალასრულოს. — რომელიც  
 დღეის იქით ამ მცნებას გარდახდეს და თავხელობითა  
 და ურჩებით ერთმანერთის ბერი შეიწყნაროს დიდად  
 იბრალოს ძმათაგან და კანონს ქვეშ იყოს

ოხოურე მო-	ხეეუ-	ხეეუ-	დომენტი
ნაზონი	დად. „თხო- ფრე“	მარკოზ	დად: „ეფთია- მე“

**1722** წ. ახლოდროის № 60. ქ. ბელნიერის ვე-  
 ზირის ქეპ იუსუფ ბეგ გიბძანებ ხატის სოფლის მა-  
 მასახლისო ბარამავ და ერთობილნო ხატის სოფლე-  
 ბო! მერმე რაც მანდ მდივანს სოლომონს შარშა-  
 ნდელი თავისი ნახნავი და ნათესი ყანა ქონიდეს  
 იმის გამოსავალს ნურვინ დაუჭერთ ამასვე მოეცით  
 და თავისი ნახედი (ნაერდი) ვენაკი რომ ქონდა

\*) უნდა იეჭს „ეინწვისი“. ქარელსახლის შესანი-  
 შნავი მისი ტაქარი ახლაც დგას. ეინწვისის წმინდის  
 ნაკოლოზის დადებული ხატი, ქვაზე დადის ხელოგ-  
 ნებით დახატული, ახლა დაცულია ქარელის ციციანთ  
 საგარეულო ეპლესიაში.

რაც იმას გამოსავალი იყოს ისიც იჭისია და ამას  
 დაანებეთ. ამის გამოსალთ (?) ნურვინ კელი აქვს  
 ამისი ყოფილა (ისე ხელით, რთ-  
 გორც № 55)

თარიღი
შეპედი

**1722 წ. ახლოდროის № 61.** ქ. ესე წიგნი  
 მოგართვით ჩუენ თარჩანმა ასლან და შვილმან  
 ჩუენმან დაეით თქუენ წინამძღვარს ბატონ ონოფრეს  
 ასე რომე ვაიწა (?) და იოსებ მლელელი მეფე იმან-  
 კულიხან რომ აკურა თქუენ მოგცათ, მაშინ ისი-  
 ნი იქ ესახლენ და მე მომცა სამართალში ბატონ-  
 მან ასაყრელად, ახლა თქვენც დამანებეთ და ავყა-  
 რე და წავასხი. თუ იმათ ჩემგან ან ავად მოპყრობითა,  
 ან წარომევითა უშავდესთ რამე ჯერ ვიყო ლთის  
 შემცოდე და შენის საყდრის დამქუცვი და ბატო-  
 ნიშეილის თეიმურაზის მესისხლე და ბატონის ანა

მონა ლთისა კაზი თალხანი (ასლან)
---------------------------------------

დედოფლის შემცოდე.

**1722 წ. ახლოდროის № 62 ქ. ჩეენი ბძანება**  
 არის საგარეჯოს ნაცვალო და უფროსნო კაცნო!  
 მერმე ბატონი ნინო-წმინდელი და ონოფრე წინა-  
 მძღვარი დოდოველთა და მგალობლის გასარიგებლად  
 გამოვგზავნეთ და თქვენც შეეყარენ-თ; პაპიას (?)  
 კერძი დოდოველთ გურჩიეთ და რაც რომ იყოს  
 და ჩეენის შეილის ბძანებაში ეწეროსთ და მოაბა-  
 რეთ და დათუნას ერთი ბერას შეილის ბეითალ-

მანი მგალობელს მიაბარეთ; სწორად და კარგად  
გაშინჯეთ და გაარიგეთ, რომ კიდევ თავი აღარ

შეგვაწყინონ.

დედოფლი  
ანა

**1730—1739** წ. № 63 წერილი თავისხელისა  
ანნასი, დედა თქმურაზისა ქ. „მესტუმრეო! ჩვენ  
...მავიერათ ჩვენს დიდსა იმედსა და დი-  
დათ იმედათ მისახენელს მისხვდავსა (მისახედავსა)  
და აროვეს არ დასავიწყარს დარბაზის პატრონს  
საგარეჯოს მოურავ!, დემეტრეს მრავალ მოკითხვა  
მოახსენეთ. აწე რადგან ბატონმა საგარეჯოები  
უჯაბნოებს შესწირა რაც რაც მანდაური გამოსა-  
ვალი იყოს თუ ამ წინამძლვრების ბარათი არ მო-  
გივიდესთ ნურავის მისცემთ“ (არ არის არც ბეჭედი  
და არც სელთმოწერა)

**1730—1739** წ. ახლოდროისა № 64 ქ. ესე  
წიგნი მოგარეოით და დაგიდევით ჩვენ ერთპირად  
წმინდის დავითის ყმებმა თვალელთა და პატარ-  
ძეულია: ასე რომ თქვენ ბატონმა წინამძლვარმა  
ხნა (ხვნა?) მოინდომეთ; ველარ შევისლებდით  
ხნასა (ხვნასა), ზეასა (?) და ლეწვანა: შემოგე-  
ხვეწეთ ორასორმოცი თქვენის კოდითა პური მო-  
გცე (მოგცეთ), გალეწილს მოგარომეც ყოველს  
წელიწადსა, კინემ (?) მისთანა მსახური არის შეეძ-  
ლოს იმათაც (გაურკვევებდა) ნახიყარი (?) უნდა

გამოიღოს ნევინოზის შვილსა (?) და ჰელიჭაულს  
 (გურჩევდად) † † † † † †

**1725** წ. № 65 ქ. ესე წიგნი მოგეც მე შენმა  
 დისწულმა მაპმად-ბეგმა თქვენ ბიძაჩემს წინამდლ-  
 ვარს ონოფრესა, ასე რომე მამის ჩემის ორას ათს  
 ყურშს (ყურუშს) გადებდი ძეელს თეთრსა დივანბეგი  
 ერასტი, (თრიელიანი საბასულხანის ძმა) ბაგრაშენისბეგი  
 მაპმად ესენი შეა შემოვიდნენ. ამათის-  
 პირით გარდასწყდა და მოგებარა. შენზე აღარა  
 დარჩომილა რა... მოწამენი ბატონი დივანბეგი ერა-  
 სტი, ბაგრაშენის ბატონი მამალბევ, წოხტების ბატონი  
 აპბიბევ, აჯი მამულ, დივაბეგის ძმისწული ბატონი,  
 ვახტანგ და მე აჩისხატის დეკანოზს პეტრეს დამი-  
 წერია ქრისტეშობისთვის ოცდაშვიდს გასულს ქო-  
 რანიკონს :უიგ: ამ ეს წიგნი იბრეიმ ბეგიშეილმა  
 მაპმბეგ მოგეც თქვენ წინამდლვარს ონოფრეს.

**1725** წ. ახლოდროის № 66 ქ. ესე წიგნი მო-  
 გეც მე ფერინოზიშვილმა თქვენმა ნასყილმა გიორ-  
 გიმა თქვენ პაპუნას და შვილსა თქვენსა ელენესა,  
 ასე რომე ოცდა ათი ყურუში ურუმისა დამატყდა  
 და ის თეთრიც თქვენ გარდამიმწყვიტეთ. არის ამისი  
 მოწამე ბატონი წინამდლვარი ონოფრე (ჩვეულად),  
 გიორგი მხთისიას ძმა †, და მე ანჩისხატის დეკანო-  
 ზის შვილს პეტრეს დამიწერია და მოწამეცა ვარ  
 ამ † † †

**1725 წ. № 67 ქ.** ნებითა და შეწევნითა ღთი-  
 სათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩეენ სამთა  
 ძმათა, ბეჭიამ, თანიამ და შიომ თქვენ ბატონს  
 წინამდლვარს ონოფრეს, ესე რომე ვალი გვემართა  
 და ალაჯი არსაით ქონდა(?); ახლა მოვედით და  
 შემოგეხვეწენით და თქვენ დაგვიხსენით, და მოგყი-  
 დეთ ჩეენი თავი: ოთხი თუმანი და ექსი მინალთუნი  
 გარდმიწყვიტეთ. ჩეენი ძმა თანია მოსახურათ მიახ-  
 ლებია მე ბეჭიას. და რაც შემეძლოს და ან ჩემს  
 ცოლს-შეიღლს მოუარო და ჩაეაცეა და ეასო და  
 ვაჭამო, ისე ძმის ცოლშეიღლს მოუარო ჩაცმითა,  
 სმითა და ჭამათა. რაც მოგვიხსენებია თუ ამაში გა-  
 ვჩტყუნდეთ თქვენი თეთრი სარგებლით მოგართვა;  
 თვეში თუმნის თავს აბაზი მოგართვა. არიან ამისნი  
 მოწამენი სამ მაღალაშეიღლი, დათუნა მგალობელი,  
 კანდელაკი დავით, პეტრე დეკანოზი, კანდელაკის  
 შვილი იოანე. მე პახუმის მდივანთ მწიგნობართ  
 უხუცესის შვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ქო-  
 რანიკონს უიგ † † †

**1725 წ. ახლოდროის № 68 ქ.** მომებარა მე  
 უსბაშს ველიაღას რაც უწინ მე მაეაბარე ნინოწმი-  
 დელს ან რაც ჩემს შეიღლს ისაბეგს მასუკან მიება-  
 რებინა სულა ყველა თამომთ (?) მე მომბარებია ჩემი  
 და ჩემის შვილისა მიბარებული; ალარა დამრჩომია-  
 რა: რაც ან რახტი, ან ქამარი, ან მაფრაშა, ან  
 ხურიჯინი, ან თოფი ან სხვა რაც იყო სულა მე

ჩემის ხელით წამიღია. ამას გარდა ჩემის სიძის ხალილაშვილის სულეიმანისი რაც მაფრაშა ან ვერცხლი ან სპილენძი იყო სულა მე წამიღია. ვდემ ინიყიზოლლის ბარგიდამ ერთი ალახუხი (ე. ი. ქეჩის კარავი) სამის კალთით მე წამიღია. არის ამისი მოწამე: სომხ. მელიქ. შეილი, ბადყრ, თაქლა, ჯილა, ბდარი, ქალბი, (თათრული ბეჭედი) ბოლოს საში ამ სიგვით ქართვის მაშინდელ მებატონე სამცხე-საათაბაგველთ და თხმა-ლთა გამოუბარებათ ნინოწმიადლისაგან ას ნაცარც-ნადავ-დი ნიგები, რომელიც მათ ნინოწმიადლისთვის მიუბარები-ათ შესანახათ გარევის ქვაბებში. შემდეგ პადე მიწერილია: „ანაყიზ ოლლის ბარგიდამ წავილე კიდემ ერთი ჯე-ჯიმი ნაბდებედ გადაკრული, ერთი ხალიხა, ერთი ქილიმი, ოთხი ნაკერი სპილენძი, ერთი კარიელი მაფრაშა, ორი ბალიში, ერთი ტომარი ცარიელი“

**1725 № 69 ქ.** ნებითა და შეწევნითა ლთისა-თა ჩვენ პაპუნამა (თრბელაანი ?] და ჩენმა ქალმა ელენემა ეს წიგნი მოგვირომევია, ასე რომე ფერი-ნოზის შეილი ჩვენ ვიყიდეთ თავისის შეილებითა და მერმე თქვენ წინამდლვარს ონოფრეს გიორგის-შვილი დღაკონი დავით თქვენი გაზღიული და თქვე-ნგან გასწავლებული იყო. ახლა ისევ თქვენთვის მოგვიცია და დაგვიხსნევინებია. არასკაც კელი არა აქვს... და არც ეინ გეცილებით და არცა თავის მა-მასა. ჩვენი ნასყიდი იყო, თქვენთვის დაგვიხსნევინე-ბია და მოგვირომევია. რაც ამ დიაკონში ფასი გა-ოგაროვით ისევ ამავ დიაკვნის მამის ვალში მი-

გვიცია არის მისი მოწამე: ისე მეფის სახლუხუცესი

ნახუცრისშვილი დავით

მონა ლთისა  
.....

; არაგვისკრის-

თვის შვილი აბელ

მონა ლთისა  
აბელ

; ბინდურასშვილი

მუშრიბი ავთანდილა

მონა ლთისა  
ივთანდილ ქ-ს  
უგ. 1715წ.?

შერგილას შვი-

ლი მუშრიბი იოსება; ანჩის ხატის კანდელაკი მღვ-  
დელი დავით და სარაჯი გაბრიელა და მე ანჩის-  
ხატის დეკანოზიშვილს მღვდელს პეტრეს დამიწე-  
რია გიორგობისთვის დამდევს, ქორანიკონს :უიგ:  
† †

**1752** წ. ახლოდროის № 70 ქ. ესე წიგნი მო-  
გართეით ჩეენ ეატელმა პეტრიამა ოქვენ ბატონს  
წინამძღვარს ონოფრეს; ასერა პატარა ობოლი და-  
ვრჩი მამა და დედა რომ დამეკოცა; წაველ, გა'ვ)ვარ-  
დი, სახლყარი მამული სულა გამიოხრდა, დამექცა,  
ალარაფერი ალარა დამრჩა რა—ჩემი კერძი სულა-  
გაოხრდა. მერმე თქვენ მომძებნეთ, მომიყვანეთ, გა-  
მზარდეთ, მამულსა-დედულს მომკიდეთ, ცოლი შე-  
მრთეთ, დამასახლეთ. ოთვთხმალი იარალი გვიბო-  
ძეთ; ცოლსა და ქმარს ორსავ თქვენ გვაცმევდით  
და გვინახევდით; შეიდი ფლური ჩემის ცოლის საქ-

მეზედ სუფრაჩასაც მიეცით, ამთენი წყალობა მჭირდა  
 ოქვენგანა; ეშმაკი მომერია; ოქვენ წაგიველ; ოქვენს  
 მამულშიდ აღარ დავდევ. რა ოქვენ გაგეყარე წა-  
 ხაე (წახხთი), გავლარიბდი, ვალი ბევრი დამეციდა.  
 მასუკან შენ შემოგეხვეწე, გულიაღარ მოიბრუნეთ;  
 აღარ მინდომეთ. მამული გახასყიდლად მოვინდომე;  
 საყდრისა იყო—არ დამანებეთ, დასტურიდა აზატი  
 და აზატის წიგნი გთხოვე და მიბოძეთ. რადგან და-  
 სტური და აზატი მიბოძეთ, მე იმ ჩემს ნაქონს და  
 საყდრის მამულთან კელი აღარა მაქვს; ვისაც გე-  
 პრიანებოდეს იმას უბოძეთ. გულის გაწმენდით კელი  
 ამიღია: ოქვენ ჩემთან აღარა გაქვს კელი და იმ მა-  
 მულთანა მე. თუ ამაშიდ გავმტყუნდე ჯერ ვიყო  
 მღვიმე შამცოდე და მერმე წმინდის დავითისა და  
 კახის კელმწიფისა, თუ მე ან მამულიდა მინდოდეს  
 საყდრისა... (ჩამოთვლილია მთწმები) †

**1725** წ. ახლოდროის № 71 ქ. ვეზირი რეჯებ  
 ფაშა გიბძანებთ წინამძღვარო ონოფრევ! მერმე  
 ხატის სოფელი როგორათაც უწინ გქერება და  
 გქონებოდეს ჩვენც ისევ წყალობა გვიქნია და გვი-  
 ბოძებია.—იმ სოფლის საუბაშო და მოხელევ ბაირამ!  
 კარგად ერდგულად ემსახურე და ნურც მაგსოფ-  
 ლის გამოსაღებს სხვას კაცს დაანებებთ და ამ

წინამძღვარს მოაბარეთ

დიდი თათ- რული ბეჭე- დი	. მეორეგეგერდზე:
-------------------------------	------------------

„რაჯა ფაშის მოცემულია“ ხატის სოფლის მო-  
ურაობისა. (რეჭიბ ფაშა ჭმართვიდა ქართლს 1725 — 8 წ.)

**1725 წ. ახლოდროის № 72.** თეიმურაზის საქუთა-  
რის ხელით ნაწერია ქ. ჩვენ მაგიერად საგარეჯოს მო-  
ურავს ირჩას ასე უანბევით: ამ წმინდის დავითის  
ყმასთვინ ნოქარი არც ჩვენ შაგვიწერია, ნურც  
თქვენ გაურევთ ნოქარში. ნოქარი მალე მოამზა-  
დეთ ასლი (ახალი).

ღმერთო სის- ხელი... თეიმურაზ
------------------------------------

(მეორე გვერდზე სხვი-  
სის ხელით):

ქ. სამი ცალი ღვინო გაეყიდე; იმისი ფასი თერთ-  
მეტი მარჩილი იყო. ქ. ოთხის მინალთუნის თევზი  
დაერბო ვიყიდე; ქ. ორი აბაზი წისქვილის რკინა-  
სთვინ მიეკა. ქ. ექვსი შაური საყადარის (?) ქა-  
ღალდი ვიყიდე.

**1733 წ. № 73 ქ. სელიკაშვილმან პეტრემ**  
 უჩივლა ლაზარე უსიკაშვილს, ორნივე ერთად ვალა-  
 პარაკეთ და ძველი საქმე ყოფილიყო. ბევრი ამი-  
 სთანა საჩივარი იყო — კელი ავალებინეთ; საქმე აღარ  
 აქვს ერთმანეთზე და კელი ვალებინეთ; ამ რიგად  
 გავაშვებინეთ: დიალ ძველი საჩივარი ყოფილიყო

ქორანიკ. უკა (ავტოგრაფია მეფის ?)

ღმერთ. სისხე- ლი შენი მე- ფესა მეკა... თეიმურაზ
--

1733 წ. ახლოდროის № 74 ქ. ჩვენ მაგიერად  
 ნაზირს ქაიხოსროს ასრე მოახსენეთ; დადოელთა  
 და მგალობლის სასამართლოდ ბატონი ნინოშინდე-  
 ლი და ონოფრე წინამძღვარი გაეგზაენეთ და სამა-  
 რთალი ექნათ, და პაპის ეთიბერას შვილის მამული  
 სახნავი, სათესი, მთაბარი და ქვევრი დოდოველ-  
 თათვის სამართლიანის საქმით დაენებებინათ, რომ  
 მგალობელსა და არცა ვის სხვას კელი არა ქონ-  
 დეს დოდოველთ მეტსა. თქვენთვის გვიბძანებია,  
 წალით და თავთავეისი კერძი გაუყავ, რომ ერთმა-  
 ნერთან საცილობელი არა ქონდესთ რა — მიწა, მთა,  
 ქვევრი და რაც რამ თავთავეისი წილი იყოს მიაბა-  
 რეთ. ჩვენის ძმის მეფის იმამყულიხანის ბძანებაც

ასე იყო და ჩვენც ასე გვიბძანებია.

მე მონა ღთისა
დავით მეფის
ტომისეგანგა
ზე ზჯ. ვარ ქა- ნეთ. თეიმურაზ

1733 წ. ახლოდროის № 74 ქ. ნებითა... ესე  
 ნასყიდობის წიგნი ბოგეცით ჩვენ ქურხულმან დემე-  
 ტრემ, შვილმა ჩემმა შიომ თქვენ მონაზონს ანასტა-  
 სიას ასტანდარ ყოფილს, ასე რომე მოგყიდეთ  
 ჩვენი სამკვიდრო მამული მამისა და პაპისა ნაქონი  
 სადგომზე ბაგა თავს გილიაშვილის საზღვრამდე,  
 აქათ ვგვერდით ლიგლავის მიჯნამდი . . . არიან  
 ამისი დამფასებელი და მოწამენი კუჭუაშვილი ბაინ-  
 დურა და სულა გარეჯელნი † † † †

1733 წ. ახლოდრ, № 76 ქ. ონოფრე წინამძღვარს  
 ეს მიბარებია მემკვიდრე თვალზე და პატარძეულს

შატარმეულში არის ემა ეჭვია:

- ქ. ლაფერიშვ. კომ. ერთი ქ. ესტატაშვილი კომ :ა:
- ქ. უსუფაშვილი — :ა: ქ. ტურიკაშვილი -- :ა:
- ქ. ჟატვლი — :ა: ქ. კაწარ. სახ -კაცი -- :ა:

თვალზედ ტაბარუქს გარდა:

- ქ. მოძმანაშვილი კვამ. :ა: ქ. მისი განაყოფი კვამ. :ა:
- ქ. ყურდგელაშვ. — :ა ქ. უატელი — :ა:
- ქ. მჭედლიშვ. რამაზ — :ა: ქ. მჭედლიშვ. გიორ. — :ა:
- ქ. მჭედლიშვ. შიო — :ა: ქ. მჭედლიშვ. ბასილ — :ა:
- ქ. მჭედლიშვ. ქიტშვ. — :ა: ქ. მჭედლიშვ. მახარ. — :ა:
- ქ. ყაზარაშ. ბაისოლ. — :ა: ქ. ყაზარაშვ. ნურალი — :ა:
- ქ. მთიულიშვ. ზურ. — :ა: ქ. იმისი განაყ. ბასილა ჯა
- ქ. მელვრეკელა — :ა: ფარიძე კვამ. :ა:
- ქ. იორდან. შეილები — :ა: ქ. ეედრიაშვილები — :ა:
- ქ. ფერინოზისშვილი — :ა:

ემატებული და დასახლებული ეს არის ონოფრე  
 წანამძღვრისა შატარმეულს:

- ქ. კავთელა კვამლი :ა: ქ. ხებრიელაშვილი კვამ:ა:

თვალზე.

- ქ. ნასყიდალაირემა კვამ:ა: ქ. მეძმაშვ. თეოდ. — :ა:
- ქ. ბუზარიაშვილი — :ა: ქ. მარქესაშვილი — :ა:
- ქ. მეძმშვილააბალა — :ა: ქ. ლასურაული ისე — :ა:
- ქ. ლასურაუ, თეოდ, — :ა: ქ. ბერიკაშვილი — :ა:

- ქ. მიქელაშვი მანუჩ. — ა: ქ. ქალელიშვი. ლაზ. — ა:  
 ქ. ფეიქარი ზურაბა — ა: იაკოფაშვი. გრიგორ. — ა:  
 ქ. იაკოფაშვი. ელიზ. — ა: გუძილიაშვილი — ა:  
 ქ. ფეტვაშვილი — ა: კუდამახარა ა:  
 ქ. ნაღებაშვილი — ა:

ქ. დუდაურბს დებია რეა საპალნე დეინო, ოცი  
 ლიტრა ლებანი, ორი ლიტრა სანთელი.

**1733** წ. ახდოდროის № 77 ქ. ნებითა და შეწევნით მხთისათა ესე თავდახსნილობის წიგნი მოგეც  
 მე ზარდიასშვილმა შენ გონგაძეს პაპუნასა და  
 შვილსა შენსა მახარებელსა, ასე რომე ძველად-  
 განად ჩერქეზის პაპუნასაგანაც გასყიდული იყავ.  
 ახა (?) შენ ის წიგნი წამოაყენე. ახა ფიცი შამომ-  
 ვარდა: არ მეფიცოდი და ვერ დავიფიცე. ძველათგან  
 წამოსული იყავ და არ მეფიცოდი — დარჩი მანდავ  
 კახეთსა. შენთან არც მე და არას კაცს კელი არაეისა  
 ქონდეს.... სადაც გინდოდეს იქ დარჩი — მხთის მეტს  
 შენთან კელი არავისა აქუს... მოწამენი ყორლანაშვი-  
 ლი ბერ, გრატიაშვილი ხუცია... მე ბასილს მჭედლი-  
 შვილს დამიწერია....

**1733** წ. ახდოდროის № 78 ქ. სალოხუცესი  
 მოგახსენებ ჩვენს: ორისავ სოფლის მეოხსა ბატონს  
 ჩვენო სასაეპაო ნინოწმიდელო! ვიცი შაწუხებული  
 იქნებით: ჩვენპან ცოდეამ ამისთანას განსაცდელში  
 ჩაგვყარა! ბოლოს რა დაგვემართება ღმერთმან იცის.  
 მონასტერში უბძანეთ ბატონისათვის და ვინც აქ

არიან და ქვეყნისათვის ილოცონ—და ეგების იმათ-  
 მა მაღლმა ამ განსაცდელებისაგან დაიხსნას. რომ  
 მოკედით მაშინავე წიგნი უნდა მეახლებინა და  
 მაშინვე მძიმეთ აეათ გაეხდი...წმინდის დაფათის  
 ყმა ნათლის ცემის ყმა პურში არ ჩამიგდია, იორა-  
 მისათვისა და ნაცვლისათვისაც მითქვამს; მაგათაც  
 პირობა გამოართვი. მაგათ კი ნუ გარევ და სხვა  
 თქვენი ყმა რომ ვერ გამოვა საბატუნოს სათხოვა-  
 რში და ლაშქრის საქმეში რაც სხვამ ქვეყანამ ქნას  
 თქვენშა ყმამაც ის უნდა ქნას.

მონა

...

**1733** წ. ახლოდროის № 79 ქ. ჩვენო ბოქაულო  
 უხუცესო მაყო! ბატონის ბძანებით რაც წმინდის  
 დავითის მამულები იყო იმის სასამართლოთ მივედი  
 ვანთას; სახლთხუცის ელიშერისა და სამებელის  
 ნიკოლოზის განაჩენის სამართლის წიგნიც იყო, რომ  
 დაეით-გარეჯის წინამძღვრისთვის დაენებებინათ  
 ის მამულები. ასლან მდივანბეგის სახლისკაცებმა  
 ლაპარაკი შექნეს..გოგია ნაცვალს ბატონის ბძანებით  
 ფიცი მოუდვით და ვერ შაიძლო და მერმე (აკუ-  
 რელ წმინდის დაეითის ყმებს)...სულ აკურელნი მი-  
 ეიდნენ და ისე დააფიცა რაც იმ საკვამლოების გარ-  
 შემო და იმისი გასადევარი იყო მთაბარით თან  
 გაიტანეს...და სახლის ადგილი ისევ საბატონოთ  
 მივარდა და სალაპარაკოთ დარჩა და სასამართლოდ.

**1733** წ. ახლოდროის № 79 ქ. ჩვენი ბძანება  
 არის საგარეჯოს მოურავო იორამ! მერმე წმინდის

დავითის ყმა არც უწინ ყოფილან · ლაშქარს და  
 ახლაც კელი ნუ გაქვს—ლაშქარს ნუ გამოიყვან;  
 დაეხსენით. ხულად: თეიმურაზ“

**1739** წ. № 87 ქ...ჩვენ ენდრონიკაშვილმა  
 ზურაბიშვილის იასონის შვილმან დავით, ძმისწუ-  
 ლმან ჩვენმან გიორგი, ზაალ, ზაზამ და შვილმან  
 ჩემმან თამაზ...ასე რომ შენ წმინდას სამებას კაწა-  
 რეთის ყმა ლევისაგან ამოგიწყდა. მოვიდა თქვენი  
 საჭირობელი სამებელ ებისკობოზი იოანე და  
 ერთს კვამლს კაცს გვეპაჯა. ახლა... შემოგწირეთ  
 ...ერთი კვამლი კოჭობაშვილი თევდორე უცოლ-  
 შვილო, ლევისაგან სამებლისავ ყმასთან დაეკარგა.  
 თუ თავისი ტყვე ან ძმისწული მოუვიდეს კელშე-  
 უკვრელათ შემოგვიწირავს რომ არას ჩემს სახლის  
 კაცს კელი არა ჰქონდეს....აგვისტოსა :კდ: ქორა-  
 ნიკონს: უკზ: † † † † †

**1742** წ. ახლოდროის № 81 ქ. ნებითა.... მე ბე-  
 რაშვილს დემეტრეს შემიწირავს ჩემი თავი წმინდის  
 დავითისათვის ყოვლის კაცის მოულევრად და უცი-  
 ლობლად, რომ არას აღამიანის მონათესავეს კაცს  
 ჩემთან ხელი არა ქონდეს, ან მანამდრის მე ვიყო  
 ან ჩემი შვილი ან შვილიშვილი წმინდის დავითის  
 საფლავის იქით არა ვიცოდეთ რა, ამისთვის რომ  
 ერთი პატარა ობოლი მოველ თქვენს ხელში, ან  
 თუ რამ მოვიგე და მაქვს სულ თქვენის მონასტრის  
 ყმობაში მოეგე და სულ თქვენთვის შემომიწირავს  
 ჩემითაეიცა და ჩემი მონაგებიცა და ლთის გარდა

თქეენს მეტა არა ეიცოდე რა,—მას უამსა ოდეს  
 ბძანდებოდა წინამძღვრვად ენისელთ მოურავისძე  
 ატიოსანი იოვანე...მოწამე...წმინდის დოდოს მო-  
 ურავი დალდაშვილი პეტრე და სულ წმინდის  
 დავითის ყმანი და მე დავით ბერს დამიწერია და  
 მოწამეცა ვარ ქორანიკონსა :ულ: „ქ. ეს წიგნი დე-  
 მეტრა ბიჭის არის“ — ეტეობა დემეტრა გლეხი უფ-  
 ფილა მონასტრიასა და ახლა უმად სწირავს თავს (рабь).

**1742 წ. № 81 ქ.** ნებითა... ლთისათა... ესე გარდა-  
 წყვეტილობის წიგნი მოგეცით ჩეენ დილმელებმა  
 გიუტაშვილმა ზურაბაშ და ივანაშ და ჯამნარაშვი-  
 ლმან რამაზამ, კაკიაშვილმა პეტრიაშ და ჯამნარაშვი-  
 ლმა ლაზარემ, შენ პატარძეველს უსუფაშვილს გი-  
 ორგის, ასე რომე ჩეენი ნათესავი კაცი ფოთოლა-  
 შეილი ივანე შემოგაკვდა და სისხლი დაგედვა. მას  
 უკან ჩეენ ლაპარაკი დაგიშეუვით და შენ ამისი  
 პასუხი გაგვეც და სისხლი გარდაგიშეუიტე. დღეს  
 იქით...სადაო არ გქონდეს რა მოყვრობის მეტი  
 .. მოწამე კალატოზი სარქისა... მე ანდრიასა დამი-  
 წერია და მოწამეცა ვარ... თიბათვის :ზ: ქორანიკონს  
 :ულ: † † † ამისი მოწამე სიონის მღვდელი ლაზარე

**1742 წ. № 82 ქ.** იყავნ ნება უფლისა და....  
 მართლისა სარწმუნოებისა მიერ ძლევაშემოსილმან  
 იესიან დავითიან სოლომონიან ბაკრატოვან ძემან  
 კახთა მეფის თემიურაზისამან ბატონიშვილმან ბა-  
 ტონმან ჰერაკე ემსა მას, ოდეს მოეელ პინდოეთით  
 თანახლებული ერანის კელმწიფის ნადირშასი და

კახეთად მოსრული აღეძარ სურვილითა და სურ-  
 ვიელ ვიქტერ მოხილვად წმიდათა ამათ აღგილთა  
 უდაბნოსათა და მოვედ წმიდასა დოდოს და ვიხილე  
 წმიდა და ლვაწლ-მრავალი გეამისა მისისა ლარნაკი:  
 მ(ას) უამსა გვევედრა წმინდა არქიმანდრიტი ნიკო-  
 ლოზ შალიკაშვილი ეს(ე), ვითარმედ კერძო წის-  
 ქვილისა, რომელი იგი უჭირავს საგარეჯოს ნა-  
 ცვალსა პაპუას, მიცემად წმიდის დოდოს მონასტრისა  
 და ჩვენ გავხინჯეთ და რაც პაპუა ნაცვალს მაგ  
 წისქვილში წილი სდებოდა შევიტყველთ, ნახევარი  
 წისქვილი დოდოს მონასტრისა იყო და ნახევარი  
 პაპუა ნაცველის. ახლა ჩვენ პაპუა ნაცვალს ნახევარს  
 წისქვილში ფასი მიეცით, ამისთვის რომ უმსჯავროვ  
 მოტაცებული არა სათნო იქნებოდა შეწირეად  
 შენდა...და ის წისქვილი ისე გაგისაკუთრეთ შენ  
 ...წმიდასა დოდოს: ამას იქით საკარეჯოს ნაც-  
 ვალს იმ წისქვილში კელი არა ქონდეს, ისე კელ-  
 შეუვალად შემოგვიწირავს....დაიწერა..თვესა იენისსა  
 :ე: ქორანიკონსა: ულ: (1742 წ.) კელითა ბო-  
 ლბელ მიტრაპოლიტის იოანნესითა.... (გაურჩევდად)

ერეკლე

**1742 წ. ახლოდროის № 83 ქ. ჩემის ცოდვის**  
 სიმრავლი ი მრავლის ჩემგან ძნელად მოსაომენის  
 განსაცდელების მხილველი ცეცხლებ მგზებარეთა  
 მწუხარებათაგან გონება-მოღებული ყოვლი ჩემ სო-  
 ფლის განსაცდელ-მხილველობით მწუხარებათაგან

გარემოცვა აწინდელის განსაკუდელის შესწრებით  
 დავიწყებული დედოფალი თამარ მოგახსენებ, ჩვენო  
 მარადის თქვენის სიკეთისა შესატყვისად სახსენებელო  
 და ჩენის შეწუხებულის თავის ნუგეშის მცემლად  
 ვინებინა, იქ ამიყვანა და მომითხრა ვიორგი,  
 რომე აქეთ თუ ღვთის ნება არისო სახლი მრნდა  
 ავაშენოო და ერთი პატარა საყდარიც ჩავდგაო,  
 მაგრამ ჩემს წისქვილის ზეიდამ დაეით გარესჯის  
 არისო. ითანე ბოდბელს ვემოციქულებიო, თუ  
 მოყვიდაო უთუოთ ასე ვიქო, ჩობაოური დავით-  
 გარესჯის მონასტრის არისო (მოწმობა საქუთარი  
 ჩობაოურის დ. მუტო).

**1782 წ. № 137.** — სია შემოწირულებათა გიორ-  
 გი მეფის ძისაგან...სარტყელი ოქრო მკედით ნაკე-  
 რი ვერცხლის ბალთებითა საბუხრები  
 სირმით ნაკერი მარგარიტის ჯვარებითა...სულ  
 ცხრა სრული შესამოსელი შეუწირავს მღვდელს  
 (61 ნაკერი) და ბოლოს აწერია: ჩვენ საქართვე-  
 ლოს უფლისწულმა. გიორგიმ სამღვდელო და სა-  
 დიაკონე შესამოსელება რამდენიც აქ აღწერილ  
 არიან, შემოვერები... დავით გარესჯისა...კეთილ  
 მორჩილის მეუღლისა ჩემისა ქეთავანისა სულის  
 საოხად...თვეესა ოკტომბერსა :ვ: ქორონიკონს ჩლპბ.

პისტით, ელბიდით აღაპით ...
----------------------------------


**1782** წ. № 138 წერადა შეფ. გათრგასა  
 არხ. თამ. ქ... მერე სამთელი დაგებარებინა სამ  
 ლიტრაზე ცოტა რამ მეტისა,—მთელი გვიახლებია და  
 თერთმეტი თეთრი სამთელი გამოგვიგზავნია...და  
 მუდამ ყოველ დღე წირვა არ უნდა გაწყდეს  
 (აგრეთვე წმინდა ითანე მახარებელში)... კვირაში  
 ცხრა წირვა... თავისის პანაშვიდებით...მთხოვნელ  
 ბერნი წამოიყვანეთ, რომე მონასტრისათვის ითხო-  
 ვონ და ან იშოვნიან რასმე, და ფანოსზედ შიგნი-  
 დამ ეს ტყვია უნდა დაადვათ ხვალმე და ზედ  
 შამდენი დასდგათ რომ ქარმა ვეღარ დასძრას. ივ-  
 ნისის იდ. ქორონიკონს უო.

პისტით, ელ-
პიდით აღა-
პითა კეი-
სულ(?) ჩემო
მომიმუშვევი

**1782** წ. № 139.—ქ. მათს სიმაღლეს ასე მოხ-  
 სენდეს. ნაკლულაშვილის საქმეზე ოქმი გებოძათ;  
 აღაიათი გეკითხათ. მოკელენი და უფროსნი კაცნი  
 შეყარეთ; კითხე ამათი საქმე როგორ ყოფილათ.  
 მე თქვენი ბრძანება მქონდა. არახზე გახლდი. ამ  
 ფამად იქ ვერ წაველ და თქვენი ოქმი ნაცვალს გაუ-  
 გზავნე... ნაცვალი შეუძლოთ გხლებოდა, ყური ეერ  
 მიეგდო და იმ ნაკლულაშვილს თავის თავათ (?) დე-  
 წერინა(?) იქ არვინ გხლებია სამის მოწმის იქ არ-  
 ვინ გხლებოდა არც მოკელე და არც სხვა ჭაცი,

უფროსი ვაცი აზ გხლებოდა; გადმამიტანა და მო-  
 მატყუა. სოფელი სულ იქ იყო და ბეჭედი დამას-  
 მევინა. ის მოწმები ისევ იმას მოგახსენებენ  
 (რაც უწინ მოეხსენებინათო)... აგვისტოს :კ: ქო-  
 რონიკონს უო. (გაურკვევებდა).

**1782 წ. №.—140 ქ.** მე არხიმანდრიტს თეო-  
 დოსის მისმა სიმაღლემა და მისმა უწმიდესობამა  
 დაეით-გარესჯის და დოდოს მონასტრის წინამ-  
 ძღვრობა რომ მიბოძეს მოველ და მონასტრის მი-  
 წა და ალაგი მოვიკითხე და რომელიც დოდოს  
 მონასტრის სახასო მიწა იყო დაეაწერინე. მონას-  
 ტრის მიწა ბერი ნაზვრევში თავს გზამდი, ბოლოს  
 გზამდი, აღმოსავლეთის მხარე ყაზრაშვილის მი-  
 ჯნამდი და დასავლეთის მხარე გრატიაშვილის  
 მიჯნამდი.— ქ: მონასტრის ხოდაბუნი ქვლივიძისა...  
 ქ... ხოდაბუნი აპრიანში. ქ... ხოდაბუნი გაუგო-  
 ნარი. ქ... ქვიანის ბოლოს მონასტრის მიწა ქ.  
 კიდე მონასტრის მიწა ქვიანში. ქ. მონასტრის მი-  
 წა ზერის ბოლოს; თავს გზა რომ გაივლის... ქ.  
 მონასტრის მიწა პანკელაშვილის ბოლოს. ქ. მო-  
 ნასტრის მიწა გილაშვილის მიჯნამდინ თავსაცა და  
 ბოლოსაცა. ლვინობისთვეს :ი: ქორონიკონს :უო:



ქ. ჩვენი: ბრძანება; არის: საგარეჯოს; ნაცვალო  
 თევდორევ მერე პაპიაშვილის ბეითალმანზე მებ-  
 ლობელს კელი არა აქვს არც მიწაზე და ზეარიც  
 წმიდის დოდოს წინამძღვარისთვის გვიბოძებია მი-  
 სის ბეითალმანით. ზეითალმანი ჩვენი იყო და ამათ  
 უბოძეთ; სხეასკაც კელი ნურავის აქვს ამათ მეტს  
 იმ მამულებთან; ყველა ამათ მოაბარეთ

ლაკრელ პეტრიას დოდოს მონასტრის წინამძღვრის  
 ზაქარიასთვის და კრებულთ გრიგოლ, ეპიფანე და  
 დანიელისთვის და სულ ერთობილ კრებულთ  
 მოგყიდეთ ოორზე ზერის თავში რაც ჩვენი იყო“..†††  
 ბრძანება მდივანს სვიმონს: „ეს მჭედელი ქსნის  
 ერისთვისა-არ გამოდგა...ისევ (დოდოს) წინამძღვარს  
 სვიმონს დარჩა. ამასთან კელი ნაღარ-გაქეთ და  
 რაც გამოგერთმევინოსთ სულ ისევ უკანვე მო-  
 ეცით, თორემ დიახ გიწყენთ. იანერის :იდ: ქო-  
 რონიკონს :ულზ:

ერეკლე

...ესე სიგელი...მოგეცით ჩვენ მრავალმთის მონა-  
 სტრის ღირსის დოდოს არხიმანდრიტმან თეოდო-  
 სიმ და...ძმათა ამა პირსა ზედან, რამეთუ შენ  
 ნეფლით და ნებითა შენითა თავს შენი შემოსწირე  
 წმინდა დოდოს...ამის სანუფქოდ მოგეცით თვალ-

ზე საცენაცე მამული ზვრის გვერდზე (საზღვარი:  
 ანუაშვილის ბაგამდი)....: მასთანაცე მოგეცით ანუა-  
 შვილის ბაგის თაგში კალო-საბრელი და გომის  
 აღვილი შენ ბუჩუ კურაშვილს ომანას და ძმათა  
 შენთა დოდოს, იესეს და იოსებს...აპრილის :ია:  
 ქორონიკონს :უპა:  

**1784** წ. № 141.— სახუაშვილებისაგან თავის  
 შეწირულობა; „შემოგწირეთ (ნათლისმცემელს) ჩვე-  
 ნი თავი შვილებითა და სახლისა ჩვენისა მომავა-  
 ლითა ჩვენის ნებით“ (თუ შემოგეცილოთ, ჩვენ  
 ვაგოთო პასუხი)...მოწმები სიონის დეკანოზი ნიკო-  
 ლოზ...ხუცესს ისეს ძეს იოანეს დამიწერია...  
 იულისს :ზ: ქორონიკონს :ჩლპდ:

**1784** წ. № 142 ...ესე წიგნი...მოგაროვი  
 (ნათლისმცემელს) და მონასტრისა შენისა ებგურსა  
 და განძგებელსა...არხიმანდრიტს უფალს ევომეს  
 მე გიორგისშვილმა იოსებ: ასე რომე მამაჩემი ჯავა-  
 ხეთიდამ გადმოსულიყო და ქართლში ცხოვრებუ-  
 ლიყო. მოდავე და მომდევარი არავინ ჰყოლოდა.  
 მე ქართლში ვჰყოლოდი, მშობელნი დამეუკუნენ,  
 პატრიონი და შემნახავი არავინ მყენდა და არც  
 ბატონი მიჩნდა საღმე. მოველ ჩემის ნებით...და

მსგავსადვე ჩემის აღმზრდელის დიდი-დედის ხაზუ-  
 ას ნებით და მონდომებით ჩემი თავი გაყმე და  
 შემოგწირე, როგორც სხვანი მკუდრნი ყმანი გყვანან  
 ღმერთმან ჩემი თავი...ისე დაგიმტკიცოს...თქვენცა  
 მსგავსადვე მფარეველ და შემწე იყვნეთ ჩემდა (თუ  
 ვინმე დამედავოსო პასუხის მიმცემი მე ვიყოვ) და  
 რაც ჩემზე დახარჯული რამ გქონდესთ იმისი მომ-  
 ცემა მე უნდა ვიყო..მე ულირსს ხუცესს იოანე  
 ოსეს ძეს გიორგის შვილის იოსებ დიაკვნისა და  
 მისის ბებიის სიტყვით და ნებით დამიწერია...ივ-  
 ნისს :იგ: წელსა...ჩლპდ. ქორონიკონს :უობ:

**1784** წ. № 143 წერილი მეფე გიორგის წინამ-  
 დღეარს დაფათ-გარეჭელსა მარ. თომა („თომას მიერ-  
 თვას“).—ქ...მერს კარდანახელი გიორგი მღვდელი  
 რომ იყო ის ხომ მოკვდა და იმას ერთი შეილი  
 დარჩომია თევდორე დიაკვანი და ეს უწინაც თქვენ  
 გბარებიათ, თქვენ თურმე ზრდიდით დიაკვნათ...  
 (მამა მისმა სიკვდილის უამს)...ანდერძი თურმე  
 თქვა...ისევ წინამდგარს თომას მიაბაროს (ჩემთან  
 იმისი ქერივ-ობლები მოვიდნენ, მთხოვესო)  
 .. საღმრთო წიგნი ასწავლოთ...თქვენის სიკეთის  
 ამბავს ნუ დაგვაკლებთ. მარტს :იგ: ქორონიკონს  
 უობ:

მეფის ძე  
 გიორგი.

**1785 წ. № 144.** — ქ. ღმერთმან... კელმწიფის ჭირი მომცეს მათს მღლოცველს. წინამძღვარს თეოდორის. ქვლივიძე გიახლათ აქა და სამართალში ვერ მოვიყვანე, გაიპარა და წავიდა. ახლა მას ვევედრები თქვენს სიმაღლეს: იასე ნაცვალს ერთი ოქმი უბოძეთ, რომ ის კაცნი გაახლოსთ ქვლივიძეცა და მისი ჭოწამეც რომელიცა ყვანან ისინიც თან ჩამოიყვანონ და კეშმარიტი მოგახსენონ, და ერთხელ გარდასწყდეს და თუ იმისია — იმას ებოძოს და თუ სიცრუვით გვედავება იმისი სამართალი თქვენი ნება იყოს ჩემი კელმწიფევ. აპრილის : კა: ქორონიკონს : უოგ: განჯარგულება მეფისა: ქ. ჩენი ბძანება არის საგარეჯოს ნაცვალო იესე მერე ამ აოზით რომ ასე მოუხსენებია ეგ წვლივიძე სადა ეინცავინ მაგას მოწმები ყვანდნენ ისინიც ახლავ ჩენის სამართალში გამოგზავნე აპრილის : კბ: ქორონიკონს უოგ. ერეკლე მეზედ ნაცვალო

შენც აქ ჩამოდი და ეგძვლივიძეც თავის მოწმებით აქ ჩამოიყვანე ერეკლე

**1785 წ. № 145** ქ. თქვენის ღირსების მთაყვანებელი სარდლის შვილი ნიკოლოზ. ბატონს უდაბნოს არქიმანდრიტს თომას... ბატონის შვილის თამარისათვის წიგნი მოგეწერათ მჩითავის შვილე-

ბის შუამავლაბის ბარებაზედ...ეგენი რომ ჩეენს სისხლშიაც იყვნენ გარეულნი, რადგან მაგ წმინდას უდაბნოს შემეხვეწნენ და ოქვენ შუამავალი ბრძანდებით-რომელიც თქვენი ნება იყოს ისე აღ-სრულდეს. თქვენმა მადლმა დიდად დააშავეს და ავს დროსაც გვიღალატეს, მაგრამ რადგან თქვენ-თან მოვიღნენ ყველა გვიპატივებია...აღიწერა ივ-ნისის :ია: ქორონიკონს უოგ.

1785 წ. № 146. — საკუთარა ნაწერი თამარის: „  
 ქ...თქვენი წიგნი მომივიდა და მუხათელი მიითავის შუამავლება მოგეწერა. ასეთი რა დანაშაული ექნება მაგათ თუნდ ჩვენი შეილის თოფის მსროლელი იყოს, რადგან წმინდას მონასტერს შემოხიზენია და თქვენც შუამავლობა გიბძანებიათ მაგისლ ანაშაულობა მონა-სტრისა და თქვენთვის გვიპატივებია. მაგას ნულარა ეფიქრება რა. თქვენი კაცი გამოატანეთ და ისე გამოგზანეთ...სარდალი კი სოფელში იყო და წიგ-ნი იმისთვის უერ გაახლოთ... ივნისის :ია: ქო-რონიკონს უოგ.

მეფის ასული თამარ.
--------------------------

**1785** წ. № 146. — წერილი შეფისძის გითოგის (ნაწევეტი) ... მიპატიებია... მოვიდეს, ისევ თავისა ალაგს დადგეს; ხათრი-ჯამი იყოს. ქორონიკონს უოგ. მთიბათვის :ი:

№ 147 ქ. დოდოს საპილენძე არის დავით გარეჯას: ქ. კოკა :ა:, ქ. თუშაფალანგ :ა:, სინი :ა: ქ. ლანგრი :ა:; ქ. ორი თანგირი. ტაფა :ა:, თეფში :დ: ქაფქირი :ა:, ტასტი :ა:, კიდევ ერთი მოსეს აბრიალიდი შასტი (?), სასანთ-ლე :ა:, ერთი თუნგი.

**1786** წ. № 148.— ქ. ახურელნი და ჯანდირიან ვაჩნაძიანი მამულსა და სამზღვარზედ დაობდენ. ახურელთ კახ ეფისკოპოზ-დარბაისელთ განაჩენი აქვთ რომ ბოლოზედაც გაუშეველებიათ და უზუნაურის ახოზედ (?) და ნარბილარზედაც ამ ძეელის გუჯრის ძალით როგორც ამათ განაჩენი დაუდვიათ კახ ეფისკოპოზ-დარბაისელთ... იმ გარჩეულსა გარდაწყვეტილს უზუნაურის ადგილზე რომელზედაც შეიძლონ თავს თუ ბოლოს თუ საშვალზედ დადგომა იქიდან მოჰყვნენ, ის გუჯარი კელთ დაიჭირონ და შეიარონ და დაიფიცონ და იპონ (?) მიწის კიდი და დაიფიცონ; შეიარონ და

იპონ (?) მუკურტულა და დაიფიცონ და ავილნენ ჩერქეზთამდე და დაიფიცონ. თუ ასე იფიცეს ახუ-  
 რელთ, რომ ახურის მხრისაკენ რასაც ვიფიცავთ  
 ჩვენი არისო დარჩება—ახურელთ. იასაულო, ვე-  
 ლის ციხის მოურაო სეიმონ და ალამდარბაშო.  
 ქაიხოსრო, ეს ასე გაარიგე. აგვისტოს კდ. ქორო-  
 ნიკონს უოდ. იასაულებო! ამათ რომ ასე დაიფი-  
 ცონ, კელიც მოაწერეთ, ბეჭდებიც დაუსხით და  
 მას უკან სხვა განაჩენიც მიეცემათ. მას გარდა  
 სხვა მოწმებსაც მოაწერინეთ კელი და ბეჭდებიც  
 დაასხმევინეთ სამღვდელოსაც და თავადიშვილებ-  
 საც. (ბეჭდი ირაკლი მეფისა.

მეფემან ბრძენშან ესრეთ განაგო მე ერისთავის მსაჯულად..	მონა ლვოი- სა მღივანბე- გო ოტია.	მონა ლვოი- სა მღივან- ბეგი სვიმონ.
--	--	--

**1786 წ. № 149.** — ქ. ყოვლისა საქართველოს  
 პატრიარქი მეფის ძე ანტონი ლოცვა კურთხევით  
 მოგიკითხავ თარხანს ლუარსაბ და კალაუროს  
 მოურაო ომან. მეტმე მისს უმაღლესობას ჩვენს  
 ძმას მეფესაც ოქმი უბოძებია ლირისის მამის დავით-  
 გარესჯის წინამძღვრისათვის და ჩვენც ამას გწერთ,  
 რომ რომელიც ვანთას იმ მონასტრის შეწირულო-  
 ბა იყოს, სამართლიანის საქმით გაურჩიეთ და მოა-  
 ბარეთ წინამძღვარს თეოდოსის. და აკურას ქვეხამ

და ჩეკურმა. რაღან მახსოვეარნი არიან და იციან-ისინი მიიყვანეთ და რაც სამარლიანის საქმით იმახსოვრობ დაანებეთ და სვეტიცხოველის მამული არ შეგცილდესთ. ამ ზე სამართალით უნდა მოიქ-ცეთ. აპრილს :ბ:, წელსა. ჩლპვ: ხელუაღ „პათალი-კასი ანტონ.“

**1786 წ. № 150.** — მიწაჭამიშვილი გოგია „ამ უამად თუილისში მყოფი და მსახლობელი ყოვლი-თურთ თავისუფალი და ყოვლის კაცის მოუდევარი ეიყავ... მოველ ნებითა ჩემითა დათავი შემოგწირე შენ-სა (ნათლიმცემლის) წმინდა უდაბნოსა... და ყველა წელიწადა ერთს ლიტრას სანთელს მოგართმიდეთ და სხუა არა ნივთი რამ გვეთხოვდოდეს“ (ძოწამე სიონის კანდელაკი ითანე მწერალი, სოლომონ დეკანოზი)... აპრილს ბ. ქორონიკონს უოდ. წელსა ჩლპვ. წინამძღვარობასა... მამისა ეფთიმისსა“.

**1787 წ. № 151** ჩეენის ღვთის წყალობის შვილებს გიორგის, იულონს და ოლმასხანს და საქართველოს და კახეთის მარტ მსაჯულთ შეკრე-ბულებას ასე მოეხსენოსთ. მერმე ახურელნი ჯან-დიერიშვილებს რომ უჩივიან გალახვისა ხმლით შეტეკებასა, ღუდლის დაჭრასა და გალახვასა, რასაც უჩიოდნენ თითვეულს აზრზედ სამართლის ძალით სამართალი უნდა მიეცესთ. აგრევე ჯან-დიერიშვილები ამათ რასაცა უჩიოდნენ, ამათაც სამართალი უნდა მისცენ ამათი ორისავ მხრისა

სამართლის ძალით რომ სამართლი განისჯება უნდა სამართლით აიწონოს და რომლისაც შეტი მოვა იმან უნდა მისცეს ესევ ახურელნი რომ ჯანდიერიშვილებს თავეთს მამულში მიხდომს უჩი-ვიან ესეც სამართლის გაისიჯოს, თუ სამართ-ლით ახურელნი შეუვიდენ რასმე ჯანდიერიშვი-ლებმა მისულ პასუხი მისცენ სამართლით მარტს იბ, ქორანიკონს უად (1787). აგრევე დავით-გარესჯის წინამძღვარი თომა რომ უჩივისთ თა-ვისის თავს უპატიოდა ლანძღვასა და აურეთვე აკურის ქვესა რომ ჩივის ბატონს წინ ზალმან მუსტი შემომკრაო პირზით და სისხლით პირი ამევსოთ ამისი პასუხიც უნდა გასცენ სამართლით ჯანდიერიშვილებმან. ამათი სიმართლები (?) ორი სავ მზმისა სამართლათ უნდა დაიწმინდოს, რომე-ლიც რომ დაილექებს იმან უნდა გარდიხალოს აღბათ რაც ერთმანეთში სალაპარაკო აქც სამარ-თალში რაც ერთმანეთისა დაედოთ სამართლით ერთმანეთს უნდა მისცენ

შეკვედი

**1789** წ. № 152. ქ. ლმერთმან მისის უმაღლე-სობის ყოვლად მოწყალის კელმწიფის ჭირი მის-ცეს დავით-გარესჯის წინამძღვარს თეოდოსის. ამდენი ხანია აქ გახლავარ და თქვენს მოწყალებასა უყურებ ჩობახურის საქმეზედ. ტფილელის პირით გებძანათ ჩემთვის. მოიცადე, დავით მდრევანი ჩამოვა და ილაპარაკეთო. დავით მდივანიც აქ გახლავსთ,

მაგრამ თქვენი სიმაღლე მოუცდელად ბრძანდება,  
 მე იმ მონასტერს ვაკლი ვარ...თუ ახლა მოუცდე-  
 ლად ბძანდებით, დამითხვეთ, მონასტერს მიე-  
 შველები და როდესაც მაბრძანებთ, მაშინ გეახლე-  
 ბი. იანვარს კც, ქორონიკონს უოზ. განკარგულება:  
 ქ...როდესაც მოვიცლით უნდა რომ გარდაეწყვი-  
 ტოთ. იანვარს კც. ქორონიკონს უოვ. (?) ამაზე გულ  
 დაჯერებით ბძანდებოდე“...

ერებუ

№ 153 ახლოდროისა. მიგვიბარებია ჩვენ ნეკ-  
 რესელს დოდოს საქონელი წინამძღვრის ნიკოლო-  
 ზისათვის.

- |                               |  |
|-------------------------------|--|
| ქ. ფილონი ერთი სარი-          | ქ. კიდევ ფილონი წითე-<br>ლა წითელი.                          |
| ქ. კიდევ ფილონი ლურ-          | ქ. სტიხარი მწვანე ლობლ-<br>ვი.                               |
| ქ. ოლარი ფაფსა (?) .          | ქ. ენქერის ლობდისა არშით<br>ქ. საბუხარი ნაკერი სირ-<br>მისა. |
| ქ. კიდევ ფილონი იქს-          | გაკეთებული.  |
| ქ. კიდევ ფილონი დიბისა თეთრი  | ქ. ფილონი დიბისა თეთრი                                       |
| ქ. კიდევ სტიხარ წითელი.       | ქ. ენქერი მარგალიტისა  |
| ქ. ოლარი ფირუზისა არ-<br>შით. | ეხლა საეკ. მუზეუმისა   |
| ქ. ჯვარი ხისა პატიოსანი.      | ქ. სახარება პრტყელი სა-<br>მი კარი აქვს.                     |

- |   |   |
|---|---|
| ქ. განთვისული სახარება-                       | ქ. წიგნი სახარება კიდევ<br>სამოციქულო.      |
| ქ. კიდევ კელისა წერილი                        | ქ. მეტაფრასი ორი.                           |
| სამოციქულო.                                   | ქ. მარხვისა საწინასწარ-<br>მეტყველო.        |
| ქ. კიდევ სამოციქულო<br>ხელისა წერილი.         | ქ. კურთხევანი ხელისწე-<br>რილი.             |
| ქ. ორი სტოდიერი.                              | ქ. კიდევ სახარება ხელი-<br>სა წერილი.       |
| ქ. ორი ბარაკლიტონი<br>ხელის წერილი.           | ქ. ხონოგრაფი ერთი.                          |
| ქ. საბუხრები სირმისა                          | ქ. სარტყელი ვერცხლი-<br>სა მაღემით.         |
| ქ. ორი კონდაკი.                               | ქ. ეფრემი ერთი.                             |
| ქ. კლემაქსი :ა:                               | ქ. მეტაფრასი ერთი.                          |
| ქ. სვინაქსარი ერთი.                           | ქ. ზატიკი ერთი.                             |
| ქ. მარხვანი.                                  | ქ. ტიბიკონი.                                |
| ქ. სახარება ორი სტამბისა.                     | ქ. სამოციქულო ორი<br>სტამბისა.              |
| ქ. ბარაკლიტონი ორი<br>სტამბისა.               | ქ. ეამნი სტამბისა.                          |
| ქ. ხატი ერთი წლისა ნა-<br>წილიან მრავალი.     | ქ. ორი დასატული ჯვარი.                      |
| ქ. ორი ხის ჯვარი ბერძ-                        | ქ. ბარძიმ ფეშეუმით თავი-<br>ნული.           |
| ქ. კიდევ კარგი ბარძიმით<br>ვერცხლისა ფეშეუმით | სისჭიგაწყობილობით.                          |
| გაწყობილობით.                                 | ქ. კიდევ ბარძიმ-ფეშეუმი<br>კილისა გვარიანი. |
|   | თავისი გაწყობილობით.                        |

ქ. ვერცხლის საცეცხლუ- ქ. ერთი პატარა თარგმა-  
 რი დიდი და კარგი. ნი გამოცხადებისა ითა-  
 ნე მოციქულისა  
 მეორე სია ქონებათა, შედგენილი იოსების მიერ  
 217 წიგნი (მთხელებულია რუსული სახარება და ბუ-  
 ლანი დიდი). სიაქონებათა დოდოს მონასტრისა.

**1767** წ. № 154 ახლო დროისა ქ. ეპა...დავით-გარესჯე-  
 ლო...ჩვენ ცვაფარვათა შენთა მინდობილმან,  
 ლარნაკთა შენთა კრძალვით თაყვანისმცემელმან  
 და სიწმინდის მსახოებელმან ლიხთ იმერთა სარ-  
 დალმან და მპყრობელმან რაჭისამან ერისთავმა  
 როსტომ ვიგულვეთ და ვიგუსმოდგინეთ და  
 შემოგწირეთ მცირე და კნინი ესე შესაწირავი  
 ჩვენის ჯოვის ცხენის კვიცის ათისავი, რაოდენიცა  
 აღიზარდოს...უკლებელად...ჩათავე შინა ცხოვრებათა.“  
 შემდეგ ეხვა სედით: „.....თქვენ ერთობით კრე-  
 ბულნო დიდს ხუჩაფათს ყოველ წლივ ჩვენთვის  
 სწირევდეთ.

დეთით რაჭის ერისთავს, ოშით კმალი მაქვს უს- ტ(ორე). როსტომ.
---

**1790** წ. № 155.— ბეცია თარხნიშვილის ყმა  
 ნაზარაშვილი ფარსადან სოხოვს მეფის ძეს გიორ-  
 გის: „მერე ჩემო მოწყალეო, საგარეჯოს აღებ-მი-  
 ცემაზე გახლავარ და ბატონს ჩემსაც იმით ვემსა-  
 ხურებიდა ჩემს ხიზანსაც იმითი ეარჩენ; თითოოროლს  
 ქოშსა ვკერავ და ამ მოწყალებას გევედრებით,  
 რომ ან ითაკიმ წინამძღვარსა ან ჯამასპი მოურავ-  
 სა მიმაბაროთ. რომა უბრალოთ არვინ გამგლი-  
 ჯოს და ან არვინ დამჯაბროს თქვენად სადლეგრძე-  
 ლოდ. . თიბათვის :კბ: ქორონიკონს უოც. გან-  
 გარგულება: უფალო არქიმანდრიტო ითაკიმ! მერე  
 ამ აზრის პატრიანი თქვენთვის მოგვიბარებია; ამა-  
 ზედ კარგათ თვალ-ყური დაიჭირეთ და ამის  
 ხარჯ-ბეგარაში ნურე ის გაარევინებთ და ნურც  
 არავის რაზედ შეაწერებინებ... გააძლებინეთ —ივნა-  
 სის :კლ:, ქორონიკონს უოც.

გიორგი


**1791** წ. № 156. ქ. ესე წიგნი მოგაროვი  
 თქვენ ბატონს დავით-გარესჯის წინამძღვარს არხი-  
 მანდრის ითაკიმს .მე იმერეთიდამ გიახელ. აქ საგა-  
 რეჯოს თქვენი მონასტრის ყმა გახლდათ ლასუ-  
 რაული დაეით ობოლი. იმას ერთი თავიზე უფრო-  
 სი და ყვანდა. მე მონასტრის ყმობა მოვინდომე. ამ  
 ლასურაულმა დაეითმა თავისი და მე მომტა და  
 თავისთან შემიყვანა ზე-სიძეთ და შეათ. მამულში-

აც წილი მომცა ნათესავთ ნება .დართვით...თუ  
 თავისის ნებით გამაგდო—მამულიდამ წილი უნდა  
 მომცეს (და თუ მე თვით გაველ-არაო)...და ჩემი  
 თავი წმიდის დავითისთვის შემიწირავს საუკუნოდ  
 ...და ვერსად წაუვიდე წმიდის მონასტერს ვერც  
 მე და ვერც ჩემი შეილისშეილი და რაგვარადაც  
 ამ გვარის მამულის მქონებელნი თქვენის მონასტ-  
 რის ყმანი გმსახურებენ, ევრეთვე მე ვემსახურო  
 მონასტერს ყოვლისფრითა...მოწამენი..მე ულირსს  
 ხუცეს მონაზონს გრიგოლს დამიწერია. ფეხერვალს  
 :ა: ქორონიკონს :უოთ:


**1791** წ. № 157 ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ  
 სასამებლო კაცთა თქვენ ახალ დასახლებულთ სა-  
 მებლიინთა. რადგან თქვენ სამებაში მოსახლობა  
 მოინდომეთ ჩვენ ეს პირობა მოგვიცია: აგვილია  
 ხელი სასამებლოს მამულზედ სახაშმოს მამულს  
 გარდა. ჩვენ სასამებლო მამულში ხელი აღარა  
 გვაქვს, მეზობლურად და უცხოსავით თუ მოვხნავთ,  
 თუ არა ჩვენ თქვენთან სხვა საქმე არა გვაქვს რა.  
 როგორც პატარძეულელნი ხვნიდა სასამებლო  
 მამულსა იმ გვარად თუ მოვხნავთ, თუ არა სამამუ-  
 ლოდ საქმე არა გვაქვს. აგრევა მთა მოგვიცია  
 ლავანს კევს გამოღმა საკუთრად. ამას გარდა რაც  
 საჩვენო და სათქვენო მთა არის სულ საერთო და  
 საძმო იყოს. ...ივლისს :იბ: ქორონიკონს :უპთ:

...არქიმანდრიტი გერონტი, მერაბ, რაფაელ, ნიკიფორ, იოაკიმ, ბართლომე, ზენონ, სერაპიონ ამტკიცებს: ყოველად წმიდის სამების კათარეთის ეკკლესიის მოურნე, ნათლის მცემლის მონასტრის და სხვათა არქიმანდრიტი ევთიმი...


**1791** წ. № 159.— „„მოგიძლვანეთ (ბატონიშვილ მა გიორგიმ) ჩვენი ყმა გიორგისშვილი იოანე... დროსა არქიმანდრიტისა ევთიმისასა . . იგნისსა :იდ: ჩლუე: ქართულსა: :უპგ:“


 გიორგი

**1792** წ. № 160,, ...ერეკლე მეორის ასულმან ბატონიშვილმან მარიამ და სასურველთა ძეთა ჩემოციციშვილისა სარდალ-მოურავისა შვლთა ალექსანდრემ, ევსტათიმ, ნიკოლაოს, იოანემ და ლიმიტრიმ და ეგრეთე ძეებრ საყვარელთა მაზლთა ჩვენთა მინბაშმან გიორგიმ და კონსტანტინემ...შესწირეთ... ჩვენი სამკუდრო ყმა ნისბელი ბაიდური ზურაბა...სულთათვს ახალ მიცვალებულთა ჩვენთა სარდალ-მოურავისა დაეითისა და ასულისა მისისა ელენეს...დაიწერა...სეკტემბერსა :იბ: ჟელსა...ჩლებ., წართულსა ქორონიკონს :უპ:“...


 მარიამ

1792 წ. № 161 ქ... წმინდის დავით-გარეს-  
 ჯის მონასტრის წნამძღვარი უღირსი არხიმანდრა-  
 ტი იაკამ (წყალობას ითხოვს ერეკლესაგან)....  
 შერჩე ამას მოვახსენებთ ჩვენი ყოვლად მოწყალეს:  
 მოეხსენება მათს სიშალლეს კარაურელთაგან რამ-  
 თენი ძვირი შევვამთხვივეს მონასტრის მამული-  
 სათვის ახურის ბოლოს სახნავზე. ახლა კიდევ  
 მონასტრის მთაში ღორი უდგათ, აძოებენ და აჭ-  
 მევენ, საბალახეს არ გვაძლევენ, შძლავრებით გვე-  
 კიდებიან. წყალობას ეითხოვთ ქრთი ოქმი და  
 იასაული გვებოძოს, სამართალით ჩვენი მოგვეცეს  
 მარტის :კთ: “ მეფის განკარგულება: ჩვენი ბძანება არის  
 ქურუსულო აბრამ, რომე ამ არზით ამ წმიდის  
 დავით-გარესჯის მონასტრის არხიმანდრიტი ასრე  
 რომ ჩივის შენ უნდა წახვიდე და კალაურელთ  
 ამის მონასტრის მთასა და მამულში ღორი რომ  
 უდგათ სადმე და აჭმევენ მონასტრის მამულს, რაც  
 რიგიანი და სამართლიანი საბალახე იყოს აიღო  
 და მოაბარო. უიმისობა არ იქნება. რას ემართლე-  
 ბიან რომ არ აძლევენ? ილბათ რომ უნდა გამო-  
 ურთეა და მოსცე. მარტს :კთ: ქორონიკონს :უპ:”.


 ერეკლე

1792 წ. № 162 „ქ. ბატონი წინამძღვარო  
 იოაკიმ! მერე ეს თაფლის შეილები ივანედა მისი  
 ძმა შენთვის მიმიბარებია. ამათთან საქმე არავისა  
 აქვს. თუ ვისმე სადაო ქონდეს ამათთანა ჩვენ მოგ-  
 ვახსენოს. სანამ მოვიყითხევდეთ შენ გებარებოდეს;  
 უბრალოთა და უსამართლოთა ნურავის გააგლე-  
 ჯინებთ. ესენი ვისაც დაერბიოს ის ნარბევი უნდა  
 ისევ მიაცემანო. დეკემბრის იბ, ქორონიკონს უპ“

გიორგი.

1794 წ. № 163“ „ქ. ბატონი შეილი გიორგი  
 გიბძანებ ასისთვის შვილო სოლომონ! მერე უნდა  
 მიხვიდე არშანს და აქაზს რომ მონასტრის მამულ-  
 ზე მაწამე მიუყენია და ხელი აუმართაეს...იმ მა-  
 მულის სამზღვრებიც გარჩევით გაშინჯონ და შე-  
 მოუარონ...გარჩევით შეგვატყობინონ...და იმ მა-  
 მულის მისავალი რაც წაელოთ ის კი გამოურთვი  
 და ისევ მონასტრის ყმას მიეც. ოკურმბრის :იც:  
 ქორონიკონს უპ“.

გიორგი

1794 წ. № 164“ ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყოლის ხელმწიფის პირი მომცეს თქვენს მლოცველს დავით-გარესჯის აღქიმანდრიტს თეოდოსის. ჩემი ხელმწიფევ, დიალ მოვხუცლი და ყოველთვის თქვენს ხლებას ვეღარ შევიძლებ და თომელიც ჩემი მოხსენება იყოს მოგახსენეთ. ვანთის საქმეზედ წინაზედაც ოქმი გვებოდა ძლივანბეგებსა და იმათს მოხელეებზედ, რომ მამულები უნდა გაერჩიოთ და კიდევ გევეღრებით, რომ გამიახლეთ, და ერთი მაგარი ოქმი მიბოძეთ მდივანბეგებზედ და იმათ მოხელეებზედ და უფროს კაცებზეო, რომ რაც მონასტრის მამული იყოს გაგვირჩიონ და მოვაბარონ. ეს ამისთვის მოგახსენეთ, ჩემი ხელმწიფევ, რომ ისვაანთელებიც იხვეწებიან გაგვირჩიეთო, ვეღარ გვიმუშავნია რომ მასუკან გარჩიონ და თქვენ დაგრჩესთ არ გვინდა ...დეკემბრის :თ:, ქორონიკონს უპბ.

განკარგულება ირაკლიასა: „ქ. უფალნო კახეთის მსაჯულნო, ამ არჩით თეოდოსი წინამძღვარს რომ ასე მოუხსენებია, თქვენ უნდა ვანთას მიხვიდეთ, ამათი მოურაეთ და უფროს-უფროს კაციციც იქ დაისწრათ და სამართლიანის საქმის მონასტრის მამული გაურჩიეთ. გაურჩეველს ნულარ დააგდებთ. დეკემბერს :თ: ქორონიკონს უპბ.“.

ერეკლე
--------

**1795** წ. № 165 ქ. ღმერთშავ მათის უწმინდე-  
 სობის მეფის ძის ანტონის ჭირი მისცეს თქვენს  
 სამარადისოდ მლოცველი დაით-ვარესჯის წინამ-  
 ძღვარს თეოდოსის. მერმე ამას მოგავსენებ, უწმინ-  
 დესო მეცფეო: თქვენს კემწიფე მათას არზი მივართ-  
 ვი ვანთას ჩაც მონასტრის მამული არის იმისი  
 გარჩევისა, და იმისმა სიმაღლემ ოქმი მიბოძა კახე-  
 თის მდივანბეჭებზე ვალაურისა და შანშიანის მუჯ-  
 რავზე რომ ღვთის წინაშე გაარჩიონ ჩაც მონასტ-  
 რის მამული არის და მას ეთხოვთ თქვენის მეუფე-  
 ბის მოწყალებისაგან — ერთი ოქმის წყალობა თქვენ  
 გრიყავით... აპრილის ცეთა, ქორონიკონს უპგ.  
 განკარგულება ანტონის: „ქ. უფალნო კახეთის  
 მსაჯულნო ამ არზით ასე რომ მოუხსენებია რო-  
 მელიც ამისი განაჩენში ეწეროს ღვთის წერაზე სა-  
 მართლიანის საქმით გაურჩიეთ ქორონიკონს უპგ.“.  
 „კათალიკოზი ანტონ: — ეს ხელიდად.

**1797** წ. № 166 „ქ. ესე პირობის წიგნი მო-  
 გეცი მე გოგი მატანელმა შენ კვერაშვილს გორ-  
 გის, ასე რომე თერამეტ თუმნათ შენ დამისხენ და  
 ახლა მე შენთან დგომ ვეღარ შევიძელ წელიწად-  
 ში ორი თუმანი თეთრი გაძლიერ სანამ შეგითავებ-  
 დე და ჩემს თამასუქს დაეიხსნიდე. თუ ამაში გიმ-  
 ტყუნო, სამდივნო და საიასაულო მე გავიღო. გა-  
 რინიშვილს გიორგისთანაც ვილაპარაკეთ და იძი-

სის ბძანებით ასე შეერიგდით...მოწამენი...თებერ-  
 ვალის .კზ. ქორონიკონს უპე. მე ფალავანდიშვი-  
 ლი ზაალ ამისი მოწამე და დამსწრე ვარ. (არც ბე-  
 ჭედები, არც ჭერები, არც ხელის მოწერა).

**1797 შ. № 167 „ჩვენი ბრძანება არის. მერმე  
 ასურის ბოლოს ალაზანში გამოღმა პირზედ ვინც  
 თარფი გააკეთოს, რადვან წმინდის დავით-გარესჯის  
 მამული არის წინამძღვრის თეოდოსის შეკითხვით  
 უნდა ჩაუდგას. უამისოთ ვერ ვინ გააკეთებს ამის-  
 თების ამათს მამულში თარფს და არცა რა ვის საქ-  
 მე აქვს და თუ გაღმით პირზედ ჩაუდგამს ვინმე ის  
 საჩვენო მამული იქნება და ჩვენის ბრძანებით უნდა  
 ჩაიდგას, მაისის 8-სა ქორონიკონს უპე.“**

შეუვ ირაკ-  
 ლი.

მე დავით-გარესჯის იერო მონაზონს  
 ზოსიმეს გადამიწერია ეს ოქმი თეით ნანდვილის  
 ასლიდამ.

**1797 შ. № 168 „ქ. ღმერომან მათი უწმინდე-  
 სობის საქართველოს პატრიარქის მეფის ძის ჭირი  
 მოსცეს წინამძღვარს თეოდოსის. ჩემო კელმწიფევ,  
 მათმა სიმაღლემ მამა თქვენმა კი ოქმი მიბოძა  
 ვანთის საჭმეზედ გაურჩავთო და თქვენგანაც წყა-**

ლობას ვითხოვ, თქვენს მოურავს ფრიდონს ებძანოს, რომ რაც ჩვენი მამული გახლდეთ ერთხელ ვაგვირჩიონ და მოგვცენ. მაისის კგ. ქორონიკონს უპე“ და ზედე მეფის განგარგულება ანუ რეზოლუცია „ქ. ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარქი მეფის ძე ანტონი გიბრძანებ ფრიდონ მოურავო! მერე ვანელებსა განჯენიცა (განაჩენიცა) აქვთ და მეელი წერილებიც, ისიც კარგათ გასინჯეთ... ეცადეთ ღვთის გულის-თვის, რომ სამართლიანად მოარიგოთ... მაისის კგ: ქორონიკონს უპე ...კარგათ იცი, რომ ერთის ეკლესიის ქვა მეორეს არ დაედება. ის გუჯრები არა მაქვს, ასე რიგათ მოიქეც, რომ შასუკან ის გუჯრები თქვენგან გარიგებულს დამარღვლ(?) არ შეიქმნას“, ხევდად: „კათალიკოზი ანტონი“.

**1798** წ. № 169 ქ...ესე შეწირულობის წიგნი მოგართვი. თქვენ მაღალ ღირსებას, წმინდის დავითგარესჯის მონასტრის არხიმანდრიტს თეოდოსის მე ბასილისშვილმან მღვდელმა დავით, შეილმან ჩემმან ბესარიონ და იოსებმა: მე პატრონი არაენ მყვანდა და არცა ვინ მოდავე, მრავალს ადგილს ვიარე და ჩემი განსასვენებელი ადგილი ვერსადა ვპოვე რომ შევეწყალებინე ეისმე ან დღიურად გამოვეზარდე და ან მამული მიეცა ეისმე და ჩადგან თქვენს წმინდას მონასტერზედ მაქვნდა სასოფტა,

მოველ და ჩემის შვილებით თავი შემოგწირე და  
თქვენც მრავალი მოწყალება მოიღევით, მამული  
მიბოძეთ და დამასახლეთ ახურას...თუ რომ მოდა-  
ვე მყოლოდა ვინმე თქვენს მონასტერს არ ვეცრი-  
ებოდი. სეკდეზრის ა: ქორონიკონს უოფ“.

№ 170 1698 წ. ახლო დროის. ქ. დალბაშვის  
უდგა დოდოს მიწაში ზერის ბოლოს ყანა ორის დღისა.  
კიდევ ნასამარხოვალში ერთის დღისა, კიდევ ხრა-  
მის თავში ხოდაბუნში ორის დღისა.

ქ. ოპანას ნასამარხოვალში ორის დღისა.

ქ. ბეციას ქეიანის ბოლოში ორის დღისა აპრა  
მღვდელს.

ქ. ვართანას ხოდაბუნში ერთის დღისა.

ქ. პეტრე მჭედლიშვილს გაუკონარში ორის დღისა.

ქ. ქაიხოსრუს შვილს ხრამის თავის ხოდაბუნში  
ერთის დღისა.

ქ. ლექუამპიშვილს გორხანისაკენ ხოდაბუნში  
ორის დღისა.

№ 171 1798 წ. ახლო დროისა. ნუსხა ბატონის  
შეილის შეწურულ შესამოსლისა. (ათი წევალი  
სამღვდელო და სამი წევალი სადაცენე.)

1798 წ. № 172 ქ. მის სიმაღლის მეფის ოქმი გვებოდა ჩვენ ვანთას მოურავს, ფრიდონს, ასე რომ წინამძღვარს მოეხსენებინა მინდობრში სახნაეს არ გვანებებენ და არ გვიშვებენ და არც საბალახეს გვაძლევენ არც მთისას და არც ბარისას, წყალობას ვთხოვთ რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ ვანთის მოურავს ფრიდონზედ: ვინც მავისთანა მახ. სოვარნი კაცნი იყოს შეყცრეოს (შეპყაროს?) და კიდეც როგორც მახსოვეართ კაცთ თქვას ისე გაგვარჩიოსო...ჩვენც ბძანებისაებრ მოვიკოთხეთ და ახურის ქვება ბეტია და ხატიაშვილი გამრიელ მოვიდნენ და საცა იმათა თქვეს ის მიწები მონასტრისა და ეს სახასო (სხვისაო?), რაც მონასტრისა თქვეს მონასტრისთვის დავდევით და რაც სახასო იყო სახასოდ დავდევით...საბალახე ნახევარი მონასტერს მიეცეს და ნახევარი სახასოდ დაიდვას. ქორონიკოს უპვ. სეკლემბრის :იგ:

ფრიდონ

(ფრიდონ) ხელის მთწერა „ვანთის საბალახოს არის“.

№ 173 798 წ. ახლო დროისა,, ქ. წირვაში დახარჯოდათ ცხურებზედ ორი მანეთი. ერთ ცხვარში მიეცათ შვიდაბაზუზალთუნი, მეორეში საჭი აბაზი...

მღვდლებისთვის მიეცათ ორი შაურიც, პილპილში მიეცათ რვა აბაზი, თევზისათვის მიეცათ რვა აბაზი, საიმტვერია (შვადი დღის სამსახურისთვის) მიეცათ შვიდი აბაზის სანთელი და ხარჯი და აბაზის საკმელი ...საფლავისათვის მიეცათ რვა აბაზი...და ზურგიერი რო გაეჭრათ ორი აბაზი“.

**1798** წ. № 174 „ქ. ჩვენი ბრძანება არის, ვეფ-  
 ხის ცენტრი. მერმე თქვენი კოდის პური ას ოცი  
 კოდი პური იყო ამისი ნახევარი ხომ ნაპატივები გაქვთ  
 და ნახევარი სამოცი კოდი პური თავისი წილი წინა-  
 მდლვარს ეფთვიმეს უნდა მოაბაროთ. მუდამ წელს  
 თქვენიდამ ნახევარი ეძლევა, ახლაც უნდა მოსცეთ.  
 ჩვენ ამის წილს ვერ გაპატივებთ, ეკლესიისა არის.  
 სეკლემბრის :კვ: ქო-  
 რონიკონს უპვ“.

შეფესრ ტოდ  
 ... იად.

ნაცვალო დაეით, შენ უნდა  
 ლავს წინამდლვარს მოაბაროთ

გიორგი, (სა)ბუის  
 გამოუტანო აქ თე-

გიორ-  
 გი.

**1798** წ. № 175 ერეკლეს ქე მეფე გიორგი,  
 მარიამ (დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხ

ილ, ჯიბრაილ, ოქროპირ და ირაკლი და გრიგო-  
 ლი სწერენ: „ეამთა ვითარებისა და მტერთა ზედა-დას-  
 ხმისაგან კაწარის ეკლესია აოკრებულიყო და არა რა  
 იყო საეპისკოპოსოდ (ერეკლეს) „მრავალმთის  
 ნათლის მცემლის მონასტრისად დაედეა“... (წირვა  
 არ იყო კაწარს)... „რათა განახლდეს კაწარეთისა  
 ეკლესია მეტა და უსჯულოთა ვარებარობითა  
 შესაკრებლობისა წილ ღირსნი (ბერნი) შეკრებო-  
 დეს... (ამისთვეს) „ვინებეთ კაწარეთისა ყმა და მა-  
 მულნი ყოველნივე უნაკლულოდ... საუკუნოდ შეგ-  
 ეიწირავს (ნათლის მცემლისთვეს, რომ ბერებმა კა-  
 წარეთზე იზრუნონ, გუჯრების მამულებიო)...  
 არა გეთხოვებოდეს რაო... ქორონიკონს ჩლეტ,  
 თთუტსა ივნისსა ლ... კელითა... ალექსის ძის  
 დეკანოზის სოლომონისათა.

შეფე გიორგი

**1799** წ. № 176 „ქ. ბატონი ენდრონიკის  
 შეილო იოანე, მდივანოსვიმონ მოგახსენებ: თქვენ  
 რომ ბატონის ბრძანებით მობრძანდით და ბატო-  
 ნის განაჩენი მოიტანეთ ჩობახურის თაობაზედ რომ  
 დავით მდივანს და იოანეს უნდა შეეფიცნათ ბე-  
 რებისთვის და მე მოწმათ უნდა მივყოლვიყავ და  
 ბატონს იმავ განაჩენში ებძანა, თუ ფიცში არ

მოგყვეს სეიმონ და უარი თქვასო, იმაზედ კი ფი-  
 ცით უნდა გული გვაჯეროსო, რომ მონასტრის  
 მამული არ იცოდეს სადამდის არისო. ჯერ ღმერ-  
 თსა ვფიცავ, მას უკან წმიდას დაეითს და მას უკან  
 მათის უმაღლესობის მხესა, რომ ამის მეტა არა  
 ვიცი რა; დაეით მდივანს რომ ციხის წ—ის  
 ქვილი აქვს იმათ რკებია ჩენ(?)გაყრაში და იმას  
 ზემოთ რომ ფხოველის შვილის წისქვილია ის ჩენა  
 (ჩენა) გვრგებია, მამასა სჭერია და პაპას ბატონე-  
 ბი რომ ფშავს გარდასულაა, მაშინ ის ჩენი; წის-  
 ქვილი ბიძაჩემს სეიმონს გაუყიდნია და გზას ქვე-  
 მოთ რომ ბიძაჩემა ოთარ მდივანმა წისქვილ გაკე-  
 თა და კაცი დაასახლა იმისი კი არა ვიცი, სოფ-  
 ლის ჭორიკი გამოგონია მონასტრისათ და სხვა  
 არც წერილი მინახავს და არაფერი იმ წმიდის  
 დავითის მადლმა ამის მეტი არა ვიცი რა დანე-  
 ბა კემწიფისა. ნოემბერს :ზ: ქორონიკონს უპზ.

მონა დვითი-
სა მდივანი
სკმონ

№ 177-1799 წ. ახლო დროისა. სია რადაც  
 ნივთებისა: „ქ. ნეტარ კსენებულს: წმინდას არხი-  
 ერს ბოდბელს ითანეს ახლდა მონასტრის წიგნები:  
 ქ. კლემასქი და დიოლოლონი თავისგან შეწი-

რულნი ქ. ჩალწულთა ცხოვრება ირინე მონაზონისავან შეწირული... ქ. ლექსიკონი... ქ. სანაწილე ყუთი კერძუხტით შემოსილი ვეცხლის რაზებით, შიგ ბარძიმში კოვჭი და წმინდას საიდუმლოს ყუთი ვეცხლისა რომანოზ არქიელისეული (ერისთვისა). ქ. სეინაქსარი დოდოს მონასტრისა. ქ. ზარი პატარა დოდოს მონასტრისა.

№ 178 1799 წ. „ახლო დროის“ შეფის ძის გარების ავტოგრაფი: „ქ. წმილის დავით-გარებეჯის კრებულთა ღირსთა მამათა საქართველოს უფლის-წული ბატონის შვილი გიორგი მდაბლად თაყენის-ცემასა და წმილის მარჯვენის მთხვევას მოვახსენებ. — მერე დიდათ გევედრებით და წყალობას ვითხოვ თქვენის ღირსებისაგანა, რომ ილოცოთ ჩემის მეუღლისთვის, მეტად მწუხარებაში გახლავთ, მეტად საქმე მიჭირს ... გულის მხურეალით, რომ ღმერთმან... ეგების ჩემი აურიცხელი ცოდვა არ გაიგონოს და თქვენი ლოცვა დაუყოვნებელად ღმერთმან ისმინოს... ჭორად სასოება მაქვს თქვენის ლოცვისა... ღვთის გულისათვის დაუყოვნებელად ილოცეთ. მე თქვენზედ დამიცს სასოება... ვიღუპები...“

პისტით ელობიდით აღმართა კრიზისუ(?) ჩემო მომი- შუშევე. გიორგი.
---

**1799** წ. № 179 „ქ. უგანათლებულებსო, შეილო  
 ბატონი დავით! მერე მდივანბეგები სრულად შენ-  
 თან უნდა დაისწრა და წმინდის დავით-გარესჯის  
 მონასტრის არხიმანდრიტი თეოდოსი რომ მდივანს  
 დავითს ჩობანურს მამულს ედავება, ესენი თქვენ-  
 თან უნდა ალაპარაკოთ და მათი საქმე კეშმარი-  
 ტებით გამოიძიოთ, გაშინჯოთ, დასწეროთ სამარ-  
 თლით და ჩვენ გვიჩვენოთ ის წერილი, — მაისის : კე:  
 ქორონიკონს უპჩ. კურთხეულის მეფის ბატონის  
 მამის ჩვენის ნაბოძები არის სამართალიც და მდი-  
 ვანბეგის რამაზის სამართალიც და მოწმების წერი-  
 ლები და მოწმობაებიც, — სულყველა გარჩევით უნდა  
 დასწეროთ, გამოაცხადოთ წერილში და ისე გვიჩ-  
 ვენოთ. კარგათ გამოიძიეთ, ესე რომ თქვენი გო-  
 ნება როგორც მისწვდება

შეფე გიორ.

გ. 10

**1800** წ. № 180 ქ. მათის უმაღლესობის  
 ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მა-  
 თის მონის იმერელი პეტრესი საგარეჯოს მსახლო-  
 ბელთ იმერეთიდამ მოვსულვარ, უდაბნოში ვყოფი-  
 ლვარ და თავიც წმიდის დავითისთვის შემიწირავს.  
 ცოტა რამ სახასო მამული დავიგირავე. იმის საბა-

ზობით სახასო გამოსაღებში მოხელეები მრევენ...

გევედრებით ჩემჩე კელი ააღებინოთ.

შეფის განეარგულება: „ქ. ჩეენ მაგიერად საგარეჯოს მოურავს ორბელიანს ვაპტანგს და ნაცვალს გოვიას ასე ეუწყოს... ამისი სახასო კაცებთან ხარჯის გამოღება არ იქნება... მან თავის შეძლებისაებრ წმინდა დავით-გარესჯის მონასტერს უნდა მსახუროს. მარტის :კა: ქორონიკონს უპტ.

შეფე გიორ-
გი.

**1800** № 181 „შეფე გიორგი სწერს არქიპანდრიტს დაეით-ვარეჯელს მონასტრისას თეოდოსეს: ქ. მერმე რომელიც თქვენი აზრი და საქმე არის მშეიღება არის, კარგათ ვავარიგებო, ამაზე სარწმუნო ბრძანდებოდე. ერთი კაცი გვყავს სანახავი, იმას ვნახამთ და მერე თქვენს ჰაზრს და საქმეს, სისრულეს მივსცემთ (თეოდოსი იუთ შეფის მრჩეველი და მოძღვარი) მაისის :კა: ქორონიკონს უპტ.

**1800** № 182 „ქ. ჩეენ... მკევალმან ღვთისამან კეთილმსახურით თავადით ციციანოვით ასული და ყოვლისა საქართველოსა და სხვითა დედოფალი მარიამ... შემოგწირავ (ნათლისმცემელს)... რომელი

დაბასა შენსა სამღებრო არის... (შევწირე) მეფესა  
 გიორგის, გვრგვინოსანსა ჩემსა მეუღლეს... ალიშტა  
 კელათა მონისა ღვთისა მდივანბეგისა სოლომონი-  
 სათა ივნის :იდ: ქორონიკონს უპტ“. და მერე სხვა  
 ხელით: „ჩვე... მეფე მეათსა მეტყველები... ვამტკიცებ.“)

**1801** წ. № 183 ქ. მისის დიდებულების იმპე-  
 რატორის ნებით საიდუმლოდ საქართველოს მემ-  
 კვიდრე მეფისძე დაით განგიცხადებთ ესრეთ, ბა-  
 ტონო საგარეჯოს მოურაო ზაქარიაგ! მერე წმდის  
 დავით-გარესჯის მონასტრის ყმას რაც განწესება  
 ჰქონდეს მანდ მოურაებისაგან იმაზე მეტ არა  
 მოინდომო რა ან მონასტრის საწყენში არ შეხვი-  
 დე ან ჩვენში. ხუმრობა არ არის. ძევლადგან გან-  
 წესება აქვთ, რომ მოურაებს საქმე არა აქვსთ რა  
 მონასტრის ყმასთან და შენც ასე უნდა მოიქცე-  
 თეფერვლის :ე: ქორონიკონს უპთ.



**1801** წ. № 184 „ქ. მათის დიდებულების  
 პრძანებით საქართველოს მმართებელის დაეითის  
 წინაშე მოსახსენებელი მათის მლოცველის დაეით-  
 გარესჯის არხიმანდრიტის ილარიონისა: ახშანში  
 მონასტრის ყმანი სამი კომლი გახლავსთ. ახშანში

მოურავი არ ყოფილა იმათი და ახლა უშოგნიათ  
 და იმ მონასტერის ყმანი თავისუფალნი ყოფილან  
 და მონასტრისათვის უმსახურნიათ ამ წყალობას ვი-  
 თხოვ— ერთი ოქმი გვაბოძოთ, რომ იმათან არავის  
 საქმე არ ჰქონდეს, ამას წინათ როგორც ყოფილან  
 და მონასტრის სახარებას გარდა არავის შეუწუხე-  
 ბია არცა რა ახლა შეაწუხონ არც მოურავი და  
 არც მოხელე.— მაისის დ. ქორანიკონს უპთ. № 62  
 (სხვა სეღვათ) უფალო არხიმანდრიიტო! ჩეენ შენს  
 კეთილ განჯელობაზე მოგვინდეთ მაგ შენის კაცე-  
 ბის საქმე, როგორც შენ გინდოდეს ისე ჰერნ. მაი-  
 სის :ე: ქორანიკონს :უპთ: ვინც გინდოდეს მოურა-  
 ვად ის დააყენე; თუ არავინ გინდა ის შენ იცი.



დავით

**1802 წ. № 184.** ქ. მე მონამან და მსახოებე-  
 ლმან შენმან ბუჭყიას შეილმან იოანემ და მეუღლე-  
 მან ჩემმან დავით გაბაშეილის ასულმა ნინომ შემო-  
 გწირეთ ათითუმანი თეთრი, რათა წლითი წლად სა-  
 რგებლობდეს თუმნი თვეში ორშაურად, ვინაიდ-  
 გან უმეტეს განვახშება არა ჯერ იყო. ათისა თუმ-  
 ნისა მის სარგებელ იქმნების ხუთი აბაზი . . . აქი-  
 დამ ყოველ კვირე მიერთმევოდეს ლთის მეტყველის  
 ტაძარში ერთი შაური სანთლის ფასად და ერთი  
 აბაზი საწირავად” (ის ასი მანეთი ნუ მოიშლებათ,

მივართვით წინამძღვარს არქიმ. ლარიონსო, თვე-და-თვე მიიღებდენ სარგებელსო) . . . დაიწერა კელითა დეკანოსისა ითანხე თხესძისათა თთვესა მარტსა კვ. წელსა ჩყბ ქართულს ქორანიკონს უჟ

მოურავი ითანხე	0-ნე
-------------------	------

**1802** წ. № 184 ფარნაოზი სწერს: „გავიგონეთ რომ ჯომარდიძე მიხაილ კარიჭაშვილებს თუ-რმე ჰყიდის და თავის სისხლში აძლევს. ეგ კარიჭა-შვილები სახასონი არიან ჩვენი ყმანი, მათ-გან ჯომარდიძეს საქმე არა აქვს რა, ყველამ ეს იცოდეთ . . . ქორანიკონს უჟ (1802) მარტს თ.

**1803** წ. № 185 ქ. ავილეთ ჩვენ ავეტიქაშვი-ლებმა ავეტიქამ და იოეანემ თქუენ დაფათ გარეს-ჯის მონასტრის კრებულისაგან ორმოცდა ათი თუ-მანი ახალი ზარაფხანის სირმა აბაზი იოახ-დანგიან რომ იქს იმისი ნახევარ :კე:(25თუმანი) ეს თეთრი სანატრე-ლის მოურავის ზაქარიასაგან არის შეწირული; ათი თუმანი წინამძღვრის საწირავი არის, ოცი თუმანი კრებულისთვინ არის საწირავათ შეწირული და ოცი თუმანი წმინდის ეკკლესიისთვის არის შეწირული . . ამ ვადას უკან (ე. ი. ექვს თვეს უკან) თქვენი თეთრი გაურჯელად მოგართოთ . . და თუ გარდა-ვაცილოთ, თუმნის თავს არი შაური სარგებელი

მოგართოთ თვეში. დიწეარ ა მარტს იდ. ქორანი კონს უფა (ხელმიზურილა).

**1806** წ. № 186 ქ. ნებით . . ესე წერილი მოგართები მე დარათისლის შვილმა პაპუამ, შეილმა-ჩემმა დავითმა, გიორგიმ, დემეტრემ . . დავით გა-რეჯის არხიმანდრიტს ილარიონს და თქვენს მო-ნასტრის კრებულს ჩემის მეზობლების თანდასწრე-ბით და მოწმობით ასე რომ აქ გახლდე და თან-დავესწარით მკევლიშვილი მღვდელი იოანე კათა-ლიკოზის ნაცვალი შერმაზან ყარდარელი, მოხელე გიორგი . . და მრავალნი გარეჯელნი, ასე რომე მეფეთაგან შეწირული აქვს თქვენს მონასტერს მზანბურბი მინდორი სახნავი მამული მიწები და სარწყავი რუვი; ხადაც გნებავთ გაატარებთ მაჯრუ-აგრიმ თქვენ წისქვილი მოინდომეთ და ამ წისქვი-ლის რუმა ჩემი მიწა გაჭრა სარწყას რუვის იქით გადიწიგა. სიმაგრაჯისეათისა წისქვილსა რადგან სარ-წყავი რუვი გქონდათ და ვერცა ვინ მოგიშლიდათ ახლა გარდანაცლები წისქვილის, რუვი მოინდო-მეთ ჩემს ბიანზედ მოგვირომევია საუკუნოდ რუ-ვიცა და იმას აქეთ რაც მიწა დარჩა ივრამდინ ისიც . . ღმერთმან მშეიდობაში მოახმაროს მონა-სტერს და თუ იორმა იქით მიიწიოს და რუვი მოგიშალოს ისევე ჩემს მამულზე სხვა რუვი გაატა-რო და თუ მოდავე ვინმე გამოჩნდეს პასუხის გამ-ცემნი ჩვენ ვიუნეთ .. მაუტის :ვ: ქორანიკონს უფდ

**1808** № 187 ქ. . . არხიმანდრიტს ილა-  
 რიონს . . ეს თქვენი კაცნი მიახლებია და მამიბა-  
 რებია რომ უნდა გიახლონ და საცა მდგარან იქივ  
 გიახლონ და როგორც ბატონიშვილის რიგია ისე  
 გემსახურნენ თქვენცა და მონასტერსაცა, და  
 თქვენც ალაგი უბოძოთ და გააძლევინოთ თავის  
 შესაგვანათ. ოკლომბრის :ა: ქორანიკონს უკვ.  
 (აქ რუსული ხელის მოწერა:) Вашего высоко препо-  
 добия покорнейший слуга Алексей Сорокинъ».

**1808** № 187 ქ. გამოცხადება: თელავის  
 უეზდის კაპიტან ისპორავნიკისაგან: ბრწყინვალეთ  
 თავადო, შაშიანის მოურავო, ჯარდან ჯანდიეროვო!  
 ვანთას მიბრძანდით. ჯაფარაძეებნა და ვანთას მცხო-  
 ვრებლებთ კათალიკოზის ყმებს გამოუცხადეთ მო-  
 ნასტრის წმინდის დავითის მამულები რაც არის  
 ვანთაში, როგორათაც მეთეთ წერილებში უცხა-  
 დებდესთ ნურავინ დაუშლისთ ამ მონასტრის წი-  
 ლის მამულს სარგებლობა ხვნასა თუ სხვას რასმე  
 . . ილარიონმა უნდა მიიღოს იქიდამ სარგებლობა  
 და თავისი ყმანი ამოქმედოს . . წელსა ჩუပ. მაი-  
 სის თ. ხელმოწერა: „Капитанъ-Исправникъ Тулаевъ“.

**1808** № 188 ქ. არხიმანდრიტო ილარიონ!  
 ვანთის ოქმები დაწერილები რომ გამოგევზავნა  
 ისინი მივიღეთ ერთობით ნონო-წმიდელისაგან და  
 იმათ პასუხად ამას გწერთ: რომელიც მეფეთაგან

დამტკიცებული და ბოძებული ოქმები არის იმას არავინ შეეხება და ვერცა ვინ მოშლის. ეს ოქმები კი აქ ჩვენა გვაქვს. ამათ პირებს ჩვენ გადავაწერინებთ და მერმე ისევ ნინოწმიდელს მივაძარებთ სულ ერთობით წელსა ჩემ, მაისის ს. კათალიკოზი ანტონ (ჩვეულად.)

**1809** წ. № 188 ქ. თელავის უეზდის კაპიტანისპრავნისაუნიკისაგან უფალს მათს მალალს ღირსებას დაეკო-გარეჯის მონასტრის არხიმანდრიტს ილარიონს კაზენის ექსპედიციამ მივიღეთ (ცნობა?) რომლითაც უცხადებთ თქვენის პენციონის ჯამაგირის მისაღებათ ამა თფრლისის კაზენის ექსპედიციაში უნდა გამოსცხადდეთ მომავალს ოკტომბრის თევში ჩუთ . . ჯამაგირი უნდა მიიღოთ უკლებად მონასტრისათვის. მარტს ზ. ჩყო. რუსულად მოწერილია: „Секретарь Гавр(ильт?)“.

**1814** წ. № 193 ქ. მე ყოვალდ ულირსმან არხიმანდრატმან დავითის შვილმა შანშე მიღახვრის (sic) ძემა დომენტიმ ეგულვე მრავალთა ნაკლულევანებათა ამის მონასტრისათა აღვსებად და მრავალთა შენობათა ღვწად სწრაფასა არა მცონარემან, რომელთაცა თვით საქმენი ცხადჰყოფენ და ვინაფენან მრავალთა ამათ შენობათა . . . შენცა შემწე მექმენ . . . შენ ჩემის მონასტრის ყმა შავკაცის შვილი სკონა ვიდრე აღსავალამდე სისხლდათხევისა ხოლო უწინარესთაცა ჩვენთა წინაპარ-

თა მამათა არხიმანდრიტთაგან მიზდად შენისა გარდამატებულისა ერთგულად მსახურებისათვეს ებოძათ მოკელეობა და შენის სახლიდამ მოუკლებლად მსახურის ხლება და ხალხისაცა ყოვლითურთ აზატობა და ამისთვეს მეცა . . . ესენი ყოველნი განგიახლენ წერილით, ესრე რომელ უკეთუ იპოვოს კაცი სახლსა შენსა ანუ მყოფთა და მომავალთა სახლისა შენისათა მოხელეობა არ გამოვიდეს მათგან და მოუკლებლად მსახური უნდა გვახლდეს და ჩურენც გაგვიაზატებიხარ ყოვლისა გამოსაღების თავისუფლებით და არც გამოგროთოს კულუხი და კოდის პური და არცა რაა სხრა რაა შენ ჩვენს (sic) სახლთ უხუცესს სკმონს და ძმისწულსა შენსა აბრამს . . . თთუქსა მარტსა :იპ: წელსა :ჩყიდ: კელითა ნათლის მცემლის მონასტერში მცხოვრებლის ულიხისის ბერის . . . ანტონი ჯანდიერსვისა-მალალინისი არხიმანდრიტი დომენი (წელს აწე- რენტი რენ ბერე-ბი: გენადიოს, იეროდიაკ. დანიილ, მწირილია, მწირი დოსითეოს, მღვდელმონაზონნი: ნეკტარიოს, რაფაელ, სილიბისტრო, ანტონი და გაბრიელ).

**1819** წ № 189 ქ. მეფის გიორგის შემოწირული ახალი შესამოსელი არის ათი კელი და სამი საღიაკნო სტიხარი თავის გაწყობილებით. ქ. ათი ფილონი უშინდელი ძველი :ქ: რვა ძველი ოლარი :ქ: ექვსი სარტყელი ძველი ბალთებიანი :ქ: შეიდი ძველი ენქერი :ქ: სამი ხალიჩა ფურჩი :ქ: ერთი

ტრაპეზის ჩასაცმელი :ქ: ორი ტრაპეზის საფარებელი :ქ: სამი ძველი სტიხარი თავისის განწყობილობით :ქ: ერთი კელი ზირაქისეული სამღვდელმთავრო შესამოსელი უსარტყლოთ :ქ: ერთი კელი ითანებ რუსთველისეული სამღვდელმთავრო შესამოსელი თავისის განწყობილობით, ჯოხით და ჯვარის სასანთლებით (дикирін, Трикирін) უმიტროდ :ქ: ორი მიტრო :ქ: ორი ძველი ბისონი, თავისი ომოფორი :ქ: ერთი ძველი მანტია :ქ: სამი გარდამოსსნა :ქ. ორი ახალი ფილონი მხოლოდ ოლრებით :ა: კიდევ ერთი კელი ახალი შესამოსელი. ჩყით, იენისის :კვ:

**1826** წ. № 190 ქ. თავადი გრიგოლ და ლუარსაბ ყარლოვები სწირავენ დაეით გარესჯას „ყოველ წელს თითო საპალნე წმინდა ღვინოს ზედაშეთ: „მანამ სოფელსა ამას საწუთროსა შინა ცოცხალ ვართ და ვსცხოვრებთ ვარდაცვალებულთა ჩვენთა სულისა საოხად“ . . .

**1830** წ. № 191 ქ. ნებით . . ნახყადობის წიგნი და პირი მოგეც მე უმექაშვილმა გრიგოლ და ჩემმა შეიღმა საქუამა და ბოსრო . . . თქვენ რამნაძესა (რაზმაძეები შემდეგ), ხაზინასა და შენსა ძმასა ვარქელასა, ესტასა, მახარობელისა, გიორგის და ბეჭუას, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე მწვედლაგვეკირვა და მოგყიდეთ ლარიბას ბოლოს სამის მდლის და ნახევრის მიწა პირალმა და პირწალმა

თორმეტი მეტო იქით ნამხაშაშვილის მიღმამდინ. აქათ ტაბატამის მიღმამდინ, ქვევით ჩემისავე მიღმამდინ. ავიღე ფასი სრულა და უკლებელი. არის ამისი მოწამე და ფასის გადამწყვეტელი ნამორაძე ლექსა, გოლლონ შვილი ბანდურა, გარძელაშვილი არაქელ . . . ვინც და რამანც კაცმა . . . . . მე მაღალაშვილს პაპუნას დამიწერა და მოწამეც ვარ † † †.

**1830** წ. ახლოდროის № 192 ქ. ესე გადაწყვეტილობის წიგნი მოგეცით ჩეენ მარგველაშვილმა თევდორავი, გოვან, ბერმან, ხოსიავან, საბამან, ზაქარიამან, სვიმონამან ასე რომე კიტრიამა სიხსლია გედავებოდი; მოვედით, გელაპარაკენით, გარდა უწყვიტეთ, შევრიგდით ჩეენ შენთან კელი აღარა გვაქვს ძმობისა და მოყვრობის მეტი. არის ამის გარდამწყვეტი გამრიგე . . . კაცთაგან მოწამე ქაწუნა (პაპუნა) ინდიშვილი, თამაზა ქიტრაშვილი თამაზა ქუჩიაშვილი, ეხირტლაძე პაპუნა, აწე ვინც რამანც კაცმა ეს ჩეენგან მოცემული წიგნი მოგიშალოს (წყევა) სულ საშურელნი ამისი გამრიგე.

**1830** წ. ახლოდროის № 193 ქ. ნებით . . . ესე სიგელი გიბოძეთ ჩეენ ამილაზორმა ბატონშა ქახოსრომა და ძმამან ჩეენშან ბატონშა მამუკამა, შვილთა ჩეენთა გიორგიმა და ოთარმა შენ ჩეენ ერთგულს ყმას რაზმაძეს ბუჟუასა და ძმასა თქვენსა

თამაზს და მამუკას . . . ასე რომე მამის ჩემის  
 დროს გაყრილნი იყავით და ესიატალ ცაჭი. დამ-  
 დგარიყო და მახარობელი ოქვენთან ძმათ იყო. ახლა  
 მახარობელი ამოსწყდა და შვილი არ დარჩა. შენი  
 განაყოფი შემოვესარჩლო, მეც უნდა ამოწყვეტი-  
 ლის ძმის წილი დამედეასო. გვშანჯეთ რომა არის  
 გემართლებოდათ. აჩც სამართალმა მოვცა (მოხცა?),  
 არც ქართლის წესი იყო და ვეღარც ჩვენ მოვი-  
 შალეთ და გიბოძეთ დღეს რაც რომ ბიძის შენის  
 მახარობლის წილი მამული, ან მიწაწყალი დარ-  
 ჩომდეს, ან ნასყიდი, ან ჩვენი წყალობა გქონე-  
 ბოდეს ჩვენც წყალობა გვიქნია ყოვლის კაცის  
 უცილებლათ გქონდეს დაგიბედნიეროს ღმერთმან  
 ჩვენს ერთგულობის სამსახურისა ამა ჩვენის წყალო-  
 ბის შუა ნოდარიშვილი ვახტანგა შვა გყვანდა . .  
 მე პაატასა დაშიშერია და მაშეალათაც მე ვარ  
 ამისი

ქიბუსრთ

**1830** წ. ასლოდროის № 193 ქ. ნებითა . . .  
 ნასყიდობის წიგნი მოვეცი . . ნიაშვილმა ნაღი-  
 რმა, შვილ(მა ჩემიან) მამუკამა, უსუფამა . . . თქვენ  
 აბიაშვილს ბეჭუასა, ძმასა შენსა მამუკასა, თამაზსა,  
 ივანესა, პაპუნასა . . ასრე და ამა პირსა ზედან,  
 რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ნასყიდი და ყო-  
 ვლის კაცის უცილებელი ცდა მოუდევარი ბკნშიგ  
 ოხუთმეტი მხარი მიწა იქით პაპლიკაშვილის მარკო-

କିମ୍ବା ମିଳଗମାମିଳିଲି . . . ଓସିଲ୍ଲେ ଫାସି . . ମନ୍ତ୍ରାମ୍ଭେ ଦା  
ଶେଖିଗେବେଳେ କାପତାଗାନ . . ଶିଶିକ୍ରାଣ୍ଡିଲ୍ଲୋ ଦାରୁ-  
କିଳା, ନିକତିନ୍ଦ୍ରିୟ ଧେରା; ମେ ମାମ୍ବୁକାଶ ଦାମିନ୍ଦ୍ରିୟରିଳା . . .  
(ଶ୍ଵରା) . . ରିଲେଖାରେ ଶର୍ମିଲା ଶାଖାରିତ୍ୱେଲିଲାର ଜ୍ୟୋତିରି  
ଦା କାରୀ. ଅମିନ. (ଶ୍ଵରାରେ ଦା ଶ୍ଵରାରେ).



## ა) ცვეტი-ცხოვლის გუჯრები.

**1546** წ. № 219, 1546 წ. ქქს. სლდ. „ჩვენ ლთივ გურგვინსსანმა ლუარსაბ და ქეს მიერ ღვთისა სა- ქართველოისა მამათ მთავართა მთავარმან (შისდევს საა მცხეთის ქონებათა და მათ შორის მოხსენებულია „ერთი ქართლის ტერვება“.

**1664** წ. № 179; ქ. დნბ: ესე გარდასწყვეტია წიგნი და პირი მოგართებით საქართველოს პატრი- არქს ბატონიშვილის პატრონს დომენტის ჩვენ იყვანგულიშვილმან ამირჯანამ, შვილმა ჩვენმა ზუ- რაბამ, გასპარამ, ბალდასარამ, მელქუამ და დაით- მა ასრე და ამა პირსა ზედა, რომელ კაისრის საბა- ტონოდამ ათი ხატი მოვიტანეთ: ერთი ანჩისა, ერთი ნათლის მცემლისა, ერთი იოვანე მახარე- ბელისა, ერთი მთავარანგელოსისა და ექვსი სხვა წურილი. ესები თქვენ მოგართვით და ავიღეთ მი- სის თვალისა მარგალიტისა და ოქროს ფასად მარჩილი ორი ათასი, ასე რომე ათას რვაას მარ- ჩილად ხელმწიფის მეფის შაპნავაზის საბ: უცუფმა თქრომჭედელმა და სხვათა მცოდნეთ კაც: ამად: და(ა)ფასებს და ჩვენ ორი ათასად გაგვითავეთ და გვი- ბოძეთ, ასრე რომელ აღარა დარჩა და უნაკლულოდ მოგვებარა. დღეს ამას იქით ჩაც კაცი ან კაის- რის საკელმწიფო ფაშა, ან დიდი, ან ცოტა ან ჩვენი ჩამო(მა)ვალი კიდევ ამათს საქმეს მოგედ(ა)ოს და ან ლაპარაკი დაიწყოს ჩვენ ვიყვნეთ ჯერ სა- ქართველოს კელმწიფის შეგუღდე (sic) და

მერმე თქვენი და თუ ვინმე მოლაპარაკე და მოცი-  
 ლე კაცი გამოჩნდეს პასუხიც ჩვენ მივსცეთ ქ-ნს. ტნბ.  
 ქრისტეშობისთვის :ე: არის ამისნი დამხეედრნი და  
 გარდამწყვეტელნი ქალაქის მოურავი მანუჩარ, შეღა-  
 ქი ივანელა,, მამასახლისი ასლამაზა, ნაცვალი დათი-  
 ნა, ხოჯა ბარზედარა, ჩითახაშვილი სულინა, თქვე-  
 ნი ყმა ავთანდილა. მე კელმწიფის მდივანს გიორ-  
 გის დამიწერა და მოწამეცა ვარ † † †  
 (აზის ბეჭედი, ხოდა ზურგის-პეს სპარსედი წარწერუბი  
 აქვს).

**1706** წ. № 218; ქ-ნს: ტქდ: ქსე წიგნი და  
 პირი მოგაროვით ჩვენ ერთობილთ მცხეოლო  
 სეეტისცხოვლის ყმათა დიდმა და ცოტამა, სახლო-  
 ხუცესმა სარდალმა გელევანიშვილმა, სულერთო-  
 ბილთ მცხეოლ მოხელეთ, მამასახლისთა, ნაცვალ-  
 თა, მსახურთა და გლეხთა ოქვენ ჩვენის ხელმწი-  
 ფის შვილს ბატონს კათალიკოზ ღომენტის, ასე  
 რომე ღვთის ნებით და სულ ქართველთ ეპისკო-  
 პოზთა და დარბაისელთა გამორჩევითა ღიღის კა-  
 თოლიკე ეპკლესიის მწყემსი და საქეთ მპყრობელი  
 იქმენით; გასინჯევით ჩვენი საქმე, რომ ღიღი ეშმა-  
 კი მოგვრეოდა და ჩვენის ცოდვისაგან ერთმანერთს  
 ღიღი შური და მტრობა გვქონდა, რომ რასაც  
 დღეს ერთმანერთს დავახელებდით არც საჩხუბრად

დავეშურობოდით, არც საბეზღრად, ახლა...  
 (ჩირთბას აძლევენ თუ ეს უწესოება არ მოვსტეოთ ჯა-  
 რიშა გადაგვხდესთ და თქვენის წერთმის ქვეშეც ვიუთოთ).

№ 224. XVI სუკუნის ხელით:

„...ქართლისა კათალიკოზმა პატრიარქმა პატ-  
 რონმა ნიკოლაოზ ესე წიგნი მოგეცი თქვენ პატ-  
 რონსა ომანს, მას უამსა ოდეს სვეტისცხოველსა  
 მამული შემოსწირე და ჩვენ მისდა სამუქფოდ გა-  
 გიჩინეთ ყოველთა წელიწადთა შინა თეოთო უამის  
 წირვა, ასე რომ სანამდი ცოცხალი ვიყენეთ წელი-  
 წადსა შინა ერთი უამის წირვა არ დაგაკლოთ და  
 ჩვენს უკან ვინცა კათალიკოზი იყოს იმათ გიწი-  
 რონ... (აზის ბეჭედი).

XVII საუკ. № 1240 ახლო დროისა.

ჩვენ თქვენდა კურთხევად მოსრულმა აბა ალა-  
 ვერდელმა ჩოლაყაშვილმა თქვენ კათალიკოზს დია-  
 სამიძეს (იავნეს აძლევს ჩირთბას)..., ასე რომე ვიყენეთ  
 თქვენსა და თქვენის საყდრის მორჩილნი და ნების  
 მყოფელნი რჯულიერის წესითა“ ...

XVIII საუკ. № 1230:

მიებარა ბატონს ერასთავს შანშეს სვეტის  
 ცხოვლის განძი: ქ. ხატი ყოველად წმინდისა რუსუ-  
 ლი ანჩიდა მეფის შემოწირული. ქ. ბატონიშვილის

სეიმონის (ძმა გარეუნ შეფისა) შემოწირული....ქ.  
 ანჩის ხატი თავისის მოჭედილის....  
 (შეუდგება სია შიბარებულ ნივთთა სულ 52 ნაცერია).

### XVIII საუკ. № 244:

„...ჩეენ ციციშვილმა მთავარეპისკოპოზმან რაჭ-  
 დენ და მოგაროვით თქვენ...სვეტი ცხოველს...და...  
 კათალიკოზ პატრიარქსა ბატონიშვილს უფალსა  
 და მეუფესა ჩვენსა ბატონს დომენტის, ასე რომე  
 თქვენის ნებითა და ქართველთ ნება დართეთ  
 მთავარეპისკოპობა დაეიჭირე და კურთხევის  
 შენდობა მიბოძეთ. მოველ თქვენს კათოლიკე  
 ეკკლესიისა სვეტის ცხოველის წინაშე და ასე  
 აღთქმა, ფიცი და პირი დაედევ: არც თქვენი და  
 არც კათოლიკე ეკკლესიის წინააღმდევობა და  
 ურჩობა არა ვქნა; რომელიც ჩვენის კათოლიკოზ  
 გამოვიდეს სამსახურსა და მორჩილებისავეცალო; (თუ)  
 ან თქვენზე ანუ თქვენის კათოლიკე ეკკლესიის  
 წინააღმდევობა და ურჩობა ვქნა კათოლიკოზის  
 დომენტისაგანცა და კათოლიკე ეკკლესიისაგანაც  
 შეჩენებული ვიყო“.

ამას და გარდა უამთა ვითარებისაგან ბატონი  
 კათალიკოზი დომენტი სტამბოლს ბრძანდებოლა  
 (1725 – 1739 წ.) და მე მთავარეპისკოპობა ვი-  
 შოვნე, არზა მიესწერე ქართველთ ნებადართეთ

და შენდობა ემოქნა ემძანა ნაბატონი თფილელი მიბძანდეს და ორის ეპისკოპოზით აკურთხოსო. მოვედით და რაღვან იმის ბძანება და შენდობა იყო მაკურთხეს ამათი მოწმობითა და შუამდგომლობითა. არც კათალიკოზისა და არც კათოლიკე ეკკლესიისა წანააღმდეგობა და ურჩობა არა ვქნა, არც თქვენი და არც ჩემის აბხანაგის სამწყსო დიაკონი და მღვდელი არ ვაკურთხო.» (ბეჭჩართულად დამტკიცება).

### 1580 წლის ახლო დროის; № 246:

„(ესე წიგნი მოგაროვით),“ თქვენ-კათალიკოზ პატრიარქსა პატრიონსა ნიკოლაოსს ჩვენ ამბა აღავრდელმან ზაქარია, ნინოწმინდელმან სილოვანე, კაწარელეპისკოპოსმან ფილიპე, ბოდბელმან მაქსიმე, ნეკრესელმა კლიმე, ჭერემელმან ეგნატე, ხარჭაშნელმა ელისე ასრე და ამა პირსა ზედა, რომელ ანუ საყდრისა ანუ რჯულისა საქმეზედა ვისცა გაუწყრე და გამოენახაო ჩვენცა გაუწყრეთ და გამოვენახოთ და სადნამდის შენ არ ნახო და შენდობა არ მისცე არც ჩვენ ვნახოთ და არც შენდობა მივსცეთ. ამისად გათავების თავსმდებათ ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი მოვეიხსენებია. — ნაკლდოზ კათალიკიზი სჩანს 1562—1587 წ. იგა იქ ქე ქანების შეფას ღვაწისი, გიორგი ერებლე ეთეთილა: ქს ერებლე სჩანს გუჯრებში, ბრძანებულ არ იცის იგი.

№ 150 . 1413—1420 წლის ახდეთ დროისა.

„...ესე წიგნი გვადრე და მოგაქსენე შენ წმი-  
დას და ქრისტეს მიერ კურთხეულსა მღვდელთ  
მთავართა მთავარმა ქართლისა კათალიკოზსა მიქა-  
ელს — კადრეთ და მოგაქსენეთ მას უამსა ოდეს  
მცხეთას მოველ და მაკურთხეთ, აწე ესე წიგნი  
მე მაღყრელ (მაწყვერელ) მთავარ ეპისკოპოსმან  
გერასიმე კადრე და მოგახსენე და ვინც შემდგომად  
ჩემსა სხვანა მაწყუერელნი იყვნენ და საყდა-  
რშვილი, როგორც ამას წინათ მეფეთა მლოცვანი  
და თქვენი მამქსენებელნი და ერთგულნი ყოფილან  
ამავე წესითა მეფეთა მლოცვანთ ვიყვნეთ და  
თქვენი მამქსენებელნი ვიყენეთ. არც პატრიარქი  
მოვიხსენოთ ანტიოქიისა, არც მისგან გამოგზავნი-  
ლი კაცი შევიწყნაროთ, არც ვარძიის დიაკონი  
ვაკურთხოთ და ვინც ამა თემსა ანუ სხვაგან შეაჩ-  
ვენოთ როგორაცა თქვენგან ნაკურთხევსა გუმარ-  
თებს აგრე შევაჩუენოთ და ვისც შენ სწყალობდეთ  
ჩვენც მისნი მლოცველნი ვიყვნეთ. ესე პირი ჩუენ-  
გან ასრე გაგროვდეს — მამამან ძემან და სულმან  
წმიდამან და მაწყვერისა ღვთისშობელმან! და თუ  
ესე ასრე ასრე არ გავათაოთ ჩეენ, და შემდგომად  
ჩვენსა სხვათა აწყურისა ეპისკოპოსთა და საყდრის-  
შვილთა — შენისა კურთხევისა წილ წყევასა ქვეშევიყ-  
ვნეთ, კათოლიკე ეკლესიისაგან განვეყყენოთ ეითარ-  
ცა ურჩი და ძურის მოქმედი, და ვინცა ანუ ჩემთა  
სამწყსომან შემიწყნაროს ანუ სხუამან კაცმან

იგიმც კაცი კრულია პირითა ღვთისათა ცათა შინა  
 და ქვეყანასა ზედა და არცა ღდეს რაი ფერი  
 კბელი (ხუებული) დაგაკლო. საფარის სამწყსო თვი-  
 ნიერ შენისა ბრძანებისან კიდე არა ვაკუროთხო:—  
 (სხვა ხელით): „მაწყურელი გერასიმე ამა დაწერილისა  
 გამთავებელი ვარ ამა წმიდათა მაღლმან.“

**1706** წ. № 251. ახლო დროისა. ეშიკალაბაში  
 ზურაბ ერისთავი აძლევს ამ წერილს დომენტი  
 კათალიკოზს: „კურთხეული ჩვენი ძმა მთავარეპის-  
 კოპოსი გრიგოლმიიცვალა და სვეტის ცხოველის  
 ნიშანსა და საწირავსა და დაგვიწყევით თხოვნა.  
 მოვედით და შემოგეხვეწენით და მოგართვით  
 და რომელც თქვენი გული შესჯერდებოდა  
 სრულებით მოგართვით და რაც კიდევ დარჩა ჩვენი  
 თხუთმეტი თუმანი გემართათ და ისიც მოგართვით  
 მანგლელი ნიკოლოზი იყო შუამავალი ამისი.

**1767** წ. № 256. ჩვენ ბატონს ჩვენს მეფისძეს  
 საქართველოს კათალიკოზი პატრიარქს მაგათი უმსა-  
 ხურო და სამსახურის მდომი აბაშიძე ზაალ, რაც  
 ოდენ ჩვენგან იყადრება... მრავალს სამსახურის  
 ნატრევასა და მდინარის კალთას მთხვევნას მო-  
 ვახსენეფ! ვმადლობთ ღმერთს, მაგათი კეთილ მშვი-  
 ლობით ბრძანება გვესმა, მერე ჩვენდა ულირსად  
 მოკითხვა უბრძანათ. ღმერთმა მაგითი მოწყალება  
 ნუ დაგვაკლოს? ჩვენც მაგათი სამსახურის შემ-

ძლე გვქნას. ახლა უდაბნოს ბერი ათანასე, თარხნიშვილი ემგან, აქაური დავით წინამძღვარის საქონელი ებარა(?) უდაბნოს მამას გაუგზავნეთ. დავით იწნამძღვარი რო მიიცვალა, არც ანდერძი უთქვამს და არც რა ამის მეტი დარჩენილა აქ რაც ანაერით არ მოგახსენეთ: ერთი ანაწერი მანდ მოგაროვით, ერთი აქ დაეტოვეთ, რაც თავის საქონელი იმ წინამძღვარს არ მოვახსენეთ..... ერთი პატარა კრიალოსანი ჩემ სვიმონს კი აქ, ამის მეტი რაც დამეხარჯოს მუხანათსავით გადამახთევინონ...ქორონიკონს: უნე.

### 1356 დის ახლო დროის № 260.

„ეს დაერილი მოვაკესენე....ქართლისა კათალიკოზსა იუვანეს მე მონამან და მოა(ფე)მან თქუენმან გლახაკმან მაყურელ მთავარეპისკოპოსმან ნიკოლაუზ მას უამსა ოდეს ოდიდენ და. დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და ოძლეველი(sic) ლეთივ გვირგვინოსნობა მეფეთა მეფისა დავითისი შემიყალეს და საყდარი აწყურის მიბოძეს თქუენით თანა-დგომითა და ჯერ ჩინებითა და თქუენ ვითარ-ცა კელითა თქუენითა გაზრდილი და შეწყალებოლი (sic) ეგრეთ სიტკბოებით და სიყუა აროლით(sic) მაკურთხეთ და მე ამის კეთილის ყოფისა და სი-ყუაროლისა თქვენისა სანაცვლოდ ვითა წესი იყო ესე დაწერილი და აღთქმა მოვაკესენე სიცოცხლესა ჩემსა თიუნიერ მცხეთისა სახლი და ქალაქი არა აღვიარო

და თქვენ მაკურთხეველის ჩემის იუანეს კათალი-  
 კოზისაგან კიდე სხუასა კათალიკოზსა არა დავე-  
 მორჩილო. მოძღორად(sic) და მიკურთხეველად  
 ჩემდა წმინდა დედა ქლაქი მცხეთა და თქვენ  
 იყვნეთ....(შეჩერება და) „კროლეა“) ...და მე  
 ჯმნილმცა ვარ ამის უმფორრისაგან და წირეისაგან  
 (და ვინც შემიწყნაროს ისიც კრულ იყოსო. ეს  
 ჩემის კელით დამიწერია)

### 1705—1715 წლის ახლო დროის, № 261:

რუსთველი აძლევის წერის გათაღდაკაზის დომენტის  
 „ასე და ამა პირსა ზედა, რომე ჩვენი ბატონი მეფე  
 იმამყულიხან დიდათ შემოგეხვეწათ ჩემის ბისონის  
 ჩაცმისათვის და ბატონი თქვენი საქართველოს  
 გამგებელი ბატონი ვახტანგ შუა შემოვიდა, ჩვენს  
 საყდარს ბისონი არა ქონდა და ჩვენის ბისონის  
 ჩაცმა ორთავ ბატონებმა (მოინდომეს სურვილით)..  
 თქვენ ნება დართევით და ბისონი ჩაგაცვით და  
 ახლია ჩვენ ეს ფიცი მოგეი რთმევია ჩვენ რუსთა-  
 ველს ნიკოლოზს რომე დღეის იქით თქვენი მორ-  
 ჩილნი და ერთგულნი ვიყვნეთ...რომელი თქვენ  
 შეკრათ ჩვენც შევკრათ... ამის თავდები ღმერთი  
 და მერჩე წმინდა ანტონი მარტიმყოფელი მოგეი-  
 რთმევია ფრიად სედლეგნერი სედნართუდია: „რუსთვე-  
 ლი ნიკოლაზ“ ორბელიანი + რუსთველი მეფე ვახტანგს  
 რუსეთს გარდაუდა და იქ მოგვდა 1728 წ. ივლისის 19.  
 ცხობილი გადაგრავდა იქთ.

**1752** წ. № 2716. წ. ჩვენის კარის მოხელეების ნიშანზე და საწირავზე ჩვენი ძმა წმინდა პატ-რიარქი ანტონი და მცხეთის შეილი ლაპარაგა ბენ ჩვენ ღვთით რო მოვიდეთ ამასეზე სამართალს გავიშინჯავთ და გავირიგებთ. ქრისტეშობასთვე. ლ. ქორონიკონს :უმ:

**1666** წ. № 2817. ახლად დროის.

წ. რაც მომაბარა ბატონმა კათალიკოზი და ბატონმან დედათა და საქართველო და კახეთის თავადებისაგან და ეფისკოპოზისა და გლეხებისაგან ესე არი: ახვორმოცდა რვა თუმანი და ერთი მინალთინი ყოველი თეთრი ფარჩა იყოს თუ თეთრი ანუ ქურილმანი, ანუ რა გინდა და რა იყოს და ორი ათასი ფლური ბატონი დედოფლის, მერმე ხუთასი მორჩილი გარდეიხადე(?) და ფეშხამისათვეს და ცხენებზე ხარჯი და ნალლოს ნალურჯნისთვის? გნისათვის, და ჩვენ ბერებსა და მსახურებისათვეს და კიდევ მეორე ანგარიშის უკანისნ მორჩილი თათრების ხარჯი ლუფისათვეს და თანის სამოსლისა-თვის ტანისამთხი შაიქნა დახარჯული ექვსასი მო-რჩილი და აჯიმარაშისათვის(?) ბატონმა კათალი-კოზმა მისცა რვაას ორმოცდა ათი მორჩილი, მეფემ გამოიღო სადღეგრძელოდ ოცი თუმანი,

ერთი ლურჯის დგუნდის(?) საწერი(?) და ერ მურას ყმჩი (ბეჭედი და სასახლედი წარწერები). შეღეტი სწავლის 1666 წ. შაგასს 14 (იქ. ქვემო). აქ მოსსენეული შევე უნდა იყოს შახნავაზ (გახტანგო), ხოლო ბათალიკოსი — დომენტი; დედოფლი როდამ ეფლანძიანგილი (შეად. პანტ. გუჯ. № № 68; III; 93).

**I660** წ. № 2816. ახლო დროის.

ქ. მეცვე შაპნაზარ ვკადრებ ჯვარის მტკრ...  
 უენმაგიარად ნუენსა დიდხა იმედს... დიდად იმე-  
 ჩად მოსახენელ მისახედავსა კაცსა ზეცისასა და  
 ლნგელოზსა ქვეყნისასა შეხუთესა მახარებელსა და  
 მეათცამეტესა მოციქულსა წმინდათ მღრღელთა  
 მოძღვრებისა თანაზიარსა ბატონიშვილს პატრიონს  
 კატალიკოზს მრავალი მაგათის პატრიონისა და  
 ყოველისა სიკეთით შემკობილსა თავის მოკითხვა  
 და ამოდ ყოფნის ნეტარება მოაქსენტო და შერმედ  
 ჩერქეზელნი და გარეველნი მთასა ცილობენ და ამს-  
 წინათაც ჰქონიათ სარჩლოა და ასე მოგვახსენ,  
 რომელ მცხეთვანთ გაუფიცხო და მისი მაკაფა-  
 რი კაცი გყუანდესთ ისიც გვიბოძეთ და ძველი  
 გუჯარიც, რომ იმათი საქმე გავარივოთ.”

**I530** წ. № 2917. ახლო დროის შევე დეონ  
 სწერს: ქ. სასოო ჩვენი მარკოზ და ყარსლან ჩუენ  
 მაგიერად პატრიონსა ქართლისა მარკოზს (მთავარ-  
 ეპასკოფიზს) მალაქიას ასრეთ მოახსენეთ: მცხე-

თისა საყდრისა და კათალიკოზისა საქმესა ეგენი  
 დახუდეს და რაც ჩუენსა შვილისა კელთა იყო და  
 ანუ ვისმე<sup>”</sup> ქონდა ყუელა უკლებად მიეაბარეთ და  
 ჩუენი შვილი სამუქფოთა გავიჯერეთ და გარეჯისა  
 უდაბნონი საყდარს მოვახსერეთ; ასე რომელ კა-  
 თალიკოზმან მართლად მოიკლოს; უდაბნოთა ძუე-  
 ლითგან გაჩენილი არა მოაკლდეს და არცა გარე-  
 ჯით მცხეთას მავიდოდეს; მაზედა აღაპნი არიან  
 გაჩენილნი—იგი ტრაპეზისა არ დააკლდეს. ან გარე-  
 ჯის ხატნი და ნაწილნი იქვე მათსავე საბრძანი-  
 სავე ზედა მიასვენონ, სხუა ჩუენი კელი არა შევა  
 ლაშქარობისა და ნადირობისა, მალასა; და თუ  
 გავიაროთ—ძლუნითა დაკუზუდებოდენ. აგრევე  
 სხუანი სააღაპონი მამულნი მოგვისენებია და  
 ტრაპეზისა მისი ნუ მოაკლდების ამაზედა მომკლე-  
 ბად საღრმოონი<sup>”</sup> კაცთა უჩენთ და ჩუენი საუკუნთ  
 საქმე მოგუაკლდების ამას გარეთ რანიცა მცხე-  
 თის მონასტერნი არიან აქეთ და მანდით იგიც  
 მოიკლონ: ჯუარისა მონასტერი მისითა შესავა-  
 ლითა, მეტეთ მონასტერი მისითა შესავლითა,  
 ქადაგის მონასტერი მისითა საკელითა და შესავა-  
 ლითა სარკისა და ვირშისა მონასტერი მისითა  
 შესავლითა და რაც პატრიარქისა ჩუენისა სამწირ-  
 ველო არის აქეთ იმას ჩუენ მოვიკლებთ და მაზე-  
 და მწირველსა დავაყენებთ. ქადაგის საქმე აქაც  
 გაუტყდით ჩუენი მონდობილი არის და საავკაცოდ  
 არ ვის დავანებებთ და არცა მცხე-

თით არ გამოვიყვან და არც საღ გაუშეუებთ და  
 რაცა ჩუენგან მცხეთის საყდრის საკელო აბარია  
 არცა იმას წაულებთ, როგორც მცხეთისა საყდარი  
 არა მოიშლების, აგრევე ქადაგის მონასტერზე და  
 საკელოსა არ მოვშლი: სოფელი ახალშენი შემო-  
 წირული არის ასრე რომე საყდარსა ემსახუროს  
 და მისი გამოსავალი ჩუენგისა გულისათურის წაი-  
 გებოდეს. აბრეშუმი რაც გამოვგზავნეთ უკლებათ  
 შეგვინახონ. კალატოზთათურის მოგყიდების აგრე-  
 ვე აქაური პური და ლვინო. ხელჩართულად: „დეან“  
 კათალიკთის მადაქია სჩანს 1532 — 1548 წ. დეონ  
 მეფის ან სვიმონ კათალიკთის დროს; ეს საბუთი  
 დაწერილი ეფთადა რამდენადმე ადრე, როდესაც მადაქია  
 ჯერ ქართლის მთავარეპისკოპოსი ეთვილა. ესე იგი 1532  
 სვიმონ წლის დამდინარე კათალიკთის უკანასკნელად სჩანს 1548 წ.

**1750** წ. სხლო დროისა № 2918. ქ. ლმერთ-  
 მან ბედნიერის ბატონის კათალიკთის ჭირი და  
 სატკივარი თქვენს ფეხთა მიწამტვერს მამისთვლის-  
 შეილას დათუნას მისცეს თქვენის ლეთის და მაღ-  
 ლის გულისთვინ ჩვენზე უსამართლოს ნუ გააჩენთ,  
 ჩვენი ნასყიდი კაცი თქვენ დიდად არ შემოვემა-  
 ტებათ და ჩვენ დიდათ დაგვაკლდება თქვენიმუ-  
 თავი გამიწყრება და ლვთის — დიდი შიმშილობა რომ  
 ყოფილა მაშინ ჩვენის პაპისა და მამის ნაყიდი არ  
 იყოს და მერე შიმშილობასა და ავს დროში არ  
 დაგვერჩინოს, მას აქეთ კიდევა ჩვენს დროში

ორჯელა შვილი დასტყვევებით და ის ორი შვილი  
 გვიყიდია და დაგვიხასნია (დაგვიხსნა); კიდევა აგვეზ-  
 რა (აგვეზა) და წაეიდა, მიუვიდა ზაზას; იმან სხვა  
 რიგათ მოინდომა და იმიზგან ვიშოვეთა. მასუკან  
 ვალი მართებს და ვალი გარდამიხდეს (გარდაშიხდა-  
 სთ) და შვიდი მარჩილი ახლა გარდვიხდეთ (გარდა-  
 ვისადეთ); დიდი ჭირი და ამაგი გვიქნია ნასყიდობას  
 გარეთ; ნასყიდი და შიმშილობაში დარჩენილი არას  
 კაცს არ წართმევია. ღვთისგულისათვინ ჩვენს  
 საბრალოს თავზედა უსამართლოს ნუ მოიყვანთ—  
 ჩვენი ნასყიდი ბიჭები ჩვენ გვიბოძოს და კელმწი-  
 ფესათან არ გვაჩილოს და არ გვატიროს: ბაონ... .

**1740** წ. № 2919. ქ. ესე წიგნი და პირი მოგარ-  
 თეთ ჩვენ მროველ მიტროპოლიტმან ამილახორის  
 ძემან ათანასემან... (მცხეთას) და მასზედა მჯდომა-  
 რესა წმიდას და ყოვლად სანიტრელსა უფალსა  
 და მეუფესა ჩვენსა ... კათალიკოზსა პატრიარქსა  
 ბატონიშვილს უფალს დომენტისა. ასე რომ ჩვე-  
 ნად ულირსად წყალობა მოიღეთ და ძველადგან  
 რუის ღვთების საყდარსა მიტროპოლიტი არ კუ-  
 რთხეულიყო, საეფისკოპოსო იყო და მოვეღით და  
 მიტროპოლიტობის კურთხევას დაგეაჯენით. თქვე-  
 ნი მადლი და წყალობა მოვიდა ჩვენზედა და მი-  
 ტროპოლიტობის კურთხევა მოიღევით. აწე რადგან  
 ჩვენ საყდარზე და ჩვენზე ამდენი წყალობა მოი-  
 ღეთ და მიტროპოლიტად გვაკურთხეთ და ჩვენი

საყდარი სამიზროპოლიტოდ გახადეთ ჩეენც ეს  
 პირობა მოგეირთმევია: რაც რამ ჩეენის კელით  
 გამოვიდოდეს საქმით, სიტყვით და მოგონებით  
 თქვენს საყდრისა და თქვენი ერთგულნი ვიყოთ,  
 არაფერი უმორჩილობა არა ვქნათ რა თქვენის  
 საყდრისა...დაიწერა მაისს 8 ქორთულიკონს უკა  
 არც ჩეენა და არც ჩეენს იქით რომელი მროვე-  
 ლი დაჯდეს ოქვენი საყდრისა და თქვენი ურიგო-  
 ბა არა ქნას.“

**1556** წ. № 2920. ესე უკუნისამდე გასათავებელი  
 წიგნი მოგაქსენე მე მტბევარმა საბა თქუენ ქარ-  
 თლისა კათალიკოზსა პატრიარქსა დომენტის, მას  
 უამსა როდეს მაკურთხეთ — თქვენის ბრძანებისა  
 მორჩილნი ვიყვნეთ. რაცა ჩეენის კელისაგან გა-  
 ვიდოდეს რჯულისა სიმაგრესაც მოვიჭიროთ....†  
 ამ სიგელს წელი არ უზის, მაგრამ ჩეენის ქრისტები-  
 საგან სხანს (წიგნი II, გვ. 399), რომ საბა წერდიძე  
 მტბევრად უპურთხებათ 1556 წელს.

**1557** წ. № 2921.----...დევატაფა...შემოსწირა  
 კიდევ პატრონმა კათალიკოზმან ნიკოლაოზ ერთი  
 დიდი ორხოეა ბატონის დედოფლისეული, ერთი  
 მისი ჯეჯიმი, ერთი ოცის ხაზინის კარავი, ერთი  
 დიდი დოსტაქაანი, ერთი ინდოურის კაკლის სასმე-

ლი მოჭედილი ფეკიანი და თაესახურავიანი...სვეტი ცხოველო, შეიწირე მცირე ესე ჩემი შესაწირავი. (თავი აკლა და ზიანებულა).

**1699** წ. ახლო დროისა. № 2922.—„და მანგლელ ეფისკოპოსად გვაკურთხეთ. ჯერთ თქვენი ერთგულნი და ბრძანებისა თქვენისა მორჩილნი (ვაუგნეთ) და ვისუა გაუწყრეთ და შეაჩვენოთ მეც...და სჯულიერის საქმით ჩვენი სამწყსოც კეთილათ დავმწყსოთ... ამას ზედ მისდევს „გვრწამსი სრულიად“ ბოლოს ხვეულად „გამრიელ.“

**1720** წ. ახლო დროისა, № 2923 სია მცხეთის ქნებათა: „არის სვეტისცხოვლის შეწირულობის ვახში ვისგან რა არის შეწირული და სად რა არის.

ახლო დროისა № 2924 ქ. ხატი ყოვლად წმიდისა. არჩილ მეფის შემოწირული მურასა ქ.ხატი მრავალნაწილისა სეიმონ ბატონიშვილის შემოწირული მურასა—ნაწილები მცხეთასა და კარი იმერეთს“...

**1739** წ. № 2925 ქ. აბარია გირაოდ ფრანგის მეფის ბაზირებანს მუსი მაჯის საქონელი ა. ქ. ძელიჭტი მურასად მოჭედალი ა. ქ. ყელსაკიდი ხატი მურასად მოჭედილი ერთი უჯაჭრეთ ნაწილებიანი ა. ქ. კიდევ ყელსაკიდი ხატი მურასად მოჭედილი ყოვლად წმიდისა ჯაჭვიანად ერთი ა. ქ. ბისონი თეთრი ფრანგული სტოფი თავისის არშიებით, ღილე-

ბით და ჯუარით წმიდანი ა. ქ. გვირგვინი მურა-  
 სა თვალითა და მარგალიტითა და ჯვარისა ლალი-  
 სა და ზურმუხტიანისა ა. ქ. გვირგვინი რუსული  
 მურასა თვალითა და მარგალიტითა შემკობილი  
 უჯვაროდ ა. ქ. ბარძიმ ფეშემი ვერცხლისა და  
 ფესი(?) ა. ქ. საცეცხური ვერცხლისა: ბ. ქ. ღის-  
 კო ორი ვერცხლისა ა. ქ. ალაფა ვერცხლისა  
 ერთი ა. ქ. საბუხრები თვალ-მარგალიტით შემკო-  
 ბილი ერთი წყველი ა. ქ. ყავარჯნის თავი თევ-  
 ზის კბილისა ერთი მურასა ოქროთ და თვალებითა  
 ა. ქ. ტონჩა ვერცხლისა ერთი ა. ქ. ყავადანი და  
 ჩიდანი ვერცხლისა ა. ქ. ბეჭედი ერთი ყვითელი  
 იაგუნდისა ოქროშ იზის“. (უბეჭდი და სელმუურე-  
 რელი), ბოლოს აწერა იმავე სელით: „გამობძანდა  
 ბატონიშვილი კათალიკოზ პატრიარხი ღომენტი  
 თვესა მარტსა ექვსა ქორონიკონსა ჩლლო“ (ე. ი.  
 დომენტი III სრამბოდიდან წამოსულა საქართველო-  
 ში 1739 წ. და ზემო აღნიშვნელი ნავთნი გირათდ დაუ-  
 გდია ვაჭართან)

**1764** წ. № 2926 ქ. ქორონიკონს უნბ.  
 მარტს ხუთს პარასკევს დაბრძანდა სამეუფოს სა-  
 პატრიარქოს ტახტზედ პატრიარქი ანტონი. მრავალ-  
 მცა არიან წელნი და ეამნი ცხოვერებისა მათისანი ამინ.

ქ. იმ ღამეს აბანოში წაბძანდა. დაიხარჯა  
 აბაზი :გ:

ქ. კვირას დღეს ბატონმა რომ დაპატიჟა—მე-  
 ფესა და ქართველთა და კახთა მცალო-  
 ბლებს უბოძა ოთხი ფლური, კიდევ დაი-

ხარჯა აბაზი გე::.

ქ. შათრის დაეჩინებში მივეცით შაური  
მარტს :იბ:

ქ. რიტორებში უბოძა ბატონშა სამი ფლური—  
ფლური რვა-რვა აბაზიანი გიორგი მღვდელ(ელს)  
(ალექსიევი).

ქ. მარტს ი. მუშებს უბოძა აბაზი გე::.

ქ. კიდევ მეორეს დღეს მუშებს უბოძა ბატონ-  
მა შაური :ი::.

ქ. ტალახის ასაზელად ბზეში მივეცით აბაზი  
ხუთი.

ქ. შაწარას ხიზალა(ლა)ში და წელში მივეც და  
თავის ვალში მილალთუნი :დ: და შაური :ი::.

ქ. დურგალს მივეც აბაზი :გ:: (უბეჭდო და ხელმოუწე-  
რები). ანტონ პ-ზი რუსეთიდან საქართველოში შემოვიდა  
20 მარტს 1763 წ., ხელო 5 მარტს 1764 წ. პ-ზად დაუსკამთ.

**1764 წ. № 2927. წ. ქორონიკონს უნბ.**

მარტის ექვს შაბათს დღეს ბოდბელის ანდერძი  
ექნა თავის ნიშნისა თორმეტი ფლური და ერთი  
ჯორი. თორმეტის ფლურიდამ მოიტანა წინამძღვარ-  
მა რეა ფლური, ოთხი ფლური და ჯორი კიდევ  
უედა მოგვცეს ერთი თასი კიდევ ბატონს მოართო  
ქ. კრწანისიდამ მოგვივიდა მალის თეთრი მილა-  
თუნი (ია), (ეს ნუსწა იმავე წელით არის დაწერილი,  
რომელითაც ზემოხსენებული ნუსქაა დაწერილი № 470  
და მაშასადამე ბოდბელის ანდერძი ეპუთნის კათალიკოზს  
ანტონის.

1675 წ. № 489. გყადრეთ და მოიხსენეთ  
 ოქვენ ყოველთა მეფეთა, მფლობელისა ...პატრონს  
 შააპნაოზს (შახნავაზს)... ძესა თქვენსა პატრონს არ-  
 ჩილისა და ყოველისა საქართველოს მაკურთხეველისა  
 ბატონიშვილისა პატრონს დომენტის —

შენ ჩვენ ჯვარის მამამან წულეციძემ ნიკო-  
 ლაოზ ასრე და ამა პირსაზედა, რომე ჯვარის მამა  
 ოქვენის ბრძანებით დადგომილა ნიადაგ ქართველის  
 ბატონისაგან და კახისაგან და ჩვენცა გიახელით  
 და გთხოვთ ჯვარის მამობა და გიბოძეთ სრულიად  
 საქართველოსა ჯვარის მონასტრის მამულები: აწე  
 ვიყოთ თქვენი ერთგული და თქვენის სიკეთის  
 მომჟირნე, რაც ჩემის კელით და სიტყვით გამო-  
 ვიდეს და რაც საიერუსალიმო ვიშოვნო ამ ოთხს  
 საბატონოში სრულიად მონასტრისათვს შევინახო  
 და არც ჩემს შეილსა და ჩემს ნათესავს მივსცე  
 უსყიდლიდ და თქვენ ბატონს კათალიკოზს მოგა-  
 ბარო და რაც ვიშოვნო მონასტრისათვს სანამდის  
 ჯვარის მამობა მქონდეს — ეს ასრე გაგითაოთ პაატ-  
 რონო (sic). დაიწერა კელითა მაღალაძის ნიკოლოზ-  
 ისათა ქორონიკონსა ტნიგ. ოეფერვალსა ც. “  
 ხვეულად: „მამა ჯვარისა ნიკოლოზ“ შეად. ს. გონტ.  
 გუჯ. № № 68, 93, III, 23.

მე XVII საუკ. ხელით: № 492. „წმინდანო  
 და ყოველად სანატრელო მეუფეო ჩემო იოსებ,

ჩემო ბატონი ტფილელო! ...მერმე ამის წინათაცა  
 და კიდევ ახლა ჩენისა და ბატონის კათალიკოზის  
 ერთად შეყრა და ურთიერთარს მშვიდობის დაგე-  
 ბისა ყოფა გებძანა. ღმერთი არს მოწამე და  
 კაცნიც მრავალი, რომე ჩემისთვის მათმინებითა  
 და არც თავეედობითა და არც წანააღმდეგომობითა  
 მე გვირკვინი არ დამეხუროს. მრავალთ დარჩაი-  
 სელთ და მახსოვართ ვითხე, მეც მითხრეს და მაგ  
 ბატონს კათალიკოზსაც მოახსენეს, რომ სხვას  
 ალავერდელსა უკათალიკოზოდ დაუწურავსო და  
 მეც დაეიხურე. აწე ასე უსახო და ოვთის მოძულე  
 როვორ ვიქნები რომე წმიდას სვეტიცხოველს  
 მოსლვა და თაყვანის კემა არ მინდოდეს და ბატო-  
 ნის კათალიკოზის შენდობის აღება, მაგრამ ასე  
 რიგად საქმე მაქვს მოსული, რომე თავად სხვა  
 კათალიკოზის კაცი და უფროსდა მე ვერ ამო-  
 ვალ მანდით: ეს რომ გამიშვრება სულ ამ სოფლის  
 გათავებას მოველი, ეგ კიდემ მოწყალე არის, შე-  
 მიწყნარებს რა გინდი დიდი რამ დანაშაული მწონ-  
 დეს. აწ მე ასე მომიერდა საწმე, რომ უმაგათოდ-  
 დავიხურე. მაგათ ეგება ასე ეგონოს, რომე სხვა  
 ალავერდელიც მოინდომებსო, რადგან ამან წარ-  
 ეგ უველთა იციან ძელითგან რომე ვინცავინ  
 ალავერდელი ყოფალა და ან იქნება, მეცა და  
 სხვანი უველანი, სვეტის-ცხოვლის კარსა და ვინცა  
 ვინ საჭეო მპყრობელი კათალიკოზი ყოფილა კურ-  
 თხევა მიზგან მიულია. ახლა და წრისტიანობისათ

ვის ჩვენცა ამას მოგახსენებთ თქვენ და მათ ეპისკო-  
 პოზთა რომე ჩემიც ინდულოთ, ამდონი შეამავ-  
 ლობა მიყავით, რომე მე დანაშაულზე დამიც  
 თავი; დავაშვე; საწმემ და დრომ ასე მოიყვანა; მეც  
 ერთი წიგნი მომწეროს, ისევ შემცრიგოს, ისევ  
 შემიტკბოს, ქრისტიანობასაც ასე უჯობს, მას  
 უკან თულა ან მაგათის აწათ ჩამობძანებასა და  
 მაგათ ნახვას მაღირსებ და ან მე ვიახლები — რომელ-  
 საც ეგ მიბრძანებს იმას ვიქმ, ნულარც ეგ გვიწყრე-  
 ბის. ამდონი გულის კლება გაათაოს, თუ არა და  
 ბედნიერად იყოს, ჩვენგან ხვეწნის მეტი არა გაეწ-  
 ყობა რა რავენას. ამოლოსი უბძანებია და საბო-  
 ლოსი ეს პირობა მომიხსენებია: ჩვენ რო გარდა-  
 ვიცვალნეთ, ვინც ჩვენსა უკან ალავერდელი დაჯ-  
 დეს უკათალიკოზოდ გვირგვინი ვერ დაიბუროს  
 და ახლა მანდ ჩამოუსელელობა მოგვიტეოს და  
 შერიცების წიგნი გვიბოძოს, მოხსენება და ხვეწნა  
 ამას ქვიან და ჩვენც მაშინც ამის მეტს არას მოვახსე-  
 ნებთ. ბატონო, ჩვენი აზნაურიშვილი გვიახლებია;  
 იოვანე ავად იყო თვარა ეს მინდოდა მეახლე ბინა. “  
 ხეჭულად „ალავერდელი ნიკოლაზ.“ (ენდრანიკი შვილი)

XVIII საუბ. ხედით № 494: „...უფალს და  
 მეუფეს ჩემს კელმწიფეს წმიდას პატრიარქს. დო-  
 დოს წინაშძლვარმაც თქვენ მოგახსენათ კელიობას.  
 დოდოს დაიწყეს მოხსენება, სულ ერთად შევიყა-  
 რენით, ერთმანერთი შეაჩვენეს და დასწუყელეს

ვინცალა ნინო-წმინდელი მოიხსენოს ვინალას  
 სულ გამოსცეივდენ ბერები შენმა მზემ  
 გაბრიელის ცემა რომ გაიგონეს. შენი ჭირიმე აქამ-  
 დინ ნინო წმინდელებს ამათ ექირათ ეს უდაბნოე-  
 ბი, რომ ვისაც ბერს დაახელებდა ნინო წმინდელი  
 ძმათა და შეილათა, მიიჩნევდა, აწირვინებდა, აჩუ-  
 ქებდა, ნუგეშინის სცემდა და ისე გაისტუმრებდა, --  
 მაგან უნდა დაგვიჭიროს, ქვცეს და ძელზე აგვაბას  
 კათათეის სეცხეში. შენმა დღეგრძელებამ თქვენ  
 რომ კელი ააღოთ და არ ინაღლოთ რა არასგზით  
 ამ მონასტერში ბერი აღარ დადგება. არ ვინ გას-  
 ცდინოს, ამ მონასტრისთანას საშოვარს ვერას  
 იშოვნით შენმა მზემ. ნათლისმცემლის მონასტრის  
 ბერებიც გარდამოვაყვანინე, პირობა დავდეთ, რომ  
 თქვენ უნდა მოგახსენოს; ჩემიც ხლებაც არ გებძა-  
 ნათ, დიალ მრავალი ლეკი დადის, თორემ გიახლე-  
 ბოდი. რაღა ჩემი ხლება გინდათ, ჩემგან შენდობის  
 წიგნი რათ გინდათ.

შენიჭირიმე ეგები გეგონოს თქვენგან გულს  
 მაკლდეს, ღმერთმან ნუ ქნას. უკაცროს ვარ, რომ  
 მოგახსენებ პირველი სიყვარული მაქვს ჩემს გულ-  
 ში დადგრომილი, რომ მუდამ უამს ჩემს საიდუმლო-  
 ლოცვაში ცოდვილის პირით თქვენი კეთილად წარ-  
 მოების ლოცვა ამოვა... რადგან გეპრიანებათ როცა  
 გიახლებით მაშინ მოგართვამ ახალს კრებულსაც  
 გაახლებ. რასაც გვიბრძანებთ თუ დაკვიბარებთ  
 ნათლისმცემლის წინამძღვარი კრებულით და დო-

დოს წინამძღვარი დაგვიბარეთ და ერთად გიახლებით.

**1452 წ. № 495. ახდო დრთისა:**

----მეუფესა პატ---ლთქმა---- და ვარძისა ძმათა: მას უამსა: ოდეს: მცბიერი: ბერძენი: მოვიდა: ცრუწინასწარმეტყუცლი და მცირითა: რათმე: სიტყითა: მიგვზიდნა: აწ თქუენ გაგუიწყერით და კიდეც უმართლე(?) იყვენით. ამადრომე დღეთა მისთა-----აწ დღეს და დღესისა უკანის ვიყუნეთ თქ---და მაღიდებელნი; რაგუარც დღეთა მისთა(?)---ვართ მითვე წესითა ვიყვნეთ. არც მიტრაპოლიტი შემაუშვათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არცა მისი მცნება გავიგონოთ და ამასთანა მისი არა ვიჩწმუნოთ, არც უმცხეთოდ ჩუენი მღრღდელი და დიაკონი იყურთხეოდეს, არც რამჯავახეთს და წალის ყურს ვისაქმოთ სამწყსობისა პირზედა და ვიყუნეთ თქუენისა ბრძანებისა მორჩილნი ასრე რა გუარა ესე (სხვა მოწყვეტილია შეად. № 48—138, 1460 წ. დაწერილია იმავე ხედით რომელითაც სიტყდი მცნეობას (№ 48) 1460 წლისა.

## II. გუჯრები სიონის ტაძრისა.


**1634** წ. № 28. ესე: წყალობისა: და თარხ-  
 ნობისა წიგნი გიბოძეთ თქვენ ქალაქს სიონთა  
 ღთისმშობელს ყმათ, ასე რომე ამის წინათაც კელ-  
 მწიფეთაგან თარხანი იყენით; ახლა თფლელი და  
 საოფილელო ყმა პირის საჩახავად მოგვაროვეს.  
 აწე ჩვენცა გათარხნეთ: არაფერი არა სიჩვენო და  
 არა სანეფო და არა სათათრო არცა შემასახლისსა  
 და მელიქსა და ნაცვალს და გზირს დაიწერა წიგნი  
 და სიგელი ესე ქორონიკონს ტკ": ეს წერილი მიუ-  
 ცია დადიანის ახელს მარიამს ახალმოუკანიდს ქართლში  
 დედოფლად. შეადარე სიგელს № 32.

**1553** წ. № 30 ....ჩვენ ბაგრატუანთა ძეთა  
 კურთხეულისა პატრონისა ალექსანდრესთა პატრონ-  
 მა კონსტანტინე და შმათა ჩუენთა ესე სიგელი და  
 ნიშანი მოგახსენეთ თქვენ ყოვლად სასოა და შე-  
 საველრებელსა ჩუენსა სიონთა ღთის მშობელსა  
 კურთხეულისა პატრონისა მამისა ჩუენისა სულისა  
 მოსახსენებელად სადღეგრძელოთ ჩვენთვს და  
 კოდვათა ჩუენთა შესანდობელად და შემოგწირეთ  
 მცირე ესე შემოსაწირავი ქალაქიერითა ლიტრითა.

ორი ლიტრა სანთელი და ერთი ლიტრა საკმეველი ტამლისაგან ესე ყოველთა წელიწადთა უკლებლად მოგეხსენებოდეს და არა დაგაკლდებოდეს...დაიწერა...ქორონიკონსა სმა: კელითა იორდანესითა. სეულად „კონსტანტინე“.

**1658 წ. № 41.** ...პატრონშა როსტომ და თანამეცხედრემან ჩემმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონშა მარიამ, პირმშომან ძემან ჩვენმა ვახტანგ ...და მდგომარესა წინაშე შენსა მჯდომარესა სათფილელოსა ზედა ეფისკოპოზსა თფილელს პატრონს ელისეს ასრე და ამა პირსა ზედან, რომელ იპრიანა მოწუალემ ღმერთმან და ბედნიერმან ყევნმან ჩვენს სამკვიდროს სამეფოსა და საბატონო ზედა გამოგზავნა და მოვედით და ჩვენთანა აღზრდილი ჩვენი ერთგული და ნამსახური ყმა სუფრაჩი ჰამზაბეგ თან მოგუყუა და შეუტყობრად სიონთა ღვთისმშობლის მამულში იმავ საყდრის გვერდით დავასახლეთ. რადგან შეიტყო, რომელ საყდრის მამული არის და საბოლოოდ ჩემს შვილთ არას არგებსო მისსავ სიცოცხლეში თავისის ნება-მყოფლობით სიონთა ღვთისმშობელს უდებდა და სოფელმან არ დააცალა და მის მეუფეს მიებარა. აწე...თქუენ ნაშენების ფასი მოგუართეთ....და საყდრის ალაგი თქუენ დაგანებეთ.... დაიწერა...ქორონიკონს :ტმვ:.. აპრილის:.. ი:.. კე-

ლითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრა შანშე-  
ანის მარტიროზის შეილის სულხანისათა.



**1727** № 54. ესე უკუნისამდე გასათავე-  
ბელი...წიგნი და ნიშანი მოგართეთ ჩვენ ორბე-  
ლისშვილმა ტფილელ-ბოლნელ-მიტრაპოლიტმან  
დომენტიმ და ერთობით სიონთა ღვთისმშობლის  
კრებულთ თქვენ...ამილახორს ბატონს გივს მას  
ეამსა თდეს აღაოხრეს ლეკლთა ტფილის ქალაქს  
სიონთა ღვთისმშობელი, შემდგომად მათხა დაიპ-  
ყრეს ქალაქი და ქვეყანა ქართლისა ურუმთა;  
მაშინ ჰატრონობდა ვეზირი ისაყ ფაშა ახალციხისა,  
ბრძანება და ფარმანი მოსლოდა ხეანთქრისაგან  
სიონთა ღვთისმშობლის ტაძრისა მეჩითად შექნა  
ინებეს. ჩვენცა წმინდამან ღვთისმშობელმან თქვენი  
თავი გამოვეიჩინა და დამხსნელად და ნუგეშინის-  
მცემელად მოვედით ჩვენის კრებულით და დიდის  
მწუხარებით თავი გაწყინეთ. თქვენც ვინცა ვინ  
ქართველნი დარბაისელნი იყვნენ თან შემოიყარე-  
ნით და ამის შეწევნასა და დახსნასა გულსმოდგი-  
ნედ ვცადენით; მიხვედით ფაშასან, არზა მიართვით  
და დიდად თავი გარდასდევით, თითქმის დატუვევე-  
ბა და ამოწყვეტა ირჩიეთ და ამ საყდრის დაუნებე-

ლობა. იმანც ყური მოუგდო თქვენს მოხსენებასა, —  
 კელი აიღეს, დიდად დაგამადლეს და ფეშქაშიც  
 მრავალი გაიღევით და საყდარსაც შისწირეთ: რად-  
 გან ამდენი სასყიდელი და ჭირნახული დასდევით  
 ჩვენს მონასტერზე ჩვენ სხვეორ ვერას გმსახურებ-  
 დით და ეს პირობა მოგვიხსენებია, რომე რადგან  
 ახალკვირის შაბათს იყო ჩვენი განსაცდელი და  
 საყდრის გამორთმევის ამბავი ისივ ახალკვირის  
 წინადღე შაბათი განვაწესეთ თქვენთვის მოსახსე-  
 ნებლად. ამ დღეს იქით ყოვლის ხელისათვის(?)  
 იმ შაბათს ჩვენ და ჩვენნი კრებულნი ერთობილ-  
 ნი ჟამს გიშირეიდეთ თქვენ და თქვენის შვილის  
 შეილთა დაუკიწყებლად მოვიხსენებდეთ....დაიწერა  
 კელითა სიონის დეკანოზის შვილის ოსესითა აპ-  
 რილს :ც: ქარონიკონს: უიგ: (ეს თუ იურ შაშა  
 ცნობადის შეწრდიას ითანე თეშეიდისა)

სხვა სეღდით შოწერილა: 1) რომელიცა კურ-  
 თხეულს დომენტის ტფილელს განუწესებია მე  
 ტფილელი ეპთემე.... (არ სჩანს)

2) ჩვენ თფილელ მატროპოლიტმა თუმანის-  
 შვილმა ქრისტეფორემ ეს სიგელი ღვთისნებით  
 დაგვიმტკიც.....

**1666 წ. № 56.**...და შენზედა საკედ. მცირო-  
 ბელსა თფილელ მთავარეფისკოპოზსა იოსებს ასე  
 რომელ კურთხეულმან ელისე საყდრის ალაგი მი-  
 ბოძა და ალვაშენე და ჩემი ძმა იმას ვაყმე და მას

უკან მე ჯვარის მამად დამაყუნეს და მერჩე ჩემი  
 ძმა აბდულმესი ბატონს ციცის ვაყმე და მე იყრუ-  
 სალიმს წავედ და ის სახლკარი თქვენ მოგაბარე.  
 ამან ათად(?)რო რაც ქირა იღოთ ნაშენებისა მე  
 შამინახოთ საყდრის წილი და სამართალი რაც  
 იყოს თქვენი დაიჭიროთ (ბეჭედი, სელჩართული და  
 სპარსული წარწერა).

2) ქ. ესე წიგნი დავაგდე მე ჯვარის მამამ  
 მელეტიოზ ასე რომე ეს ჩემი სასახლე თფილელის  
 კელში ჩავაკდე, გამიყიუთ ალაგი და ნაშენები  
 ნახევარი სიონთა ღვთისმშობელსა და ნახევარი  
 ფასი მე ანტონასა და აბროსას მიმიბაროს და ან-  
 ტონაშა და ამბროსაშ ჩემი საქანელი მისარგებლოს  
 სადამდი ჩემსა მოვიკითხევდე და როდესაც გთხო-  
 თ ჩემი თავი და სარგებელი უკლებად მომართოთ.  
 (ბეჭედი, ქართული და სპარსული წარწერები). — ანტო-  
 ნასა და ამბროსასაგან თამასუქი ამიღა ამისი შო-  
 წამე და დამწერი მე პეტრე ვარ. შეად. კანტ. ბუჭ.  
 № №: 111 2, 3, 68.

**1701** წ. № 148 ქ. ჩვენ: ბატონს: კათალიკოზს: დია-  
 სამიძეს: ევლემოზს: თფილელმიტროპოლიტი ორ-  
 ბელიაშვილი დომენტი დაგველაპარაკა ქალაქურს  
 სამწყსოზე. ჩვენის ყმისა და ყმის ყმისა და ან რაც  
 სადედოფლო საყმო ჩვენს დეკანოზს უკირავს  
 მოკითხული ვქენით და უსაცილოთ ქალაქი სიონ-  
 თა ღთისმშობლის სამწყსო ყოფილა და დღესაც

არის და სხვას არცა ვის კელი გვაქვს და ვერცა  
 ვინ შეცილება სჯულიერის საქმით საკანონო  
 ოფიციელმა უნდა მოიკითხოს, რაც საქმე მოხდეს  
 მის დროს თავების მთავრით დრამა მოკრიფოს.  
 რომელიც სხვამ მოქალაქემ ქრისტიანმა კაცმა  
 მსახუროს ისრე ამ ჩვენის დეკანოზის სამწყსომ  
 მსახუროს. ვინცა ვინ სამღვდელოდ გაიზარდოს  
 თბილელმა აკურთხოს. თუ ეისმე შეეძლოს რიგია-  
 ნის საქმით მიცვალებულისათვის საწირავიც მიარ-  
 თვან და თუ საწირავი ვერ შეიძლონ მიცვალებულ-  
 ზედ თბილელის მთავარი დაიხვდებონ და სიონთა  
 ლთისმშობელს ზეთი მიართვან მისის შეძლებითა.  
 ვინც მოქალაქე ალობარში დასახლდეს თფილელის  
 მამათ-მთავარს კელი აღარა აქვს და ვინც ალობ-  
 რელი ქალაქში დასახლდეს იმისი დრამა და საკა-  
 ნონო თფილელის მამათ მთავარმა მოიკითხოს. ვინც  
 ჩვენმა დეკანოზმა შეგირდი აკურთხოს, შეგირდის  
 თავს თითოს ჩარექს, სანთელს სიონთა ღვთისმშო-  
 ბელს მიართმევდენ. ჩვენი დეკანოზიცა და მისნი  
 სამწყსონიცა ბატონის თფილელის მორჩილნი  
 უნდა იყვნენ. სხვა რიგად ნურც ბატონი თბილე-  
 ლი და ნურც მისნი კრებულნი ჩვენს დეკანოზს  
 უბრალოდ შურსა და ურიგოს ნუ მოინდომებენ და  
 ნურც ამ სამწყსოს მოუშლიან. ამ ჩვენს დეკანოზსა  
 სახუცო არც სთხოვებია და ნურც დღესუკან  
 სთხოვენ და ამის სახლის მაგათმა ღვდელმა უხუ-  
 ცოს...არიან ამისნი მოწამენი და გამრიგებელნი

მაღალაძე წინამძღვარი ნიკოლოზ, რევიშვილი ბოვნელ ეფისკოპოზი იოანე, ბარათაშვილი იოსებ, ფალავანდიშვილი ქრისტეფორე და სრულმცხვეთელნი აზნაურიშვილნი. თუ არა ქონდეს რა, არ შეეძლოს და დარიბი ყოს — ნურას სთხოვენ საბრალოს კაცა და ნურც რას გასჯიან.

**1710** წ. № 149....კათალიკოზ პატრონშა დომენტიმ ესე წიგნი მოგეცით თქვენ თფილელ მიტროპოლიტს ბატონს პავლეს ასე რომე დაგველაპარაკე და ქელათვანაც ყოფილიყო და წიგნიც გაგისინჯეთ ქალაქის სამწყსო—მეფისა და დედოფლის სახლს გარდა — ქალაქი თქვენი სამწყსო ყოფილიყო. ახლა რაც მეფის ყმა იყოს ქართველი კაცი ან დედოფლის ყმა იყოს ან ბატონიშვილების ყმა იყოს და ან დარბაისელთა — ყველა თქვენი სამწყსო არის ან რაც სადედოფლო საყმო ჩვენს დეკანოზს უჭირავს მოკითხული ვქენით და უცილოთ სიონთა ლთისმშობელისა ყოფილა, არიან ამისნი მოწამენი ჩვენი სახლთხუცესი მაღალაძე ამილბარ, დეკანოზი ათანასე, კანდელაკი გერასიმე და სულ მცხოვრები. დაიწერა წიგნი ესე კელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრისა მგალობელის მაღალაძის სოლომონისათა. (ბეჭედი აზის და სელმოწერილია).

**1752** წ. № 171 ქ.: ჩვენი ბძანება არის: ბატონი მიტროპოლიტი თფილელი ათანასე აშტრახანს ჩვენს

საქმეზე გავგზავნეთ და თავისად მოსელამდის თა-  
 ვისი ნაიბობა მროველს ქრისტეფორეს მისცა და  
 ჩვენც წყალობა ამ ქრისტეფორეს უყავით. მანამდი  
 თბილელი მიტროპოლიტი ათანასე იქიდამ მოვიდო-  
 დეს ეს ქრისტეფორე იმისი ნაიბი არის და ვინცა  
 ვინ თბილელის კრებული, თუ ყმანი და სამწყსო-  
 ნი ხართ, ყველანი მართებულის გზით ამას დაე-  
 მორჩილენით და სიტყვას გაუგონებდეთ. ვინც  
 წინააღმდეგებით და მართებულად არ დაემარჩილე-  
 ბით დიდათ გიშეყნთ—იცოდეთ... (მროველს ქრისტე-  
 ფორეს სწერს: თუ არ დაგემორჩილენ, მაცნობეო;  
 „როგორც თფილელმა ათანასემ დაგარიგოს ეკკლე-  
 სიაზე თუ მამულისაზე—ყველას ასე მოუარე და  
 რიგი მიეც, მაისის :კვ: ქორონიკონს :უმ:

1752 წ. № 172. ....თფილელი ათანასი ასტრა-  
 ხანს ჩვენს საქმეზე გაეგზავნეთ და თავის მოსვლამ  
 დის თავისი ნაიბობა მრაველს ქრისტეფორეს მისცა  
 მეფემა და ჩვენცა... მეფეების ბძანებული ასე მაქვს  
 და ჩვენც ასე გავირიგებია“.

1756 წ. № 180. ქ.: ჯვარის მტვირთველო  
 ჩეენ მაგიერად ყოველად სამღვდელოს ბატონს თბი-  
 ლელს ქრისტეფორეს მრავალი მოკითხვა, წმიდას  
 მარჯვენას ამბორება მოახსენოთ. ამ ხანათ თფი-  
 ლელობა გვინდა დაგიმტკიცოთ და მოგცემთ. ეს  
 ჩეენი წიგნი რომ მოგივიდეს წამოუსლველი ნუ

დადგები, დედოფლის წამობრძანებას ნუ მოუცდი,  
 შენ ახლავ წამოდი (აზის ბეჭედი).

**1776 წ. № 194.** (წერილი არსებ თვეიდებისა  
 ...ამას მოგახსენებ: დიალ დიდად პურზე  
 ნაკლები გახლავარ და მუშა შიდგას ეკკლესია-  
 ზედ და ფასით პურის სყიდვამ მე შემაწუხა და არ  
 შემიძლიან. გვვეღრები ერთი ოქმისწყალობა მოი-  
 ლოთ ჩემის ეკკლესიის ყმებზედა—მცირედის პურით  
 შემეწივნენ...სეიმონ მაღალაძე უბრძანეთ, რომ  
 ეს თქვენი ბრძანება მან აღასრულოს...დეკემბრის  
 ლ. ქორონიკონს უდღ. (თუ :უოდ?:) (1776 წ.)

ბატონიშვილის აღექსანდრეს ხელით სვიმონ მაღა-  
 ლაძევ...როგორც რომ თვეილელის პურის სი, მოგი  
 ვიდეს ისე...იმის კაცებს გამოურთვი..ხათრს ნურა-  
 ვის შეუნახავ, დეკემბრის ლ. ქორონიკონს უდღ.

**1764 წ. № 206.** ქ. ჩვენ ყოვლისა საქარ-  
 თველისა პატრიარქმან...ანტონიმ ესე განჩინების  
 წიგნი...მეფის ირაკლის ბრძანებითა ასე რომე სა-  
 გინაშეილი მღვდელი სვიმონ ყოვლად სამღვდე  
 ლოს ათანასის გაზარდა და ზაალაშვილის იოანეს  
 ხუცის შემკვიდრედ ეყოთ და მისი და შეერთო და  
 ყოვლისავეზედ პატრონად დაედგინათ. მასუკან  
 თვეილელს ათანასესვე მღვდლათ ეკურთხებინა და  
 როდესაც თვეილელი ათანასე...მეფის ბრძანებით...  
 რუსეთში, წასულიყო მაშინ სვიმონ მღვდელიც და  
 ნიკოლოზ დეკანოზიც თან წაესხა. ამისა შემდგომად

ესენი ყოველნივე უკუმოქცეულ იყვნენ და ისევ აქ  
 მოსულიყვნენ და ყოვლად სამღვდელოს თფილელს  
 ქრისტეფორესაც კრებულში ძმათა თანა აღერაცხა  
 და მათთან შეერთო და შეოვარ ჟამ შშვილობით  
 ყოფილიყო სეიმონ სიონის კრებულისათანა და  
 კრებულის სეიმონისათანა. შემდგომად შელ(?) საბ-  
 რივთა ბოროტთა დასაბამისა ეშმაკისათა შური  
 რაიმე შემოხდომილ იყო დეკანოზსა და სეიმონს  
 შუა, ასე აღეტყინა რომელ ვიდრე ფეთის  
 ყურამდეც მიაღწია და სამხჯავრო შიგან ცხადნა... მე-  
 ფემ ამ შფოთის დასახსნელიად აიღო და თავისი  
 სახასო აზნაურ შვილი სიონთა ღთიშვილელს შესწი-  
 რა წერილითა. მაგრამ მაინც კიდევ შფოთი არ  
 დაიხსნა შემდგომად მეფისგან ჩევენ გვებრძანა ამა საქმის  
 ვითარება ხოლო ჩვენ ვსაჯეთო (სეიმონი ისევ კრე-  
 ბულში დააბრუნეს სრულის უფლებით „ყოველსა  
 შინა სამღვდელოსა და სჯულიერსა საქმესა“ და  
 თუ ამის შემდეგაც ამბოხი არ დაწყნარდათ დამნა-  
 შავეს მღვდელობისაგან განვაშიშვლებთო“.

ხელი უწერია კზს ანტონს რუსეთიდგან დაბრუნე-  
 ბისა ჩევნისა წელსა მეორესა“; მიტლოპოლიტს....  
 ქრისტეფორე და დეკანოზს სიონისას ნიკოლოზ.

**1766 წ. № 220.** ქ. ღმერთმან მართლ მსა-  
 ჯულის კელმწიფის ჭირი მათს მღლოცველს თფი-  
 ლელს ქრისტეფორეს მოსცეს. მერმე ამას მოვახ-  
 სენებთ ჩვენს ხელმწიფეს: მოსესას ნაცვალყოფილს

არზა მოერთმევინა ბედნიერის კელმწიფისათვს და  
 მოეხსენებინა თფილელს ათანასაზედ ჩემი თეთრი  
 დარჩაო ბაღის ასაშენებელი. მოგეხსენებათ, თბი-  
 ლელი მაგ გვარის გზით არ წისულა, რომ მოსე-  
 სას ვერ შეეტყო იმისი წასლეა. თუ კი მაგისი  
 ემართა რამე, რატომ არ მივიდა და არა სოხოვა  
 და ან ჩემთვის არ ათქმევინა ი მოსესასი ეს  
 მმართებს და მიეცითო. მაშინ... მამის თქვენის დროს  
 რომ იჩივლეს თფილელმა და მოსესას ბაღი გამო-  
 ართვეს, თუ კი მაგისი დაედვა რამე, ან თეთრი  
 რატომ არ გამოართვა და ან განაჩენი რატომ არ  
 დაწერინა თუ კი იმაზედ დარჩა რამე, რადგან  
 გვედავება. აქედამ თბილელის კაცი მივა, თბი-  
 ლელს წიგნს მიესწერთ. ლეთის ქვეშ შევაგდებ და  
 თავის მღვდელთმთაერობას ვაფიცებ თუ მოსესასი  
 შეწევ დარჩა რამე მოგუწერეთ და ჩვენ მივსცემთ  
 ... ახლა მოსესა გაღარიბდა, იმას ფიცს ადგენ;  
 გაღარიბდა და დაიფიცავს და ფიცის ცოდვაც  
 ჩვენ დაგვედება ..... ფეხერვალ ბ, ქორონი-  
 კონს უნდ. (176 წ.)

ერეკლეს მდივანბეგებისთვის გარდუცია:  
 „უსამართლობა არა მოხდეს რაო“. მარტს 3,  
 1766 წ.

განაჩენი მდივანბეგებისა: (რვა თუმანი, 8 მანეთი  
 და ექვსი შაური დარჩაო თფილელზეო). ერთი უმოწ-  
 მია : დარჩა ვიციო და რა ერთი — არ მახსოვრო. გა-  
 ნაჩენი: „თუ მოსესაშ თფილელს ქრისტეფორეს გული -

აჯეროს, რომ ათანასე თბილელზე ჩემი ეს დარჩაოდა არც მიპატიებიაო, რაც ფიცში ჩაიტანოს, ის ქრისტეფორე თფილელმა მოსესას უნდა მისცეს და თუ ვერ დაიფიცა, მოსესა ვეღარას შეუვა, მარტის 8 ქორონიკონს 1766“ აზის ხეთი ბეჭედი მდივანგებისა.

**1670** წ. № 228, ახლო დროისა. ქ. ჩუენ:....  
 ქართლისა კათალიკოზმა: პატრონმა ქრისტეფორე მოგართვით ესე წიგნი თქვენ თფილელს ელისეს, ასრე და ამა პირსა ზედა: თრიალეთს რაც წალკელისა სამწყსოში სოფლები აშენდეს და შენაბა ჩავარდეს ჩუენზე შორს იყო და თქვენთვის მოგვიბარებია. საწირავს გარდა ის რაც რამ იქაური გამოსაღებელი იყოს, სარჩულო ანუ დრამა — ნახევარს სვეტიცხოველს ნუ დააკლებთ და ნახევარი თქვენთვის მოვარდოთმევია და ერთი ჩენი აზნაურისშილიც გვიახლებია. სანამდისი თქვენს ხელში იყოს ამ პირობას სვეტიცხოველს ნუ გარდაუხვალთ.“

**1671** წ. № 230; ქ.: ჩვენ ბარათ:.. შეილთ:..  
 სულკურთხეულის ყაფლანისშეიღებმა პაპუნბეგ მოლარეთ ხუცესმან ასლან, ვახტანგ, თამაზ, გორგი ესე წიგნი მოგართვით სიონთ ღთისმშობელსა და თფილელს იოსებს ასე რომ ცოტას ხანს წარუთი და ბალახური აღარა დაგნებებოდა სამიწყსოდ, მასუკან მოკითხული ვქენით, მახსოვარ

კაცი მოვახმევინეთ და მართალი შევიტყეთ, რომ  
 სიონთა ღთისმშობლის და თფილელისა იყო სამ-  
 წყსოდ. ჩვენაც ასე დაგვინებებია, რომ ვერამ ჩვენ-  
 მა სახლის კაცმა ვერა გამოსწიროს და ვერცა გა-  
 მოახოს. ამასთან დმანელს კელი არა ჰქონდეს; რო-  
 გორადაც ამას წინეთ თქვენს სამწყსოს ხუცეს  
 ეხუცოს ისე ისაჭმოს და თქვენის ბძანებით  
 იმწყსოს (?) ქორონიკონს ტნთ. (აზის რიც ბეჭედი)

**1730** წ. № 233 ახლო დროსა. „ქ. ჩვენ  
 მთავარ ეპისკოპოზმა. რომანოზ აღვაშენეთ ჩვენთა  
 ცოდვათა შესანდობელი მცირე ეკლესია ქალაქსა  
 შიდა ტფილისა ადგილსა და მამულსა სამთაეროს  
 ღვთაების საყდრისა. ეინცა ვინ ჩემს უკან იყენეთ  
 მოადგილენი წესსა და რიგს აღასტრულებდეთ,  
 სამწყსოსთან კელი არა ქონდეს, ქალაქი თფილე-  
 ლის სამწყსო არის....ამ ჩემს აშენებულს საყდარ-  
 ში ტფილელის უკითხავად და მის შეუნდობრად  
 აქ ნურც დამარხვენ და ნურც აქორწინებენ, ნურ-  
 ცა მონათვლენ და ნურცა ვის ხელი აქვს....დამ-  
 ჯელი თფილელი იყოს (აზის ბეჭედი) ჩვენ მთავარ-  
 ეპისკოპოზი კირილე ამის დამტკიცებული. (ხვეჭ-  
 ლად: კირილე“).

**1715** წ. № 237; ქ. ჩვენ....კათალიკოზ პატ-  
 რიარქმან დომენტიმ მოგეც ესე წიგნი ამ და ამა  
 პირსა ზედა რომ შენი კეთილის მდომი ვიყო და  
 არც სხვა ბეჭი და ეფისკო პოზი შენსა მერმიოს (sic).

თუ შენი დასაკლისი შევიტყო, რაც კელიდამ გა-  
 მომიერდოდეს იმას ვეცადო, რომ ვერავინ მოგე-  
 რიოს ბატონო თფილელო პავლე...არც შენს სან-  
 თელის მიცემას მოუდგე. „მერე სხვა ჰელით“ ამას  
 შუა იყოს ქრისტე, კაცთაგან წინამძღვარი დაეით-  
 გრესჯის ონოფრე“ (ქორონიკონს ტუგ. თუ; უჩ:?)

№ 238; XVII საუკ. სელით. ქ. ჩვენ...რუსთ-  
 ველ არქეპისკოპოსმან პატრონმან მათეოზ ესე  
 წიგნი მოგაროვით ოქვენ თფილელ ეპისკოპოზისა  
 იოსებს ასე რომ სადამდის ან ოქვენ ცოცხალი  
 იყო და ან მე—ყოვლის წელიწადს სამს საპალნე  
 ღვინოს მოგარომევდე დაუკლებლად და გაურჯე-  
 ლად. ამისადგასათავებელად მიმიცემია ხატი ღვთაე-  
 ბის და შეფის არჩილის ბრძანებით მომირომევია.  
 ჩვენც (სხვა სელით:) ასე დაგვიმტკიცებია: ოთხი  
 საპალნე ღვინო მოგაროოთ. (სელმოწერილია).

1783 წ. № 239: „ქ. ესე წიგნი მოგეცით  
 ჩვენ ბარაბიანთ იოანე მღვდლის სახლობამ დედამ  
 შენმა მარინემ და შენმა ძმებმა ჯუარის მტვირთ-  
 ველმა ანდრიამ, მღვდელმა გოგიამ, რევაზიმ, პეტ-  
 რემ და იოსებმა შენ ჩვენს †მას დიმიტრის ასე  
 რომე ლეკში დაკარგული იყავ და დაგიკენით და  
 და ქალაქს დიაკონათ მიგაბარეთ და იქ დაჭყავ  
 რავდენიმე უამი, მოინდომე იქ ცხოვრება და

არც ჩვენ მოგიშალეთ და ნება დაგროვით კეთილ  
 ცხოვრებაში ან ახლა ღმერომან მშეიღობა მოგ-  
 ცეს. რადგან შენ იქ სახლობა მოინდომე ჩვენის  
 წებით შენი მოდავე არაენ იყოს არც ჩვენ და  
 არცა ჩვენი ნათესავნი. და ერთი ის სიტყვაც დავ-  
 სდევით ერთმანერთან რომ ვინ იცის შემდგომ  
 გაყრა მოგვივიდეს შენ შენი წილი უნდა მოგ-  
 ცეთ... (მოწამენი: ხირსელი მღდელი და მამამთავარი  
 იოსებ, მღდელი და მამამთავარი... და მე დიმიტ-  
 რი მღვდელს დამიწერია). მიწერილი: რადგან დედას  
 უფლება აქვს შვილზე და დედას და ძმებს ეს წიგ-  
 ნი მოუციით საცა გენებებოდეს იქ იცხოვრეო,  
 ჩვენც ყოვლად სამღვდელო ბოდებელი დავით დე-  
 დისა და ძმებისა სიტყვით ვამტკიცებთ ამ წიგნსა.

**1752** წ. № 244. ქ. ჩვენ მიტროპოლიტი  
 ათანასე მეფემ თეიმურაზმან მეფემ ერეკლემ  
 რუსეთს ელჩიდ გამგზავნეს. რახანი ამათის ბრძანე-  
 ბით წაველ მე მოვახსენეთ ჩემდა ნაიბად დამეყენე-  
 ბინა ვინმე. იმათ ნება მიბოძეს ვინც გინდოდეს  
 დაიყენე შენის ნებითაო. ახლა შენ მროველი  
 ქრისტეფორე დაგაყენე და მეფეთაც ნება დამარ-  
 თეს ჩვენის საყდრისა მამულით შემოსავალი თუ  
 საყდრითა და ან სამწყსოთი ყველა შენ დაგიმონე  
 და მოგაბარე... მოვლას ეცდები... თუ რომ (მამული)  
 წასდეს ამის გაკეთებასა ქალაქის აბანოსი ქარვა-

სლებისა დუქნებისა თუ რასაც მამულისა რაც ამი-  
 ლია ყველას ჩემი ყაზბი უჭირავს ნავრუზამდი  
 როგორც იმ ყაზბში ეწეროს გაუთავე. ძირს არის  
 ოთხი დუქანი, იმის ქირას თქვენ აიღებდეთ და  
 ერთი ბანებზე ოთხი ამას გარდა კისის კეფს არის  
 მთელი ღვინო, ის მოატანინე და მოიკმარე. სხვა  
 ჩეენს სოფელში ან წევნი ნაიესი იყოს იმისი მო-  
 სავალი ან ღალა იყოს ესენი აიღეთ და ყველა  
 მოიკმარეთ. რომელი შენგან შეიძლებოდეს კრებუ-  
 ლის შოვას ეცადე და ეკულესისა ნავრუზს უკან  
 რაც ქალაქის მამულისაგან აიღო რაც ან თქვენ  
 ხარჯსა ან სტუმრისას ან რათაც ფერათ დანა-  
 ხარჯს გადარჩეს ეკულესიასთვის შეინახე. თუ  
 სიკვდილი არ მეწია, წამოუსლველი არ დავდგები,  
 თუ სიკვდილი მეწიოს მეფემ და პატრიარქმან ვი-  
 თაც ინებონ ეგრე ვანაგონ. ჩემი და დამიგდია  
 ორის მომსახურითა. შენ იცი რაც მოუვლი და  
 გააძლებინებ. (აზის ბეჭედი).

**1720** წ. № 280. ....ესე, წიგნი: მოგარევით  
 ჩეენ მიტროპოლიტმა პატრიარქ თქვენ წაუბიწოსა ..  
 სიონთ ღვთის მშობელსა და მისსა ტახტსა ზედა  
 მჯდომარეს ტფილელ მიტროპოლიტს ბატონს  
 პავლეს და ყმათა და კრებულთა ყოველთავე მისთა  
 ასე და ამა პირსა ზედა, რომე ჩეენ პამფლიის  
 მიტროპოლიტი ვიყავით და მივეღით საქართველო-

ში ყველამ ვინმე ქრისტიანეთა კელმწიფემა, დიდმა  
 და მცირემ, კათალიკოზმა, მიტროპოლიტმა და  
 ეფისკოპოზმან და დარბაისელთა შეგვიწყალეს და  
 მის რიგად საბოძვარი გვიბოძეს, გვინდოდა რამე  
 ჩვენს ქვეყანას ვწავსულვიყავით, მაგრა კურთხეუ-  
 ლი ჩვენი პატრიარქი ანტიოქიისა მიცვლილიყო  
 და მას უკან ჩვენ ვეღარ წავედით იქით მერმე  
 მოვედით თქვენთან და შემოგეხვეწენით თქვენს  
 სამწყსოში მაღლა მთაწმიდას თქვენის ნება დართ-  
 ვით და თქვენის კრებულის ნებადართვით, რაღაც  
 თქვენის პატიოსნის საყდრისა და თქვენი სამწყსო  
 იყო ჩეენ მოეინდომეთ და დავდექით აქ მთაწმინ-  
 დასა და რაც ჩვენის კელიდამ გამოვიდეს ამ  
 ადგილსა და საყდრისა გაკეთებასა და აშენებას  
 ვეცადოთ...არც თქვენი და არც თქვენი საყდრის  
 გარდაუვალი საქმე ვქნა...დაიწერა კელითა დეკა-  
 ნოზის გაბრიელისათა. (აზის ბეჭედი შეფისა და ბერ-  
 ძული წარწერა აქვს).



### III. სიგლები მაცგლისის ტაძრისა.

**1699** წ. მაისის :კვ: № 29. ....ქციუშა და  
 ალგენს შუა, ორი ომისი და კველთა, კიდევ თქვენ  
 და დმანელსა სამწყსოზედ სარჩიელი გქონდათ და  
 ბატონიშვილს კათალიკოზს გაესამზღვრა....დაიწერა  
 ხელითა მგალობლისა იორამისათა (ამ სიგენს აძლევს  
 კათალიკოზი ითანე)

**1670** წ. ახლო დროის № 34. ...ოდესი. განა-  
 გებდა:. სამეფოსა:. და ტახტსა მამისა ოვისისათა ძე  
 დიდისა მეფისა შავნავიზის ძე ლეონის მოყვარე სახე-  
 ლოვანი და სახელდილი მეფე გიორგი უამსა მას  
 ოვისა შემოსწირა მანგლისისა ლისმშობელსა და  
 ძელსა ცხოველსა, სამსჭვალსა თრიალეთზედ და  
 სოფელი მეთრევანი და ჩვენ ფრიად ცოდვილმან...  
 ქსნის ერისთავის სახლისა ძემან მანგლელ მთავარ-  
 ეპისკოპოზმან ევდომის გაებეგრეთ და გამოსაღები  
 დაესდევით ასრე—ამაზე ვერამ ეფისკოპოზმა ვერ  
 მოუმატოს და ვერც დააკლოს. უნდა გამოიღონ  
 მოეიდეს თუ არ მოვიდეს თუ კოდი ანეულის  
 გუთანზე და თუ შემოდგომის გუთანზე. რამდო-  
 ნიც გუთანი შეგბას, გუთნის თავს თრმოც-თრმო-  
 ცი კოდი პური რასაც კოდით თრიალეთზე მეფი-  
 სათვინ იღებენ იმ კოლით; სადაც უნდა იქ მიიტა-

ნოს. ნაქურდალი ხუთეულად უნდა ზღონ. საბა-  
 ლახე როვორც თრიალეთზე იღების ისრე იმ წე-  
 სით გამოიღონ; ულაყი თუ იქ ტკბილი მიიტანოს  
 მანგლელმა ამათ უნდა მიტანონ(?) და მას გარეთ  
 ერთი გზა ულაყი საღაც მანგლელს იპრიანებოდეს  
 სთველზედ იქ გაგზავნოს. თავის გასატეხი კარი  
 მანგლელს აბაზი მოურავს ფური. თუ მიაბაროს  
 ბატონშა ორი ლიტრა—ერბო ფურზე და კაჭეჩ-  
 ზედ ერბო ლიტრა სამი. თუ საყველეო მიაბაროს—  
 კამბეჩზედ ლიტრა ყველი თორმეტი. თუ კელმწი-  
 ფე ჩამოუდგეს — ცოტა სამასპინძლოთ შემეწევნენ.  
 მას გარეთაც ღალა არც ნახირისთავი, არც კოდის  
 პური არ ეთხოვებოდეს, არც გუთნის კუნა.  
 რომელმანც ეფისკოპოზმან ამაზედ მიუმატოს ჩეენ-  
 თამც ცოდვათაგან განიკითხვის. ქ. მოურავს უნდა  
 მისცენ საჩექმე მორჩილ---შაურ, მოურავი, შაური  
 მამასახლის. სხვა რაც წესი და სამართალი მოურავსა  
 და სამამასახლისოსა თრიალეთზე იყოს ის ქნან.

**1713 წ. № 35.** „....დიდად სახელოვანის  
 და წამებულის მეფეთ მეფის გიორგის ნამსახურმა  
 და ყანდაარს თან ნაახლმან საჭეთ მპყრობელმან  
 მანგლელ მთავარ ეპისკოპოზმან დოლენჯის შვილმა  
 ბატონშა არსენ ესე საბოლოო სითარხნის წიგნი  
 გიბოძე თქვენ მანგლისელებს მოყალნებს ღალის  
 სითარხნეს გვეაჯენით, ეისმინეთ...და ღალა ამო-

გიკვეთეთ და ერთის ფლის კვნა დაგადევით; გავ-  
 სინჯეთ ღალა არაფელი არა შემოგვივიდოდა.  
 სულ თარხნებს მამულები შემოეყიდნათ; სარჯლის  
 მეტი სარგებელი არა ქონდათ; ამ ერთის დღის  
 კვნას უფრო სარგებელი ქონდა; ამისთვის ღალა  
 ამოკვეთეთ. ვინცა ვინ ხარისხსა ამასზედა დაბძან-  
 დეთ თქვენც ასე დაუმტკიცეთ.“

1693 წლის ქორნიკონს მოხსენებულია მთა-  
 ვარებისკოპთხი (მანგლედი) დოლენჭაშვილი ნიკოლოზ  
 (იხ № 36).

XVIII საუკ. ხელით: „---ეფისკოპოზმან ჯავა-  
 ხისშეიღმან---ჩვენისა: საყდრისა: საყდრისა: ერთ-  
 გულ---რა უამს ძეს რა უამისა. მისა---..ასრე  
 რომე ძველათვან მანგლელებისაგან თარხანი იყა-  
 ვით და ჩვენც დაგვეჯენით...და გიბოძეთ სითარ-  
 ხნე ამგიკვეთე ღალა“...სეულად მანგლელ ეფისკო-  
 პოზი გაბრიელ“.

**1718** წ. ახლო დროის № 91: ქ. ლმერთმან  
 ბედნიერის ხემწიფის ჭირი და სატკივარი მისცეს  
 მაგათ ფეხთა მიწამტვერს დავითს და იმის ძმებს.  
 მერმე ამას მოვახსენებთ ბედნერს ხელმწიფესა,  
 ლმერთმან ხომ იცის, დანაშაული არა გვაქვს რა  
 სამსახურის მეტი. ახლა მანგლელმა თქვენი წყა-  
 ლობა და გასამართლებული მამული წამართო და

საყდარიც დამიკლიტა და დეკანოზიც წააყვანინა. თუ დანაშაული გვაქვს რამე ჩვენი თავიც მაგათ ჭირის სანაცვლო იყოს, თუ არა-და რატომ დაგვე-მართა, რა დანაშაული გვაქვს:

ზედგე დაწერილა განკარგულება ვახტანგ მეფისა:  
 „ქ. შვილო: მეფე: ბატონო ბაქარ! მერმე ეს არზა კორკოტიშვილებმა მოგვართვა. მაშინ ხომ თქვენ გაარიგეთ. რატომ ღაშლიან საღროსან საყ-დრის დაკლეტა და ან დეკანოზის დაჭრა ესეც უმართებლო უქნია მანგლელს, დეკანოზიცა ააშვე-ბინეთ და ნურც რომელიც სამართალში გიქნია იმას მოუშლით“. ხელშედ: „ვახტანგ“.

**1706** № 99. მანგლელი ტფილელს სამწყსოს დარბაისლისნიშანზე და საწირავზე დეცილებიო და ჩვე-ნის კრებულით ეს სამართალიუყავით: რაც თფილელის სამწყსოში დარბაისელი იყოს და მოკვედენ, სვეტის ცხოველის ნიშანსა და საწირავს გარეთ ის სხვა არის და იმის გარდა თუ ტბილელის სამწყსოში და სამწყსოს საყდარში დაემარხოს ნიშანი და სა-წირავი ქვეშაგები და გარდასახურავი უველა ტფი-ლელმან და სიონთა ღვთისმშობელს უნდა მიეცეს და თუ მანგლელის სამწყსოს საყდარში დაემარხოს და ტბილელის სამწყსო დარბაისელი იყოს მანგლე-ლის სამწყსოში დაემარხოს—ნიშანი ტბილელს და გარდასახურავი ქვეშაგები აბრამის ტაბლა მანგ-ლელს. ამისნი მოწამენი წინამძღვარი ონოფრე, სახლოხუცესი რევაზ; სულმცხეთელნი. ამისნი

ଦାମ୍ଭିରନ୍ଦି. ତୁ ମାନ୍ଦଲ୍‌ଯେଲିବୁ ସାମ୍ରାଜ୍ୟରେ ଅନ୍ତିମରେଣ୍ଯରେ  
ସାମ୍ରାଜ୍ୟରେଇ ଦାୟିତ୍ୱରେ, ହୋଇବାରୁ ମାନ୍ଦଲ୍‌ଯେଲି ଘାୟ-  
ରିଗ୍ରେଟ ବସେ ଉତ୍ସବରେଣ୍ଯରେ ଆଲାବୁ.“



## IV ალაზანდის ტაძრის სიგლები.

**1721** წ. № 42. ქ. ნებითა: ღეთისითა:....ჩვენ  
 დიდის ირანის მაღლის ხელმწიფისაგან შვილად  
 აღზრდილმან, ქართლის უფლისწულმან და კახე-  
 თის მპყრობელმან მეფეთ-მეფემან და კელმწიფემან  
 დავით იმამყულიხან და თანამეცხელრემან ჩვენმან  
 ერანის ეთიმადავდეს დამან და ერევნის ბეგლარ-  
 ბეგის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონ-  
 მან ხახრიჯან ბეგუმ და სასურველმან ძმამან ჩვენ-  
 მან ბატონის შვილმან თეიმურაზ და პირმშომან ძე-  
 მან ჩვენმან ალექსანდრე მაჭმად მირზამან და ლე-  
 ვან ალიმირზამ ესე უკუნითი უკუნისამდე უამთა  
 და ხანთა გასათავებელი მტკიცე შეურყეველი და  
 უცვალებელი სიგელი და საფიცარი გკადრეთ და  
 მოგახსენეთ თქვენ დიდსა შესაველრებელსა და  
 მფარველსა ჩვენსა დიდებულსა მთავარმწამეს წმინდანს  
 გიორგის: თვალივს. ხარჭაშნოს და ამას ზედა მჯდო-  
 მარესა ჩოლაყაშვილს ხარჭაშნელ ეფისკოპოზს ბა-  
 ტონს ნიკოლოზს ასე და ამა პირსა ზედან, რომე  
 თქვენს სამწყსოში გარიგებული ასრე ყოფილიყო  
 ჩვენთა მამაპაპათაგან, რომე მსახურს კაცს ცხენი  
 სდებოდა საწირავი და მაყალნეს კაცს და ვინც ცო-

ლიანი მოკვდებოდა თიანეთში თუ სადაც ოქვენი  
 სამწყსო კარი საწირავად მოერთმევინა აწე ჩვენ შე-  
 წირულობა და ჩვენთა მამაპაპათაგან გარიგებული  
 არა მოგვიშლია რა, არცა რა გამოვიყეთა თვნიერ  
 ამის მეტი, რომე თიანელნიც შემოგვეხვეწნენ ამას  
 და ჩვენც ასე გაუგონეთ ასე და ამ რიგად რომ  
 ღიდს ომში ჩვენს წინ, თუ ჩვენს ძმასთან ამ რიგად  
 მტრისაგან თქვენი სამწყსო თიანელი კაცი მოკვდეს,  
 თეითანაც დაიკარგოს და ცხენი თუ იარაღიც დაე-  
 კარგოს, მსახური თუ მოყალნე იმის თანა კაცს  
 ჩვენც შეუალიეთ საწირავი და ნულარც ბატონ ხარ-  
 ჭაშნელები საწირავს ნუ სთხოვენ, ნურც არას გა-  
 მოეკიდებიან. ამას გარდა ან მგზაურად მავალი  
 მტერმან მოკლას, ან თავის სახლში თავს დასხმით,  
 ან ახმეტას მოკვდეს და ულაყობაში ამ გვარის  
 მკედრის საწირავი არც შეგვალებია და ნურც  
 ვინ თიანელი კაცი ამაზედ ხარჭაშნელებს  
 ალაპარაკებს და როგორც კულავ ემსახუროთ ისევე  
 მსახურონ და საწირავი მიართონ მსახურმაც მოყალ-  
 ნეთაც და ამა ჩვენის ბრძანების მომშლელად ირა-  
 ვინ გვიძძანებია ჩვენ თიანეთათვისცა ამ რიგად წიგ-  
 ნი გვიძოძებია...თიანეთის მოურავნო და სხვანო  
 წერლნო(?) მოხელენო, ნაცვალნო და ერთობილნო  
 თიანელნო ესე ჩვენგან გარიმოხელენო, ნაცვალნო  
 და ერთობილნო თიანელნო ესე ჩვენგან გარიგე-  
 ბული რიგი და გარჩევა თქვენცა ასე გაიგონეთ და

გაურიგეთ და მიზეზობით და უსაქმოს ლაპარაკით ნურავინ მოუშლით ... სიგელსა ამას ... კარის ჩვენის ვექილ ვეზირნი და სხვანი მოსაქმეთა ვითა ფარვანსა ამას ჩვენსა შიგან გაგვერჩიოს თქვენც ასე დაუმტკიცეთ... დაიწერა... ქორონიკონს უთ. ოკდოშბრის 20 კელითა რუსთველ მიტროპოლიტის ჩერქეზეს ძის ნიკოლოზისათა... წარწერა: ამტკაცებენ „რაგვარადაც ბატონს ბიძაჩვენს გაურიგებია“ ერკლე და მეულე მისი ანნა და სასურველი ძე უფლის წული ვახტანგ, ძიძის ძე (ბიძისძე?) ასანმიჩა, წესამე 7 მეფობისა ჩვენისასა თიბათვესა ქორონიკონს :უზ:  
1719? მდივანის ოთარის კელითა.

**1786** წ. № 49.... „თქვენ რომ ხახუისა ღვთის-მშობელი გაბარიათ ის ხატი შუამთის ეკკლესიის არის... ამაზედ ყოველად სამღვდელონი ეპისკოპოზნი მემოწმებიან თეის დიკასტრიის წიგნი მაქვს პაპის ჩვენის მეფის ერაკლეს წიგნი... (აზის ბეჭედი და მერე წარწერა: ქ. გლახაკი ეპისკოპოზი ნეკრესისა (დასიულს?). მდაბალ ეპისკოპოზი რუსთველი კირილე (ეს სიტუა ხუცურ ასომთავრულად).

**1752** წ. № 53. ქ. ჩეენ მაგიერად. კახეთში. ვინცა ეფისკოპოზი ბრძანდებით ასე მოგეხსენოსთ ბატონი ალავერდელი და ნეკრესელი რომ გრემს ენისელზე ლაპარაკობენ დაუსხედით და სჯულიერის

წესზე სამართალი უყავით და გაარიგეთ, რომ რაც  
 ოქვენ სამართალსა იქით, ჩვენც იმ რიგად დავამ-  
 ტკიცებთ იღნის ია. ქორონიკონს უმ. ყვარელში  
 რომ ენისელები არიან გრემში რომ ენისელები  
 არიან და ჭიაურზე ამათზე სამართალი უყავით  
 სჯულიერი. (აზის ბეჭედი ურგადუნი).

**1735** წ. ახლო დროისა, № 56. ქ. ჩვენი: ბა-  
 ნება: არის ენისელთ მოურავო და თარხანო და  
 სულხან და ვინც ენისელის მოხელენი იყვნეთ ნაც-  
 ვალ და ასისთავო და ენისელო, თქვენც იცით,  
 მკვიდრი ბატონის ალავერდელის სამწყსო ხართ,  
 რაცა უნდა ხიზნათ იყვნეთ ამისი მამამთავრობა  
 ისაქმოს და რამიც ამათ აიღონ რაც ყოფილიყოს  
 ძველათგან რაც ქართველი იყოთ ჯულის წესით  
 ქართველობით ძველთაგან ასე ყოფილა“

**1788** წ. № 76: „მისის უწმინდესობის დიკა-  
 სტერია მოგიწერთ ჩალოყაშეილო ბატონო ნოდარ.  
 მერმე გავიგონეთ, რომ მაგ ახმეტას თქვენს ეკკლე-  
 სიაში ალავერდელს არ იხსენიებთ და არც ალა-  
 ვერდელის მღვდელს ამოქმედებთ და შენს თავად  
 ვისაც მღვდელს გინდა მოიყვან და დაადგენ და  
 ამბობთ საღმე, რომ ალავერდელის ეკკლესია არ  
 არის, კათალიკოზისა არისო და კათალიკოზს იხსე-  
 ნიებთ: ჩვენ ეს დია დამტკიცებით ვიცით, რომ  
 არას ღროს კათალიკოზს: ახმეტაში საყდარი არა

ჰქონია, არც სამწყოსი ყოლია მანდ მსახლობელთ  
 ერწოელებს გარდა და ესეც სწორე დატრია რომ  
 რომელისაც ეპარხის ეფისკოპოზი გარდაიცვლება,  
 მანამ სხვა ეფისკოპოზი დაჯდება, ამ ეპარხის სამ-  
 წყოს კათალიკოზი გაუძღვება და კათალიკოზს  
 მოიხსენებენ იმ დროს. ჩვენ კიდევ ესეც სარწმუ-  
 ნოდ და ჭრიანიტად ვიცით და დამსწრენი ცავართ ეგ  
 ეკკლესია რომ აშენდა იმ დროს ზენონ ალავერდე-  
 ლი ცოცხალი აღარ იყო და ალავერდელის სამწყ-  
 ის კათალიკოზი მარტვდა და კათალიკოზს იხსე-  
 ნებდენ და კათალიკოზის ბრძანებით ნეკრესელმან  
 აკურთხა ეკკლესია; კიდევ ალავერდელი ნიკოლაოს  
 რომ გარდაიცვალა ალავერდელის სამწყის კათა-  
 ლიკოზს ეკითხებოდა და კათალიკოზს იხსენებდენ,  
 მაგრამ ამის მიზეზით სამწყის და ეკკლესია არ  
 წართმევია ალავერდელს არც წაერთმევა და ვერც  
 შენ წაართმევე: ახლა რადგან იმისმა სიმაღლემ მე-  
 ფერ და იმისმა უწმიდესობამ მეფისძეს ანტონის  
 უბოძეს ალავერდელის ეპარხია და ალავერდელ  
 მიტროპოლიტობა და დღეს ყოველს აღგალს და  
 საალავერდოს ეკკლესიასა და სამწყისოში უკელგან  
 ის იხსენება და მანდაც იმას უნდა იხსენებდეთ და  
 მღვდელიც რადგან ის აქა არა ბძანდება იმის მოა-  
 დგილეს არხიმანდრიტის იუანეს ბრძანებით და გა-  
 მორჩევით უნდა დაიდგინებოდეს, ამისთვის რომ ეგ  
 ეკკლესია ალავერდელისა არის და ახმეტაში კათა-  
 ლიკოზს არასდროს არც საყდარი ჰქონია და არც

სამწყსო ჰყოლია და რაც კათალიკოზი მანდ ხსენებულა. ჩვენგან ეს დია მძიმედ არის მოსაკითხავი, რომ შენისთავით ეკკლესიისთვის მიგიცია და ამ გვარი საქმე შენს თავად და ჩვენს უკითხავად აღვისრულებია, მაგრამ ამ დროებში დია მოუცნელი ვიყავით და დავიდუმეთ და გირჩევთ რომ ამ გვარ საქმეებში აღარ გაერიო, თორემ კანონითა მამათათა დია მძიმედ დიისჯები, ახლა კი დაგვიდუმებია რადგან უგუნურებით და უცოდინარობით მოგსვლია მაის კზ. წელსა ჩლპ. მდაბალი მიტრა-პოლიტი თფილისასა გერმანე (ბეჭედი) სვეტი-ცხოველის დ....დეკანზი (ბეჭედი) ულირსი ხუცეს-მონაზონი (ბეჭედი) მწიგნობართ წინამძღვარი (ბეჭედი).

მაწერილია: „თუ სარწმუნო ნიშანი და საბუთი გაქვს რამე იმის უწმიდესობის დიკასტერიაში ვა-მოაცხადე თუ არა და ეს ასე აღასრულე“ აზას ბე-ჭედი გერმანესი.

**1749 წ. № 78.** „...ჩემქვეშეთთამა საყმოთა შინა ქვრივთა თავისის მეუღლისაგან დანაშენთა საქონელთა ვენაბმიწათა მიღება ვითარცა წეს არს საქართველოსა ან ვიგულე და გავიხილე შევიმცენ და ვისწავლე წმინდათა წერილთაგან რომელთა არა ჯერ არს და შემოურეებელ სახიერისა მეღფი-სა ესე წესი, რომელ დაუცავთ საქართველოსა ში-ნა ამიერის კაცი აღესრულის მის ვისი მე მონა

უწყლოდ ქვრივი დაუტევის ერთისა გინა ორისა  
 ასულისათა მყისსა მეპატრონისა მისისა მტარეალნი  
 მოიწევიან და მიუხმენ საქონელთა, ვენახ-აგარაკთა  
 და ყოველსავე რაცა დაშთომია მეუღლისაგან და  
 მით დაუტეობენ უმეტეს მშიერთა, შიშველთა და  
 უმოწყალოთა. ესი დიდი ესე უმოწყალოება შემა-  
 წუხებელი ღვთისა და მკვლელი ბა(?) ოქროვანისა  
 ტკბილ ნაკად მცენებულისა ინესი ხოლო  
 მე მონა შენი სახიერო შეწევნითა შენითა არა ვი-  
 ნებებ და განვაწესებ ჩემისკელისა ქვეშეთთა საყმო-  
 თა შინა ამა წესთა ბრძანებითა ღვთისათა ჩვენ  
 ყოვლად ნეტარი აბა ალავერდელი ენდრონიკაშეი-  
 ლი უფალი ნიკოლოზ მოგიმცნებთ კარისა ჩვენისა  
 მოხელეთა და ყოველთავე მოსაქმეთა, რათამცა  
 ისე მცნება მტკიცედ იპყრათ რომელ აღთქმანი  
 არიან წელსა დაუსაბამოს ღვთისა ჩვენა და თქვენი  
 საცხოვნებელი და მიზეზნი კეთილისანი და მისუ-  
 ნით ესე წერად ძეთა თქვენთა და ძის ძეთა თქვენთა  
 დაუმტკიცენით, რომელ არიან ესე სადაცა და რ...  
 ადგილს წმიდის გიორგის ყმა იყოს და ჩვენი სიტყ-  
 ვა გაეიდეს იმ ადგილს ბეითალმანობა ამოგვიკვეთნა  
 ყოვლითურთ ესე ვითარებ რომელსაც ჩვენსა საყ-  
 მოში კაცი მოკვდეს ჩვენი ყმა და ქვრივი და ვაჟი  
 არ დაუშთეს და იმ ქვრივს იმ მამულზე დგომა  
 უნდოდეს ვინც იმას ვენახი, აგარაკი, მიწა და სა-  
 ქონელი წართოს შეჩვენებულმც არს თუ იმ  
 ქვრივს ქმარი არ უნდოდეს, თავის მეუღლის მა-

მული მოუშლელად ქონდეს და რაც გამოსალები  
 ედოს იმ მამულს მსახური იყოს თუ მოყალინე  
 იმ გვარი ყალანი გამოართს მოხელემ და მამულ  
 საქონელი მოუშლელად, ქონდეს და ვინც მოუშა-  
 ლოს შეჩენებულ იყოს. ქვრივს თვის ნება  
 ქონდეს. თუ უნდოდეს ზედ მამულზე ქმარი შეი-  
 რთოს სხვის ყმა იყოს თუ უმამულო ჩვენი ყმა  
 მამულიანი(?) თუმც(?) იქნება(?) იყოს გამოსალე-  
 ბი გამოიღოს და ჰქონდეს თავისი მამული თუ  
 რომ არ ინებოს და სხვაგან განქორწინდეს, რაც  
 თავის მეუღლისაგან საქონელი დარჩომოდეს იმ  
 საქონელმა დააკ(ორწინოს?). რაც თანმოყოლოდეს  
 მზითევი გამოჰყვეს და თვისი სათავნო და სხვა  
 რაც საქონელი დარჩეს და მამული ჩვენთვის მო-  
 ვიდეს ვინც ქვრივი ისე წყალობით არ იმყოფოს  
 შეჩენებულ იყოს მამულში სადაც კაცი მოკვდეს  
 და დედაკაციც და მათ ერთი გინ ორი ქალი  
 დარჩეს, თავის მამული ნუ მოეშლება ნურც თა-  
 ვის მამის დაედის(?) (დედის) საქონელი გამოერთ-  
 მევა იმ მამულმა და საქონელმა გაზარდოს და  
 შეინახოს და დაქორწილოს და გამოსალები რაც  
 ობოლსა და ქვრივს შეფეროდეს ისე გამოერთოს  
 და როც ქმრის დრო მოუვიდეს თვით ნება იყოს  
 თუ ინებოს და შეირთოს და თავისავ მამულზე იყოს  
 მოუშლელად და თუ ინებოს სხვაგან იქორწინოს,  
 თავისავ მამულიდამ და საქონელიდამ დაქორწილ-  
 დეს და მზითევი გაყვეს როგორც რომ შეეძლოს

იმ მამულსა და სხვა რაც საქონელი დარჩეს და  
 მამული ჩვენთვის მოვიღეს. ვინ უწყის; თუ კაცი  
 ლარიბი იყოს და იმის საქონელს ქალის შენახვა  
 და დაქორწინება არ შეეძლოს მამულის გაყიდვა  
 დაგირავება არ იქნება ამისთვის რომ საყდარისა  
 არის ქვრივი და ობოლი ამ წესით იყოს გლეხი  
 მოხდეს თუ აზნაური ვინც ამ წესის შეშლად იკა-  
 დოროს შეჩერებულ იყოს. თუ რომ აზნაურიშვილი  
 დარჩეს ქვრივად უშეილოდ ან ობოლი ქალი, იგი-  
 ცა ესრეთ თავისი ნება ქონდეს, ზედ ქმარი შეირ-  
 თოს და თუ ნება ქონდეს უქმროდ იყოს და ყმა  
 იმსახუროს მანამდინ ცოცხალი იყოს და ნახან  
 მოკედეს თავის მამულმა დამარხოს და თუ დაკარ-  
 გოს(?) დაიკარგოს(?) თავის მამულმა დაიხსნას ასრე  
 გაგვირიგებია და ვინც ეს რიგი მოშალოს შეჩვე-  
 ნებულ იყოს და თქვენ ჩვენნო შემდეგნო ალავერ-  
 დელნო ესრეთ დაამტკიცეთ ეს ჩვენგან გარიგებუ-  
 ლი საქმე ღთის გულისათვის. თქვენ ჩვენნო აზნა-  
 ურიშვილობო თქვენს ყმაშიაც ასრე უნდა გარი-  
 გოთ. რადგან ჩვენ ეს რიგი დავიდევით, თქვენც  
 ასრე ყოფდეთ....მოხელე ვარ რათა მათცა (ე. ი.  
 მეფეთაცა) ესრეთ დაამტკიცონ. ესე წიგნი მოგარ-  
 თვი წინაშე შენ მოწყალისა ღვთისათანა მოწმები-  
 თა და ჯერჩინებითა ჩვენისა კარისა მოხელეთა სუ-  
 სანის ძის სახლთხუცესი პაატასითა ჩვენის ბოჭა-  
 ულთ უხუცესის ანდრონიკეს ძის ფარმუზისათა,  
 მგალობლისშვილის მდივანის გიორგისათა, მისივე

სულხანიშვილის მეღვინეო უხუცესის ...და ყოველთა კარისა ჩვენისა მოხელეთა ესრეთ ვინებეთ და განვაგეთ ჩვენის საყმოს განწესება უამთა...საქართველოს მპყრობელის მეფისა თემიტრაზისა და ძისა მისად კახთ მპყრობელ—მმართებელისა ირაკლისათა, ვიგულეთ, ეისიტყვეთ და დავამტკიცეთ... მარტსა :ა: ქორონიკონს აქეთ ქორონიკონსა ჩლმთ, ქართულსა უდჸ.

**1764** წ. № 79. ქ. ჩვენ სრულიად საქართველოს მეფემ ირაკლიმ ესე განახენი დავდევით ამ რიგათ. ძველითგანვე ჩვენთა ჩამომავლობათა მიერ მათი ყოვლად სამღვდელოობა არხიეპისკოპოზი ალავერდელი დიდათ გაპატიოსნებული არის სხვათა საქართველოთა ყოვლად სამღვდელოთაზედა და უმეტესი პატივი მისცემდეს. ახლაც წინასაჭმეთაებრ განგვიახლებია ვინცა ვინ ეპისკოპოსნი და სამღვდელოთა დასწი და ერისაგანნი თავადნი და აზნაურიშვილი ბრძანდებით და იმყოფებით ნურაკაცი ამ ეკკლესიის ყმასა და სამწყსოში სამღვდელოს საქმეს ნუ კელყოფთ და ნურცარა რა საქმეს შილნად გაერევით ეგრეთვე ამ ეკკლესიის ყმაში ნუ რასა საერო და საღმთოცა ნურა რომელსამე საქმეში ნუ გაერევით თვინიერ ჩვენის ბძანებისა კიდე რომელსაც ჩვენ სახელდობრივ არ უბძანოდ ანუ კადროდ სამღვდელომ ალავერდელმა სასაქმოდ არ დაიპატივოს ვისმე რომელიც ამ ჩვენს ბრძანებას უარყოფს ეს ყოველმა სამღვდელოება

და საერომ იცოდეს დიალ დიდათ გვუწინებია და პატიქსაც მიიღებენ სამღვდელონი კანონისაებრ და საერონი სამართლისაებრ. ამაზე ყოველი კაცი ფრთხილად იყავი აღიწერა აპრილს იდ, ქორონი-კონს უნბ.

**1612** წ. ახდე დროისა, № 81: „...მეფემან: პატრონმან: თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩემ-მან ღვთის მოყვარის ქართველთა მეფისა ასულმან დედოფალმან პატრონმან ხვარაშან და პირმშომან ძემან ჩვენმან პატრონმან დაეით ესე მტკიცე... კელიათწერად ი მოგახსენეთ თქვენ ორ კერძოსა შესავედრებელსა ჩვენსა ცათა მობაძავსა საედარსა ალავერდს და მას შინა დიდებით აღმართებულსა წმიდას გიორგის და თქვენსა საჭედ მპყრობელსა ამბა ალავერ ჯელმა თავარეპისკოპოზსა სულიერს მოძღვარსა ჩვენსა ზებედეს ასე რომე რომელსაცა თქვენს სამწყსოს კაცსა დიდსა გინა მცირესა სჯუ-ლიერად და სამართლად წმიდის სჯულის კანონით გამოენახეთ მოკითხული ვქნათ და თუ ემართლე-ბოდეთ ჩვენ თქვენ მოგიდგეთ ვითარ იგი ჯერ არ მართლ მორწმუნეთა მეფეთაგან სანამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ არც ვინახეინოთ რასაც ემართლებოდეთ იმ გვარად მოგაკითხვინოთ თანა შემწე გეყოთ. ნაბიჭვრის საქმეზე მოკითხული ქე-ნით და როგორაც სამართალი იყოს იმ გვარათ მოიკითხეთ აზნაურიშვილისა ასრე ყოფილა ეფის-

კოპოზი შეუნდობლობის წიგნი შეუგდია აზნაური-  
 შვილს თავი მოუდრევია ეპისკოპოზისათვინ გარდა-  
 უწყვეტია და გათავებულა თემის კაცის ნაბიჭვარი  
 და დედა ეფისკოპოზის კელთ არის სჯულიერად  
 განაშორებენ მეძავს კაცსა და-- და თავი ვინმე გაუ-  
 ტეხოს, ეპისკოპოსმა სამართლიანად ვითა სჯულის  
 კანონში ეწეროს ისრე (მ--უანს და სხვა---თაგან  
 დამტკიცებ იყოს-----სხვა მოხეულია).

**1685 წ. ახლო დროის № 82. (შეადრე № 83)**

„ეს წიგნი და პირობა მოგაროვით ჩვენ სულ-  
 ერთობით ჰქონდრეთა ჩოლაყანთ ყმამა ასე რომ  
 სარჯულოზედ იარებოდით და აქაც მობძანდით და  
 მრავალი სჯულის გარდამაულობის საქმე ჩენენში  
 თქვენგან მოსაკითხავი მობრძანდით და გვიმწყემსე  
 და მართლმადიდებლობაზედ დაგვამტკიცენ და  
 დღეისუკან თუ ჩენენში ან ქადაგი ვინმე გამოჩნდეს  
 ან მარხვა ვინმე ქამოს თუ შევიძლოთ გარდახდე-  
 ენებას და მოშლას ვეცადოთ და თუ არ შეეიტყოთ  
 მოგახსენოთ თქვენ მობრძანდით და რომელიც  
 ჯურუში და გარდაედევინება გეპრიანებოდეთ თქვენ  
 გარდააკლევინოთ და თუ არა მამამთავარი გამო-  
 გზავნოთ და თქვენის ბრძანებით ისე გაარიგოთ  
 საქმე ამისი წინააღმდეგომი კაცი არავინ იყოს.  
 ამისა და გასათავებლად მოგვიცია ღმერთი და  
 თავდებად და მოწამედ ჩენი ბატონები †††

**1701** წ. № 91: ქ: ნებითა: მღთისიდა. ჩეენ.  
 მეფეთ მეფემან და თვით კელმუშიფემან პატრონმან  
 ბატონის მეფის თეიმურაზის ძის ძემან მეფემან ნა-  
 ზარალიხან მიგაბარეთ ჩეენს მამაპაპათ სასაფლაოს-  
 ზედ შვადომარეს ჩოლაყაშვილს ამბა ალავერდელს  
 ბატონს ნიკოლოზს და ვახელით ამ მურჩას ხა-  
 ტების მოლარეთ წმიდის გიორგის ალავერდის ყმას  
 მგალობლიშვილს მღვდელმონაზონს იოსებს რითა  
 (სიათა სიითა) მიგაბარეთ: არის: ქ. მაცხოვრის ხა-  
 ტი...ქ. ხახულის ღვთისმშობელი ქ. ორთუბანის  
 ღთისმშობელი...ქ. მსწრაფლ შემწისა ღთისმშობე-  
 ლი...ქ. ყვარელთა ღთისმშობელი...ქ. ბერძნული  
 წიგნი შვიდი: რუსული...ესენი ღმერთმან დიდხანს  
 აკოცხლოს ბატონის ალავერდელისათვის ნიკო-  
 ლოზისათვის მიგვიბოძებია და იმას უკან იო-  
 სების მგალობლისშვილისათვის და ერთობით წმინ-  
 დის გიორგის ალავერდისა აზნაურისშვილებისათვის  
 მჩგვიბარებია. ერთი ამასთან ნუსხა ალავერდელი-  
 სათვის და საყდრიონთათვინ მიგვიბარებია. ეს ნუ-  
 სხა ჩეენის მდივნის მწიგნობრის თუმანისშვილის  
 შიომის დაწერილი არის მკათათვის კ. ქორონი-  
 კონსა ტპთ.

**1701** წ. № 92. ქ. ესე წიგნი გიბოძეთ ჩეენ....  
 მეფემან ერეკლე წოდებულმან ნაზარალიხან თქვენ  
 მოძღვართ მოძღვარს პართენის და ვინცა ვინ მოძ-  
 ღვართ მოძღვარი კაცნი იყვნეთ ხახულისა ღთის-

მშობელის ყმანი ასე რომელს უკურთხეული ბა-  
 ტონი პაპა ჩეენი რომ გარდაეარდნილიყო მაშინ  
 ჩეენი შერისა ხატები კახურის მონასტრებისა და  
 ხახულისა ლვისმშობელი ესენი სეეტისცხოველში  
 მიებარებინა ასე ებძანებინა რომ თუ ლმერთმან  
 ჩეენს შეილს და შეილის შეილს ჩეენი სამკიდროს  
 მოსლვა და ბატონობა ელირსოს იმას მიართვითო.  
 ახლა ჩეენ ბედნიერმა ხელშითემ ქართლის ბატო-  
 ნობა ჩეენ გეიბოძა და მოვეჯით ეს მურასა ხატე-  
 ბი რადგან ჩეენი იყო და კახურის მონასტრებისა  
 ჩეენ გამოვაბარეთ, ჩეენს სახლში ქვექონდა და ვი-  
 თაც ჩეენ თათარნი ეიყავით და ჩუენს სახლში ესე-  
 ნი ვერ შევინახეთ ახლა ჩეენს ბატონს, ალავე-  
 რდელს ნიკოლაოზს მიეაბარეთ და წმინდას გიორ-  
 გის ალავერდს დავასვენეთ ამიტომ რომ თავთავის  
 საყდრები აოხრებული იყო და ვერ ვანდევით და  
 ხახულისა ლთისმშობელიც იქ მიეაბარეთ და ახ-  
 ლა როდესაც ხახულისა ლმრთისმშობელს მა-  
 გისთანა პატრონი დაუჯდეს ან შენობა ჩავარდეს  
 იქ რომ იმ ხატისა შენახვა და პატრონობა შეძ-  
 ლოს რომ დაკარგვით აღარ ეშინოდესთ. ის ხატი  
 ვერც ალავერდელმან და ვერც საალავერდოს  
 კრებულთ ვერ დაუჭირონ, რომ ისევ ხახულისა  
 ლეგისმშობელს დაასვენონ და მოძღვართ მოძღვარს  
 მიაბარონ და სანამდის იქ შენობა ჩავარდეს იმას  
 დღეობას რაიცაც მოძღვართ მოძღვარს უნდოდეს  
 და ან მოინდობებდეს მიასვენებდეს ხოლმე, ნურა-

ვინ დაუჭიროს და მას უკან დრომდის. კიდევ იქ  
 შეინახვიდენ და საბოლოო ის ხატი ხახულის  
 ღვთისმშობლისა ყოფილა ისევ იმასა არ დაეკარ-  
 გოს. ჩვენს მამაპაპათ ამისთვის გაუკეთებია საბო-  
 ლოთ ნურც-ვინ შეცილება არცა ვის სხვას კელი  
 აქვს ვისმე ამა ხატთან მარიამობისთვის კთ. ქორო-  
 ნიკონსა ტპთ.

**1786** წ. № 93. ქ. ძველის მეფის ორაკლის  
 განჩინების ძალით ალავერდელის უფლის ყოვლად  
 სამღვდელოს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს მის წიგნის  
 ძალით. მერმე ყოვლისა საქართველოს მეფის ძის  
 ანტონის მისისას უწმინდესობის დიკასტერიას სა-  
 მართლის განჩინებითა ხახულის ღთისმშობლის  
 მურასა ხატი ებარა წმიდის ვიორგის და ზემოწე-  
 რილების განჩინების ძალით ახლა მეორე მეფის  
 სრულიად საქართველოს მპყრობელ მჭონებელის  
 მეორე ირაკლის მეფის სამართლით მიბარებული  
 ხახულისა ღთისმშობლის მურასა ხატი მებოძა და  
 მომბარდა დიდებულის მრავალ მოწამის დეკანოზის  
 იოანეს კელით მურასა ხატი ზურგზე ვერცხლით  
 მოჰქედილი ნაწილებით სავსეს (ვ) (თ-თ) სუს ბუ-  
 დეში აკლდა ნაწილი ცარიელი. ქ. ა. მისი შესა-  
 მკობი მარგალიტი რიცხვით (მიე), ფირუზი თვა-  
 ლი ჩინებული (ა) ზანიშინიანი ი (მი). მომბარდა  
 მე მოძღვრათ მოძღვარს ნიკოლაოზ მდივნის ძეს  
 მიმიბარებია ბატონის დეკანოზის იოანესათვის. ამ

ხატისა განაჩინები პირეელის მეფის ირაკლისა ნიკო-  
 ლონგ ალავერდელისა დიკასტერიას და მეორე  
 მეფის ირაკლისა რომ იმ განაჩენების ძალით მო-  
 გვეცა მიბარებული ხახულის ღთისმშობლის ხატი  
 თვესა აცვისტოსა :ივ: ქორონიკონს უღდ. ნიკო-  
 ლონგ ნიკოლოზ (არჭერ). მიწერილია: სრუდებით  
 ამ თლისა და მარგალიტის ჭმი (რაბ).

**1786** წ. № 94. „...ნიკოლაოს მათის უწმინ-  
 დესობის დიკასტერია ვაუწყებთ იმის ყოვლად  
 სამღვდელოებას აბბა ალავერდელს უფალს და  
 იმის მაღლად ყოვლად სამღვდელოების მოხელეთ  
 უბრძანებთ დეკანოზს, მამათმთავრებს და სხვათა.  
 მაღალლირსმა არხიმანდრიტმან მოძღვართ მოძღვარ-  
 მან ნიკოლაოზ არზით იჩივლა იმის უწმიდესობას-  
 თან და ჩევნთან, რომ ხახულისა ღთისმშობლის  
 ხატი ჟამთა ვითარებისა და ავის ღროსაგან თავის  
 ეკკლესიაში ვეღარ დაუსვენებიათ და მანდ წმიდის  
 გიორგის ეკკლესიისათვის შემოუხიზნავთ და მოუ-  
 ბარებიათ ვითა აცხადებს წიგნი ბოძებული იმის  
 სიმაღლის დადის ერეკლე მეფისა რომ „ხახულის  
 ღთისმშობლის ხატი წმიდის გიორგის ეკკლესიას  
 ალავერდს მივაბარეთო აეის დროს მიზეზით და  
 როდისაც პატრონი დაუჯდეს და იქ შენობა ჩამო-  
 ვარდეს და დაკარგებისა აღარ ეშინოდესთ ის ხატი  
 ისევ ხახულისა ღთისმშობლის ეკკლესიაში დაასვე-  
 ნონ და მოძღვართ მოძღვარს მიაბარონო ვერც

ალავერდელმა და ვერც ხაალავერდელომ კრებულ-  
 მა ვერ დაუჭირონო". ამას გარდა მასშინდელ  
 დროს დომრის აბბა ალავერდელის ყოვლად ხამ-  
 ლვდელოს ნიკოლოზის წიგნიცა აქუს ასე წერილი  
 რომ ხახულის ღვთისმშობლის ხატი მოვაბარესო  
 და როდესაც შიშიანობა აღარ იყოს და იქ შენო-  
 ბა ჩამოვარდეს მაშინ ეს ხატი ტაძარშივე დასვე-  
 ნდეს ჩვენთ საყდრიონთ ვერ დაუჭირონო".  
 ახლა უთხოვნია თქვენთვის მოძლვრათ მოძლვარს  
 რადგან ამის სიმაღლის მეფის ბრძანებით იმ ეკკლე-  
 სიაზედ დადგინდებულა და არ გიბოძებიათ არ ვი-  
 ცით რის მიზეზით უჭერთ მაგ ხატსა. ამისთანა  
 წიგნების მქონებელსა. ამის სიმაღლეს მეფესაც  
 ჰბარებოდა რომელნიმე სახმარნი იმ ეკკლესიისან ი  
 და ყოველივე უბოძა თქვენც მობარებული გქონიათ  
 და თქვენც უბოძეთ თუ უწინვე მიგიბარებიათ  
 ყაბზი გექნებათ....სვეტს-ცხოველსაც ჰბარებია  
 ოდესმე ეგ ხატი და თავისდროს იმისთვისაც გამოუ-  
 ბარებიათ...რის ემართლებით, ეგ ხატი მოაბარეთ,  
 ამ მოძლვართ მოძლვარსა ნუდარ აწუხებთ, რადგან  
 ამ კაცსა თავისი თავი, სული და კორცი იმ ეკკლე-  
 სიისათვის დაუდვია, იქ ცხოვრებს და იმ ეკკლესიის  
 შემკობას სცდილობს. ეგ ხატი თავის ეკკლესიაში  
 უნდა დაასუსტოთ და ღმერთმან ნუქნას თუ ავის  
 დროსაგან შიშიანობა მოხთება მაშინ მაგ ხატისაც  
 და ან რაც სწვანი სახმარნი არიან იმ ეკკლესიისა

იმათ დაუკარგაობას ეს უფრო ეცდება. ფეხერეარს  
 ვ, ჩლპვ. ბეჭდები და ხელთმოწერანი.

XVIII საუკ. ანუ XVII საუკ. დასასრულის ხელით.  
 ქ. ესე წიგნი: მოგართვით: ჩვენ: ჩოლაყაშვილმან  
 ამბა ალავერდელმა ნიკოლოზ თქვენ ხარჯაშნელ  
 მთავარ ეპისკოპოზს მოძღვართ მოძღვარს ბატონს  
 პართენის ასე რომე ჩვენმა კელმწიფემან მეფე  
 ერეკლემ თავის მამაპაპათ ნაშრომა მურვსა იქროთ  
 მოვედილი თვალით და მარგალიტით შამკობილი  
 ხატები წმიდას გიორგის ალავერდელს კელმწიფეთ  
 საფლავზედ დაასვენა და ჩვენ მოვაბარა ეამთა  
 ვითარებისაგან ხახულის ღვთისმშობლის ტაძარი  
 უშენოდ იყო შიშისგულისათვის ხახულისა ღთის-  
 მშობელი თავის ტაძარში ვერ დაასვენეს და წმი-  
 დას გიორგის ალავერდს დაასვენეს და ჩვენ მოვა-  
 ბარეს როდეს ღმერჩმან და თვით ხახულის ღთის-  
 მშობელმა მეფეს ერეკლეს და მის შვილებს კახეთს  
 მათი პატრიონობა აღირსა და ოქის(?) ხახულისა  
 ღთისმშობელს დასასვენებლად იქ აღარ ეშინოდეს  
 ვერც საყდრიონთ დაუჭირონ. არიან ამისნი მოწა-  
 მენი მგალობელის შეილი მღვდელმონაზონი იოსებ  
 და სუსანიშვილი სუსან და სულ ერთობ საყდრის  
 ყმანი (ბეჭდი).

**1743** წ. № 102. ესე წიგნი მოგართვით:  
 ჩვენ: არქიმანდრიტელმან ნინოწმინდელმან იოანე

ოქვენცათა მობაძავსა წმიდასა გიორგის ალავერდს  
 და მას მჯდომარეს ამბა ალავერდელს ნიკოლოზს  
 ასე რომე ბატონის ბრძანებითა და ოქვენის ნება-  
 დართვითა ბისონი ვიკურთხეთ და ოქვენ კელმწი-  
 ფებისაგან გუჯარი გქონდათ რომ უთქვენოთ ჩვენს  
 ქვეყანაში ეპისკოპოზი ვერ გაპატიოსნდებოდა და  
 ნეკრესელი ხომ ჩვენის ხარისხისაგან უმდაბლესი  
 იყო და ბისონი და მიტრა იშოვნა ჩვენც ამ მიზეზით  
 ჩაეციოთ ახლა რადგან ჩვენს მონასტერზედ ეს  
 წყალობა მოვიდა ვიყვნეთ ოქვენი მორჩილნი რო-  
 გორც ჩვენგან უპირველესნი ნინოწმინდელნი ყო-  
 ფილან და რაც ჩვენი ხარისხი არ არის მაზედ ნა-  
 მეტნავი ჩვენ არა მოეინდომოდ რა სჯულის საქ-  
 მეზედა, როგორც პირველად თქვენგან თუ თქვე-  
 ნის უწმინდესობის ამბა ალავერდელებისაგან ერთო-  
 ბა ყოფილა მეც ეგრე მორჩილი ვიყო ამისა გა-  
 თავებლად და მოწმად მოგვიცემია პირველად  
 ღმერთი....და მოციქული ნინო დაიწერა წიგნი  
 ესე თვესა მაისსა გ, ქორონიკონსა ულა.

**17II** წ. ...ჩვენ...მეფეთ მეფემან იმამყულიხან  
 და დედამან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან  
 პატრიონმა ანნამ და...ჩვენმან ერევნის ბეგლარბეგ-  
 მან პატრიონმან მამადყულიხან და კახეთის გამგემ  
 პატრიონმან თეიმურაზ ესე მტკიცე და უცვალე-  
 ბელი საბოლოოდ გასათავებელი წიგნი და სიგელი  
 გვადრეთ და მოგართვით ოქვენ ჩვენს სულკურთხეულს

მაშაპაპათ კელმწიფეთ სასაფლაოს წმიდის ვიორგის  
 მონასტერს ამბა ალავერდელს ჩოლაყაშვილს ნიკო-  
 ლაოზს ასე რომე რაღაც რუსთველი დროშის  
 პატრიანი და სარდალი იყო და ბისონი არ ეცვა  
 ჩვენის ბრძანებით სარდლობის გულისათვინ რუს-  
 თველს ნიკოლოზს ბისონი ჩავაცვით და ამას გადა  
 თუ ან რუსთველმან ან ბოდბელმა ან ნიტრა ან  
 გვირგვინი დახურვა მოინდომოს მაგ ქვეყანას რო-  
 მელსაც სხვას ეფისკოპოზისა და ან ბერისა პა-  
 ტივის მომატება სხვამ ჩვენმა ჩამომავალმან სახლის-  
 კაცმან მეფემან ანუ დედოფალმან...ანუ ვარეშე  
 ხანმა ანუ ჯანიშინმან ან ბისონის ჩაცმა ან მიტ-  
 რისა და ან გვირგვინისა დახურვა მოინდომოს და  
 თქვენი გამსუბუქება თავაღმაც რისხავს. ღმერთი...  
 და აზრათი მურთუზალი?! (რისხავსო) და იმისი  
 ოჯახი და ბედნიერისა ყევნის ნასოფი და ნაყაზი...  
 დაიწერა ქრისტეშობისთვეს ია. ქორონიკონსა ტეტ.  
 კელითა კარისა ჩვენისა მდივნის მწიგნობრის თუ-  
 მანის შეილის შიომშისათა წწწ

ეინც პატრიარქმან ანუ კათალიკოზმა ანუ  
 ეფისკოპოზმა კელყოსს შლად ამისა---წყევა მეფე  
 დავით მეფე იმამყულიხან (ხევულად)

გვერდზე წარწერა: ქ. ნებითა...ღვთისათა ესე  
 წიგნი მოგართვით ჩვენ ენდრონიკას შეილმან ბოდ-  
 ბელმან მთავრებს კათალიკოზმან ზაქარიაშ და ჩერ-  
 ქეზის შეილმა რუსთველმა მთავარეპისკოპოზმან

ნიკოლოზ თქვენ ჩვენს კელმწიფეთ სასაფლაოს  
 წმიდის გიორგის მონასტერს მისს საჭეთ მშენო-  
 ბელს აბბა ალავერდელს ჩოლაყაშვილს ნიკოლოზს,  
 ასე რომე მეფის დაეკითის ბრძანებით რუსთველმა  
 პატივი მოიმატა და რუსთველს ბისონი ჩაეცვა  
 ამისდა გარდა თუ ან ნიტრა ან ვეირგვინის დახურ-  
 ვა მოეინდომოთ ან სხვა სჯულიერის საქმის წინა-  
 ლმდგომი შევიქნათ თქვენი ქრისტეს უარის მყოფე-  
 ლი ვიყვნეთ და წირვისაგან დაყენებული. თუ ან  
 ჩვენ და ან ჩვენს უკან ბოდებელმან თუ რუსთველ-  
 მან ეს წიგნი გატეხოს და ამ საქმეზე ალავერდელის  
 წინააღმდეგომი შეიქნას ღთის მგმობლად ეკითხოს  
 და კელმწიფეთ სასაფლაოს შეცოდებად ქრისტი-  
 შობისთვის გასულს ქორონიკონს ტუთ.

**1741** წ. № 104. ჩვენ...კახთა მფლობელმან  
 თეიმურაზ და თანამეცხედრებან ჩვენმან ქართველთ  
 მეფის ვახტანგის ასულმან დედოფალმან თამარ და  
 პირშომმან....და მაღლის კელმწიფეთ კელმწიფის  
 მიერ აღზრდილმან და კეთილმორწმუნობით გან-  
 მტკიცებულმან ბატონის შეილმან ერეკლე და ძის  
 წულმან ჩვენმან მირზამ ესე მტკიცე... წიგნი და სა-  
 ფიცარი დავდევით... წმიდის გიორგის ტაძრისა ალა-  
 ვერდს ასე რომე ნეკრესელმან იოანემ ბისონით  
 კურთხევა მოინდომა, ჩვენ არ ვიცოდით, ასე რო-  
 მე თუ სხვანი ნეკრესელნი როგორ ნაკურთხნი  
 ყოფილიყვნენ ბისონით თუ ომოფორით ამიტომ

რომ უწინ ჩვენს ხსოვნასა და მოსწრებაში უკურ-  
 თხი ნეკრესელი იჯდა და მახსოვეარი არა ვინ იყო  
 და ქვეყნისა არეულობისაგან უკურთხი დარჩომი-  
 ლიყო ეს ვიცოდით, ნეკრესი ქალაქიც ყოფილიყო  
 და ათორმეტი მამათაგანი წმინდა აბიბოს მის ქალა-  
 ქის ეფისკოპოზი ყოფილიყო და მისი მოსაყდრე  
 უნდა ბისონიანი ყოფილიყო, ჩვენც მისის მიზეზით  
 ნება და კურთხევით რომ ნეკრესელი ბისონის ღირ-  
 სი იყო ამ წმიდის აბიბოს მოსაყდრეობისათვის და  
 რაღაც წმიდის გიორგის მონასტერი ალავერდი  
 ჩვენს მამაპაპათ აემაღლებინათ და უმეტეს ყოველთ  
 კახო ეფისკოპოზისთაგან განედიდა და გეირგვანო-  
 სან ექმნა ალავერდელი ზასი წინააღმდეგი და უნ-  
 დომი და დაუმოწმებელი კახეპისკოპოზებისა  
 კურთხევაც არ იქნებოდა, ალავერდელმაც ნება  
 დართო ნეკრესლის ბისონით კურთხევისა თუ ამას  
 იქით სხვამ ეფისკოპოზმან ბისონი და ნიტრა ალა-  
 ვერდლის შეუნდობლად ჩაიცვას და დაიხუროს  
 წყეულ იყოს ქრისტესაგან და ჩვენც შერისხვით გარ-  
 დავადგინოდ საყდრისაგან თეოსისა...თუ მეფემან...  
 დაიწერა წიგნი ეს კელითა დისა ჩემისა მონოზნის  
 მაკრინასითა თვესა დეკ. გბ. ი ქორონიკონს უკთ.  
 (1741) ქორონიკონს აქეთ ჩლმ. (?) (ბეჭედი თემუ-  
 რაზისა).

1761 წ. № 105. ქ. ჩენ საქართველოს მფლედ  
 ცხებულსა თეიმურაზის ძე მეფის კახეთისა და გან-  
 მგებელნი ქართლისა მფლე ირაკლი ბაგრატიონი  
 და თან ემაქმნილიყოფლისა საქართველოსა კათა-  
 ლიკაზ პატრიარქი იოსებ ამას წარვსწერთ განმხილ-  
 ველნი ქვეყნისა ჩენისათ. ვინადგან უამთა ჩენთა  
 ბრალთა ჩენთათვის მოიწიენეს ოხრებანი წმინდათა  
 ეკლესიათანი და ესე ვითარნი წესქმნანი ისჯუ-  
 ლდებულებოდა ვითამცა ეფისკოპოზსა თეისნი რა  
 ეპარქიანი არღა ჰქონებოდა, რომელსახედა ეკურ-  
 თხა და თვით ერწმუნა იგი რა ოხრებულ იყო  
 სამწყსო იმისი მასვე ეფისკოპოზსა სახელისათვის  
 მის ეკლესიისა კაღრიანად კელი სდებოდა და საჭ-  
 მელად ჰქონებოდა მისი მამული და სამწყსო ესე  
 ვითარმედ მძიმე არს მძიმედ სახელველად  
 იღკვიჩნდა ჩენ და არცა ვყოფთ ნეფ-  
 სით ჩენით ამას: რომლისათვის ხარჭაშნელისა  
 ეკლესია დიდ უამს უმკვიდრო არს და განუვლელ  
 მსახურთაგან მისთა და ეპისკოპოზთა და მას სამ-  
 წყსოცა დიდად მცირედ აქვს რომელ არა შევნის  
 ეპისკოპოზსა ეგრედ მცირედისა სამწყსოსა ქონება  
 ამათ მიზეზისათვის უუბრძანეთ აღმრულნი სჯუ-  
 ლიერისა წესისა მცველობანი, რათამცა ხარჭაშნე-  
 ლისა სამწყსო ამბა ალავერდელსა კეთილრწმენისა  
 შლდელ მთავარსა ზენონს ებაროს უამამდე მოხე-  
 დეისა ღვთისა რომლისა ვართ მოსავნი მოწყალე-  
 ბისა მისისანი დღითი დღედ . ოდესცა ღმერთმან

მოხედოს ქვეყანასა ეამთა ჩვენთა ანუ შეიღოთა  
 ჩვენთასა ანუ პატრიარქისა რომლისამე ზევითაც(?)  
 წეს და კანუნ იყოს წინათა კრებათა სამწყსო მისი  
 ეკკლესიასა მას და მას ზედან კურთხეულსა ეპის-  
 კოპოზსა ეგრედ კელთ უდვან წელსა ქორონიკონს  
 აქეთ ჩრდა თვეესა სეკდენბერსა რიცხვს ა.

**1740** წ. № 106. ესე: წიგნი: მოგართვი  
 თქვენ ამბა ალავერდელს ბატონს ნიკოლოზს ჩვენ  
 ნეკრესელ ეპისკოპოზმა ითანემ ასე რომა ჩვენს  
 ხსოვნაშია ნეკრესელი ნაკურთხი არავის ენახა.  
 ახლა ჩვენ კურთხევა მოვინდომეთ და ბისონის  
 ჩაცმა თქვენ მოგახსენეთ და თქვენის შშვიდ და  
 მეფის თეიმურაზის და დედოფლის თამარის ბრძა-  
 ნებით და დასტურით შენდობა მიბრძანეთ. ეს  
 მოგვიხსენებია, რომა წმიდის მონასტრის და თქვე-  
 ნი წინააღმდეგობა მე არ მოვინდომო და თქვენი  
 მორჩილიც ვიყო ჩემს უკან რომელიც ნეკრესელი  
 დაჯდეს ბატონის ბძანებით ან თქვენის შენდობით  
 თუ წყალობა უყოთ რომა ის იქნება თუ არა  
 და რომელიც ბატონს ეპრიანებოდეს ის ქენით.  
 ქორონიკონსა უკე. (სელმოწერილია ნეკრესელის ითა-  
 ნესავან).

**1757** წ. № 107. ...ალჩევა და კეთილად გან-

რჩება განვიგეთ ჩვენ დეთივცხებულმან მეფემან  
 ქართველთამან თეიმურაზ და ძემან ჩვენმან მეფემან  
 კახთამან ირაკლიმ და ყოვლისა კახთალიკოზ პატრი-  
 არქმან იოსებ ოდეს მოკლებითა კეთილისათა და  
 განმრავლებითა სიბოროტისათა ცოდვითა ჩვენთა  
 მიერ მოაკლდეს და შემცირდეს და რომელნი მე  
 სრულიად აღვდეს აწი ეკკლესიანი და განმრავლებეს  
 უსჯულოთა მიერთ ჩვენზედა ოხრება ტყვეობა  
 მწარე, მას უამსა ქვეყანას კახთასა ფრიად მოკლე-  
 ბული საებისკოპოზო და უშენი ეკკლესია ჭრე-  
 ბელსა სრულიად ოკერ და შენებულება და შენე-  
 ბულება ტაძრისა დაქცეულ და ყოვლად უკაზრუ-  
 ლად იმყოფებოდა რამეთუ მრავლით უამითგანვე  
 პირველ ჩვენსა წარტყვენილ და მოოკრებულ იყო  
 და ჩვენ მას ეკკლესიასა შიდა ებისკოპოზი მისი  
 თვისსა საყდარსა ზედა მჯდომარე არა გვეხილვა  
 ხოლო შემოსავალნი რაიცა სარგომის ეკკლესიისა  
 თეისსა ადგილსა და სამწყსოთა შეილადა აღიღე-  
 ბოდა, სრულიად ცუდად წარეგებოდა: არცა მის  
 ეკკლესიასა წარსამატებლად და აღსაშენებლად  
 წარეგებოდა. არცა მისთვის დაიმარხებოდა: და  
 ვინაიდგან ესე ესრეთ იყო აღშენებასა და განახლე-  
 ბასა მისსა ფრიად ჭირი უხმდა და სახმარი და  
 ესე არა ძალგვედვა და უსჯულოთა მტერთა მა-  
 რადის ზედამოსლევისა და ბრძოლისაგან მას შინა  
 სამღვდელოთა ანუ საეროთა მკვიდრობა არა იქნე-  
 ბოდა და მისთვის ესე ესრეთ განვიზრახეთ და

განვწესეთ ორათა ეკულესიისა შემოსავალი ეგრე-  
 თვე ეკულესიათა შეეძნებოდეს და და ცუდათ არა  
 წარეგებოდეს, და ამრს მიზეზისათვის სამთა ეფისკო-  
 ბოსთა თვისსა ეკულესიასა შინა მყოფთა და შენთა  
 და განკარგულთა გავუნაშილე და ყოველივე საჭე-  
 რემლოდ რაიცა შემოსავალი იყო სამათ განუყვით,  
 ეითარცა აქა აღგვიწერიეს და მის საეფისკოპოსოსა  
 სოფლისა და სამწერთა გამოსაღებთა და დრამათა  
 და ყოველსავე საჭერმლოა გამოსავალთა ესე  
 ეფისკობოზნი აღილებდენ და თვისსა ეკულესიასა ახ-  
 მარებდენ და მათ ზედა წარაგებდენ. გარნა ესე  
 ცა განჩინება და ბრძანება დაგვრძს, რათა უამი  
 თუმცა მოიწიოს და ოდესცა ინებოს მეუფემან ჩვენ-  
 მან ქრისტემან და მოწყალებით მოხედვა ყოს და  
 მშვიდობა მოავლინოს, რომელ ეკულესიასა შინა თვ-  
 ისსა ეპისკოპოზსა დადგრომა და მას შინა მკვიდრ-  
 თა ძალედვას თვინიერ ყოვლისა სიტყვისა და ყო-  
 ვლისა ცილობისა თვისი მამული და სამწყსო და  
 რაიცა მისი სარგოდ შემოსავალი იყოს ყოველივე  
 მის ეკულესიასა ეპისკოპოზს მიეცეს უკლებლად  
 დაუცილებელად და უსიტყვოდ. ხოლო სამსა ამათ  
 ეპისკოპოზთა ამბა ალავერდელსა, ბოდბელ მიტ-  
 როპოლიტსა და ნინოწმინდელსა მიეცა სამწყსო  
 საჭერმლოსა ესენი: უფალს ალავერდელ ენდრო  
 ნიკაშვილს ნიკოლოზს ერგო სამწყსო საჭერმლო-  
 სი სოფელი ნოკდოლი სრულიად: სოფელი კისისკევი  
 სრულიად: სოფელი წინარდალი სრულიად: და სამწყ-

სოდ თავადიშვილი მამუჩას შვილები და ამას გა-  
 რდა კიდევ სოფელი ველისციხე: უფალს ბოდბელ  
 მიტროპოლიტს ენისელთ მოურავის ძესიოანეს ერ-  
 გო ჭერემლის სამწყსო სოფელი ვეჯინი სრულიად  
 თავადიშვილის ერასტის შეილებითა და სოფელი  
 ფხოველი სრულიად თავადიშვილის მოურავის შვი-  
 ლებითა და სოფელი ზიარი სრულიად თავადიშვი-  
 ლის ზურაბის შვილებითა და ამას გარდა ჭოდოდა  
 და მელაანი. უფალს ნინოწმინდელს ტუსიშაილს  
 საბას ერგო ჭერემლის სამწყო კალაურში თავადიშ-  
 ვილები ვაჩნაძეები თავეთის ყმითა და სახასო  
 ძველთაგანვე ნინოწმინდელის არის: და ამას გარ-  
 და სოფელი ურიათუბანი სრულიად, სოფელი  
 ჩუმლაყი სრულიად და სეფელი ზეგანი თავადის შვილ-  
 ის ჯანდიერითა სრულიად “.. ესრეთივე სიგელი მიუ-  
 ციათ ნინოწმიდისთვის, გარეჯისა და ანჩისხატისთვის:

**1784 წ. № 108 ქ.** ორსაევ საქართველოს მეფეს  
 მათ უმაღლესობას ყოვლად უმდაბლესი მოხსენება.

ნაფარეულში რომ სოფელი აშენებულია თქ-  
 ვენის უმაღლესობისაგან იმ სოფელს ნეკრესელი  
 მოსჭიდებია. თქვენ გიბოძებიათ, თუ სხვას მიზეზით  
 მოსჭიდებია არ ვიცით. ის ალაგი სამწყსოდ ჩვენსა  
 უფრო ნიშნავს და თქვენის სიმაღლის ოქმიცა  
 გვაქცეს. ღდელიც ჩვენგან მისცემია და ხალხიც  
 ჩვენის მამულიდამ გასულან. ეამთა ვითარებისაგან  
 სხვის სამწყსონი მოსულან და ჩვენს სამწყსოში

სახლობენ: ბოდავიდან ბოდაველნი; თიანეთსა და  
 ერწოდამ ერწოელნი; ახმეტის და სხვანიც იმყოფე-  
 ბიან აქავე. იქიდანვე მოსდევენ და დღესაც უჭი-  
 რავსთ. ამ წყალობას ვითხოვთ რაღ(გან) სხვასთ ასე  
 უჭირავსთ, ჩვენც ერთი სამართალი მოგვებოძოს.  
 ენისელი და ჭიაური ჩვენი სამწყსო არის და ნეკ-  
 რესლის სამწყსოში რომ დგომისთვის ნეკრესელს  
 უჭირავს. ამ ორს აზრში რომელიც სჯულიგ-  
 რი წესი იყოს იმ სამართალს ვითხოვთ.... ამ ზე-  
 მოთ ხსენებულს ნაფარეულთან ნეკრესელს ხელი  
 არა აქვს, ამისთვის რომ სამწყსოს ალაგობითაც  
 ჩვენია და ხალხიც ჩვენიდამ ირის გასული. ახლა  
 ნება უმაღლესობისა თქვენისა აღსრულდეს. მარტი-  
 სა : ა: ქორონიკონს :უობ: ალავერდელი [ნკ]

განკარგულება : „ქ. ჩვენ მაგიერად ყოვლად  
 სამღვდელოს ნეკრესელ დოსითეონს ასე უამბეთ:  
 მერე ამ არზით უკლებლად ყოვლად სამღვდელო  
 ამბა ილავერდელი ნიკოლოზ სამწყსოზედ გიჩივისთ.  
 თუ ჰეშმარიტი სიტყვა არა გქონდესთ რამე ჩვენს  
 სამართალში ელაპარაკენით და გასწორდით: მარტს  
 (თ); ქორონიკონს უობ

1757 წ. № 109 ქ. ამას წინათ ბატონების  
 დროსაც კათალიკოზსა და ალავერდელს პატივს  
 მიცემისა და რიგის საქმეზედ ლაპარაკი ჰქონებოდათ  
 და ახლა ბატონიშვილს კათალიკოს ანტონის ერ-

თი წიგნი ვიცეცით ალავერდელის საქმეზედ. ამ წიგნს ალავერდელი არ დასჯერდა მას უკან ჩეენ ის წიგნი მოციქითხეთ და მცხეთელებმა დამალეს ალარ გამუაჩინეს: ის ჩეენგან მიცემული წიგნი უხმარი და გაცუდებული არის. ღვთით ბატონი ალავერდელი ამ ცოტას ხანში რომ ქალაქს ჩამოვიდა ჩეენი პატრონი მეფეთმეფე თეიმურაზ და ძე ჩეენი პატრონი მეფე ირაკლი ერთათ დავსხდებით და ეფისკოპოზს დარბაისელს გვერთ ვიახლებთ და ბატონის კათალიკოზის იოსებისას და ბატონის ალავერდელის ნიკოლოზის რიგსა და პატივისდების საქმეს როგორც შართებელი არის იმ რიგათ გავარიგებთ და სამართალს უზამთ რომელიც უმფროს — უმცროსობის პიტივი; და რიგი არის ისე იქცეოდეს ალავერდელი იანვრის (იზ) ქორონიკონს უმე და არც თავისი პატივი მოეშალოს (აზის ორი ბეჭედი ერებდეს).

**1785 წ. № 110 ქ.** ჩეენ ყოვლად სამლენო ამბა ალავერდელი ნიკოლოზ ლოცვისა და კურთხევასა დაბავოვარჯან და სალთხუცესი დიმიტრი და ნაზირო დალაკტიონ ახლა თქვენ უნდა ხელი მიჰყოთ და ამ ეკლესის ქვიტკირის წისქეოლი რომ არის თქვენ უნდა მიხეიდეთ; თავს უნდა დაადგეთ და ეკლესისთვინ უნდა გააკეთებინოთ ჩეენგან ამისი გაცემა არა გზით არ იქნება და ვერცა ვის მივსცემთ და ჩეენც ამიტომ ვეღარ

გავსცემთ — ეკლესიის ხარჯით გაკეთებულია და ეკალე-  
 სიის საწყინო იქნება და მაგის გაცემა ჩვენგან აღარ შე-  
 იძლება და ვერც ვის მივცემთ. ფეხერვალს ქორონი-  
 კონს უოგ. „თუ რომ ახლავ ხელი არ მიყავით მე  
 და თქვენი ბატონობა აღარ იქნება“ (აზის ბეჭედი).

XVIII საუკ. ხელით: № 112 ქ...წმინდის გიორ-  
 გის ლაშრისა ჯვარისა... ჩეენ ჩოლყაშვილმა თიანე-  
 ნეთის მოურავმა სულ ერთობრივ თიანელთა და ერწო-  
 ელთა დეკანოზმა... დეკანოზმა... რჯულზე მაგარნი  
 ვიუვენეთ როგორც რომ ჩვენის ლაშრის წმინდის  
 გიორგის ერთგულნი ვართ... როდესაც გაუჭირდესთ  
 თან დავიხოცნეთ. როცა რომ სამსახური ეპრიანებო-  
 დეს ისე ვემსახურნეთ ბატონ-ყმობის წესითა, მტერს  
 უმტეროთ, მოყვარეს ვემსახუროთ...†††††††...

ქ. როგორც თიანელთ საყდრიონთათვის ეს სა  
 ფიცარნი მოუციათ ჩვენ მეფეს თეიმურაზს ამ რიგათ  
 დავვიმტკიცებია“ და ზედვე: „თქვენი ძმისწული ალი-  
 მირზა“ (იგივე ალექსანდრე — 1736 წ. ახლა დროს).

**1788** წ. № 115 ქ. მათს ღირსებას  
 ბატონს ალავერდელს დეკანოზს არქიმანდრიტი იო-  
 ანე მშვიდობას უძლვნი და შენს მშვიდობით  
 ბრძანებას ვისურვებთ. შემდგომად ეს მოგხსენდეთ.  
 მოძღვართ-მოძღვარს ხატა უბოძა ბატონმა ხახულის

ლვთისმშობლისა. თუ მაგისი წინააღმდეგი წიგნი გქონდეს გამოგზავნე, ბატონს მიეართო, და არა გაქვს რა წიგნები ლვთისმშობლობას ვადა არის უნდა მივცეთ. კიდევ ეს იუწყევ: ალავერდელის ბარათის საწირავი და ელენე ბატონიშვილის ბარათის საწირავი და გამოგზავნე, რომ საწირავის ბოძებას აპირობს ბატონი. აგვისტოს (ია) ქორონიკონს უოდ. დედოფალს რომ სადლეგჩიძელო ბარათი ებოძებინა მეფისა ისიც გამოგზავნე ეხლავ. (ბეჭ-და რთმელზედაც ამიჭვრიალია მიტრა).

**1798 წ. № 248 ქ.** წყალობითა ლვთისითა ჩეენ სრულიად საქართველოს დედოფალმან და დადიანის-ასულმან დარეჯან ესე წყალობისა და მამულის ბოძების წიგნი გიბოძეთ მისის უწმინდესობის კათალიკოზ-ალავერდელის ჩვენის შეილის ანტონის ნებართვით შენ ჩვენ მიერ აღრჩდილს აზნაურისშეილს მაღრაძეს ბეჭანს, ასე რომ ობოლი იყავ ჩვენ გაგზარდეთ; გალობა და წიგნი გასწავლებინეთ; და წმინდის გიორგის კანდელაკი იოსები ამოსწყდა—ქალის მეტი არა დარჩა რა. იმ იოსების ქალიც შენ გიბოძეთ, იმისი მამული და სხვა რისაც მქონებელი არის ყოველისფრით შენთვის გვიბოძებია და შენც წმინდის გიორგის ალავერდელის ეკკლესიისათვის შეგვიწირავხარ და მიგვირთო მევიხარ, არავინ იყოს შენი მოცილე და მოდავე ამ მამულისა.—ალიქერა ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-ნაზირისა ქობულოვის სეიმონისათა. ფე-ბერვალს :ქ: ქორონიკონს უპვ.

V ჯილდენის ტაძრის გუჯრები.

1792 წ. ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებ  
 ბოქაულხუცესო ბევრა! მერე ყოვლად სამღმედე-  
 ლოს უფალს წირკველისათვის ქაისხეველთ დრამა  
 სახურო და რაც საფისკოპოზო სამსახური არის:  
 უნდა მოერთმევინათ, ჩევნი იქმიც ჰქონდათ და  
 კიდეც დაუგვისნებიათ და არ მოუციათ, ახლავ  
 უნდა დაადგე და როვორც რიგი არის დრამა სა-  
 ფისკოპოზო რაც იყოს უკლებრივ უნდა მოაცე-  
 მინო. მაგათ ეფისკოპოზი ეს არის და ამას უნდა  
 რაც რიგი ამსახურონ და დაემორჩილნენ და ეკ-  
 ლესიებიც აკურთხებინონ ეს ეხლავ ბეჯითად უნდა  
 გაარიგებინო, თორემ ჩევნი საჭყენი იქნება.

რომელი ქრისტიანე იქნება ეფისკოპოზი და  
 ამათ ხომ ამის მეტი ეფისკოპოზი არა ჰყავთ და  
 იმას უნდა ემსახურონ. ხომ თავსაც დაიდეს და თა-  
 ვდებიც მისცეს მოხუცესი (?) თუ მაგათი ამხანავი  
 სხვა სოფლები ემსახურებიან ეგენი რაღა,  
 არიან?

1736 ქ....წიგნი: და სიგელი შეგიწყალე და  
 გიბოძეთ ჩევნ იესიან დავითიან, სოლომონიან ბა-  
 გრატიონშა მეფეთ მეფემან ქართლ-კახეთისა ხელ-  
 მწიფემ მეფე ალექსანდრემ თქვენ მუხრანის ბატო-  
 ნიშვილს ქრისტეფორესა, ასე რომე მოხველ კარ-  
 სა დარბაზისა ჩევნისა, გვეაჯენით მაგლისის

მაგლელობასა. — ჩვენც ვისმინდეთ აჯა და მოხსენება, შეგიწყალეთ და გიბოძეთ, არაოდეს არ მოგეშალოს... დაიწერა ბრძანება და ნიშანი ხელითაკარისა ჩვენის მწიგიობარი მდივანი მუშრიბი ბაინდურას-შვილი ავთანდილისათა ქორონიკონს: უკდ: მარტის :კ: „აზის დიდი აეჭედი წარწერით: „ორ...გამო და-ეითიანი ალექსანდრე ვარ სვიანი“. ეს ალექსანდრე ძმისწული თეიმურაზისა მეფედ იწოდებოდა. — ამას ეკუთვნის ის წერილები, რომელიც ჩვენს „რონიკებში“ გვ. 432 XVII საუკენეს მიეაწერეთ 1601 წლის ქვეშე

**1746** წ. № 20 ჩვენ. . საქართველოს მეფის თეიმურაზის-ძემან და კახეთის-არაგვის მყრობელმა... ერეკლემ, თანამეცხრედემან ჩვენმან დედოფალთა დედოფალმა.. ანნამ, პირმშომან სასურველმა ძემან ჩვენმან უფლისწულმა ვახტანგ და საყვარელმა ბი-ძაშვილმა ჩვენმა ბატონიშვილმა ასან-შირზამ — ასე და ამა პირსა ზედან, რომელ უმთა ეითარებისა-გან ანანურის ზევით არაგვის ერისთავის მთის ალ-გილებში აღარ შეეშეათ წირკნელი და რჯულზე-დაც მიდრეკილ იყვნენ და მობრძანდით თქვენ მუხ-რანის ბატონიშვილი ყოვლად სამღვდელო წირკვ-ნელ მიტროპოლიტი ქრისტეფორე და გვეაჯენით სამწყსოსა თქვენსა ეითარცა ძელათ თქვენი ყოფი-ფულიყო და გუჯარშიაც ძელათგან მთა და ბარი თქვენი სამწყო ყოფილიყო და ჩვენც ხელახლა წყა-ლობა გიყვავით — თქვენი სამწყსო: მთიულეთი, ხევი

გუდამაყარი, კანო, ჭართლაი—ამათ სახუცოს ერის-  
 თავები საღმე იღებდენ... და უწესო და უმართებუ-  
 ლო იყო და რჯულის ურიგობა.—ჩვენ ეხლა თქვე-  
 ნის მონასტრის წილკნისა ლთისმშობლისა დიდისა  
 ეკლესის მჯდომარეს წილკნელს შეგვიწირავს  
 რაც რომ ემთის ალაგებიდამ... გამოვიდოდეს თქვენ  
 მამამთავარს მიებარებოდეს და მამამთავარი  
 თქვენ მოგართმევდეს. არა მოგეშალოს ჩვე-  
 ნგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა  
 მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ კარისა-  
 ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და ყოველნო მესაქმენო  
 ჩვენნო, არაგვის სალთხუცესო და მოხელენო, თქ-  
 ვენც ასე დაუმკიცეთ და ნუ მოუშლით. დაიწერა  
 სიგელი ესე ხელით კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნო-  
 ბრისა უხუცესის ოთარისათა თვესსა ივნისსი (ლ)  
 ქორონიკონს ულდ.

გვერდზე წარწერა : „ქ. ჩვენ... კათალიკოსი  
 პატრიარქი და ალავერდელი მიტროპოლიტი.. ან  
 ტონი ვამტკიცებ მიტროპოლიტობისა ამის წერი-  
 ლისა აპრილს :ვ: წელთა ჩყა (1801 წ.)

**1747** წ. № 27 ქ. ჩვენ ფოცხვერამა და შეი-  
 ლმა ჩვენმან მამუკამ და გივმა ესე წიგნი მოგარ-  
 თვით თქვენ ჩვენს ბატონს არაგვის ერისთავს ჯიმ-  
 შერს, რომ ჩვენის მართლმადიდებელის აქმწიფე  
 ეფბტმას ონის მეფის ერეკლესაგან ბრთანება გქო-  
 ნდათ და ჩვენი მაკურთხეველი წილკნელი ქრისტე-

ფორე შამოიყეანეთ; რაც მთიულში სახუცო იყოს სამ წელიწადში ერთი ზროხა მოვართოთ. თუ ამას იქით ჩვენ უარი მოვახსენოთ ხუცობაზედაც კელი ავიღოთ, თუ უზიარებელი და უნათლავი მოკვდა... თუ სამწყსომ უარი გეიყოს, სამართალი თქვენ გვიყავით, თუ სხვა ხუცესი დაგვიდგეს იხიც ასე გემ-სახუროსთ. — მე ჯიმშერ ერისთავს ასე გამირიგებია: რამთენ მღვდელი იყოს იმდენი ზროხა მოვართოს. ქრისტესშობის დღეს (კი), ქორონიკონს ულე.

## VI ანანურის ტაძრის ზუჯრები.

**1643** წ. № 4 ეტრადზე: „ქ. სახელითა... ჩვენ არაგვის ერისთავმან გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან ბატონიშვილმან ბატონმან ელენე ... ცოდვათ ჩვენთა სახსრად... დავდევით აღაპი სულამაშვილისა. უნდა გარდაიხდიდეს კორციელსა შაბათსა. ორს მღვდელს უამს აწირვინებდეს... და სააღაპოს მოიტანდეს ოთხს კოკის ღვინოს და სამის კოდის გამომცხვარს პურსა, ერთს უშობელს ზროხასა, ერთს ცხორსა და სხ....კიდევე სხვა არ ბანცური ნინია ტრძნისის მოურავი:ლ: ენკენისოვეს გარდიხდიდეს აღაპსა.... ეთხოვებოდესთ რა არა ღალა არა კულუხი, არა ღორი, საბალახე, არა მუშაობა ერთის საურისა მეტი ქორონიკონსა :ტლე: კიდევ ტრძნის გელაზი გაემართეთ და რაც იქიდგან ზეთი ერგოს ანანურთ დეკანზეს მოუტანდეთ;.. მოუკლებლად

ენთებოდეს ჩვენს საფლავზედ... მე მუხრან ბატონიშვილს მთავარეფის კოპოზიციას და მიწერია.. ჩემს და ბატონს სიძესა შეუნდნეს ო-ნ. (სედნართულად:) „გიორგი ერისთავი“ (სეგულად:) „მთავარეფის კოპოზიციი ღომენტი“.

## ნინოჭმიდის გუჯრეზი

**1778** წ. № 37 ქ. ჩვენ მაგიერად და ძმისა ჩვენისა მისის უამინდესობის მაგიერად ასე ეუწყოს ნინოწმინდელს მიტროპოლიტს საბას: დოდოს მონასტრის გუჯარნი, სამკაულნი და ყოველივე რაც გქონდათ მობარებული წინაშე ჩვენსა მუიხვენით და გვაჩერენეთ დაუკლებლად. რათა ვცნათ რა არს დაშორილი მონასტრისა მის... და მადლითა ლთისათა აღშენებასა შინა ყოველივე მასეე უნდა მიეცეს...ქ-კს. ჩლოტ, ივლისს :იბ:

**1792** № 51 „ქ. ჩვენ მაგიერათ მის ყ-დ სამლელოების უფალს ნანოწმინდელს იოანეს წმიდას მარჯენას ამბორისეყოფა ეუწყოს. მერე დავით-კარეჯის მონასტრის ბერების მონასტრიდამ გამოსელა და აქეთიქით დაფანტვა გვესმის და თქვენ ამას უნდა ეტალნეთ, რომ ერთადვე შემოჰკრიბოთ და მონასტრის საქმეზედაც თვალყური დაიჭირეთ, რომ სასმლიდა, საჭმლიდამ და ეკლესიის ნივთიდან არაეინ რა დაკლოს. ამის პასუხს ნუ დაგვიგვიანებ და შენც ან ოთხშაბათს ან ხუთშაბათს ჩვენთან წამომოდით აგვისტოს (ივ), ქორინიკონს უპ. ილბათ ალბათ ასე ალასრულე!“ (აზის ერეკლე შეფის ბეჭედი).

**1789** წ., № 52 ქ. ჩვენ მაგიერათ და ჩვენის შეილის იმის უწმინდესობის კათალიკოზის ანტო-

ნის მაგიერად იმის ყოვლად სამღვდელოებას ნინო-  
 წმინდელს ითანეს ესრეთ ეუწყოს: მერმე ყოვლად  
 სამღვდელოებისაგან ჩა მონასტრის კრებელისაგან  
 მაგ ლირსის მამის დავით გარესჯის საქმე მოწერი-  
 ლი ყველა თვითეულად ვიუწყეთ, მაგრა ახლა დრო  
 აღარ იყო აქ საქმის სამართლის შესრულებისა,  
 ამისთვის რომ მონასტერი უსაზრდელოდ არ დარ-  
 ჩეს და დრომდინ ასე განვაგეთ. ახლა ამ ხელად  
 ამაზე თქვენ ბეჯითი უნდა იყვნეთ, რომ თავის  
 დროზე როცა დაბარების დრო იყოს ორი კარგი  
 შემქლებელი ბერი ამოარჩივეთ მონასტრისად, სოფ-  
 ლიდამ ცხენები და კაცები უბოძეთ და გამოიყვა-  
 ნეთ. შევიდობით გამოიყვანონ, გზაზე არა წაეკი-  
 დოსთ რა და მანდ რომ მოვიდნენ, მონასტერის ყმა-  
 ნი კარგათ შეეწივნენ ცხენით და კაცით და რო-  
 მელიც საჭირო ნივთი არის იმათ შესაწევნელი ყვე-  
 ლა გზა უყონ და ის ლირსნი ძმანი რომელნიც გა-  
 მოვიდნენ სულიერის მომჭირნეობით დიდათ ბეჯი-  
 თნი იყენენ და გაისარჯენ, რომ წლის საზრდელი  
 მოირეწონ და შეპკრიბონ მონასტრისათვის, თქვენც  
 ბეჯითი პრძანდებოდეთ და იმათი ყოვლად სამღ-  
 ვდელოება ბოდებელი კულავაც შემწე ყოფილა და  
 ეხლაც შეეწევა. ამაზედაც ბეჯითი პრძანდებოდე-  
 მონასტრის მოხელეებს უპრძანეთ, რომ მონასტ-  
 რის ზღურებსა და მამულეებს რიგით მოუარონ,  
 რომ არა წახდეს რა და რომელიც მონასტერს და-  
 სჭირდეს რამე იმასაც შეეწივნეთ ან მორიგის ყა-

რაული არ დააკლდეს მონასტერისა და მონასტერ-  
 შიაც უბრძანეთ, რომ ფრთხილათ იყენენ და ერთს  
 ორს თოვეს უკან მოცლა იქნება, შევიყრებით ჩვე-  
 ნც და ჩვენი შვილიცა, იმისი უწმინდესობა და  
 რომელიც უმჯობესი იქნება მაგ მონასტერისა და  
 მაგ ძმათათვის ღთის ძალით და შეწევნით იმას გან-  
 ვაგებთ. იუნისს :კა: ქორონიკონს უოზ „კათალიკო-  
 ზი ანტონ“ (ხევულად) და ბეჭედი ერეკლესი.

**1777 წ. № 53 ქ.** ჩვენ მაგიერად იმედით მი-  
 საჩენელ მოლარეთ უხუცესს შიომშს და მდიენს  
 იოსებს ასე უამბეთ: მერე ნინოწმინდელის ღვინის  
 ბაჟი როგორც გავეირიგებია ნავროზიდამ აქამდი  
 სამი თვე იქნება ამ სამ თვეს რაც ამის ღვინის ბა-  
 ჟი მოსულიყოს როგორც ჩვენგან მიცემულს წიგ-  
 ნში უწერია სტეფანეს უანგარიშეთ, გამოურთვით  
 და მისატანად ნინოწმინდელის კაცს მიუბარეთ  
 და ამას იქით ვინც ნინოწმინდელს დაუყენებია  
 იმის განწყებული ღვინის ბაჟი იმან აიღოს. სტე-  
 ფანეს მიღდისას შვილს ხელი ნუაქვს, აღიწერა ივ-  
 ნისის :ე: ქორონიკონს :უ: (აზის ერეკლეს ბეჭედი).

**1789 წ. № 54 ქ.** ჩვენს მაგიერ იმის ყოვ-  
 ლად სამღვდელოებას ნინოწმინდელს ითანეს კელს  
 მთხვევნა მოხსენდეს. მერმე მაგ მონასტრის საქმე  
 ასრე მოკდა, როგორც ჩვენი და ჩვენის შვილის  
 იმის უწმინდესობის წიგნი გამოგიცხადებს. ახლა

დრომდინ ეს თეოდოსი წინამძღვარი აქ დარჩა და თქვენ მონასტრის ყმებს და მოკელეს ზაზას უბრა-  
მანე, რომ ექვსი კოდი ღვინო და ოცი ჩაფი ღვი-  
ნო გამოუგზავნე მარანში; სამს ქვევრში თურმე  
არის. ნურც ბატონიშვილის წყალობის ღვინოს  
შეეხება და ნურც კულუხისას, მანდაურის ზერი-  
სა სამცალიანს ქვევრში დგას საღმე და იმისი გა-  
მოუგზანოს. ამ საქმეზედ ბეჯითი ბრძანდებოდეთ.  
გზიზედ კი არა აიტეხონ რა. ფრთხილად წამოეიდ-  
ნენ და ეცადნენ მაღლ ჩამოუტანონ და აქ ქალა-  
ქში მყოფი მაგ მონასტრის ყმა ერთი ბიჭი მოსამ-  
სახურედ უნდა იყოს ამასთან დრომდინ და მერმე  
ღვთის ძალით და შეწევნით ყველა რიგით გარიგ-  
დება. იუნისს :კლ: წელსა ჩლპთ (იზის ერგადეს ბეჭედ).

1799 წ ... მერმე ნინოწმინდ ყლის ყმანი და  
ბერთუბნელები რომ თავეთს სამზღვრებზედ ტყეზე-  
და და სახნავს მიწებზედ დაობენ ჩვენ მოგვხსენდა  
რომ ერთმანდრთში შფოთი და ჩხუბი სსღმე აქვთ,  
... მანამ შეწირულების გუჯრებს გავჩერეკვდეთ,  
მანამდის მაგათ არა შესცოდონ რა, თორემ... ია-  
ნეარ :ვ: ქორონიკონს უპჲ. (გიორგი)

1798 წ. № 60 ... როგორც დლევანდლაშ-  
დის ნინოწმინდელს მიტრთპოლიტთ სპეროდეთ  
ისევ იმათვე დაანებე.... რომელს რომელი ანეუ-  
ლი მოეხნას და გაეტეხოს იმას ის მიწა არ წაერ-

თმევა და თუ წაართეა ვინმეგმ არ დაიშალა — სწორედ  
დათესილს წავარომევთ. (ეს შიუწერია ბატონიშვილის  
დავითს მანავის შოურავისთვის 1798 წ. სეკტემბრის 4-ს)

**1801** წ. 6 აპრილ. „ ქ. სრულიად საქართველოს  
მემკვიდრე მმართებელი დავით გიბძანებ საგარეჯოს  
მოურავო ენდრიანიკოვო ზაქარია! მერე რომელიც  
წმინდის ნინოს ეკკლესიის განწესება არის თავის  
ყმის ქურდობისა ჯარიმისა და ან თავის ყმის სამარ-  
თლისა იმ მსგავსად უნდა ამსახურო და რომელიც  
თავის ყმა შემაწუხებელი იქნებოდეს უნდა დასტუკ-  
სევდე და გარდაახდევინებდე. ბერთუბნელები სადმე  
აწუხებენ ნინოწმინდელებს და იმათ ხალხს მამულ-  
ზე ამ საქმეზე ჩეენი ოქმიც არის და არ უქომიან (?)  
და კიდევ სადმე აშევოთებენ ნინოწმინდელებს. ახ-  
ლაც კიდევ ამასა გწერთ, რომ ყადალი უნდა უყო,  
როგორც ახლამდის ყოფილან ახლაც ისე მოიქცენ  
და როდესაც მოვიცლით და სამართალში ეილაპა-  
რაკებთ მას უკან ვისაც დარჩება იმისი იქნება, აპ-  
რილს :კ: ქორონიკონს უპთ.

